avtoris stili daculia

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სალომე ნამიჭეიშვილის სადოქტორო ნაშრომი თემაზე:

ბავშვთა კეთილდღეობის სისტემა საქართველოში -

სისტემის გაუმჯობესების რეკომენდაციები და განვითარების სამომავლო სტრატეგიები

ხელმღვანელი: იაგო კაჭკაჭიშვილი,

სოციოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

სრული პროფესორი

უნივერსიტეტის გამომცემლობა

თბილისი

2015

შინაარსი

შესავალი 5

თავი I: დოკუმენტების ანალიზი..... 8

1. უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა და ანალიზი, როგორც ნაშრომის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძველი 8

1.1. ადამიანის უფლებების ძირითადი იდეები..... 8

1.2. ბავშვის უფლებების ძირითადი იდეები 12

1.3. უფლებებზე დაფუძნებული მიდგომები..... 21

1.4. უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა, როგორც ნაშრომის ანალიტიკური ჩარჩო..... 25

2. ბავშვის ოჯახისგან განცალკევება, განცალკევების პრევენცია, ოჯახში რეინტეგრაცია - საერთაშორისო და ადგილობრივი პრაქტიკა 30

2.1. ბავშვის ოჯახისაგან განცალკევება..... 30

2.2. ოჯახისგან განცალკევების პრევენცია და ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრაცია..... 39

2.3. ბავშვთა კეთილდღეობის პოლიტიკა და პროგრამები საქართველოში 45

თავი II: მეთოდოლოგია და პროცედურები..... 68

1. კვლევის მიზანი და ძირითადი საკვლევი კითხვები..... 68

2. თვისებრივი კომპონენტის მიზნები და შერჩევა 69

2.1. მეთოდები 69

2.2. მონაწილეები და შერჩევა 70

2.3. ინსტრუქციები და კვლევის ეთიკა..... 73

2.4. შეზღუდვები..... 73

3. რაოდენობრივი კომპონენტის მიზნები და შერჩევა 73

3.1. მეთოდები 74

3.2. შერჩევა 82

3.3. ინსტრუქციები და კვლევის ეთიკა..... 84

3.4. მონაწილეები 84

3.5. შეზღუდვები..... 87

თავი III: თვისებრივი კვლევის შედეგები 89

1. აქტორების საერთო ხედვები და მიდგომები..... 89

2. სისტემის ხარვეზები ადამიანური რესურსის თვალსაზრისით..... 92

3. სისტემის ხარვეზები პროცესის თვალსაზრისით..... 94

3.1. პრევენციული მიდგომა..... 94

3.2. დისკრიმინაციის პრობლემა ... 96
3.3. მომსახურების დეცენტრალიზაციის საჭიროება ... 108
3.4. სისტემური მიდგომები ... 109
4. სისტემის ხარვეზები მომსახურების თვალსაზრისით ... 110
4.1. მაღალი რისკის ჯგუფების ბავშვთა მომსახურება ... 111
4.2. დეინსტიტუციონალიზაცია და ალტერნატიულ მომსახურებათა სიმწირე ... 117
4.3. დასაქმების ხელშემწყობ მომსახურებათა საჭიროება ... 119
5. შემაჯამებელი მსჯელობა და ძირითადი მიგნებები ... 120
თავი IV: რაოდენობრივი კვლევის შედეგები ... 138
1. კახეთში, იმერეთსა და სამცხე-ჯავახეთში ოჯახების მოწყვლადობის დონე ... 138
2. საპილოტე კვლევის ფარგლებში შერჩეული ოჯახების მოწყვლადობის დონე კახეთში .. 162
3. შემაჯამებელი მსჯელობა და ძირითადი მიგნებები ... 171
თავი V: ძირითადი რეკომენდაციები ... 184
1. კოორდინაცია ... 184
2. მომსახურებათა განვითარება ... 185
3. სოციალური დახმარების გაზრდა ... 188
4. განათლება და ცნობიერების გაზრდა ... 189
5. უნარების განვითარება ... 189
6. გადაწყვეტილებაზე ზეგავლენა ... 190
თავი VI: ძირითადი დასკვნები ... 192
გამოყენებული ლიტერატურა ... 200

შესავალი

ბავშვთა კეთილდღეობისა და დაცვის 2012-2015 წლების სამოქმედო გეგმა მიზნად ისახავდა ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის კურსის გაგრძელებასა და მოწყვლადი ბავშვებისა და მათი ოჯახების გაძლიერებას. გეგმის მიხედვით, დღესაც მიმდინარეობს რეფორმა ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში. რეფორმის არსი იყო და არის ბავშვებზე ზრუნვის დეინსტიტუციონალიზაცია, რაც გულისხმობს დიდი ზომის ინსტიტუციების დახურვას და თემზე დაფუძნებულ ზრუნვაზე გადასვლას.

რეფორმა განაპირობა იმ გარემოებამ, რომ ინსტიტუციური ზრუნვა არ შეესაბამება ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომას და უგულებელყოფს ბავშვის უფლებას, იზრდებოდეს ოჯახში ან ოჯახთან მიახლოებულ გარემოში (OHCHR, 1989). რეფორმის პროცესში სახელმწიფოსთვის მთავარ გამოწვევას წარმოადგენდა ოჯახსა და თემზე დაფუძნებულ ალტერნატიულ ზრუნვაზე გადასვლისათვის საკმარისი ძალისხმევის უზრუნველყოფა იმ პირობებში, როცა დიდ ინსტიტუციებზე უარის თქმით დაიკარგა დიდი მასშტაბიდან გამომდინარე ეკონომიის შესაძლებლობა.

რეფორმის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება იყო ბავშვების მშობლებისგან განცალკევების პრევენცია ადეკვატური მხარდაჭერით, ბავშვების მშობლებთან რეინტეგრაციითა და მათი ოჯახების გაძლიერებით. ამასთანავე, რეფორმის მნიშვნელოვან კომპონენტებს წარმოადგენდა როგორც ოჯახსა და თემზე დაფუძნებული ზრუნვისა და მომსახურების მიწოდების გაზრდა, ასევე, ზრუნვის სისტემიდან გასვლისთვის (გადასვლა დამოუკიდებელ ცხოვრებაზე) ახალგაზრდების მომზადება მათი სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობით.

საერთაშორისო კვლევების მიხედვით, ინსტიტუციური ზრუნვის გავლენა გრძელვადიანი ბავშვის ჯანმრთელობასა და ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე და მისი ეფექტები ვლინდება 18 წლის შემდეგაც (Browne, 2009). ბავშვებს, რომლებიც იზრდებიან ინსტიტუციებში, არ უყალიბდებათ უწყვეტი მიჯაჭვულობის გრძნობა ძირითად მზრუნველთან ამ ტიპის ზრუნვის ფორმისთვის დამახასიათებელი რიგიდულობისა და არაინდივიდუალური გარემოს გამო (J. Williamson, 2010).

ბავშვის უფლებათა კონვენციის მიხედვით, ბავშვის საუკეთესო ინტერესი დაცული უნდა იყოს ოჯახის მხარდაჭერით. ოჯახის მხარდამჭერი მომსახურება აძლიერებს და ინარჩუნებს ოჯახის მთლიანობას. მას შეუძლია მშობლების კომპეტენციების ჩამოყალიბება და ოჯახის ცხოვრების ხარისხის გაზრდა, რაც აისახება ბავშვების მდგომარეობაზე (EuroChild, 2013). ოჯახის მხარდამჭერი მომსახურების ეფექტიანობის მტკიცებულებები, ძირითადად, მოიპოვება მაღალი შემოსავლების მქონე ქვეყნებში. დასტურდება მათი დადებითი გავლენა დაბადების რეგისტრაციაზე, ბავშვთა შრომაზე, ბავშვთა ქორწინებასა და ოჯახების დაშლის პრევენციაზე. ამასთანავე, სიღარიბის შემცირების სტრატეგიებს გავლენა აქვთ ბავშვთა ძალადობის შემცირებაზე (Barrientos A.J., 2013). ხანგრძლივ პერიოდში დაკვირვების მეთოდით განხორციელებულმა ნორვეგიულმა კვლევამ (NOVA, 2009) აჩვენა, რომ სიღარიბე ნეგატიურ გავლენას ახდენს ბავშვების განვითარებასა და მშობლობაზე, რაც საჭიროს ხდის ოჯახის მხარდამჭერი საჯარო პოლიტიკების არსებობას.

საზოგადოებისათვის საინტერესოა, რამდენად შეძლო საქართველოში რეფორმამ, ეპასუხა არსებული გამოწვევისათვის და დაეკმაყოფილებინა ის საჭიროება, რამაც სათავე დაუდო ალტერნატიული ზრუნვის სისტემის განვითარების რეფორმას. კვლევის ზოგადი მიზანია, განახორციელოს ბავშვთა კეთილდღეობის სისტემის შეფასება უფლებებზე დაფუძნებული მიდგომებით, გამოკვეთოს საჭიროებები და, ასევე, წარადგინოს შესაბამისი რეკომენდაციები არსებული ბავშვთა კეთილდღეობის პოლიტიკისა და პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით. კერძოდ, კვლევის ძირითადი კითხვებია: მოწყვლადობის რა რისკების წინაშე დგანან ბავშვები და ოჯახები თემების დონეზე საქართველოში? რამდენად პასუხობს ბავშვთა კეთილდღეობის სისტემები არსებული მოწყვლადობის რისკ-ფაქტორების ელიმინაციის ან შემცირების ამოცანას? რამდენად შეძლო საქართველოში რეფორმამ, დაეკმაყოფილებინა ის საჭიროება, რამაც სათავე დაუდო ალტერნატიული ზრუნვის სისტემის განვითარებას? ჰქონდა თუ არა და რა ხარვეზები ჰქონდა ახალ სისტემას გამოყენებული რესურსების,

დამკვიდრებული პროცესებისა და შექმნილი მომსახურებების თვალსაზრისით? რომელი მიდგომა (უფლებებზე დაფუძნებული, საჭიროებებზე დაფუძნებული) ხორციელდება ბავშვთა კეთილდღეობის სისტემაში, რომელი მიდგომის განხორციელებას აქვს მეტი რაციონალური საფუძველი და რისი გამოყენება იქნება უმჯობესი? ამ კითხვების საპასუხოდ კვლევამ მიზნად დაისახა, შეეფასებინა ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმისა და ბავშვზე ზრუნვის სისტემის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება – პრევენცია/რეინტეგრაცია და ოჯახების გაძლიერება. კერძოდ, კვლევის კითხვები უკავშირდება რეფორმის ამ მიმართულების ეფექტიანობის შეფასებას. კვლევა შერეული ხასიათისაა და აერთიანებს რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის ელემენტებს. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით გამოიკვეთა ძირითადი საჭიროებები და ჩამოყალიბდა რეკომენდაციები ბავშვთა დაცვის პოლიტიკისა და პრაქტიკის ეფექტიანობის გაუმჯობესების მიზნით. კვლევა, გამოყენების თვალსაზრისით, ნიშანდობლივია სამოქალაქო საზოგადოებისთვის ბავშვთა და ახალგაზრდათა უფლებების ადვოკატობისას ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე.

სადისერტაციო ნაშრომი 6 ნაწილისგან შედგება: პირველი ნაწილი მოიცავს დოკუმენტების ანალიზს ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში. ამ ნაწილში წარმოდგენილია ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ღირებულებებს, უფლებადაცვით დოკუმენტებსა და კარგ პრაქტიკებს გულისხმობს ბავშვთა კეთილდღეობის დაცვა თანამედროვე ეტაპზე. მეორე ნაწილი აღწერს კვლევის მეთოდებს. მესამე და მეოთხე ნაწილში კი მოცემულია კვლევის თვისებრივი და რაოდენობრივი კომპონენტის შედეგები და მსჯელობა იმის შესახებ, თუ როგორ განსხვავდება დღევანდელი პრაქტიკა ბავშვთა კეთილდღეობის სფეროს იმ საერთაშორისო სტანდარტებისგან, რომლებიც უზრუნველყოფენ იმ უფლებების დაცვას, რომლებსაც საქართველოც აღიარებს, მეხუთე ნაწილში მოცემულია კვლევის შედეგად ჩამოყალიბებული ძირითადი რეკომენდაციები. მეექვსე ნაწილი აღწერს კვლევის ძირითად დასკვნებს.

თავი I: დოკუმენტების ანალიზი

1. უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა და ანალიზი, როგორც ნაშრომის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძველი

ბავშვის უფლებების კომპლექსურობიდან გამომდინარე, ბავშვთა კეთილდღეობის სისტემის გაანალიზება შეუძლებელია მისი ადამიანისა და ბავშვის უფლებათა ფართო კონტექსტში წარმოდგენის გარეშე. ამისათვის ნაშრომში უფლებებზე დაფუძნებული მიდგომების მეთოდია გამოყენებული, რომელიც, თავის მხრივ, ეფუძნება და აერთიანებს ადამიანის უფლებების თეორიებს. ამ მიდგომის ჭრილში საქართველოში ბავშვთა კეთილდღეობის სისტემის ანალიზი გააზრების ახალ საშუალებებს ქმნის.

1.1. ადამიანის უფლებების ძირითადი იდეები

ადამიანის უფლებებს მორალური საფუძველი აქვთ და უფლებების პატივისცემა მორალზე დაფუძნებულ ნორმატიულ სისტემას ეფუძნება. ადამიანის უფლებების აღიარება სახელმწიფოსა და მის უწყებებზე არ არის დამოკიდებული. ეს დამოკიდებულია იმ დაშვებაზე, რომ „უფლებები, წარმოშობის, სქესის, რელიგიისა თუ სხვა კუთვნილების მიუხედად, ყველა ადამიანს ეკუთვნის“ (ვუცკოვიჩ შაჰოვიჩი, დოეკი & ცერმატინი, 2012, გვ. 10). მაშასადამე, ადამიანის უფლებები გულისხმობს ადამიანის განუყოფელ, საყოველთაო უფლებებს. ადამიანის უფლებები ის ძირითადი სტანდარტებია, რომელთა გარეშე ადამიანები ვერ იცხოვრებენ ღირსეულად. ადამიანის უფლებები ყველა ადამიანს თანასწორად, საყოველთაოდ და სამუდამოდ ეკუთვნის.

ადამიანის უფლებები ხელშეუხებელია: ადამიანს ვერ ჩამოერთმევა ეს უფლებები ისევე, როგორც ის, რომ იგი ყოველთვის ადამიანად დარჩება. ადამიანის უფლებები განუყოფელია: ადამიანს ვერ ჩამოერთმევა უფლება იმის გამო, რომ ის ნაკლებად მნიშვნელოვანია ან „არ არის არსებითი“. ადამიანის უფლებები

ურთიერთდამოკიდებულია: ადამიანის ყველა უფლება ურთიერთშემავსებელი სისტემის ნაწილია (გაეროს ბავშვთა ფონდი, 2011).

ადამიანის უფლებების იდეა აღმოცენდა ბუნებითი უფლებების ფილოსოფიური კონცეფციიდან. ბუნებითი უფლებები საყოველთაო უფლებებია, რომლებიც ყველა ადამიანს ეკუთვნის და არ არის დამოკიდებული ადამიანის ქცევასა და შეხედულებებზე. ადამიანი საზოგადოების წევრი ხდება გარკვეული ძირითადი უფლებებით და არც ერთ მთავრობას არ შეუძლია, ჩამოართვას მას ეს უფლებები (გაეროს ბავშვთა ფონდი, 2011).

ბუნებითი უფლებების ყველაზე ადრეული ასახვა მოიპოვება ინდურ ვედებში, აგამებსა და უპანიშადებში - ტექსტებში, რომლებიც სამი ათას წელზე მეტი ხნის წინ დაიწერა. მას შემდეგ ბუნებითი უფლებები მნიშვნელოვანი ცნებაა იმ წიგნებში, რომლებიც საფუძვლად უდევს მსოფლიოს ძირითად რელიგიებს. ბიბლიაც, თორაც და ყურანიც ქადაგებდნენ ყველა ადამიანის თანასწორობის, ღირსებისა და პასუხისმგებლობის მნიშვნელობას (გაეროს ბავშვთა ფონდი, 2011).

ბუნებითი უფლების ერთ-ერთი თეორია ჩამოყალიბდა განმანათლებლობის პერიოდის ბუნებითი კანონიდან მეფეთა წმინდა უფლებების საწინააღმდეგოდ და იძლეოდა ლიბერალიზმის მორალურ დასაბუთებას. ინდივიდუალიზმის იდეის გაძლიერებასთან ერთად, განსაკუთრებით მე-17 საუკუნეში, ბუნებითი კანონებიდან გამომდინარე, დოქტრინები შეიცვალა და ხაზგასმით აღინიშნა ის ფაქტი, რომ ინდივიდებს, ვინაიდან ისინი ადამიანები არიან, აქვთ უფლებები, რომლებიც არ უნდა დაარღვიოს რომელი სხვა ადამიანმა ან საზოგადოებამ. ამ დოქტრინის, ალბათ, საუკეთესო ფორმულირება ჯონ ლოკის (1632-1704) ნაშრომებშია მოცემული. მისი აზრით, ადამიანი თავისი ბუნებით არის რაციონალური და კარგი და რომ მას პოლიტიკურ საზოგადოებებში შემოაქვს იგივე უფლებები, რომლებიც ცნობილი იყო საზოგადოებისთვის უფრო ადრეულ საფეხურზე. ამ უფლებათაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია აღმსარებლობის უფლება, საკუთარი ქვეყნის მთავრობაში ხმის უფლება და ქონების უფლება (ვუცკოვიჩ შაჰოვიჩი, დოეკი, & ცერმატინი, 2012). ბუნებითი

უფლებების თეორეტიკოსები დასავლურ ტრადიციაში - ჰობზი, ლოკი და რუსო - სოციალური კონტრაქტის კონცეფციის მომხრეები იყვნენ (გაეროს ბავშვთა ფონდი, 2011).

არიენ სენგუპტამ (Sengupta, 2000) თავის ნაშრომში „განვითარების უფლება, როგორც ადამიანის უფლება“ პირველად შეგვახსენა ადამიანის უფლებებსა და სოციალური კონტრაქტს შორის კავშირზე. სოციალური კონტრაქტის თეორია სეკულარული იდეაა, რომელიც დასაბამს იღებს ანტიკური ბიბლიური კონცეფციიდან (რომელიც საუბრობს ღმერთსა და აბრაჰამს შორის კონტრაქტზე) და რომლის მიხედვითაც, ადამიანები ირჩევენ თავიანთ მთავრობას და არა ღმერთს. ლოკის მიხედვით, სოციალური კონტრაქტის თეორიის შესაბამისად, ისეთი უფლებები, როგორიც არის სიცოცხლე, თავისუფლება და საკუთრება ადამიანების საკუთრებაა და არა საზოგადოების. ეს უფლებები არსებობს მანამდე, სანამ ადამიანი სამოქალაქო საზოგადოებას შეუერთდება და სამოქალაქო საზოგადოებაში შეერთებით იგი თანხმდება სოციალურ კონტრაქტზე. ამ კონტრაქტის მიხედვით, სახელმწიფო ვალდებულია, დაიცვას ადამიანის ბუნებითი უფლებები (Offenheiser & Holcombe, 2003). სახელმწიფო არღვევს ამ კონტრაქტს, თუ ადამიანის უფლებები არის შელახული. დღევანდელ საზოგადოებაში სოციალურ კონტრაქტებს აქვთ ეროვნული კონსტიტუციების ფორმა, რომლებიც განსაზღვრავს წესებს და იცავს ადამიანის უფლებებს. ამ უფლებებს ადამიანი დაბადებიდან იღებს და ის არ ებოძება სახელმწიფოს ან რომელიმე სტრუქტურის მიერ. ადამიანის უფლებები აღიარებულია, როგორც უნივერსალური და ფუნდამენტური (Offenheiser & Holcombe, 2003).

ბუნებითი უფლებების თეორიების თანახმად, ინდივიდუალური უფლებები და, ასევე, სამართლის ნორმები, სახელმწიფოს ნების მიღმაა და, შესაბამისად, კანონმდებლობაზე არ არის დამოკიდებული. მართალია, ეს თეორიები საკმაოდ დიდი ხნის ისტორიას ითვლიან, საწყისი ღირებულება მათ არასდროს დაუკარგავთ. ამ თეორიების ფოკუსი ისტორიული პერიოდების ცვლილების შესაბამისად იცვლებოდა. ზოგიერთ პერიოდში, განსაკუთრებით შუა საუკუნეებში, თეისტური

თეორიები ჭარბობდა. ეს თეორიები ბუნებით უფლებებს ღვთისგან ბოძებულ უფლებებს უკავშირებდა. შემდგომ პერიოდებში ეს სკოლა პიროვნებასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობებით, განსაკუთრებით კი საზოგადოებისა და პოლიტიკური ცხოვრების ორგანიზებით დაინტერესდა (მაგ. ტომას ჰობზი, ჯონ ლოკი, ჟან-ჟაკ რუსო), როგორც ზემოთ არის აღწერილი სოციალური კონტრაქტის თეორიის მაგალითზე (ვუცკოვიჩ შაჰოვიჩი, დოეკი, & ცერმატინი, 2012).

ბუნებითი უფლების შინაარსი შეიძლება, დაუპირისპირდეს იურიდიულ უფლებას: ბუნებითია უფლება, როდესაც ის არსებობს მაშინაც კი, როცა არ არის მიღებული მთავრობის ან საზოგადოების მიერ, ხოლო იურიდიული უფლება წარმოადგენს ისეთ უფლებას, რომელიც დადგენილია მთავრობის ან საზოგადოების მიერ მათი წევრების სასარგებლოდ (Jones, 1994; Waldron, 1984; გაეროს ბავშვთა ფონდი, 2011). პოზიტივისტების მოსაზრებით, ზოგიერთი უფლება ადამიანის უფლებების კატეგორიას მიეკუთვნება, თუ ეს უფლება კანონმდებლობით, მაგალითად, კონსტიტუციით არის გარანტირებული (Novak, 2003). სამართლის სფეროს სპეციალისტები ამ მოსაზრებას იზიარებენ და სამართლებრივი შინაარსის დოკუმენტების მიღმა სხვა სამართლებრივ წყაროებს არ ეძებენ. ამ მიდგომის საწინააღმდეგო პოზიციის მიხედვით, ადამიანებს, მოქმედი კანონმდებლობის მიუხედავად, გარკვეული უფლებები აქვთ. ამგვარი უფლებაა, მაგალითად, სიცოცხლის უფლება. ამ საწინააღმდეგო მოსაზრებების მიუხედავად, პოზიტივიზმს, მაგალითად, სამართალში, ძალზე მნიშვნელოვანი როლი აქვს. აზროვნების ამ სკოლის წარმომადგენლები, განსაკუთრებით, თანამედროვე ავტორები, რომელთა შორის არიან ჰარტი, დვორკინი და ფულერი, აცხადებენ, რომ სამართლის სისტემები საფუძვლად მორალურ სტანდარტებს უნდა იყენებდნენ. ამდენად, რადგან სამართლებრივი აქტები სამართლის ძირითად წყაროს წარმოადგენენ, ისინი საზოგადოების ფუნდამენტურ ღირებულებებს უნდა ეფუძნებოდნენ (ვუცკოვიჩ შაჰოვიჩი, დოეკი, & ცერმატინი, 2012).

ბუნებითი უფლებები მოიხსენიება თითქმის ყოველთვის, როდესაც რომელიმე კანონი უსამართლოდ ან არალეგიტიმურად ითვლება, მიუხედავად იმისა, რომ შემდგომ ისტორიულ პერიოდში პოზიტივიზმა ძლიერი პოზიცია დაიკავა. ამგვარ შემთხვევებში უსამართლობის აღმოსაფხვრელად ბუნებითი უფლებების აქტიური გამოყენება ხდება. ზოგადად მიჩნეულია, რომ ადამიანის ყველა უფლება პირველ ეტაპზე მორალურ ღირებულებასთან მკაფიოდ დაკავშირებულ ბუნებით უფლებად განიხილება და შედეგად, შემდეგ ეტაპზე, ხდება შესაბამისი უფლების სამართლებრივი ფორმულირება (Cohen, 1992).

მე-18 საუკუნიდან დაწყებული, მას შემდეგ, რაც წარმოიშვა სოციალური კონტრაქტის თეორია, აქცენტმა თანდათანობით ადამიანის უფლებებისა და თანასწორობის კონცეფციებზე გადაინაცვლა, როდესაც ხალხმა დაიწყო პროტესტის გამოთქმა და მოითხოვა რასობრივი თანასწორობა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მე-20 საუკუნის განმავლობაში სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების ხარჯზე მოხდა ეკონომიკური და სოციალური უფლებების იგნორირება; ნაწილობრივ სწორედ ამან განაპირობა მე–20 საუკუნის ბოლოს ადამიანის უფლებებზე ორიენტირებული კულტურა (Lauren, 1998).

1.2. ბავშვის უფლებების ძირითადი იდეები

დღეისათვის ბავშვის უფლებები მორალურ კატეგორიაზე უფრო მეტია. ისინი საერთაშორისო დონეზე ბევრი სხვადასხვა დოკუმენტით არის აღიარებული, რომელთა შორის უმნიშვნელოვანესია 1989 წლის ბავშვის უფლებების კონვენცია. ბავშვის უფლებების გასააზრებლად მნიშვნელოვანია ბავშვობის, როგორც კონცეფციის განხილვა, რომელიც, თავის მხრივ, მოითხოვს ყურადღების ისეთ საკითხზე გამახვილებას, როგორიცაა ბავშვობის პერიოდის კონცეფცია.

ბავშვობის პერიოდის კონცეფცია

ბავშვობა სოციალური კონსტრუქციაა, რომელიც ისტორიული პერიოდისა და სოციალური გარემოს კვალდაკვალ იცვლება. ბავშვის კონცეფციისა და ბავშვობის მიმართ დამოკიდებულების ანალიზი სწორედ ამ დაშვებას ეყრდნობა. ბავშვობის პერიოდის კონცეფციის გააზრებისას მისი კულტურასთან, ტრადიციასა და სოციალურ სტრუქტურასთან ასოცირება აუცილებელია. ნაშრომში ჩვენ, ძირითადად, „დასავლურ წყაროებს“ ვეფუძნებით, რადგან საქართველო ბავშვის უფლებათა კონვენციის ხელმომწერია და, ამ თვალსაზრისით, მოცემული მსჯელობა გარკვეულწილად შეზღუდულია. ბავშვობის შესახებ უნივერსალური თეორიებისა და იდეების შესახებ მსჯელობა რთულია, რადგან მათი უნივერსალობის განხილვა მხოლოდ ბავშვის უფლებების კონვენციის საყოველთაო რატიფიკაციის ჭრილშია შესაძლებელი. „თუ 193 სახელმწიფოს სჯერა და იღებს ვალდებულებას, რომ შეასრულებს ამ საერთაშორისო ხელშეკრულებას, შესაძლოა, ვივარაუდოთ, რომ ყველა კულტურული განსხვავების მიუხედავად, სახელმწიფოები ბავშვობის მინიმალური, საერთო გაგების მზადყოფნას გამოხატავენ“ (ვუცკოვიჩ შაჰოვიჩი, დოეკი, & ცერმატინი, 2012, გვ.4).

ბავშვობის კონცეფცია პირველად მეჩვიდმეტე საუკუნეში გაჩნდა ევროპაში. შუა საუკუნეებში ბავშვობის კონცეფცია არ არსებობდა ფილიპ არიესის (ამ სფეროში ყველაზე ხშირად ციტირებული ავტორი) თანახმად. ბუნებრივია, ეს მოსაზრება არ გულისხმობს იმას, რომ ბავშვებზე ზრუნვა ამ დრომდე მიღებული არ იყო. ბავშვობის კონცეფცია და ბავშვების მიმართ გრძნობები სხვადასხვაა. მნიშვნელოვანია ბავშვობის ხასიათის ცოდნა, რაც მათ ზრდასრულებისგან განასხვავებთ. არიესის მიხედვით, 7 წლამდე ასაკის ბავშვების სიცოცხლე ღმერთის ხელთ იყო და 7 წლის ასაკის შემდეგ ბავშვები პატარა, მაგრამ მოზრდილ ადამიანებად ითვლებოდნენ რაიმე სპეციფიკური მახასიათებლების გარეშე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბევრი ავტორი არ ეთანხმება ამგვარ კატეგორიულ თეორიას, ძირითადად იმის გამო, რომ ბავშვობის ბიოლოგიური

განზომილება არსებობს, რომელიც „განსაკუთრებული ფორმით აღქმული უმწიფრობის პერიოდია“ (Archard, 2007, p. 26).

ბავშვების მიმართ დამოკიდებულებაში დაახლოებით მეჩვიდმეტე საუკუნიდან ცვლილება შეიმჩნევა, დაიწყო რა ბავშვობის კონცეპტუალური გაცნობიერება. ჯონ ლოკის მიხედვით, ბავშვები უმეცრებად იბადებიან, მორალური შეგრძნების გარეშე და მშობლებს ეკისრებათ მათ ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე პასუხისმგებლობა. მიუხედავად იმისა, რომ ლოკი ინგლისის თავადაზნაურთა ვაჟების განათლებაზე ამახვილებდა ყურადღებას, რაც მიუთითებს სქესისა და კლასის მიხედვით ადამიანთა გამორჩევაზე, ლოკმა ევროპაში ბავშვთა განათლების შესახებ ერთ-ერთი პირველი და უმნიშვნელოვანესი ნაშრომები შექმნა (Locke, 2002).

ბავშვობა ცხოვრების ის პერიოდია, რომლის განმავლობაში ბავშვის სპეციფიკური მახასიათებლები დომინირებს. ბავშვობის აღქმა საზოგადოების განვითარებისა და თანამედროვე სახელმწიფოს ჩამოყალიბების შესაბამისად იცვლება. სახელმწიფოთა მიერ ბავშვთა დაცვის პირველი მცდელობები ზუსტად ამ დროიდან შეინიშნება. თუმცა 21-ე საუკუნის დასაწყისში ბავშვთა მდგომარეობა გარკვეულწილად უცვლელი რჩება, რადგან მათ ოჯახის ეკონომიკურ საქმიანობაში წვლილი კვლავ შეაქვთ და მშობელთა, ძირითადად, მამების დაქვემდებარებაში არიან. მიუხედავად ამ გამოწვევისა, ადამიანის უფლებების განვითარების წყალობით და ბავშვის უფლებების კონვენციის გამო, მრავალი სახელმწიფო პოლიტიკა და კანონმდებლობა ბავშვის უფრო ფართო ავტონომიის აღიარებისკენ არის მიმართული (ვუცკოვიჩ შაჰოვიჩი, დოეკი, & ცერმატინი, 2012).

ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაცია და ბავშვის უფლებების კონვენცია შეიცავს წინადადებას: „ბავშვს განსაკუთრებული მზრუნველობისა და დახმარების მიღების უფლება აქვს“ (ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, 1948, 25–ე მუხლი; ბავშვის უფლებების კონვენცია, 1989, პრეამბულა, მე-4 პუნქტი). მოსაზრება, რომლის თანახმად ბავშვებს დაცვა სჭირდებათ და, ასევე, იმის

აღქმა, რომ ისინი „რისკის ქვეშ მყოფნი არიან“ და „პრობლემურნი“, მე-20 საუკუნის განმავლობაში ბავშვების მოვლის კონცეფციად გადაიქცა.

ბავშვობის სპეციფიკური მახასიათებლების დასადგენად საყურადღებოა ის კრიტერიუმი, რომელიც ბავშვობას ასაკობრივ ზღვარსა და შინაარსთან მიმართებით თავად ბავშვობის ფარგლებშივე ადგენს (Archard, 1993). ბავშვობის ასაკობრივი ზღვარი ის პერიოდია, როდესაც იგი სრულდება. სხვადასხვა საზოგადოებაში ეს პერიოდი განსხვავდება. ზოგ საზოგადოებაში ეს არის ათი, თორმეტი, თვრამეტი ან ოცდაერთი წელი. განსხვავებები ჩვეულებებზე, კულტურულ ტენდენციებსა და სამართლებრივ მოსაზრებებზეა დამოკიდებული. ამ დისკუსიის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტი ის გამყოფი ხაზია, რომელიც ბავშვობასა და ზრდასრულობაში ადამიანის გადასვლაზე საუბრობს. ზოგიერთი ავტორი ტრადიციულ მოსაზრებას აღიარებს, რომლის თანახმად ბავშვის განვითარება უნივერსალური პროცესია: ბავშვის განვითარების მიზნები საყოველთაოა და ბავშვობა განიმარტება, როგორც დამოკიდებულების გახანგრძლივებული პერიოდი, რომლის განმავლობაში ბავშვები უფროსებისგან დაცვის, წვრთნის, სიბრძნისა და ხელმძღვანელობის პასიური მიმღებნი არიან (ვუცკოვიჩ შაჰოვიჩი, დოეკი, & ცერმატინი, 2012). თუმცა, ფართოდ არის აღიარებული ის, რომ ამგვარი თეორიები არც უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომებსა და არც იმას ითვალისწინებენ, რომ ბავშვებს, ასევე, შეაქვთ წვლილი მათ სოციალურ გარემოში. ბავშვებს სიკეთის პასიურ მიმღებებად აღქმა მათ მოქმედი სუბიექტის მახასიათებლების გარეშე ტოვებს (Lansdown, 2005).

რაც შეეხება ასაკობრივ ჯგუფებს, ასაკობრივი ჯგუფები ბავშვობის პერიოდის დაყოფას ნიშნავს. ეროვნულ კანონმდებლობებში ისეთი ტერმინები გამოიყენება, როგორებიცაა: ჩვილი, ბავშვი, მცირეწლოვანი, არასრულწლოვანი, ახალგაზრდა და სხვა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ბავშვის უფლებების კონვენციაში ამ ჯგუფისა ან კატეგორიის განმარტებას არ ვხდებით (ვუცკოვიჩ შაჰოვიჩი, დოეკი, & ცერმატინი, 2012).

სიმწიფე, როგორც კატეგორია, ხშირად ბავშვობისა და ბავშვის უფლებების შესახებ დისკუსიის ნაწილია, რადგან, როგორც წესი, მოიაზრება, რომ ზრდასრული ადამიანი მომწიფებულია, ბავშვი კი - არა. სიმწიფის განმარტება, ფსიქოლოგიური, სოციოლოგიური და სამართლებრივი თვალსაზრისით, საკმაოდ რთულია. აღსანიშნავია, რომ ბავშვის უნართა განვითარების კონცეფცია თანდათანობით განვითარების ასპექტს მოიცავს. ეს განმტკიცებულია ბავშვის უფლებების კონვენციის მე-5 მუხლით (1989). როგორც ლენსდოუნი განმარტავს, კონცეფცია „ბავშვების შესაბამისი პატივისცემის საფუძველს ქმნის, დროზე ადრე მათზე იმ პასუხისმგებლობის სრულად დაკისრების გარეშე, რაც, როგორც წესი, მოზრდილობასთანაა ასოცირებული“ (Lansdown, 2005, p. 15). ბავშვის უნართა განვითარების გათვალისწინება მშობლებისა და ბავშვების უფლებებს რეალურად აბალანსებს. ეს როგორც ბავშვის უფლებების, ისე ბავშვობასა და ზრდასრულობას შორის ურთიერთმიმართების ინდივიდუალიზების მაღალ დონეს მოითხოვს.

ბავშვის უფლებების კონვენციის დებულებების პრაქტიკაში განსახორციელებლად ბავშვის უნართა განვითარების გააზრება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია (ვუცკოვიჩ შაჰოვიჩი, დოეკი, & ცერმატინი, 2012). ყველა ბავშვი ერთნაირად არ ვითარდება. ამდენად, ინდივიდუალური მიდგომების გათვალისწინება აუცილებელია.

ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „ბავშვის კონცეფცია თავად ბავშვისგან რადიკალურად გამიჯნული არც არის და არც უნდა იყოს, მიუხედავად იმისა, რომ ფსიქოლოგიურ, სოციოლოგიურ, საგანმანათლებლო, ბიოლოგიურ და სამართლებრივი გარემოებებთან დაკავშირებული განსხვავებები მხედველობაშია მისაღები“ (ვუცკოვიჩ შაჰოვიჩი, დოეკი, & ცერმატინი, 2012, გვ. 9). გავრცელებული მიღებული მოსაზრების თანახმად, ბავშვობა, ყოველი ბავშვის მახასიათებლების გათვალისწინებით, ადამიანის განვითარების ფაზაა. სწორედ ამგვარი მიდგომას ეფუძნება ბავშვის უფლებების კონვენცია.

ბავშვის უფლებები

ბავშვობის პერიოდის შესახებ აღქმის ცვლილებამ (როგორც ეს ზემო ქვეთავშია აღწერილი), შესაბამისად, ბავშვების მიმართ მიდგომის ცვლილებაც განაპირობა. ამ უკანასკნელმა კი, საბოლოოდ, ბავშვის უფლებების შემოტანა გამოიწვია.

კონვენციამდე პერიოდში ბავშვის უფლებების კონცეფცია განიხილებოდა, როგორც დაცვას დაქვემდებარებული კატეგორია, რომელიც ყურადღებას, ზრუნვასა და მოვლას უკავშირდებოდა. ბავშვის უფლებების შესახებ თეორიულ დისკუსიებში ბავშვის კეთილდღეობა და დაცვა მთავარი ფოკუსი იყო. (ვუცკოვიჩ შაჰოვიჩი, დოეკი, & ცერმატინი, 2012). ამასთანავე, ძირითადად, ბავშვთა საკითხები დაცვის თვალსაზრისით ოჯახის კონტექსტში განიხილებოდა. ადამიანის უფლებების ჭრილში ბავშვი როგორც ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობით, ისე არსებული საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩოსა და პრაქტიკის ფარგლებში იყო დაცული. მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ასი წლის წინ მოხდა თავდაპირველად იმის აღიარება, რომ ბავშვების დაცვა ცალკე რეგულაციებით, მათ შორის საერთაშორისო კონვენციების მეშვეობით არის საჭირო, იმ დროს მიღებული ნორმები მაინც ირეკლავდნენ თეორიას, რომლის თანახმად ბავშვები სუსტი, უმწიფარი ადამიანები არიან, რომელთაც სპეციალური დაცვა და ზრუნვა სჭირდებათ. ამგვარი დაცვისა და ზრუნვის უზრუნველყოფა კი მხოლოდ ზრდასრულებს შეუძლიათ, თანაც იმ ფორმით, როგორც ისინი ჩათვლიან საჭიროდ. ბავშვებისთვის ცალკე უფლებების ცნებისა და ამ უფლებების სუბიექტთა მიმართ მიდგომის ჩამოყალიბება მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაიწყო. 1989 წლის ბავშვის უფლებების კონვენციამ უფლებების კატალოგი შექმნა. კონვენციამ ნათელი გახადა პოზიცია, რომლის თანახმად ბავშვი ამ უფლებათა სუბიექტია და ამ უფლებათა მოთხოვნა შეუძლია. ამგვარად, ბავშვი ყველა იმ მოვლენის ცენტრში ხვდება, რაც მას შეეხება და რაშიც მან აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს, საკუთარი აზრი უნდა გამოხატოს. აზრის გამოხატვის უფლება ბავშვის უფლებების სფეროში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრინციპია. ამავდროულად, მოსმენის ვალდებულება და

გამოთქმული მოსაზრების მხედველობაში მიღება კეთილი ნებიდან საეთაშორისო სამართლის ნორმად იქცა. ამასთან დაკავშირებით ფუნდამენტური კითხვა, რომელზეც პასუხი გასაცემია, შემდეგია: „ამგვარი საერთაშორისო ნორმა საყოველთაოდ აღიარებულ მიდგომებს ეფუძნება, თუ უბრალოდ სამომავალოდ მიზნებს სახავს“ (ვუცკოვიჩ შაჰოვიჩი, დოეკი, & ცერმატინი, 2012, გვ. 15).

ბავშვის უფლებების კონვენციის შესახებ, ერთი შეხედვით, ორ საპირისპირო მიდგომის წარმომადგენლებს – ლიბერაციონისტებსა და პროტექციონისტებს, მზრუნველებსა და კონსერვატორებს – შორის ცხარე დებატი არსებობდა და არსებობს (Archard, 2007). რიჩარდ ფარსონმა პირველად ბავშვის კონსტიტუციური უფლებების სრულად აღიარების მოწოდება გააჟღერა (Farson, 1974). განათლების სპეციალისტმა ჯონ ჰოლთმა დღევანდელ საზოგადოებაში ბავშვობის მნიშვნელობის თაობაზე მრავალ იდეას წაუყენა გამოწვევა, განაცხადა რა, რომ ბავშვების ვალდებულებები მათ უფლებებს შეესაბამება და, შესაბამისად, მათი აღიარება მნიშვნელოვანია (Holt, 1975). ჰოლთს სჯეროდა, რომ საზოგადოებებმა ბავშვებთან დაკავშირებით შიშის განცდის ნაცვლად მათთან თანამშრომლობა უნდა გაბედონ (Holt, 1975). მოსაზრება, რომლის თანახმად ბავშვების უფლებების აღიარება უნდა მოხდეს, ბავშვის უნართა განვითარებასთან დაკავშირებით ჩატარებულ კვლევასა და ბავშვებისა და ზრდასრულების მახასიათებელთა დაჯგუფებას ეფუძნება. ფარსონისა და ჰოლთის (Farson, 1974; Holt, 1975) თანახმად, ბავშვს, როგორც ადამიანს, უპირველეს ყოვლისა, ღირსეული არსებობის, თანასწორობისა და თვითგამორკვევის უფლება აქვს, რაც მიიღწევა საზოგადოების ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობით. ამდენად, ბავშვის პასიურ არსებად ან მხოლოდ დაცვის ობიექტად განხილვა აღარ უნდა მოხდეს: პირიქით, მისი აღქმა სულ უფრო და უფრო უნდა ხდებოდეს პიროვნებად, რომელიც საკუთარი უნარების განვითარების შესაბამისად ავტონომიურ ადამიანს წარმოადგენს (ვუცკოვიჩ შაჰოვიჩი, დოეკი, & ცერმატინი, 2012).

პროტექციონისტების მოსაზრებით, სრულწლოვნებისგან განსხვავებით, ბავშვებს სწორი, დამოუკიდებელი და რაციონალური გადაწყვეტილებების მიღება არ

ხელეწიფებათ. რაღა თქმა უნდა, ამგვარ მოსაზრებებს ფილოსოფოსთა ისტორიულ ნაშრომებში ვხვდებით. თუმცა, დავა იმის შესახებ, რომ ბავშვებს არ აქვთ ყველა უფლება, კერძოდ კი მონაწილეობის უფლება, განსაკუთრებით გააქტიურდა ბავშვის უფლებების კონვენციის ძალაში შესვლის შემდეგ. ლორა მ. პერდი ამტკიცებდა, რომ ბავშვის უფლებების ზრდასრულის უფლებების თანასწორად განხილვა ბავშვის ჭეშმარიტ ინტერესს არ წარმოადგენს. ამ მოსაზრებას მტკიცედ დაუპირისპირდნენ ავტორები, რომლებმაც მისი მოსაზრება კონსერვატულად და ბავშვთა დისკრიმინაციად მიიჩნიეს (Purdy, 1992).

ლიბერალი ავტორები მიუხედავად იმისა, რომ უფრო ბუნებითი სამართლის სკოლის მიმდევრებისკენ იხრებოდნენ, ბავშვთა უფლებების შესახებ პოზიციის გასამყარებლად უფრო მეტი მხარდაჭერა პოზიტივიზმში მოიპოვეს. უნდა აღინიშნოს, რომ ბავშვის უფლებების კონვენცია საყოველთაო მორალური სტანდარტის აღიარებულ საყოველთაო ცოდნას არ ეფუძნება. ბავშვის უფლებების შესახებ არსებული ნორმები სახელწიფოებს იმ საერთაშორისო ხელშეკრულების დებულებების შესრულებას ავალდებულებს, რომლებიც, თავის მხრივ, მათ სახელმწიფოში საზოგადოების მორალსა და იქ არსებულ ჩვეულებებს ხშირად ეწინააღმდეგება. კონვენციის ძირითადი მიზანი ბავშვის ზრდასრულთან თანასწორის აღიარების მისაღწევად მიდგომების შეცვლაა. „ამ მიზნის გათვალისწინებით, გასაკვირი ხდება ის, რომ 193 სახელმწიფომ მოახდინა კონვენციის რატიფიცირება. ისმის კითხვა, კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები ბავშვის უფლებების უზრუნველსაყოფად რეალურად მომზადებულნი არიან თუ არა, თუ, პირიქით, სრულად არც აქვთ გააზრებული ის, რომ კონვენციის ძირთადი დანიშნულება ბავშვის, როგორც ადამიანისა და პირთა ჯგუფის წევრის, მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრაა“ (ვუცკოვიჩ შაჰოვიჩი, დოეკი, & ცერმატინი, 2012, გვ. 17).

ბავშვის უფლებებთან დაკავშირებით, ერთ-ერთი საკვანძო კითხვაა, ვალდებულება ადამიანის უფლებას რამდენად შეესაბამება. აღნიშნული ეფუძნება კონცეფციას, რომლის თანახმად, მან, ვინც რამეს იღებს, სანაცვლოდ უნდა გასცეს.

მორალური და სამართლებრივი თვალსაზრისით, ეს მისაღები დებულებაა. თუმცა, ადამიანის უფლებების სფეროში მდგომარეობა განსხვავებულია. ადამიანის უფლებები მინიჭებული არ არის: ისინი უბრალოდ არსებობს, მათი აღიარების მიუხედავად. შედეგად, ზოგიერთი უფლების განხორციელება არ შეიძლება, დაუკავშირდეს ამ უფლების მფლობელის ვალდებულებას. ვალდებულება არსებობს, თუმცა იგი აქვს სახელმწიფოს. სახელმწიფომ, როგორც ვალდებულების მატარებელმა, უფლების აღიარებისთვის, მის დასაცავად და მისი განხორციელების უზრუნველსაყოფად მექანიზმები უნდა აამოქმედოს (ნოვაკი, კლოკი, & შვარცი, 2009). მიუხედავად ამისა, ფართოდ გავრცელებული შეხედულების თანახმად, უფლების განხორციელება ვალდებულებას ამ უფლების სუბიექტსაც აკისრებს. კონსტიტუციები და საერთაშორისო ხელშეკრულებები აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტების ზოგი თავი როგორც უფლებებს, ისე ვალდებულებებსაც მოიცავს. ბავშვის უფლებებისა და კეთილდღეობის შესახებ 1990 წლის აფრიკული ქართია 31-ე მუხლით განამტკიცებს ბავშვის ვალდებულებას „მისი ოჯახის და თემის, სახელმწიფოსა და სამართლებრივად ჩამოყალიბებული სხვა თემებისა და საერთაშორისო საზოგადოების მიმართ“, რაც ადამიანის უფლებების საერთაშორისო ხელშეკრულებისთვის უჩვეულო ფორმულირებაა. ამ თვალსაზრისით, უნდა აღინიშნოს, რომ ბავშვის უფლებებთან დაკავშირებით დაბნეულობა შეინიშნება. ტრადიციონალისტებს აწუხებთ მოსაზრება, თუ როგორ შეიძლება უფლებები ვალდებულებებისა და მოვალეობების გარეშე არსებობდეს (ვუცკოვიჩ შაჰოვიჩი, დოეკი, & ცერმატინი, 2012). დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებები შესაბამის ვალდებულებებს მხარდამხარ არ მიჰყვება, ზოგიერთი შეზღუდვა, შესაძლოა, მაინც არსებობდეს. ადამიანის უფლებების განხორციელება აბსოლუტური კატეგორია არ გახლავთ. ამგვარმა აღქმამ, შესაძლოა, რომ უფლებების დე ფაქტო უარყოფა გამოიწვიოს. შესაბამისად, არც ბავშვის ყველა უფლებაა აბსოლუტური და გარკვეულ პირობებში, ინდივიდუალური კონტექსტის გათვალისწინებით, შესაძლოა, მათგან გადახვევა მოხდეს.

1.3. უფლებებზე დაფუძნებული მიდგომები

საჯარო პოლიტიკისა და განვითარების პროგრამების დასაგეგმად ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომები არის კონცეპტუალური ჩარჩო, რომელიც ნორმატიულად ეყრდნობა ადამიანის უფლებების საერთაშორისო სტანდარტებს და გამოიყენება ადამიანის უფლებათა დაცვის ხელშეწყობაში (Hickey & Mitlin, 2009). ეს მიდგომა აანალიზებს მოწყვლადობას, სიღარიბეს, უთანასწორობას, პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ გარიყულობას.

უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომა ცნობს ორ მთავარ აქტორს: ერთი მხრივ, უფლებების მატარებლებს (რომლებსაც უნდა შეეძლოთ, ისარგებლონ თავიანთი უფლებებით) და, მეორე მხრივ, ვალდებულების მატარებლებს (ინსტიტუტებს, რომლებთაც ევალებათ უფლებების მატარებლების უფლებათა განხორციელება).

უფლებებზე დაფუძნებული მიდგომები მიზნად ისახავს როგორც ვალდებულების მატარებელთა შესაძლებლობის განვითარებას, ისე უფლებების მატარებელთა გაძლიერებას.

უფლებებზე დაფუძნებული მიდგომები დიდ ყურადღებას ამახვილებს ვალდებულების მატარებელთა პასუხისმგებლობასა და ანგარიშვალდებულებაზე, რათა მათ უზრუნველყონ ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების მინიმალური სტანდარტები. ეს მიდგომები არა მხოლოდ ებრძვის უფლებების აქტიურ დარღვევას, არამედ ცდილობს უზრუნველყოს აღიარებულ უფლებათა განხორციელება. მიდგომების მთავარი პრინციპები შემდეგია: ადამიანის უფლებების საერთაშორისო და ეროვნული ჩარჩო დოკუმენტების ეფექტიანი დანერგვა პრაქტიკაში; თანასწორობა და არა დისკრიმინაცია; უფლებების მატარებელთა გაძლიერება უფლებების მოთხოვნის პროცესში; უფლებებების მატარებელთა წინაშე ვალდებულებების მატარებელთა ანგარიშგების მონიტორინგი (Organization for Security and Co-operation in Europe, 2010).

ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომების გამოყენება სოციალური კეთილდღეობის სისტემაში არ გულისხმობს სოციალური კეთილდღეობის

სისტემების მიერ სოციალური დახმარების გაცემას ქველმოქმედების სახით. მისი ამოცანაა, სოციალური კეთილდღეობის სისტემა ახორციელებდეს უფლებების მატარებლებისათვის მომსახურებების მიწოდებასა და ადამიანების აღიარებული უფლებების, როგორც სახელმწიფოს ვალდებულების, აღსრულებას (Piron, 2004; Organization for Security and Co-operation in Europe, 2010).

კეთილდღეობის მოდელიდან უფლებებზე დაფუძნებულ მოდელზე გადასვლა

კეთილდღეობის მოდელი დასაბამს იღებს მე-20 საუკუნიდან დასავლურ განვითარებაზე ორიენტირებულ პრაქტიკაში. კეთილდღეობის მოდელის მიხედვით, სიღარიბე განიმარტება, როგორც საზოგადოებრივი სიკეთის ან ცოდნის არარსებობა. თუ სახელმწიფო ან სხვა აქტორი, მაგალითად, არასამთავრობო სექტორი შემოგვთავაზებს საზოგადოებრივ სიკეთეს, მაშინ სიღარიბე შეიძლება, შემცირდეს და კეთიდღეობის განვითარება დაიწყოს. ამ მიდგომაში ბილიონობით დოლარი დაიხარჯა, თუმცა, მიუხედავად მიღწევებისა, მან ზოგად წარმატებას ვერ მიაღწია. განსხვავება მდიდარსა და ღარიბს შორის უფრო და უფრო იზრდება და მსოფლიო განვითარების რეპორტის (UNDP in Bosnia and Herzegovina, 2007) მიხედვით, მსოფლიო პოპულაციის დაახლოებით ნახევარი მოიხმარს დღეში 2 დოლარზე ნაკლებს (Offenheiser & Holcombe, 2003). ამ მოდელის კრიტიკის მთავარი ასპექტია ის, რომ სახელმწიფო ინსტიტუტების ანგარიშვალდებულების (პასუხისმგებლობა მათ ქმედებასა თუ უმოქმედობაზე) მექანიზმები სუსტია. მას არ შეუძლია, უპასუხოს სახელმწიფოს უუნარობას, განახორციელოს ადამიანის უფლებები დაფინანსებისა თუ ცოდნის არარსებობის გამო. ასევე, კეთილდღეობის მოდელის მიხედვით, ღარიბების, როგორც ქველმოქმედების, მოწყალების ობიექტების, კონსტრუირება ხდება და იგი სამოქალაქო საზოგადოებაში ღარიბების როლის წინასწარ შეზღუდულ განსაზღვრებას ახდენს (Offenheiser & Holcombe, 2003).

კეთილდღეობის მოდელის მარცხის გამო, არასამათავრობო სექტორმა გადააფასა რა ეს მოდელი, გადავიდა ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ მოდელზე. ეს უკანასკნელი ღარიბს, როგორც ქველმოქმედების ობიექტს კი არ განიხილავს, არამედ

როგორც აქტორსა და უფლებების მატარებელს (Garcia, 2009). ამ მოდელის მიხედვით, სამოქალაქო საზოგადოების მთავარი როლია, ერთი მხრივ, დაეხმაროს ღარიბს დაძლიოს ის დაბრკოლებები, რომლებიც ხელს უშლის მისი უფლებების რეალიზებას და, მეორე მხრივ, გააძლიეროს სახელმწიფო ინსტიტუტები, აღჭურვოს ისინი სხვადასხვა ინსტრუმენტითა და ცოდნით, რომლებიც მათ დაეხმარება ადამიანის უფლებების დაცვაში (Jansson, 2008). მაშასადამე, უფლებებზე დაფუძნებული მიდგომები განიხილავს ღარიბს, როგორც აქტორს, რომელსაც აქვს პოტენციალი, შექმნას თავისი ბედი, ხოლო სიღარიბეს კი - როგორც სოციალურ გარიყულობას, რომელიც ხელს უშლის ადამიანს ცხოვრების გზაზე. ამ მიდგომის მიხედვით, ღარიბ ადამიანებს აქვთ ღირსება, სწრაფვა და ამბიცია, თუმცა მათი ინიციატივები იბლოკება მუდმივი სისტემური გამოწვევების გამო, როგორებიცაა, მაგალითად, არაფუნქციური სახელმწიფო სოციალური მომსახურების სისტემები. ამ უკანასკნელის გააზრება კი ნაკლებად ხდება აქტორების მიერ. სამწუხაროდ, ფოკუსი გადატანილია არა სტრუქტურული ცვლილებების განხორციელებაზე, არამედ ადამიანების დახმარებაზე სხვადასხვა სოციალური პრგორამის საშუალებით (Doel, 2012), რაც სასურველ შედეგს ვერ იძლევა. ამ თეორიის მიხედვით, ღარიბებმა ყველაზე კარგად იციან, თუ რა ინსტიტუციური ბარიერები არსებობს. იმის გათვალისწინებით, რომ კეთილდღეობის მოდელის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა იყო იმ პრობლემების ადეკვატური გააზრება, რომელთა წინაშეც ღარიბები დგანან, უფლებებზე დაფუძნებული მოდელის მთავარი არსია პრობლემების გადაწყვეტა ადგილობრივი კონტექსტის მაქსიმალური გათვალისწინებით (Townsend, 1970). ამრიგად, ნაცვლად საზოგადოებრივი სიკეთეების, მომსახურებების შექმნა-განაწილებისა და უცხოური დახმარებებით არსებული დეფიციტების შევსებისა, უფლებებზე დაფუძნებული მოდელის მიზანია იმ სისტემური დაბრკოლებების განსაზღვრა და მათთან ბრძოლა, რომლებიც აფერხებს ადამიანს, ხელი მიუწვდებოდეს ცხოვრების გაუმჯობესების შესაძლებლობებზე (Center for Economic and Social Rights, 2013). შესაბამისად, ფოკუსი

გადატანილია სტრუქტურულ ბარიერებზე, შესაძლებლობების გაზრდასა და არჩევანის განვითარებაზე (Organization for Security and Co-operation in Europe, 2010).

პროფესიული შესაძლებლობის გაძლიერება

ამ ნაშრომის ერთ-ერთი ცენტრალური თეორიული მოდელია ის, რომ შესაძლებლობა, ამ ტერმინის ფართო გაგებით, არის მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი, რამდენად წარმატებულად ხდება უფლებების მოთხოვნა და მათი განხორციელება. ვერავინ იქნება პასუხისმგებელი ვალდებულების შესრულებაზე, თუ მას არა აქვს სათანადო პირობა ვალდებულების შესასრულებლად. ანგარიშვალდებულება რომ დაეკისროს, სამი პირობა უნდა არსებობდეს: პირველი, ვალდებულების განსახორციელებლად პასუხისმგებლობა უნდა აიღოს ვალდებულების მატარებელმა; მეორე, მას უნდა ჰქონდეს უფლებამოსილება ვალდებულების შესასრულებლად; მესამე, ვალდებულების მატარებელს ხელი უნდა მიუწვდებოდეს და აკონტროლებდეს რესურსებს. თუ უფლებების განსახორციელებლად საჭირო რესურსი არ არის, ეს იმას ნიშნავს, რომ ვალდებულების მატარებელმა არ შეასრულა მოვალეობა ამ რესურსის შექმნის, მენეჯმენტისა და დაცვის თვალსაზრისით (ბავშვის უფლებების კონვენცია, 1989, მე–4 მუხლი; Jonsson, 2003).

ადამიანის უფლებების გათვალისწინებით, განსაკუთრებული ურთიერთობა არსებობს უფლებების მატარებლებსა და ვალდებულების მატარებლებს შორის. ვალდებულების მატარებლები შეიძლება იყვნენ ადამიანები, ჯგუფები ან ინსტიტუტები, სახელმწიფოს ჩათვლით. მხოლოდ ბავშვები არ არიან ვალდებულებების მატარებლები (დისკუსია ამ მოსაზრების შესახებ განხილულია ზემოთ). მშობლებს აქვთ ვალდებულება, გამოკვებონ ბავშვები, თუმცა მათ თავად ამისთვის სჭირდებათ რესურსები. მათ, მშობლებმა, შეიძლება, მოვალეობები ვერ შეასრულონ, რადგან თავად მათი უფლებები ირღვეოდეს, ასეთ შემთხვევაში, ისინი ვერ იქნებიან ვალდებულნი შვილების წინაშე (Jonsson, 2003). მაშასადამე, ბავშვის უფლებებთან დაკავშირებით, ბავშვი არის უფლების პირველადი მატარებელი.

ძირითად შემთხვევებში მშობლები არიან ვალდებულების მატარებლები, თუმცა, ასევე, ისინი არიან უფლებების მეორადი მატარებლები (ბავშვის უფლებების კონვენცია, 1989, მუხლი 17), ხოლო სახელმწიფოს ვალდებულებაა ოჯახების მხარდაჭერა, რათა მათ შეძლონ თავიანთ შვილებზე ზრუნვა.

პროფესიული შესაძლებლობების გაძლიერება არის ადამიანების, ინსტიტუციების, საზოგადოების უნარი, შეასრულონ თავიანთი ფუნქციები და გადაჭრან პრობლემები. უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის მიხედვით, უმნიშვნელოვანესია უფლებების მატარებლებისა და ვალდებულების მატარებლების შესაძლებლობების გაძლიერება. ერთნი პატივს სცემენ, იცავენ და ახორციელებენ უფლებებს, მეორენი კი წინ წამოწევენ საკუთარ უფლებებს. ეს ქმედებები ხდის მთავრობას ანგარიშვალდებულს ხალხის წინაშე (Russel, 2006). პროფესიული შესაძლებლობის გაძლიერება არის მუდმივი პროცესი, რომელიც არამატერიალურია. სწორედ ამიტომ არამოგებაზე ორიენტირებული ორგანიზაციები ვერ ერთვებიან იმ ხარისხით, როგორც საჭიროა ამ პროცესში, რადგან მათ დონორებს აინტერესებთ კონკრეტული მატერიალური, ხელშესახები შედეგები. მიუხედავად იმისა, რომ არასამთავრობო სექტორი ბევრ ხელშესახებ შედეგს აჩვენებს, მათი დიდი ნაწილი მაინც მომსახურების მიწოდებით არის დაკავებული, ვიდრე შესაძლებლობების გაძლიერებით (Jonsson, 2003).

1.4. უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა, როგორც ნაშრომის ანალიტიკური ჩარჩო

ნაშრომის ანალიტიკური ჩარჩო ითვალისწინებს, ერთი მხრივ, უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომას საჭიროებებზე დაფუძნებული მიდგომის საპირისპიროდ და მეორე მხრივ, ბავშვისა და ოჯახის მოწყვლადობის რისკების ანალიზს.

უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა საჭიროებებზე დაფუძნებული მიდგომის საპირისპიროდ

დღეს განვითარებად ქვეყნებში განვითარების პოლიტიკის სფეროში ცენტრალური თემაა სოციალური პროგრამებისა და პოლიტიკების განხორციელებისათვის მიდგომების არჩევა. ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ

მიდგომას ჰყავს თავისი ძლიერი ადვოკატები როგორც მთავრობების, ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციების სახით. თუმცა ეს არ არის ერთადერთი მიდგომა, რომელიც გამოიყენება გადაწყვეტილებების მიღებისას სახელმწიფო და სამოქალაქო სექტორის სააგენტოების მიერ. ხსენებული მიდგომის საპირისპიროდ განვითარების სფეროში მოქმედი ორგანიზაციების მიერ ფართოდ გამოიყენებოდა და გამოიყენება საბაზისო საჭიროებებზე დაფუძნებული მიდგომა. ამ მიდგომის მიხედვით, მთავარი ამოცანაა ადამიანის განვითარებისთვის საბაზისო საჭიროებების განსაზღვრა და მათ დასაკმაყოფილებლად ადვოკატობა. „ბაზისური საჭიროებების" დაკმაყოფილებაზე ორიენტირებული სოციალური პოლიტიკები ეყრდნობიან შეზღუდული რესურსების დაშვებას და მიზნად ისახავენ ყველაზე მეტი საჭიროების მქონე ჯგუფების დაკმაყოფილებას „არსებული შესაძლებლობების" ფარგლებში (Hickey & Mitlin, 2009). ეს მიდგომა წინგადადგმული ნაბიჯი იყო ე.წ. „ქველმოქმედების მიდგომიდან" (რამდენადაც საჭიროებების შესახებ სამიზნე ჯგუფის აზრს ითვალისწინებდა). თუმცაღა იგი ამ უკანასკნელისგან დიდად არ განსხვავდებოდა, რამდენადაც არ მოიაზრებდა ვალდებულების მატარებელთა არსებობას. შესაბამისად, როდესაც ადამიანის უფლებათა ცნებაში შემავალი ამ საჭიროებების დაკმაყოფილებაზე არავინაა პასუხისმგებელი, უფლებების მუდმივი დარღვევა ხდება.

უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ ისიც საჭიროებების დაკმაყოფილებას ისახავს მიზნად, უფლებების მატარებელი სუბიექტები მოითხოვენ თავიანთი უფლებების აღსრულებას ვალდებულების მატარებელთაგან. ამდენად, უფლებების განხორციელებაში მოაზრებული საჭიროებების დაკმაყოფილება ხდება ყველასათვის და არ მხოლოდ ვიწრო ჯგუფისთვის, რომლის მიმართაც გამოიჩინეს ქველმოქმედება და ყურადღება. თუ სუბიექტს არა აქვს უნარი, მოითხოვოს უფლება, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ის კარგავს ამ უფლებას, რადგან, როგორც ზემოთ აღინიშნა, ადამიანის უფლებები უნივერსალური და განუყოფელია. შესაბამისად, ხსენებული მიდგომა იყენებს უფლებების

მატარებელთა სოლიდარობისა და გაძლიერების კონცეფციებს, რათა ადამიანებმა შეძლონ უფლებების მოთხოვნა (Jansson, 2008).

საბაზისო საჭიროებებზე დაფუძნებული მიდგომა საჭიროდ თვლის დამატებითი რესურსების არსებობას მარგინალიზებული ჯგუფების მიერ მომსახურებებზე ხელმისაწვდომობის გასაზრდელად. ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომას კი, ამის საპირისპიროდ, აქცენტი გადააქვს არსებული რესურსების თანაბარ და ხელმისაწვდომ გადანაწილებაზე. თავიანთი უფლებების დაცვაში ადამიანის დამხარება ხშირად გულისხმობს პოლიტიკურ დებატებში მათს ჩართვას. შესაბამისად, მაშინ, როცა საბაზისო საჭიროებებზე დაფუძნებული მიდგომა ისტორიული მარგინალიზაციის გავლენას არ აღიარებს, უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა სწორედ ამის გათვალისწინებით ცდილობს უფლებების რეალიზებას.

მორიგი მთავარი განსხვავება ამ ორ მოდელს შორის უკავშირდება მოტივაციას. საბაზისო საჭიროებების მიდგომის მიხედვით საჭიროებებათა დაკმაყოფილება შეიძლება ქველმოქმედებით. ამის საპირისპიროდ, უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა ემყარება სამართლებრივ და მორალურ ვალდებულებებს. მაშინ როცა ეს მიდგომა უფლებების განხორციელებაზე ანგარიშგების ვალდებულებას უკავშირებს ვალდებულების მატარებლის (სახელმწიფო) პასუხისმგებლობას, ქველმოქმედება უარყოფს ამგვარ პასუხისგებლობას. უფლებებზე ორიენტირებულ მიდგომაში სოლიდარობა ცვლის ქველმოქმედებას. ადამიანები უფლებების სუბიექტები არიან და არა ობიექტები ქველმოქმედებისა, რომელიც ხშირად უფრო მეტად აუძლურებს ღარიბს და სხვა მოწყვლად ჯგუფებს, ავითარებს დახმარებაზე მის დამოკიდებულებას. სოლიდარობა კი აძლიერებს ადამიანს და ზრდის მის შესაძლებლობას, გაიუმჯობესოს ცხოვრება (Jonsson, 2003).

ბავშვისა და ოჯახის მოწყვლადობა

ბავშვის მოწყვლადობას (დაუცველობას) რიგი ფაქტორები განაპირობებს. ბავშვის მოწყვლადობის კონცეფცია არ განიხილება ბავშვის ოჯახის კონტექსტის გარეშე, რადგან, ბავშვის უფლებების კონვენციიდან გამომდინარე, ბავშვის აღზრდასა და

განვითარებაზე მთავარი პასუხისმგებლობის მატარებელი ოჯახია, ხოლო სახელმწიფო კი, თავის მხრივ, ვალდებულია, მხარი დაუჭიროს ოჯახს ამ ვალდებულების შესრულებაში. ასე, რომ ოჯახის კონტექსტი უმნიშვნელოვანესია ბავშვის კეთილდღეობისა და მისი დაცვის ამოცანისთვის. მოწყვლადობის განმარტებასთან დაკავშირებით არ არსებობს ერთი უნივერსალური მიდგომა. როდესაც მოწყვლადობის კონცეფცია გაჩნდა დისკურსში, იგი რაიმე ცალსახა შინაარსის მატარებელი არც ყოფილა (Morawa, 2003). შესაბამისად, ჩვენ, ჩვენი კვლევის ფარგლებში, ბავშვის მოწყვლადობის განმარტებისას ამოვდივართ ბავშვის უფლებათა დაცვის ამოცანიდან და ბავშვის მოწყვლადობას განვმარტავთ მისი უფლებების დარღვევის რისკფაქტორების ერთობლიობად. თავის მხრივ, ეს რისკ-ფაქტორები მოწყვლადობის ინდიკატორებად შეგვიძლია, განვიხილოთ. რაც მეტია ეს რისკფაქტორები და რაც დიდხანს გრძელდება მათი ზემოქმედება, მით უფრო იზრდება მოწყვლადობის დონე (Morawa, 2003). აღსანიშნავია, რომ მოწყვლადობის რისკ-ფაქტორების არსებობის შემთხვევაში, ხშირად საჭირო ხდება გადაუდებელი ჩარევა. რაც უფრო ადრეულ ეტაპზე ჩავერევით, მით მეტია იმის შესაძლებლობა, რომ მოწყვალობის დონე შევამციროთ ან სულაც, მოვახდინოთ მისი გამომწვევი რისკ-ფაქტორების პრევენცია (World Vision, 2011).

ბავშვის მოწყვლადობას სხვადასხვა ფაქტორი განსაზღვრავს, თუმცა ლიტერატურაში ყურადღება გამახვილებულია ოთხ ძირითად ფაქტორზე: (1) ძალადობა ბავშვის მიმართ, (2) სიღარიბე, (3) სისტემის მიერ დისკრიმინაცია და (4) ბუნებრივი/ადამიანის მიერ განპირობებული კრიზისის/კატასტროფების/ კატაკლიზმების ზეგავლენა (World Vision Georgia, 2011).

ქვემოთ მოცემულია თითოეული ფაქტორის უფრო დაწვრილებითი განმარტება:

1. ბავშვის მიმართ ძალადობაში იგულისხმება ძალადობა მშობლის/მეურვის/ოჯახის წევრის ან სხვათა მხრიდან, რაც გამოიხატება ქვემოთ მოცემულთაგან რომელიმე ერთი ან მეტი ფორმით: ფიზიკური, სექსუალური, ემოციური, შრომითი ძალადობა და უგულებელყოფა. აქვე

იგულისხმება ოჯახის წევრებს შორის ძალადობაც, რომელიც მოქმედებს ბავშვზე;

2. სიღარიბეში იგულისხმება ოჯახის უუნარობა, შეიძინოს საბაზისო საჭიროების ნივთები/საქონელი და/ან მოიპოვოს საბაზისო საჭიროების მომსახურებები, როგორებიცაა: ჯანდაცვა, განათლება და ა.შ. სიღარიბის მახასიათებელია ოჯახის ხელთ არსებული ძალიან მწირი მატერიალური და ადამიანური რესურსები (განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განათლებისა და დასაქმების შესაძლებლობების არქონა). სიღარიბეს ხელს უწყობს, ასევე, ოჯახის წევრების ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობა და თანადგომის ქსელის არარსებობა;
3. სისტემის მიერ დისკრიმინაციაში იგულისხმება ბავშვისა და ოჯახის მიერ რეგისტრაციის/დაბადების/პირადობის მოწმობის არქონა და ხელმიუწვდომლობა ძირითად მომსახურებებზე, განსაკუთრებით, სამედიცინო და განათლების სფეროებში, გარკვეული მიზეზების, მათ შორის უმცირესობის ჯგუფს მიკუთვნებულობის, შეზღუდული შესაძლებლობის, ასოციალური ქცევის, სხვადასხვა ნიშნით მშობლის/ოჯახისგან გარიყულობის გამო (ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემა, მავნე ნივთიერებაზე დამოკიდებულება, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ყოფნა, მარტოხელა მშობლობა და ა.შ.);
4. ბუნებრივი/ადამიანის მიერ განპირობებული კრიზისი/ კატასტროფები/ კატაკლიზმები: ამ ფაქტორში იგულისხმება როგორც ბუნებრივი კატასტროფები (მეწყერი, სეტყვა, წყალდიდობა და ა.შ.), ისე ადამიანის მიერ განპირობებული უბედურებები (ომი, კრიმინალი და ა.შ.) და ასევე, ბავშვის/ოჯახის ცხოვრებაში მომხდარი მნიშვნელოვანი ნეგატიური მოვლენები (უცაბედი მძიმე ავადმყოფობა, მშობლის/ოჯახის წევრის გარდაცვალება/განქორწინება და ა.შ.).

როგორც ზემოთ მოცემული ფაქტორებიდან ჩანს, ოჯახის მოწყვლადობას, ძირითადად, სოციალური და ეკონომიკური ფაქტორები განაპირობებს. ეკონომიკური

მოწყვლადობა არის შემოსავალზე დამოკიდებული სიღარიბის რისკი ან ცხოვრების დონის შენარჩუნების უუნარობა კრიზისული სიტუაციის პირობებში. სოციალური მოწყვლადობა კი წარმოადგენს საფრთხეს იმისა, რომ ოჯახმა დაკარგოს სოციალურ, ეკონომიკურ და სამოქალაქო ცხოვრებაში სრულფასოვანი მონაწილეობის შესაძლებლობა. შესაბამისად, ეკონომიკური მოწყვლადობა შესაძლოა, იყოს სოციალური მოწყვლადობის შედეგიც და, ამავდროულად, ამ უკანასკნელის ხელშემწყობი ფაქტორიც (გაეროს განვითარების პროგრამა, 2013).

ზემოაღნიშნული ფაქტორების დასაძლევად უმნიშვნელოვანესი როლი ეკისრება სოციალური დაცვის უფლების უზრუნველყოფას ბავშვებისა და მათი ოჯახებისთვის, რაც დეტალურად განხილულია ქვემო თავში.

2. ბავშვის ოჯახისგან განცალკევება, განცალკევების პრევენცია, ოჯახში რეინტეგრაცია - საერთაშორისო და ადგილობრივი პრაქტიკა

2.1. ბავშვის ოჯახისაგან განცალკევება

ოჯახისაგან განცალკევების მიზეზები

ხშირად სხვადასხვა სოციალური ფაქტორი, მათ შორის ოჯახური და საზოგადოებრივი სტრესორების კომბინაცია, განაპირობებს ბავშვების მშობლებისგან განცალკევებასა და მათ სახელმწიფო ზრუნვის სისტემაში მოხვედრას. ეს ფაქტორებია: მშობლების, ასევე, ბავშვის გარშემო სხვა მზრუნველის არარსებობა, სიღარიბე, უმუშევრობა, უსახლკარობა, ოჯახის წევრების ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები, ოჯახის შემადგენლობის შეცვლა (განქორწინება, მშობლის მეორე ქორწინება), ეთნიკური წარმომავლობა, ოჯახის მიგრაცია, ძალადობა ოჯახში, ბავშვის შეზღუდული შესაძლებლობა და ბავშვის ასოციალური ქცევა. ამ ფაქტორებს შორის აღმოსავლეთ ევროპასა და ცენტრალურ აზიაში ერთ-ერთ წამყვან ფაქტორად ბავშვის შეზღუდული შესაძლებლობა სახელდება (Rasell & Iarskaia-Smirnova, 2013). გაეროს ბავშვთა ფონდის თანახმად, აღმოსავლეთ ევროპასა და ცენტრალურ აზიაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები 17-ჯერ უფრო

მეტი ალბათობით ხვდებიან ინსტიტუციებში, ვიდრე ჯანმრთელი ბავშვები (Palayret, 2012).

ბავშვის უფლებებზე ზემოაღნიშნული ფაქტორების ნეგატიური გავლენების ნიველირება სახელმწიფოს ერთ-ერთი ამოცანაა თანმიმდევრული ოჯახის გაძლიერების პოლიტიკის დანერგვით (UNICEF, 2010).

ასევე, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს 24–საათიან ზრუნვაში ბავშვების განთავსების საფუძვლების დაცვა. 24–საათიან ზრუნვაში ბავშვის განთავსების ლეგიტიმური საფუძვლები, ძირითადად, შემდეგია: ბავშვი არის ძალადობის მსხვერპლი, ან ძალადობის რისკის წინაშე; ბავშვი მიტოვებულია ან ორივე მშობლით ობოლია და არ არსებობს ისეთი პირი, რომელიც იზრუნებს მასზე. ხშირად ბავშვების მშობლებისგან განცალკევება ხდება შესაბამისი მიზეზების არარსებობის შემთხვევაშიც (Eurochild, 2013). სიღარიბის, გაბატონებული ცრურწმენების, შეზღუდული შესაძლებლობისა და სოციალური გარიყულობის გამო არ უნდა ხდებოდეს ბავშვის ოჯახისგან განცალკევება. ოჯახის მხარდამჭერი მომსახურების, ფინანსური ტრანსფერების, სოციალური საცხოვრისისა და სიღარიბის დაძლევის სხვა ზომების მეშვეობით ოჯახებმა უნდა შეძლონ, გაუმკლავდნენ ცხოვრებისეულ სირთულეებს.

ოჯახისგან განცალკევებულ ბავშვებზე ზრუნვის ფორმები

ინსტიტუციური ზრუნვა

დღესდღეობით თანხმდებიან იმაზე, რომ ინსტიტუციური ზრუნვა არ შეესაბამება უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომას (Parker, 2011). ინსტიტუციური ზრუნვის კულტურისთვის დამახასიათებელია შემდეგი ელემენტები: დეპერსონალიზაცია, მკაცრი რუტინები, კოლექტიური მოპყრობა და სოციალური გაუცხოება. დაწესებულების ზომა და ბავშვთა რაოდენობა პროპორციულ კავშირშია ინსტიტუციური კულტურის თავისებურებებთან. რაც უფრო დიდი ზომის არის დაწესებულება, ბავშვებს ინდივიდუალური განვითარებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის უფრო ნაკლები შანსები აქვთ (Costa, 2012).

ინსტიტუციურ ზრუნვას შეუძლია გრძელვადიანი გავლენის მოხდენა ბავშვის ჯანმრთელობასა და ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე (Browne, 2009). ბავშვებს, რომლებიც იზრდებიან ინსტიტუციებში, არ უყალიბდებათ უწყვეტი მიჯაჭვულობის გრძნობა ძირითად მზრუნველთან ამ ტიპის ზრუნვის ფორმისთვის დამახასიათებელი რიგიდულობისა და არაინდივიდუალური გარემოს გამო (Williamson & Greenberg, 2010). ინსტიტუციური ზრუნვის გავლენა გრძელვადიანია და მისი ეფექტები ვლინდება 18 წლის შემდეგაც, როდესაც გარემოსთან ადაპტაციის პრობლემები იჩენს თავს განათლების მიღებისა და დასაქმებისას (Mare, 2006). ხშირია სკოლის მიტოვება, დაუსაქმებლობა, უსახლკარობა, კანონთან კონფლიქტში ყოფნა, რაც, თავის მხრივ, სიღარიბესა და სოციალურ გარიყულობას განაპირობებს.

ინსტიტუციური ზრუნვა განსაკუთრებით საზიანოა 3 წლამდე ბავშვებისთვის. (UNICEF, 2011). გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის მიხედვით, ადრეული ბავშვობის განმარტება უნდა მოიცავდეს ყველა ბავშვს 8 წლამდე (The UNICEF Innocenti Research Centre, 2006; Committee on the Rigths of the Child, 2005, par. 4). ოჯახზე დაფუძნებული ზრუნვა უნდა იყოს ერთადერთი ალტერნატივა ამ ასაკის ბავშვებისთვის (United Nations, 2006). ხოლო 8 წლის ზემოთ ბავშვებისთვის ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რომ ისინი აღიზარდონ ოჯახურ გარემოში, ან ოჯახზე დაფუძნებულ ალტერნატიულ მომსახურებაში.

ინსტიტუციური ზრუნვა, რომელშიც, ასევე, იგულისხმება მცირე საოჯახო ტიპის სახლები, ბავშვებისთვის უნდა იყოს უკიდურესი ზომა (Council of Europe, 2005).

ზრუნვის ალტერნატიული ფორმები

ოჯახისგან განცალკევებული ბავშვებისათვის ინსტიტუციური ზრუნვის ალტერნატივაა ოჯახსა და თემზე დაფუძნებული ზრუნვა (ნათესაური მინდობით აღზრდა[1]; მინდობით აღზრდა[2]; ოჯახზე დაფუძნებული ზრუნვის სხვა სახეები;

[1] ოჯახზე დაფუძნებული ზრუნვა – ბავშვი განთავსებულია ნათესავებთან.
[2] კომპეტენტური ორგანოს მიერ ბავშვების განთავსება ხდება ოჯახში, რომელიც არ არის ბავშვის ნათესავი.

ზედამხედველობის ქვეშ ნახევრად დამოუკიდებელი და დამოუკიდებელი ცხოვრების ფორმები[3]).

ერთი მხრივ, რეზიდენტული ზრუნვა, რომელიც ერთი ინსტიტუციის ფარგლებში ბევრ ბავშვს ემსახურება, უფრო იაფი ჯდება, ვიდრე ზრუნვის ალტერნატიული ფორმები, თუმცა ამ შემთხვევაში ზრუნვის სტანდარტების ხარისხი და ბავშვის ფუნდამენტური უფლებები არ არის გათვალისწინებული (Costa, 2012). მეორე მხრივ, დაბალი ხარისხის ინსტიტუციური ზრუნვა სახელმწიფოს გრძელ ვადაში უფრო ძვირი უჯდება სოციალური კეთილდღეობის, ჯანმრთელობისა და საჯარო უსაფრთხოების ხარჯების გამო. მიუხედავად იმისა, რომ მაღალი ხარისხის ოჯახსა და თემზე დაფუძნებული მომსახურება ძვირია, კომპლექსური და სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვებისთვის პრიორიტეტი უნდა მიეცეს ბავშვის ცხოვრების ხარისხს (Costa, 2012). ამავე დროს, ბავშვთა მომსახურებების რეფორმა, რომელიც აქცენტს აკეთებს ადრეულ ინტერვენციაზე, ოჯახის მხარდაჭერასა და რეინტეგრაციაზე, საშუალებას აძლევს სახელმწიფოს, დაზოგოს დანახარჯები გრძელვადიან პერსპექტივაში (Costa, 2012).

ინსტიტუციებიდან გადასვლა ოჯახსა და თემზე დაფუძნებულ ზრუნვაზე

თანამედროვე მიდგომების მიხედვით, ოჯახზე დაფუძნებული ზრუნვა უნდა იყოს ერთადერთი ალტერნატივა ბავშვებისთვის (ევროპული კონვენცია ბავშვთა უფლებების შესახებ, 1996). დეინსტიტუციონალიზაცია, ეს ტერმინი გავრცელებული განმარტების მიხედვით, გულიხსმობს დიდი ზომის დაწესებულებების დახურვას, თუმცა ეს ტერმინი არ მოიაზრებს მხოლოდ დიდი ზომის დაწესებულებების დახურვას, არამედ ინსტიტუციებიდან გადასვლას ოჯახსა და თემზე დაფუძნებულ ზრუნვაზე (Bilson & Harwin, 2003). დეინსტიტუციონალიზაცია ქვეყნის ალტერნატიული ზრუნვის სისტემის რეფორმირების პროცესია, რომლის მიზნები შემდეგია: ინსტიტუციურ ზრუნვაზე დამოკიდებულების შემცირება ოჯახისა და თემზე დაფუძნებული ზრუნვისა და მომსახურებების მიწოდების გაზრდით;

[3] ახალგაზრდები ცხოვრობენ ბინებში რეგულარული ზედამხედველობის ქვეშ და იღებენ სახელმწიფო მხარდაჭერას.

ბავშვების მშობლებისგან განცალკევების პრევენცია მათთვის ადეკვატური მხარდაჭერის მიწოდებით; ზრუნვის სისტემიდან გასვლისთვის ახალგაზრდების მომზადება, მათი სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობა და უმტკივნეულო გადასვლა დამოუკიდებელ ცხოვრებაზე (SoS Children's Villages International & International Social Service, 2009).

„ჭიშკრის დარაჯობის" მექანიზმი

ეფექტიანი „ჭიშკრის დარაჯობის" („გეითქიფინგის") მექანიზმის არსებობა აუცილებელია იმისთვის, რომ ბავშვის ოჯახიდან გამოყვანა განხილული იყოს, როგორც უკანასკნელი ზომა (Bilson & Harwin, 2003). „ჭიშკრის დარაჯობის" მექანიზმი სთავაზობს რა ბავშვებსა და ოჯახებს ოჯახის მხარდამჭერ მომსახურებებს, უზრუნველყოფს, რომ ბავშვის ოჯახიდან გამოყვანა იყოს უკიდურესი ზომა. „ჭიშკრის დარაჯობა" გულისხმობს ინსტიტუციებში/დან, მათ შორის მცირე საოჯახო ტიპის სახლებში/დან (თუმცა არა მხოლოდ, არამედ მთლიანად 24–საათიან ზრუნვაში/დან, რომელიც ასევე მოიცავს მინდობით აღზრდასაც) ბავშვების შესვლისა და გამოსვლის კონტროლს. „ჭიშკრის დარაჯობა" შეთანხმებული ღონისძიებების ერთობლიობაა, რომლებიც უზრუნველყოფს ოჯახის დამხმარე მომსახურებებსა და დახმარებებზე ხელმისაწვდომობას და იცავს ბავშვს 24–საათიანი ზრუნვის სისტემაში განთავსებისგან. ეს უკანასკნელი კი ხორციელდება საკანონმდებლო ზომების გატარებით (მორატორიუმის გამოცხადება, ჩარიცხვის საკანონმდებლო მოთხოვნების გამკაცრება), ასევე, ეკონომიკური ზომების განხორციელებით (ადგილობრივი მთავრობები, ინსტიტუციების ნაცვლად, აფინანსებენ სათემო ზრუნვას).

იმ შემთხვევაში, თუ ბავშვის ოჯახიდან გამოყვანა უკიდურესი აუცილებლობაა, მაშინ შეიძლება იყოს განხილული ოჯახის ჩამნაცვლებელი შემდეგი მომსახურებები: ნათესაური მინდობით აღზრდა (ოჯახზე დაფუძნებული ზრუნვა, როდესაც ბავშვი განთავსებულია ნათესავებთან); მინდობითი აღზრდა (კომპეტენტური ორგანოს მიერ ბავშვი განთავსებულია ოჯახში, რომელიც არ არის ბავშვის ნათესავი. ეს ოჯახი წინასწარ შერჩეული, შეფასებული და დამტკიცებულია კომპეტენტური ორგანოს

მიერ და, ასევე, რეგულარული ზედამხედველობისა და მონიტორინგის ქვეშ იმყოფება); ოჯახზე დაფუძნებული სხვა ტიპის ზრუნვის ფორმები; რეზიდენტული ზრუნვა (მიეწოდება არა ოჯახზე დაფუძნებულ გარემოში, არამედ ინსტიტუციურ გარემოში, სადაც უზრუნველყოფილია ბავშვის უსაფრთხოება და მისი განთავსება შეიძლება გადაუდებელ სიტუაციებში. არსებობს როგორც ტრანზიციული, ასევე, მოკლევადიანი და გრძელვადიანი პერიოდისთვის. რეზიდენტული/ინსტიტუციური ტიპის დაწესებულებაა მაგ. მცირე საოჯახო ტიპის სახლები); ზედამხედველობის ქვეშ დამოუკიდებელი ცხოვრების ფორმები (ახალგაზრდები ცხოვრობენ ბინებში რეგულარული ზედამხედველობის ქვეშ და იღებენ მხარდაჭერას, ძირითადად, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლისგან (SOS Children's Villages International; International Foster Care Organization; & International Federation of Educative Communities, 2007).

დეინსტიტუციონალიზაციის რეფორმის ფარგლებში შექმნილ ახალ სახლებში, სადაც ხდება ბავშვების გადაყვანა დიდი ზომის დაწესებულებებიდან, ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს მიჯაჭვულობისა და სითბოს ნაკლებობას (ორგანიზაცია „ევროჩაილდის“ წევრი ქვეყნების გამოცდილებით). თუ ახალი ჩვევები, მენტალიტეტი, ბავშვებთან მუშაობის გზები და მეთოდები არ იქნა დანერგილი და წახალისებული ადმინისტრაციის მიერ, დიდი რისკია, რომ ეს ახალი სახლები „პატარა ინსტიტუციებად“ დარჩეს (Eurochild, 2014).

მიჯაჭვულობის თეორია

მიჯაჭვულობის თეორია ერთ-ერთი ყველაზე მეტად შესწავლილი თეორიაა დღეს ფსიქოლოგიაში. მიჯაჭვულობის თეორია საფუძველს იღებს მეოცე საუკუნის 40-იანი წლებიდან. მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდგომ მრავალი ადამიანი დარჩა უსახლკაროდ, ბევრი ბავშვი დაობლდა. მათ უმეტესობას ცხოვრებაში სერიოზული ფსიქოლოგიური პრობლემები შეექმნათ. ამ პერიოდში ბრიტანელმა ფსიქიატრმა და ფსიქოანალიტიკოსმა ჯონ ბოულბიმ შეიმუშავა მიჯაჭვულობის თეორია. ბოულბი,

რომელიც ამ თეორიის მამად ითვლება, დაინტერესდა იმ გავლენით, რასაც ახდენს მშობლებთან ბავშვის ადრეული განშორება მისი პიროვნების განვითარებაზე.

ჩვენი ინტერესი აღნიშნული თეორიისადმი განპირობებულია იმ გარემოებით, რომ სწორედ მიჯაჭვულობის თეორიამ დაუდო საფუძველი დასავლეთში ბავშვების მშობლებისგან განცალკევების პრევენციის პოლიტიკებისა და კოლექტიური ზრუნვის მოდელის უარყოფას.

მიჯაჭვულობის მოდელი ხსნის ჩვილი ბავშვის ქცევის თავისებურებებს მზრუნველთან ურთიერთობის, მასთან განშორებისა და კვლავ შეხვედრისას. მიჯაჭვულობა ჩვილობისას ყალიბდება და გრძელდება მთელი სიცოცხლის მანძილზე (Elliot & Reis, 2003). ბოულბისა და ეინსვორტის შრომებში საკვანძო სიტყვებია: ემოციური კავშირი, მიჯაჭვულობა და მიჯაჭვულობის ქცევა. მიჯაჭვულობა არის ძლიერი ურთიერთკავშირი ადამიანებს შორის, რომელიც განუსაზღვრელი დროით ნარჩუნდება, მაშინაც კი, როცა ეს ადამიანები ერთმანეთს სცილდებიან. ეს არის ემოციური კავშირის ქვესახეობა, რომლიც დროსაც ემოციურ ურთიერთობას თან ახლავს დაცულობას გრძნობა (საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის და მედიცინის განვითარების ფონდი, 2011). ბოულბის თანახმად, ბავშვის ემოციური მიჯაჭვულობა უფროსისადმი არის ევოლუციურად მნიშვნელოვანი რეაქცია, რომელიც განაპირობებს მის გადარჩენას, ვინაიდან ის უზრუნველყოფს როგორც დაცულობის გრძნობის ფორმირებას, აგრეთვე, მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას). ბოულბის თეორიის თანახმად, განვითარების პროცესში ბავშვი გადის მასზე მზრუნველის, ჩვეულებრივ, დედისადმი მიჯაჭვულობის განვითარების ფაზების სერიას და მზრუნველს, როგორც "უსაფრთხოების ბაზას" იყენებს. ბოულბის მიხედვით, ჩვილის ურთიერთობა მშობლებთან იწყება თანდაყოლილი სიგნალებით, რომლებიც აიძულებენ უფროსს, ბავშვს ყურადღება მიაქციოს.

მიჯაჭვულობა და შემეცნების სისტემები ცენტრალურია ამ თეორიაში. მოზრდილის მიმართ მიჯაჭვულობის გარეშე ბავშვი სრულფასოვნად ვერ ვითარდება. პოზიტიური ემოციურო კავშირი მოზრდილსა და ბავშვს შორის ეხმარება

მას, დაძლიოს შიში, შფოთვა, გაუმკლავდეს სტრესს და შეიმეცნოს სამყარო. პოზიტიური მიჯაჭვულობა ბავშვის ლოგიკური აზროვნების განვითარებას, ემოციური იმპულსების კონტროლის უნარის ფორმირებას, საკუთარი თავის მიმართ პატივისცემის გაჩენას, საკუთარი და სხვა ადამიანების გრძნობების აგების უნარის გამომუშავებას, სხვა ადამიანებთან საერთო ენის გამონახვას უწყობს ხელს. მიჯაჭვულობის დარღვევა ზეგავლენას ახდენს არა მარტო სოციალურ კონტაქტებზე, სინდისზე, პირადი ღირსების გრძნობების ჩამოყალიბებაზე, ემპათიის უნარზე, არამედ ის ბავშვის ემოციური, სოციალური, ფიზიკური და გონებრივი განვითარების შეფერხებას იწვევს. მიჯაჭვულობის პატერნი შეიძლება გადაეცეს ერთი თაობიდან მეორეს, ანუ ბავშვობის გამოცდილება გავლენას ახდენს საკუთარ შვილებთან ემოციური კავშირის ფორმირებაზე (საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის და მედიცინის განვითარების ფონდი, 2011). ასევე, ამ თეორიის მიხედვით, ჩვილობისას ჩამოყალიბებული მიჯაჭვულობა გავლენას ახდენს ზრდასრულობაში მჭიდრო ემოციური კავშირების ჩამოყალიბების უნარზე. ბევრი სირთულე ქცევასა და სოციალურ ადაპტაციაში, რომლებიც აქვთ ბავშვებს, დაკავშირებულია ბავშვსა და მშობელს შორის ურთიერთობის დარღვევასთან.

ბოულბიმ შექმნა საფუძვლები ეინსვორტის მიჯაჭვულობის თეორიისთვის. ეინსვორტის მიხედვით, მიჯაჭვულობა უვითარდება პრაქტიკულად ყველა ბავშვს, მაგრამ მისი ხასიათი მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან. ეინსვორტის თანახმად, მიჯაჭვულობა თანდათან ყალიბდება და მასში აისახება ის მოლოდინები, რომლებიც ბავშვს დედის მიმართ აქვს. ბავშვის რეაქცია სტრესზე და მზაობა, მიმართოს დედას თანაგრძნობისთვის, დამოკიდებულია ბავშვის გამოცდილებაზე და იმაზე, თუ რას ელის ის დედისგან. ეინსვორტი წლების განმავლობაში აკვირდებოდა ადრეული ასაკის ბავშვების (12-18 თვე) და მათი დედების ურთიერთობას. მიჯაჭვულობის ხარისხის შესაფასებლად მან თავის კოლეგებთან ერთად შემქნა კვლევის პროცედურა - „უცნობი ადამიანის სიტუაცია“. ეინსვორტის მიხედვით, „უცნობი ადამიანის სიტუაციაში“ ბავშვები განსხვავებულად იქცევიან - თავისი

გამოცდილებიდან გამომდინარე, განსხვავებულად რეაგირებენ ოთახიდან დედის გასვლაზე, ოთახში უცნობის შემოსვლაზე და, რაც ყველაზე მთავარია, დედის დაბრუნებაზე.

ეინსვორტმა გამოყო მიჯაჭვულობის 4 ტიპი: სანდო მიჯაჭვულობა, განრიდებული მიჯაჭვულობა, ამბივალენტური მიჯაჭვულობა, დეზორგანიზაციული მიჯაჭვულობა. სანდოდ მიჯაჭვული ბავშვებისთვის მშობელი განიხილება, როგორც სანდო ბაზა. ბავშვმა იცის, რომ როცა მას დასჭირდება, მშობელი ყოველთვის იქნება მისთვის ემოციურად ხელმისაწვდომი. განრიდებული და ამბივალენტური მიჯაჭვულობის მქონე ბავშვები დარწმუნებულები არ არიან იმაში, რომ მშობლის ნდობა შეიძლება და ფსიქოლოგიური თუ ფიზიკური საფრთხის დროს ისინი იქნებიან დაცულნი და მიიღებენ თანაგრძნობას მშობლისგან. მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, არასანდო მიჯაჭვულობის ეს ორი ტიპი უზრუნველყოფს დაცვის გარკვეულ ხარისხს. დეზორგანიზაციული მიჯაჭვულობა ეს არის მიჯაჭვულობის ყველაზე სუსტი ტიპი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ლიტერატურაში ვხვდებით მშობლებს შორის ურთიერთობის გავლენის მნიშვნელობას მიჯაჭვულობის ჩამოყალიბებაზე. მშობლების კონფლიქტი გავლენას ახდენს ბავშვს ან მოზარდს და დედას შორის სანდო მიჯაჭვულობის ჩამოყალიბებაზე, რაც ამცირებს მშობლობის ეფექტიანობას (Markiewicz, Doyle, & Brendgen, 2001). ამასთანავე, დაძაბულმა ცოლ-ქმრის ურთიერთობამ შეიძლება, გამოიწვიოს მამის მარგინალიზაცია ოჯახში და გახადოს იგი ფიზიკურად და ემოციურად მიუწვდომელი ბავშვებისთვის (Markiewicz, Doyle, & Brendgen, 2001).

მიჯაჭვულობის თეორიის კრიტიკოსები არიან ჰარისი (Harris, 1998) და ფილდი (Field, 1996). ისინი არ ეთანხმებიან ამ თეორიას და მიაჩნიათ, რომ მშობლის როლზე აქცენტი გადამეტებულია მიჯაჭვულობის თეორიაში. ჰარისი, ასევე, არ იზიარებს დაშვებას აღზრდის შესახებ. ის მიიჩნევს, რომ თანატოლებს დიდი გავლენა აქვთ ბავშვის პიროვნების ჩამოყალიბებაზე, ასევე, იმ გარემოს, რომელშიც ბავშვი იზრდება.

ჰარისს მიაჩნია, რომ მშობლები არ აყალიბებენ ბავშვის პიროვნებას ან ხასიათს, არამედ მშობლებზე მეტი გავლენა თანატოლებს აქვთ. თუმცა, ამ კრიტიკის საპასუხოდ უნდა აღინიშნოს, რომ მიჯაჭვულობის თეორია დიდ აქცენტს აკეთებს აღზრდის მნიშვნელობაზე, რადგან ბავშვებს ცხოვრების კარგა ხნის მანძილზე ხელმძღვანელობენ მშობლები. ბუნება და თანდაყოლილი თვისებები მხოლოდ მაშინ იძენს მნიშვნელობას, როდესაც ბავშვები იზრდებიან, იძენენ მეგობრებს, ხელმძღვანელობენ ინსტინქტებით, ფიქრებით და მათთვის წამყვანია, რასაც მათი თანატოლები ფიქრობენ და გრძნობენ.

ამ თეორიის კრიტიკული მიმოხილვის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ, ერთი მხრივ, ვეთანხმებით, ჰარისის მოსაზრებას, რომ გენები თამაშობს მნიშვნელოვან როლს ბავშვის აღზრდაში, თუმცა, ამავდროულად, მივიჩნევთ, რომ გარემო, რომელშიც ბავშვი იზრდება და ასევე, ის, თუ როგორ აღვზრდით, როგორ ვურთიერთობთ ბავშვთან, გავლენას ახდენს ბავშვის პიროვნების ჩამოყალიბებაზე. მიჯაჭვულობის პატერნები შეიძლება შენარჩუნებული იყოს მთელი ცხოვრების განმავლობაში. მიუხედავად ამისა, ადამიანთა უმრავლესობას აქვს პიროვნული ზრდის პოტენციალი, თუმცა ამისათვის მათ შეიძლება დასჭირდეთ პროფესიული დახმარება.

2.2. ოჯახისგან განცალკევების პრევენცია და ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრაცია

ბავშვზე ზრუნვის სისტემის მთავარი მიზანია ბიოლოგიური ოჯახისგან ბავშვების განცალკევების პრევენცია. ბავშვის ოჯახისგან განცალკევების მთავარი ამოცანა კი მათი კვლავ ოჯახში რეინტეგრაციაა[4] (Costa, 2012).

ზრუნვის სისტემიდან გასვლა

ოჯახის ჩამნაცვლებელი 24 საათიანი ზრუნვის სიტემიდან გასვლის ორი ფორმა არსებობს (შვილად აყვანის გარდა, რომელიც ამ ნაშრომში არ არის განხილული):

[4] ბავშვის დაბრუნება ბიოლოგიურ ოჯახში ან ნათესავებთან.

ბავშვის ოჯახში რეინტეგრაცია (ბავშვის დაბრუნება თავის ბიოლოგიურ ოჯახში ან ნათესავებთან); ბავშვის მიერ დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყება (როდესაც ბავშვი აღწევს მოწიფულობას, აქვს შესაძლებლობები, ცოდნა და იღებს საკმარის დახმარებას, რათა შეძლოს დამოუკიდებლად ცხოვრება).

ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახში ან ნათესავების ოჯახში რეინტეგრაციისას მნიშვნელოვანია ოჯახის მომზადება ბავშვის მისაღებად, გაწყვეტილი კავშირების აღდგენა და ოჯახისთვის მხარდამჭერი ფსიქო-სოციალური მომსახურებებისა და მატერიალური მხარდაჭერის მიწოდება. რეინტეგრაციის დროს სოციალური მუშაკი არის შემთხვევის მთავარი მენეჯერი, რომელიც შეიმუშავებს ინდივიდუალურ გეგმას შემთხვევასთან დაკავშირებით, განსაზღვრავს, თუ რა მომსახურება სჭირდება ოჯახს, უწევს კონსულტირებას ოჯახის წევრებსა და ბავშვს, აკავშირებს მათ სხვადასხვა მომსახურებასთან, ახორციელებს რეგულარულ ზედამხედველობას, მონიტორინგს და სთავაზობს მხარდაჭერას ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში (Eurochild, 2014).

დამოუკიდებელ ცხოვრებაზე გადასვლა ხანგრძლივი პროცესია, რომელიც იწყება მოზარდობის პერიოდიდან და 21 წლამდე, ან მის შემდეგაც გრძელდება. ზოგადად, ახალგაზრდებს შეუძლიათ, დაეყრდნონ თავიანთ ოჯახებს, იწყებენ რა სწავლას, მუშაობასა და საზოგადოებაში ინტეგრაციას; ხოლო სახელმწიფო ზრუნვაში გაზრდილი ბავშვები, როგორც წესი, ოჯახებისგან მსგავს მხარდაჭერას მოკლებულნი არიან (SoS Children's Villages International & International Social Service, 2009). ისინი მოწყვლადები არიან ტრავმირებული ბავშვობის გამო. უმნიშვნელოვანესია, რომ ზრუნვის სისტემის დატოვების პროცესი კარგად დაიგეგმოს და მოხდეს მათი ამ პროცესისთვის მომზადება. რაც უფრო ადრეულ ეტაპზე დაიწყება ზრუნვის დატოვებისათვის მზადება, უფრო უკეთესია, რადგან ახალგაზრდა ფსიქოლოგიურად, კოგნიტურად და სოციალურად უფრო მოწიფული შეხვდება თავის ცხოვრებაში ამ ახალ ეტაპს (UNICEF, 2010). დამოუკიდებელ ცხოვრებაზე გადასვლის პროცესში ახალგაზრდას მხარს უნდა უჭერდეს სპეციალისტი, რომელიც მის დამოუკიდებელ ცხოვრებაზე გადასვლის პროცესს ფასილიტაციას გაუწევს.

საცხოვრებლისა და ფინანსური შემწეობის გარდა, ახალგაზრდა ფსიქოლოგიურად კარგად უნდა მომზადდეს, პოზიტიური თვითშეფასება უნდა ჰქონდეს, ასევე, ჰქონდეს უნარები, დაამყაროს და შეინარჩუნოს ურთიერთობები (Eurochild, 2014).

ოჯახის მხარდამჭერი პოლიტიკები

ბავშვის უფლებათა კონვენციის მიხედვით, ბავშვის საუკეთესო ინტერესი დაცული უნდა იყოს ბავშვის ოჯახის მხარდაჭერით (UNICEF, 2007). აღნიშნული კონვენციის მე-18 მუხლის მიხედვით, „კონვენციაში გამოკვეთილ უფლებათა განხორციელების გარანტიის შექმნისა და ხელშეწყობის მიზნით, მონაწილე სახელმწიფოები სათანადო დახმარებას უწევენ მშობლებსა და კანონიერ მეურვეებს მათი მოვალეობის შესრულებაში, აღზარდონ ბავშვი და უზრუნველყოფენ ბავშვზე ზრუნვის ინსტიტუტების, მექანიზმებისა და მომსახურებების განვითარებას ბავშებისათვის“. კონვენციის მე-9 მუხლი ხაზს უსვამს ოჯახში ცხოვრების უპირატესობას. “ბავშვს უფლება აქვს, არ დაშორდეს თავის მშობლებს, იმ შემთხვევათა გამოკლებით, როცა კომპეტენტური ორგანოები, სასამართლო გადაწყვეტილების თანახმად, განსაზღვრავენ, რომ ასეთი დაშორება აუცილებელია და უკეთ ემსახურება ბავშვის ინტერესებს”. 27-ე მუხლი აღნიშნავს სახელმწიფოს ვალდებულებას, უზრუნველყოს ბავშვიანი ოჯახები მატერიალური დახმარებითა და მხარდაჭერის პროგრამებით. მე-19 მუხლი, ბავშვის უფლება, დაცული იყოს ყველა ტიპის ძალადობისგან, ყურადღებას ამახვილებს ისეთი სოციალური პროგრამების დანერგვის აუცილებლობზე, რომელთა მიზანია პრევენციული ღონისძიებების გატარება ბავშვიანი ოჯახების დასახმარებლად.

სახელმწიფოსა და ოჯახს შორის ურთიერთობა უმნიშვნელოვანესია ბავშვის უფლებების რეალიზებისათვის. ეს უფლებები უნივერსალურია და მოიცავს ბავშვის განვითარების ყველა ეტაპს. მხარდაჭერა განსაკუთრებით ეფექტიანია ბავშვის ადრეული განვითარებისა და მოზარდობის ეტაპზე (ბავშვის უფლებების კონვენცია, 1989).

ბავშვთა კეთილდღეობის პოლიტიკისთვის ცენტრალურია პოზიტიური მშობლობის მხარდაჭერა. პოზიტიური მშობლობა, ეფუძნება რა ბავშვის უფლებების აღიარებას, გულისხმობს ბავშვზე ზრუნვას, ზედამხედველობას, გაძლიერებასა და არაძალადობრივ აღზრდას (Council of Europe, 2006).

ბავშვზე ზრუნვის პოლიტიკაში მნიშვნელოვანია კონსოლიდირებული საზოგადოების ჩამოყალიბების პრინციპი, რაც გულისხმობს სახელმწიფოს ინვესტიციას ბავშვიან ოჯახებში. ევროპული მიდგომები აქცენტს აკეთებს, ერთი მხრივ, უნივერსალური პოლიტიკების არსებობაზე, ხოლო, მეორე მხრივ, დამატებითი მიზნობრივი პოლიტიკების შემუშავებაზე, რომლებიც ორიენტირებულია მოწყვლად მოსახლეობაზე და, ამავდროულად, არ უნდა ახდენდეს მათ სტიგმატიზაციას (Council of Europe, 2006).

ოჯახის მხარდამჭერი პოლიტიკების ამოცანები შემდეგია: შრომის ბაზარზე მშობლების მონაწილეობის მხარდაჭერა, რაც გულისხმობს მათ დახმარებას, წარმატებით შეათავსონ ოჯახი და პროფესიული ცხოვრება; ადრეული ბავშვობის პერიოდში განათლებასა და ზრუნვაში ინვესტირება; ადეკვატური ცხოვრების სტანდარტების შეთავაზება ოჯახებისთვის სხვადასხვა ბენეფიტის კომბინირების მეშვეობით; ბავშვების მხარდაჭერა, მონაწილეობა მიიღონ თამაშში, კულტურულ ცხოვრებასა და გადაწყვეტილებების მიღებაში; ოჯახის მხარდამჭერი და ალტერნატიული ზრუნვის მომსახურებების გაძლიერება (Council of Europe, 2006).

ოჯახის მხარდამჭერი მომსახურება

ოჯახის მხარდამჭერი მომსახურება აძლიერებს და ინარჩუნებს ოჯახის მთლიანობას. მას შეუძლია მშობლების კომპეტენციების ჩამოყალიბება და ოჯახის ცხოვრების ხარისხის გაზრდა, რაც აისახება ოჯახში ბავშვების მდგომარეობაზე (Eurochild, 2013). ამ ტიპის მომსახურების მიმართულებებია: მშობლების განათლება, ბავშვზე ზრუნვაში დღის განმავლობაში დახმარება, ოჯახებისთვის სამართლებრივი კონსულტაციები, ოჯახის/ინდივიდუალური თერაპიული მხარდაჭერა და მომსახურებებთან დაკავშირება. უფრო კონკრეტულად, სახელმწიფომ შემდეგი ტიპის

მომსახურების მეშვეობით უნდა გააძლიეროს ოჯახები: ოჯახის დაგეგმვა; პრე-ნატალური ზრუნვა; ჩვილობაში მიტოვების პრევენცია (მაგ. გადაუდებელი მხარდაჭერა სამშობიარო სახლებში); ადრეული ბავშვობის მომსახურება (მაგ. დღის ცენტრები, სადაც ბავშვებს შეუძლიათ, ისწავლონ და ითამაშონ); მომსახურება მშობლობის უნარ-ჩვევების გასაძლიერებლად; კრიზისში მყოფი ოჯახებისთვის გადაუდებელი მომსახურება (მაგ. კონსულტირება, გადაუდებელი მინდობით აღზრდა); სკოლის შემდგომი ზრუნვა; სპეციალიზებული მომსახურება და ფინანსური მხარდაჭერა კომპლექსური/სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვებისთვის; დასაქმების ხელშემწყობი სათემო ცენტრები და იურიდიული კონსულტაციები. ეს მომსახურებები, შესაძლოა, კონცენტრირებული იყოს ერთ ლოკაციაში („one stop shop" მოდელი), რომელიც თემის მაცხოვრებლებს მხარდამჭერი მომსახურებების ფართო სპექტრს სთავაზობს (Bilson & Harwin, 2003).

ოჯახის მხარდამჭერი მომსახურების ეფექტიანობის მტკიცებულებები, ძირითადად, მოიპოვება მაღალი შემოსავლების მქონე ქვეყნებში. დასტურდება მათი დადებითი გავლენა დაბადების რეგისტრაციაზე, ბავშვთა შრომაზე, ბავშვთა ქორწინებასა და ოჯახების დაშლის პრევენციაზე. ამასთანავე, სიღარიბის შემცირების სტრატეგიებს გავლენა აქვთ ბავშვთა ძალადობის შემცირებაზე (Barrientos, Byrne, Pena, & Villa, 2013).

ბავშვისა და ოჯახის მხარდაჭერა სოციალური დაცვის კონტექსტში

მშობლობა განსაკუთრებით რთულდება სოციალური გარიყულობის რისკების არსებობისას. ამდენად, ოჯახებისთვის უმნიშვნელოვანესია სოციალური უფლებების გარანტიები. გაეროს ბავშვთა ფონდი ცენტრალურ ადგილს ანიჭებს ოჯახისა და მშობლობის მხარდაჭერას სოციალური დაცვის დღის წესრიგში. ფონდის მიხედვით, სოციალური დაცვა განისაზღვრება როგორც საჯარო და კერძო პოლიტიკებისა და პროგრამების ერთობლიობა, რომელთა მიზანია პრევენცია, სიღარიბისა და დეპრივაციის გამომწვევი ეკონომიკური და სოციალური მოწყვლადობის შემცირება და აღმოფხვრა (UNICEF, 2012 a). სოციალური დაცვის უფლებას ფონდი განმარტავს,

როგორც საბაზისო შემოსავალზე, ჯანდაცვის ძირითად მომსახურებებზე, თავშესაფარსა და საცხოვრისზე, წყლისა და სანიტარულ პირობებზე, საკვებსა და განათლების ყველაზე საბაზისო ფორმებზე ხელმისაწვდომობის უფლებას.

ხანგრძლივ პერიოდში დაკვირვების მეთოდით განხორციელებულმა ნორვეგიულმა კვლევამ (NOVA, 2009) აჩვენა, რომ სიღარიბე ნეგატიურ გავლენას ახდენს ბავშვების განვითარებასა და მშობლობაზე, რაც საჭიროს ხდის ოჯახის მხარდამჭერი საჯარო პოლიტიკების არსებობას.

უკვე დიდი ხანია, არსებობს სოციალური დაცვის მოქმედი სისტემები, მაგრამ, ძირითადად, შედარებით განვითარებულ ქვეყნებში. დღესდღეობით გამოცდილება ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებშიც გვიჩვენებს, რომ შესაძლებელია, სოციალური დაცვის გარკვეული ფორმა არსებობდეს ყველა ქვეყანაში (Global Coalition for Social Protection Floors, 2014).

სოციალური დაცვა ერთ-ერთ ფუნდამენტს წარმოადგენს მონაწილეობის, სამართლიანობისა და მდგრადობის პრინციპებზე დაფუძნებული განვითარებისათვის. ასევე, სოციალური დაცვის სისტემა ზრდის გამძლეობას ბუნებრივი და ადამიანის მიერ გამოწვეული კატასტროფების, ეკონომიკური და სოციალური კრიზისების მიმართ (Global Coalition for Social Protection Floors, 2014). ეკონომიკური კრიზისის პირობებში გატარებული პოლიტიკაც კი უნდა განსაზღვრავდეს მინიმალურ უფლებებს ან სოციალური დაცვის მინიმალურ პლატფორმას, როგორც ამას მსოფლიო შრომის ორგანიზაცია განსაზღვრავს და ეს უფლებები ნებისმიერ დროს აუცილებლად უნდა იყოს დაცული (Pillay, 2012).

დღეს იცვლება დისკურსი სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით არა მარტო განვითარებად, არამედ განვითარებულ ქვეყნებშიც. უკვე საერთაშორისო სავალუტო ფონდმა აღიარა, რომ სოციალური უთანასწორობა მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ძირითადი საფრთხეა. სოციალური სამართლიანობის არგუმენტები მომგებიანი ხდება როგორც პოლიტიკურ, ასევე, აკადემიურ დისკუსიებში (Krugman, 2014). სოციალური დაცვის პროგრამები უღარიბესი ქვეყნებისთვისაც კი

ხელმისაწვდომია, რამდენადაც ისინი არა მარტო სიღარიბის დაძლევაშია ეფექტური, არამედ ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობაშიც (OECD DAC, 2009). არგუმენტები სოციალური პროგრამების პრიორიტეტის წინააღმდეგ (მომჭირნეობის, მთავრობის ფისკალური პასუხისმგებლობის და ა. შ.) არარელევანტურია იმ სოციალურ და ეკონომიკურ გარემოში, რომელიც ხასიათდება დეფლაციური და ზრდის ტემპის შენელების ტენდენციებით ეკონომიკაში (Dorfman, 2014). ამ სივრცეში ბიუჯეტის დეფიციტის გაზრდა სოციალური პროგრამების გაფართოებისათვის არა მარტო შესაძლებელი, არამედ სასურველიცაა ეკონომიკური ზრდისათვის[5]. დანიელი სოციოლოგი, გოსტა ესპინ–ანდერსენი, რომელიც კეთილდღეობის სახელმწიფოს (Welfare State) გამოჩენილი თეორიტიკოსია, ამტკიცებს, რომ სახელმწიფო სოციალური ხარჯები, რომლებიც ადამიანის უფლებების პატივისცემას ეფუძნება, არა თუ ძირს უთხრის, არამედ ამყარებს სახელმწიფოს ლეგიტიმაციას. თავის ცნობილ ნაშრომში „კეთილდღეობის კაპიტალიზმის სამი სამყარო“ ის აღნიშნავს, რომ მიუხედავად გავრცელებული რწმენისა, რომ გაზრდილი სოციალური ხარჯები იწვევს კეთილდღეობის სახელმწიფოს მიმართ უკმაყოფილებას, რეალობაში ადგილი აქვს საპირისპირო ტენდენციებს (Gosta, 1990).

2.3. ბავშვთა კეთილდღეობის პოლიტიკა და პროგრამები საქართველოში

სოციალური, ეკონომიკური და დემოგრაფიული ცვლილებები

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოში ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა რადიკალურად გაუარესდა სამოქალაქო ომის, ტერიტორიული და ეთნიკური კონფლიქტების ფონზე. 1990–1994 წლებში ქვეყანამ განიცადა ეკონომიკური კოლაფსი, მშპ[6] შემცირდა 68%–ით (O'Brien & Chanturidze, 2009). ინფლაციის მაღალმა მაჩვენებელმა საფრთხე შეუქმნა სოციალური დაცვის სისტემების ეფექტურობას, რაც გამოიხატა არსებული სოციალური დაცვის

[5] ამ შეხედულების მომხრეები არიან ისეთი ცნობილი ეკონომისტები, როგორებიც არიან ნობელის პრემიის ლაურეატები:პოლ კრუგმანი, ჯოზეფ სტიგლიცი, რობერტ შილერი და ა. შ.

[6] მშპ – მთლიანი შიდა პროდუქტი

ბენეფიტების გაუქმებით. საერთაშორისო ჰუმანიტარული მხარდაჭერა სოციალური დახმარების მთავარი ფორმა გახდა. სოციალური სისტემა უძლური აღმოჩნდა, გამკლავებოდა იძულებით გადაადგილებულ პირთა და სამოქალაქო არეულობის მსხვერპლთა სხვადასხვა ტალღას. 1995 წლიდან შეინიშნება სიტუაციის გამოსწორება მცირე ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლით. კრიმინალური დაჯგუფებების გავლენა მცირდება და ადგილი აქვს ფუნდამენტური ინფრასტრუქტურის სისტემების გაუმჯობესების მცდელობებს. სოციალური დახმარების პროგრამები იწყებს ამოქმედებას. მთავარი სოციალური და კულტურული ცვლილება კი სიტყვის თავისუფლების გააქტიურებაა სახელმწიფო სისტემების უუნარობის ფონზე უპასუხობს ქვეყნის წინაშე არსებულ გამოწვევებს. 2004–2007 წლებში შეინიშნება ეკონომოკის ზრდა წლიური 6 %–ით. 2008 წელს რუსეთთან შეიარაღებული კონფლიქტის დროს ეკონომიკის ზრდა 4 %–ით მცირდება. ინფლაციის მაჩვენებელი კი სტაბილურად შენარჩუნებულია (O'Brien & Chanturidze, 2009). უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადად ეკონომიკის ზრდა არ აისახა მოსახლეობის დიდ ნაწილზე. უმუშევრობა კვლავ ერთ–ერთ წამყვანი სოციალური პრობლემაა. ბავშვთა სიღარიბის შეფასება, რომელიც 2007–2008 წლებში განხორციელდა გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ, აჩვენებს, რომ ბავშვები გაღარიბების მაღალი რისკის ჯგუფს მიეკუთვნებიან და, ამავდროულად, სიღარიბე მათზე ყველაზე დიდ გავლენას ახდენს. 2007 წელს მოსახლეობის 24%, ხოლო 16 წლამდე ბავშვების 28% სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობდა (გაეროს ბავშვთა ფონდი, 2008). 2012 წლიდან სახელმწიფოში შეინიშნება სოციალურად მგრძნობიარე პოლიტიკების დანერგვის მცდელობები. მიუხედავად ზოგი პოზიტიური ნაბიჯისა, განხორციელდეს სოციალურად ორიენტირებული მიდგომები (საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის შემოღება), საქართველოს მთავრობა უძლურია, გაუმკლავდეს მთავარ სოციალური გამოწვევას – სიღარიბეს. 2014 წელს მშპ ერთ სულზე შეადგენს $3681 (Geostat 2015a) და ამ მაჩვენებლით საქართველო 194 ქვეყანათა შორის 116 ადგილზეა (World Bank 2015). ეკონომიკური ზრდა 2.5%–ს შეადგენს 2015 წელს. მოსახლეობის დაახლოებით 40%–ს არ შეუძლია ძირითადი

საბაზისო საჭიროებების დაკმაყოფილება და ნომინალური უმუშევრობის მაჩვენებელი 17%–ს შეადგენს (Geostat 2015b). საქართველო იმ გამოწვევების წინაშე დგას, რომლებიც დამახასიათებელია გარდამავალი საზოგადოებებისთვის (Kachkachishvili, 2014).

დემოგრაფიული სიტუაციას რაც შეეხება, საქართველოში 1990 წლებიდან მოსახლეობა შემცირდა 19 %–ით და 2025 წლისთვის კვლავ შემცირების ტენდეციის შენარჩუნებაა მოსალოდნელი. ბავშვთა პოპულაციაც მცირდება (1990 წელს 25 %–ით შემცირდა, ხოლო 2008 წელს 19 %–ით). დღეისათვის ბავშვების რაოდენობა ერთ მილიონამდეა. ამავდროულად 65 წელს გადაცილებულ პირთა რაოდენობა იზრდება (1990 წელს 9%–ით გაიზარდა, ხოლო 2006 წელს კი – 14 %–ით და ზრდის ტენდენცია კვლავ ნარჩუნდება). 20 წლის წინ ქვეყანაში სამჯერ მეტი ბავშვი იყო ვიდრე ხანდაზმული, ხოლო უახლოეს მომავალში ხანდაზმულების რაოდენობა აღემატება ბავშვთა რაოდენობას. აქვე აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში ადგილი აქვს შრომისუნარიანი პირების მიგრაციას ქვეყნის საზღვრებს გარეთ (O'Brien & Chanturidze, 2009).

სწორედ ზემოაღნიშნული ეკონომოკური, სოციალური და დემოგრაფიული მაჩვენებლების კონტექსტში უნდა განვიხილოთ საქართველოში ბავშვთა კეთილდღეობისი სისტემის ჩასახვა და განვითარება.

ბავშვთა კეთილდღეობის პოლიტიკა საქართველოში

საქართველოში რეფორმამდე ზრუნვის ყველაზე ეფექტიან ფორმად დიდი ზომის ინსტიტუციები ითვლებოდა. ამ დაწესებულებაში მცხოვრები ბავშვების 90%-ზე მეტი იქ სიღარიბისა და მისგან წარმოქმნილი პრობლემების, შეზღუდული შესაძლებლობისა და ოჯახის მხარდამჭერი მომსახურების არარსებობის გამო მოხვდა. ამ ბავშვთა მხოლოდ 10 %-ზე ნაკლები იყო ორივე მშობლით ობოლი (O'Brien & Chanturidze, 2009). როგორც ზემო თავებშია განხილული, ქვეყნებში, სადაც სოციალური კეთილდღეობის სისტემები ეფექტიანია, ბავშვი სახელმწიფო ზრუნვაში მხოლოდ მას შემდეგ ხვდება, როდესაც ყველა საშუალება ბავშვის ოჯახში

დასახმარებლად ამოწურულია. ეს არის გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის მთავარი პრინციპი. საქართველო აღნიშნულ კონვენციას 1994 წელს შეუერთდა, რითაც სათავე დაედო ქვეყანაში ბავშვზე ზრუნვის სისტემის რეფორმირების პროცესს. 1994–1999 წლებში ქვეყანაში არსებული რთული სოციო–პოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინებით, ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის დასაწყებად ნაბიჯები არ გადადგმულა (ნამიჭეიშვილი & მგელიაშვილი, 2010). ამ მიმართულებით ღონისძიებები განხორციელდა 1999 წლიდან (ეს პერიოდი მიიჩნევა რეფორმის პირველ ფაზად), მაშინ, როცა გაეროს ბავშვთა ფონდისა და საქართველოს მთავრობის თანამშრომლობით დაიწყო დეინსტიტუციონალიზაციის საპილოტე პროექტების განხორციელება თბილისში, თელავსა და რუსთავში. ამ მხრივ მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის ბრიტანულ საქველმოქმედო ორგანიზაციის – „ევრიჩაილდი“ – წარმომადგენლობას საქართველოში, რომლის დახმარებითაც დაიწყო საქართველოში დეინსტიტუციონალიზაციის პროცესი. 1999 წელს სოციალური მუშაკების პირველმა ნაკადმა დაიწყო მუშაობა, ფულადი დახმარებები გაიცა ოჯახებისთვის ინტიტუციებში ბავშვების ჩარიცხვის თავიდან ასაცილებლად, ხოლო 2001 წელს დეინსტიტუციონალიზაციის პროგრამები სახელმწიფო გახდა (O'Brien & Chanturidze, 2009). რეფორმა აქტიურ ფაზაში 2004 წლიდან შევიდა (ეს პერიოდი მიჩნეულია რეფორმის მეორე ფაზად), „ვარდების რევოლუციის[7]“ მერე. ამ პერიოდში მთავრობამ განახორციელა ბავშვთა კეთილდღეობაზე პასუხისმგებელი უწყებების რესტრუქტურიზაცია, კერძოდ, გაუქმდა არასრულწლოვანთა სამედიცინო–ფსიქოლოგიურ–პედაგოგიური კომისიები და დაინერგა ბავშვზე ზრუნვის რეგიონული საბჭოები[8]. 2005 წელს ამოქმედდა ბავშვთა დაცვისა და დეინსტიტუციონალიზაციის სამთავრობო კომისია. ბავშვზე მეურვეობისა და მზრუნველობის პასუხისმგებლობები განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან

[7] „ვარდების რევოლუცია“ – 2003 წლის ნოემბერში საქართველოში მშვიდობიანი სახალხო გამოსვლების სერია, რასაც მოჰყვა 23 ნოემბერს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის გადადგომა და საქართველოს პოლიტიკური ხელისუფლების ცვლილება.

[8] რეგიონულ დონეზე მოქმედი საბჭო, რომელიც განიხილავს ბავშვების მეურვეობასა და მზრუნველობასთან დაკავშირებულ საკითხებს და რომლის შემადგენლობაშიც შედიან როგორც სახელმწიფო უწყებების, ასევე, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები.

გადაეცა ამავე სამინისტროს რეგიონულ სტრუქტურებს, საგანმანათლებლო რესურს ცენტრებს (O'Brien & Chanturidze, 2009). თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმა სოციალური კეთიდლღეობის რეფორმის კონტექსტიდან მოწყვეტილად მიმდინარეობდა. 2009 წელს ბავშვთა კეთილდღეობის ფუნქციები განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსგან გადაეცა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (ამ ეტაპზე იწყება რეფორმის მესამე ფაზა), ხოლო ადგილობრივ დონეზე განათლების რესურს ცენტრებიდან ფუნქციებმა სოციალური მომსახურების სააგენტოს (შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროზე დაქვემდებარებული უწყება) ტერიტორიულ ორგანოებზე გადაინაცვლა. 2008–2011 წლების სამთავრობო გეგმის მიხედვით, ამ პერიოდში ძირითად განხორციელდა ბავშვთა სახლების დახურვა, რომლებიც მცირე საოჯახო ტიპის სახლებმა ჩაანაცვლა. ასევე, ამ დროს სახელმწიფო სოციალურ მუშაკთა რაოდენობა თითქმის გაორმაგდა (O'Brien & Chanturidze, 2009). რეფორმის ახალი (მეოთხე) ფაზის დაწყებად შეიძლება, მივიჩნიოთ 2012 წელი, მაშინ როცა საქართველოს მთავრობამ 2012–2015 წლების სამთავრობო გეგმის ფარგლებში მიზნად დაისახა არა მხოლოდ დეინსტიტუციონალიზაცია, არამედ საქართველოში მცხოვრები ყველა ბავშვის უფლებების დაცვაზე ზრუნვა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რეფორმის დასაბამიდან დღემდე საქართველოს მთავრობას ტექნიკურ და ფინანსურ დახმარებას უწევს საერთაშორისო ორგანიზაციები, მათ შორის აღსანიშნავია გაეროს ბავშვთა ფონდის, ამერიკის განვითარების სააგენტოსა და ევროკავშირის მხარდაჭერა.

დეინსტიტუციონალიზაციის რეფორმის დაწყებამდე საქართველოში 46 ბავშვთა სახლი ფუნქციონირებდა, რომლებიც 5000-მდე ბავშვს ემსახურებოდა. 2000-2013 წლების ჩათვლით ბავშვთა კეთილდღეობის სისტემის რეფორმის მთავარ წარმმართველ პოლიტიკად რჩებოდა დეინსტიტუციონალიზაციის პროცესი, რომლის შედეგადაც საქართველოში აღნიშნული დიდი ზომის ინსტიტუციები (ბავშვთა სახლები, სკოლა-პანსიონები) დაიხურა და ისინი ზრუნვის ალტერნატიული

ფორმებით (მინდობით აღზრდა, მცირე საოჯახო ტიპის სახლები) ჩანაცვლდა. დღეისათვის საქართველოში ფუნქციონირებს სახელმწიფოს დაქვემდებარებაში არსებული მხოლოდ ორი სახლი, კერძოდ, ჩვილ ბავშვთა სახლი, რომელშიც 54 ბავშვია და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა სახლი, რომელშიც 27 ბავშვი იღებს მომსახურებას[9]. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ რელიგიური კონფესიების დაქვემდებარებაში არსებობს ბავშვთა სახლები, რომლებშიც ცნობილი არ არის, ზუსტად რამდენი ბავშვი იღებს მომსახურებას (საპატრიარქოს დაქვემდებარებაში არსებულ ბავშვთა სახლებში დაახლოებით 500-მდე ბავშვია[10]; აჭარის რეგიონში დაახლოებით 185-მდე მედრესე მოქმედებს, რომლებშიც ბავშვების ზუსტი რაოდენობა უცნობია[11]); ასევე, მუნიციპალიტეტების დაქვემდებარებაშიც არსებობს სახლები, თუმცა ზუსტი სტატისტიკა მათ შესახებ ხელმიუწვდომელია. ამასთან, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებაში კვლავ რჩება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებისთვის 8 სკოლა-პანსიონი, რომლებშიც დაახლოებით 625 ბავშვი ირიცხება[12]. დღეისათვის საქართველოში ფუნქციონირებს 47 მცირე საოჯახო ტიპის სახლი, რომლებშიც ირიცხება 337 ბავშვი, მათ შორის 13 შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე. 1200 ბავშვი არის მინდობით აღზრდაში (680 ოჯახი). აქედან 200 ბავშვი განთავსებულია ნათესაურ მინდობით აღზრდაში (50-მდე ოჯახი), ხოლო დანარჩენი 1000 ბავშვი კი - არანათესაურ მინდობით აღზრდაში. მათგან 187 ბავშვი შეზღუდული შესაძლებლობისაა, რომლებიც სპეციალიზებულ მინდობით აღზრდაში არიან (60-მდე ოჯახი). რეინტეგრაციის პროგრამაში მომსახურებას იღებს 445 ბავშვი, აქედან 42 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვია.[13]

რეფორმის დასაბამიდან დღემდე ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში მთავრობის მიერ შემუშავებულია 3 სამოქმედო გეგმა. ერთი მოიცავს 2005-2007 წლებს, მეორე -

[9] სოციალური მომსახურების სააგენტო, ოქტომბერი, 2015
[10] სახალხო დამცველის ოფისი, ოქტომბერი,2015
[11] აჭარის სოციალური მომსახურების სააგენტო, ოქტომბერი, 2015
[12] განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ოქტომბერი, 2015
[13] სოციალური მომსახურების სააგენტო, ოქტომბერი, 2015

2008-2011 წლებს, ხოლო მესამე კი - 2012-2015 წლებს. გადამწყვეტია, სახელმწიფოს მიერ თუ როგორ განიმარტება ბავშვთა კეთილდღეობა, რადგან განმარტებაზეა დამოკიდებული რა შინაარსის პოლიტიკები შეიქმნება პრობლემების გადასაჭრელად (Golden, 2009). ბავშვთა კეთილდღეობა, ამ ტერმინის ფართო გაგებით, გულისხმობს სისტემას, რომლის მეშვეობითაც მიიღწევა ბავშვთა დაცვა (Laird & Hartman, 1985). სისტემა, თავის მხრივ, მოიაზრებს პოლიტიკებს, პროგრამებს, მომსახურებებს, დახმარებებს და, ზოგადად, ისეთ პრაქტიკებს, რომლებიც ამცირებს ბავშვებისა და ოჯახების მოწყვლადობას და პასუხობს ცნობილ რისკფაქტორებს (Lindsey, 2004). საქართველოში ბავშვთა კეთილდღეობა ვიწრო მნიშვნელობით (ფოკუსი დეინსტიტუციონალიზაციაზე) განიმარტა რეფორმის დასაწყისში (O'Brien & Chanturidze, 2009). 2005-2007 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმის მთავარი ფოკუსი იყო დეინსტიტუციონალიზაციის პროცესი, რაც თავად გეგმის სახელწოდებითაც დასტურდებოდა (2005–2007 წლების დეინსტიტუციონალიზაციის სამთავრობო სამოქმედო გეგმის, ბავშვთა დაცვისა და დეინსტიტუციონალიაციის სამთავრობო კომისიის და ბავშვთა დაცვისა და დეინსტიტუციონალიზაციის სამთავრობო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილება # 73, 2005). 2008 წლიდან ხედვის დონეზე ფოკუსი ფართოვდება, რაც ასახულია მომდევნო სამოქმედო გეგმის როგორც სახელწოდებაში (ტერმინი დეინსტიტუციონალიზაცია ჩანაცვლდა ბავშვთა კეთილდღეობით - 2008-2011 წლების ბავშვთა კეთილდღეობის სამთავრობო სამოქმედო გეგმა (2008)), ასევე, შინაარსშიც. ხოლო 2012 წლიდან სახელმწიფოს ხედვები კიდევ უფრო ამბიციური ხდება და ფართოვდება, რაც აისახება ბავშვთა კეთილდღეობისა და დაცვის 2012-2015 წლების სამოქმედო გეგმაში (2012). თუ ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის დასაწყისში დეინსტიტუციონალიზაცია იყო წარმმართველი პოლიტიკა, რომლის ფოკუსში მხოლოდ 5000 ბავშვისთვის ოჯახში აღზრდის უფლების რეალიზაცია მოექცა (ეს ფოკუსი კიდევ უფრო განმტკიცდა 2011–2012 წლების სამოქმედო გეგმაში, ბავშვზე ზრუნვის სისტემის რეფორმის ძირითადი მიმართულებები (2010, შესავალი):

“ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის ფარგლებში მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს ბავშვთა დიდი ზომის ინსტიტუციური დაწესებულებების ნაცვლად ოჯახურ გარემოში აღზრდა“), 2012–2015 წლების სამოქმედო გეგმის მიზნები ვრცელდება საქართველოს ბავშვთა მთლიან პოპულაციაზე (დაახოებით 1 000 000). გეგმის მთავარი მიზანია, „საქართველოში მცხოვრები ყველა ბავშვი დაცული იყოს ძალადობისა და უგულებელყოფისაგან და ჰქონდეს ინდივიდუალური და პოზიტიური ფსიქო-სოციალური განვითარების შესაძლებლობა ოჯახში ან ოჯახთან მიახლოებულ გარემოში“ (ბავშვთა კეთილდღეობისა და დაცვის 2012–2015 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის განკარგულება #762, გვ. 1). გეგმის შინაარსის მიხედვით, მთავარი ამოცანაა არა მხოლოდ სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ მყოფი ბავშვებისთვის მაღალი ხარისხის ალტერნატიული მომსახურებით უზრუნველყოფა, არამედ, ზოგადად, ბავშვიანი ოჯახების მხარდაჭერა და ბავშვთა მიტოვების პრევენცია, ასევე, საქართველოში მცხოვრებ ბავშვთა დაცვა ძალადობისა და უგულებელყოფისგან, მიუხედავად იმისა, სად იმყოფებიან ეს ბავშვები, სახელმწიფო ზრუნვაში, ქუჩაში, ოჯახში, სკოლაში და ა.შ.; ხოლო, გეგმის მიხედვით, აღნიშნული ამოცანების მიღწევა შესაძლებელია სისტემური რეფორმების გატარების მეშვეობით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა 2014 წელი ბავშვთა უფლებების დაცვის წლად გამოაცხადა. ასევე, საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცდა ადამიანის უფლებების დაცვის 2014–2015 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმა (საქართველოს მთავრობის #445 დადგენილება საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო გეგმის (2014–2015 წლებისთვის) დამტკიცებისა და გეგმის საკოორდინაციო უწყებათაშორისი საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ, 2014), რომელშიც ცალკე თავად გაიწერა ბავშვის უფლებების დაცვის პრიორიტეტები, რომელთა იმპლემენტაციაც ხელს შეუწყობს ქვეყანაში ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს გეგმა თვისებრივად ახალ

კომპონენტებზე არ საუბრობს, გარდა იმისა, რაც უკვე გაწერილია ბავშვთა კეთილდღეობის სამოქმედო გეგმებში.

ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის პროცესში ბავშვთა კეთილდღეობის საკითხები სოციალური დაცვის ზოგადი დისკურსის ნაწილი არ გამხდარა საქართველოში (ამ მიმართულებით მცდელობები შეინიშნება რეფორმის მეოთხე ფაზაში, მაშინ, როცა მოქმედი მთავრობა სოციალურად უფრო ორიენტირებული პოლიტიკების მომხრეა), მაშინ, როცა ბავშვის კეთილდღეობა მისი ოჯახის კეთილდღეობის გარეშე ვერ მიიღწევა (Munro, 2008). სოციალური პოლიტიკები, რომლებიც ოჯახების/მშობლების გაძლიერებაზეა ორიენტირებული სარგებელს მოუტანს ბავშვებს (Laird & Hartman, 1985). ბავშვთა კეთილდღეობის ბიუჯეტი წლების მიხედვით იზრდება. 2004 წელს მოიცავდა 6.7 მილიონს, 2012 წელს – 17.4 მილიონს, 2014 წელს – 19,4 მილიონს[14]. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ბავშვთა კეთილდღეობაზე დანახარჯები მცირეა სოციალური კეთილდღეობის ისეთ სფეროებთან შედარებით, როგორიც არის, მაგალითად, ჯანდაცვა და განათლება. ბავშვთა კეთილდღეობისათვის რესურსების გამოყოფის შედარებით დიდი ზრდა შეიძლება იყოს მიღწეული აბსოლუტურ განზომილებაში მთლიანი ბიუჯეტის მხოლოდ მცირედი ზრდით, ანდა ბიუჯეტის სხვადასხვა ნაწილებს შორის რესურსების მცირედი გადანაწილებით (O'Brien & Chanturidze, 2009).

ბავშვთა კეთილდღეობის პროგრამები და მომსახურებები საქართველოში

მიუხედავად ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში სამთავრობო გეგმების ფოკუსის გაფართოებისა და ბოლო გეგმის რიტორიკისა, პრევენციული და ოჯახის მხარდაჭერაზე ორიენტირებული სტრატეგიების შემუშავება და პრაქტიკების დანერგვა შეზღუდულია. პრაქტიკაში ფოკუსი კვლავ ოჯახის ჩამნაცვლებელ მომსახურებებზე ნარჩუნდება. ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმისა და პოლიტიკის დოკუმენტები როგორც საკანონმდებლო, ასევე, პრაქტიკის დონეზეც ხელს უწყობენ ზრუნვის ალტერნატიული ფორმების ფუნქციონირებას (საქართველოს კანონი

[14] შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მონაცემები

შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ, 2009; საქართველოს მთავრობის დადგენილება #66: ტექნიკური რეგლამენტი ბავშვზე ზრუნვის სტანდარტის დამტკიცების შესახებ, 2014; ბავშვთა კეთილდღეობისა და დაცვის 2012–2015 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის განკარგულება #762, 2012), მაგრამ, როგორც ზემოთ აღინიშნა, რეფორმის მთავარ გამოწვევად კვლავ რჩება ოჯახის დამხმარე და ბავშვთა პრევენციული მომსახურების ჩამოყალიბებისა და განვითარების ხელშეწყობა. 2012 წლის ბავშვთა უფლებების სიტუაციური ანალიზის ანგარიშის თანახმად (SOS Children's Villages, Georgia & Georgian Association of Social Workers, 2012), 2009-2012 წლებში ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის ერთ-ერთ სუსტ მხარეს წარმოადგენდა დაუბალანსებელი პოლიტიკა სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფების ბავშვებთან დაკავშირებით, რადგან რეფორმა ფოკუსირებული იყო დეინსტიტუციონალიზაციასა და ზრუნვის ალტერნატიული ფორმების შექმნაზე და მხედველობის მიღმა დატოვა ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე და ეთნიკურ უმცირესობათა ბავშვები.

დღევანდელი ბავშვთა კეთილდღეობის სისტემა საქართველოში არსებითად ცენტრალიზებული ხასიათისაა. ოჯახის მხარდამჭერ და პრევენციულ პროგრამათა რაოდენობა და ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვანწილად არის შეზღუდული (UNICEF/USAID, 2010). საქართველოს კანონი სოციალური დახმარების შესახებ (2006) სოციალურ დახმარებებს შორის განსაზღვრავს რეინტეგრაციის შემწეობას, რომელიც ბავშვის ოჯახს ენიშნება ბავშვის ზრუნვის სისტემიდან გამოყვანის შემთხვევაში. დღევანდელი პრაქტიკით, რეინტეგრაციის შემწეობა ერთ ბავშვზე 90 ლარით განისაზღვრება და გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ნათესაურ მინდობით აღზრდაში თითოეულ განთავსებულ ბავშვზე გამოყოფილი თანხის ოდენობა, რომელიც 200 ლარს შეადგენს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვილ ბავშვთა მიტოვების პრევენციისა და ბავშვის ბიოლოგიური ოჯახის გაძლიერების მიზნით ფუნქციონირებს დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა, რომელიც მოიცავს 24-საათიანი თავშესაფრით უზრუნველყოფას და მხარდაჭერას. ქვეპროგრამის სამიზნე

ჯგუფებია: სხვადასხვა პრობლემის მქონე დედა 10 წლამდე ასაკის შვილებთან ერთად, ასევე, სხვადასხვა პრობლემის მქონე ქალი, რომელიც ორსულობის არანაკლებ 26-ე კვირაში იმყოფება (საქართველოს მთავრობის დადგენილება #138 სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2015 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ, 2015). ასევე, ფუნქციონირებს დღის ცენტრის ქვეპროგრამა 6–18 წლამდე ასაკის მიტოვების რისკის ქვეშ მყოფი ბავშვებისათვის, რომლის ამოცანაა სამიზნე ჯგუფის ოჯახების მხარდაჭერა და მიტოვების პრევენცია. უნდა აღინიშნოს, რომ მომსახურების მისაღებად ოჯახები უნდა იყვნენ რეგისტრირებულნი სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში და მათი სარეიტინგო ქულა არ უნდა აღემატებოდეს 100000–ს. დღის ცენტრები ხელმისაწვდომია, ძირითადად, დიდ ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში.

გაეროს ბავშვთა ფონდის 2012 წლის კვლევა (გაეროს ბავშვთა ფონდი, 2012 ბ) აღნიშნავს, რომ საქართველოში 77 000 ბავშვი ცხოვრობს უკიდურეს სიღარიბეში (დღეში 1 ევროზე ნაკლებ თანხად), რაც საქართველოს ბავშვთა მოსახლეობის 9.4 პროცენტს შეადგენს. ბავშვთა მოსახლეობის 25 პროცენტი კი ფარდობითი სიღარიბის პირობებში იზრდება. ეს ციფრები ცხადყოფს, რომ ბავშვთა მოსახლეობის საკმაოდ დიდი რაოდენობა ოჯახისაგან განშორების რისკის წინაშე იმყოფება. შესაბამისად, გაეროს ბავშვთა ფონდის რეკომენდაციით, ბავშვთა სიღარიბის შესამცირებლად, აუცილებელია, შემოღებულ იქნას ფულადი დახმარება ყველა ბავშვისთვის. ბავშვთა სიღარიბის დასაძლევად ყველაზე ეფექტიანი გზა ყველა ბავშვის მოცვაა (გაეროს ბავშვთა ფონდი, 2014). „ბავშვებს შეუძლიათ დამოუკიდებლად სიღარიბისგან თავის დაღწევა. ფაქტობრივად, საშუალო შემოსავლიანი ქვეყნების მზარდი რაოდენობა პირდაპირ საშემოსავლო მხარდაჭერას უწევს ბავშვებს განვითარებულ ქვეყნებში დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად. რამდენადაც ცხოვრების ადრეული წლები კრიტიკული, მაგრამ მყიფე პერიოდია გრძელვადიანი უნარ-ჩვევების გამოსამუშავებლად, იმის უზრუნველყოფა, რომ მშობლებს შეეძლოთ საკუთარი შვილების გაზრდა ჯანსაღ და უსაფრთხო გარემოში, ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი

გზაა საქართველოს მომავალში ინვესტიციის თვალსაზრისით. პროგრესული სოციალური დაცვის სისტემა სრულყოფილ დახმარებას უნდა უწევდეს საზოგადოების სოციალურად დაუცველ წევრებს და უბრალოდ კი არ უნდა გამოჰყავდეს ისინი სიღარიბიდან, არამედ უნდა ამცირებდეს მათი კვლავ გაღარიბების რისკს“ (გაეროს ბავშვთა ფონდი, 2014, გვ. 29). მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო არ განიხილავს უნივერსალურ ბავშვთა დახმარების შემოღებას, მან მოახდინა ფულადი სოციალური დახმარების (საარსებო შემწეობა) სისტემის გადახედვა და მასში ბავშვთა საჭიროებების ასახვა, კერძოდ, 2015 წლის პირველი მაისიდან შეფასებულ (შესწავლილ) ოჯახს, რომლის სარეიტინგო ქულაც 100001-ზე ნაკლებია, საარსებო შემწეობა განესაზღვრება 10 ლარით ოჯახის თითოეულ 16 წლამდე ასაკის წევრზე („სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის №758 დადგენილება, 2014). სხვადასხვა ქულის შემთხვევაში ოჯახის წევრები სხვადასხვა ოდენობის საარსებო შემწეობას იღებენ[15]. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ 2013 წლის ბოლოს ამოქმედდა დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამა, რომელიც საქართველოში დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით ითვალისწინებს შობადობის მატერიალურ წახალისებას. ამ პროგრამის ბენეფიციარია 2014 წლის 1 ივნისიდან დაბადებული ბავშვი, რომელიც არის ოჯახში მესამე ან შემდეგი ბავშვი. ბენეფიციარს ენიშნება ყოველთვიური ფულადი დახმარება მაღალმთიან რეგიონში ფაქტობრივად მცხოვრებთათვის 200 ლარის ოდენობით, ხოლო არამაღალმთიან რეგიონში ფაქტობრივად

[15] ოჯახებზე გათვალისწინებულია საარსებო შემწეობის შემდეგი ოდენობები: ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაც 30001-ზე ნაკლებია - საარსებო შემწეობა განისაზღვრება 60 ლარით ოჯახის ყველა წევრზე; ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაა 30001 და მეტი, მაგრამ ნაკლებია 57001 ქულაზე - საარსებო შემწეობა განისაზღვრება 50 ლარით ოჯახის ყველა წევრზე; ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაა 57001 და მეტი, მაგრამ ნაკლებია 60001 ქულაზე - საარსებო შემწეობა განისაზღვრება 40 ლარით ოჯახის ყველა წევრზე; ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაა 60001 და მეტი, მაგრამ ნაკლებია 65001 ქულაზე - საარსებო შემწეობა განისაზღვრება 30 ლარით ოჯახის ყველა წევრზე.

მცხოვრებთათვის - 150 ლარის ოდენობით ბავშვის 2 წლის ასაკამდე[16] (საქართველოს მთავრობის №262 დადგენილება: დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამა, 2014). ასევე, აღსანიშნავია, რომ 2014 წლის მაისში შეიქმნა ,,კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გადაუდებელი დახმარების ქვეპროგრამის“ სპეციალური კომისია (საქართველოს მთავრობის დადგენილება #138 სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2015 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ, 2015), რომელიც იღებს გადაწყვეტილებას კრიზისში მყოფი ოჯახებისათვის გადაუდებელი დახმარების დანიშვნის თაობაზე საქონლის ან მომსახურების შესყიდვის სახით. ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფია სიღატაკეში მყოფი ბავშვიანი ოჯახები, რომლებიც საჭიროებენ გადაუდებელ პირველად დახმარებას. ასევე, ეს ქვეპროგრამა მოიცავს ერთი წლისა და 6 თვის ასაკის ჩათვლით ბავშვთა ხელოვნური კვების პროდუქტებით უზრუნველყოფას. ქვეპროგრამის ფარგლებში სამიზნე ბავშვების ოჯახების ქულა უნდა იყოს 57–ზე ნაკლები. ასეთი დახმარების დანიშვნა ხდება სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური მუშაკის მიერ წარდგენილი შესაბამისი დასკვნის საფუძველზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბავშვთა კეთილდღეობისა და დაცვის 2012-2015 წწ. სამოქმედო გეგმა არაფულადი დახმარების სახეებად სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახების ბავშვების, სკოლა-პანსიონების მოსწავლეების, მინდობით აღზრდასა და სააღმზრდელო დაწესებულებებში მყოფი ბავშვებისათვის განსაზღვრავს უფასო სასკოლო წიგნებსა და კვების ვაუჩერებს (1 წლისა და 6 თვემდე ასაკის ბავშვებისათვის). ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივი თვითმართველობების ჩართულობა ბავშვზე ორიენტირებული მომსახურებების მიწოდებაში შეზღუდულია. ძირითადად, მათი დახმარება შემოიფარგლება

[16] პროგრამა ეხება იმ ბავშვებს, რომელთა ბიოლოგიური დედა/ოჯახი ფაქტობრივად ცხოვრობს საქართველოს იმ რეგიონში, სადაც ბავშვის (ბავშვების) დაბადების წლის წინა მე-2 და მე-3 წელში წლიური ბუნებრივი მატების საშუალო დადებითი მაჩვენებელი (ამ მაჩვენებელს განსაზღვრავს სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური) არ ფიქსირდება. აღნიშნული პროგრამა 2014 წელს შეეხება შემდეგ რეგიონებს: გურიას, იმერეთს, კახეთს, მცხეთა-მთიანეთს, სამეგრელო/ზემო სვანეთს და რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთს.

ერთჯერადი დახმარებებით, რაც ბავშვებისა და ოჯახების წინაშე არსებულ პრობლემებს სისტემურად ვერ პასუხობს (Georgian Association of Social Workers, 2012).

ბავშვიანი ოჯახებისთვის ერთ–ერთი გამოწვევაა საცხოვრისთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარება იმ ქვეყანაში, სადაც არ არსებობს საცხოვრისის სახელმწიფო პოლიტიკა. 2014 წელს საქართველოს მთავრობამ ადამიანის უფლებათა დაცვის 2014-2020 წლების ეროვნულ სტრატეგიაში ხაზი გაუსვა საცხოვრისის, როგორც ადამიანის საბაზისო უფლების მნიშვნელობას და მზაობას, აღმოფხვრას უსახლკარობის პრობლემა სახელმწიფოში არსებული რესურსების შესაძლებობების ფარგლებში. სტრატეგია მიუთითებს განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფების იდენტიფიცირების საჭიროებაზე და ყველა ჯგუფის მიმართ არადისკრიმინაციული მიდგომის დანერგვაზე; ასევე, საბინაო სტრატეგიისა და შესაბამისი კანონმდებლობის მნიშვნელობაზე. როგორც სტრატეგიაშია აღნიშნული, სათანადო საცხოვრებლის უფლებასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულებისა და უსახლკარობის პრობლემის აღმოფხვრის მიზნით, საჭიროა უსახლკარო პირთა აღრიცხვა და მონაცემთა ბაზის შექმნა. ამისათვის კი აუცილებელია, საერთაშორისო ნორმებზე დაყრდნობით, ქვეყნის რეალობაზე მორგებული უსახლკარო პირთა განსაზღვრების შემოღება. თუმცა, აღნიშნულის მიუხედავად, ქვეყანაში არ არსებობს უსახლკარო პირთა ერთიან რეესტრში რეგისტრირების მექანიზმი, კრიტერიუმები, რომელთა საფუძველზეც შესაძლოა განისაზღვროს მოქალაქეთა პრიორიტეტული უფლება დროებით ან მუდმივ საცხოვრისზე და თავშესაფრით უზრუნველყოფის სისტემა (ფარცხალაძე, 2014). თბილისში მიუსაფართა დროებითი თავშესაფრის და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შექმნილი და დაფინანსებული რამდენიმე მცირემასშტაბიანი ინიციატივის გარდა, მიუსაფარი პირებისთვის სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილი მომსახურებების ნუსხა საკმაოდ შეზღუდულია. 2008 წლიდან თბილისში და მოგვიანებით გორში, ქუთაისში, ზუგდიდში, ბათუმში, რუსთავსა და ბოლნისში 19 სოციალური სახლი ფუნქციონირებს, რომლებშიც საცხოვრისით უზრუნველყოფილია 500-ზე მეტი პირი. როგორც უკვე აღინიშნა, გარდა იმისა, რომ

ქვეყანაში არ არსებობს უსახლკაროების მონაცემთა ბაზა, ასევე, არ არსებობს უსახლკარო პირთათვის ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების მიერ უზრუნველყოფილი მომსახურებების ნუსხა ან ერთიანი სტანდარტი. ზემოაღნიშნული მომსახურებები მეტ-ნაკლებად სრულად ასახავს სახელმწიფოს მცდელობას, იზრუნოს უსახლკარო ადამიანებზე (დაახლოვებით 2000 ადამიანი). სახალხო დამცველის 2012 წლის ანგარიშში კი საუბარია 7600-ზე მეტ ადამიანზე, რომლებმაც მიმართეს თვითმმართველობის ორგანოებს თავშესაფრით დაკმაყოფილების მოთხოვნით (საქართველოს სახალხო დამცველი, 2012). ეს პრობლემა დღემდე გადაუჭრელი რჩება, რაზეც მიუთითებს 2013, 2014 წლების სახალხო დამცველის ანგარიშები (საქართველოს სახალხო დამცველი, 2013; საქართველოს სახალხო დამცველი, 2014).

ბავშვთა კეთილდღეობისა და დაცვის 2012-2015 წწ. სამოქმედო გეგმა ყურადღებას ამახვილებს ზრუნვის სისტემაში მყოფი მოზარდების დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მომზადების ხელშეწყობაზე. 2012 წელს საქართველოს მთავრობამ, ასევე, შეიმუშავა ახალგაზრდობის (14-25 წელი) პოლიტიკის დოკუმენტი (საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი, 2014), რომელიც ეფუძნება რა თანასწორობისა და სოციალური ინკლუზიის პრინციპებს, ახალგაზრდებთან სახელმწიფოს მუშაობას შემდეგი ძირითადი მიმართულებით ხედავს: მონაწილეობა; განათლება, სამსახური, მობილობა; ჯანმრთელობა; სპეციალური დახმარება და დაცვა. აღნიშნული პოლიტიკის საფუძველზე საჭიროა ისეთი პროგრამის შემუშავება, რომლითაც შესაძლებელი გახდება ზემოხსენებული მიმართულებებით მუშაობა ზრუნვის სისტემიდან გამსვლელ და გასულ ახალგაზრდებთან. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ არ არის ჩამოყალიბებული ერთიანი, მწყობრი კონცეფცია, რომელიც დაეხმარება მოზარდს დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების ათვისებასა და ზრუნვიდან გასვლის შემდეგ საზოგადოებაში ინტეგრაციაში.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის მომსახურებები შეზღუდულია როგორც მათი მრავალფეროვნების, ასევე, ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით. კერძოდ, დღეისათვის მოქმედებს ბავშვთა ადრეული განვითარების ქვეპროგრამა, რომლის ამოცანაა განვითარების შეფერხების რისკის ან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების განვითარების სტიმულირება და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა, ბავშვისა და ოჯახის გაძლიერება, შესაძლებლობის შეზღუდვისა და მიტოვების პრევენცია. ქვეპროგრამის ფარგლებში იგულისხმება ადრეული განვითარების დარღვევების იდენტიფიკაცია, საჭიროებისამებრ, მულტიდისციპლინური გუნდის ჩართულობა, სოციალური, თვითმოვლის, შემეცნების, მოტორიკისა და კომუნიკაციის უნარებზე მუშაობა. ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფს განეკუთვნება გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე 0-7 წლამდე ასაკის თვეში არაუმეტეს 495 ბავშვისა, რომელთა ოჯახებიც რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში (საქართველოს მთავრობის დადგენილება #138 სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2015 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ, 2015). ასევე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის მოქმედებს ბავშვთა რეაბილიტაციის/აბილიტაციის ქვეპროგრამა, რომლის ამოცანაცაა ბავშვთა სპეციფიკური რეაბილიტიაცია, აბილიტაცია, ფიზიკური ჯანმრთელობის გაუმჯობესება, ადაპტაციური შესაძებლობების გაძლიერება და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა. სამიზნე ბავშვების ოჯახები რეგისტრირებულნი უნდა იყვნენ სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში და მათი ქულა უნდა იყოს 100 000–მდე (საქართველოს მთავრობის დადგენილება #138 სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2015 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ, 2015). ამასთან, მოქმედებს დღის ცენტრების ზემოთ აღწერილი ქვეპროგრამა, რომელიც, ასევე, ემსახურება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს.

2012 წელს სოციალური მომსახურების სააგენტომ მიიღო დოკუმენტი, „გეითქიფინგის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპები“, რომელიც განმარტავს,

თუ რა არის „გეითქიფინგი“ და რა პრინციპებით უნდა იხელმძღვანელოს პრაქტიკის დროს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ, მათ შორის სოციალური მუშაკების სამსახურმა და მეურვეობისა და მზრუნველობის რეგიონულმა საბჭოებმა, ბავშვებისთვის ზემოთ აღწერილი სხვადასხვა მომსახურების შეთავაზებისას, ანუ ბავშვებზე ზრუნვის საკითხების დაგეგმვა–განხორციელებისას. ამ დოკუმენტის მიხედვით „გეითქიფინგი” გულისხმობს 24 საათიან ზრუნვაში ბავშვების განთავსების/გამოსვლის კონტროლს. 24 საათიანი ზრუნვა მოიცავს შემდეგ მომსახურებებს: მინდობით აღზრდა, მცირე საოჯახო ტიპის სახლი; ბავშვთა სახლი. „გეითქიფინგი” შეთანხმებული ღონისძიებების ერთობლიობაა, რომელიც უზრუნველყოფს ოჯახის დამხმარე მომსახურებებსა და დახმარებებზე ხელმისაწვდომობას და იცავს ბავშვს 24 საათიან ზრუნვის სისტემაში განთავსებისაგან ("გეითქიფინგის" პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპები, 2012). ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ სისტემაში ბავშვზე ზრუნვის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს არა ერთპიროვნულად მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო, არამედ მეურვეობისა და მზრუნველობის რეგიონული საბჭოები, რომელთა მთავარი ამოცანაა სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის, როგორც მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსთვის, დაკისრებული ფუნქციების განხორციელების ხელშეწყობა ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. ამ საბჭოების შემადგენლობაში შედიან არა მხოლოდ სახელმწიფო უწყებების, არამედ არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები (სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ბრძანება (#04–404/ო) მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს რეგიონული საბჭოების ტიპური დებულებისა და შემადგენლობის დამტკიცების შესახებ, 2013).

ბავშვთა დაცვა ძალადობისა და უგულებელყოფისაგან ბავშვთა კეთილდღეობისა და დაცვის 2012-2015 წწ. სამოქმედო გეგმის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. 2007 წელს ჩატარდა ეროვნული კვლევა ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხებზე (გაეროს ბავშვთა ფონდი, 2007–2008). ამ კვლევის დროს შესწავლილ იქნა, თუ ძალადობის რა ფორმები ჭარბობს ქვეყანაში. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ

საქართველოში სხვადასხვა ფორმის ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა განცდილი აქვს ბიჭებისა და გოგოების 80%-ს. ამ შედეგებზე რეაგირებისა და საქართველოში ბავშვთა დაცვის სისტემის განვითარების მიზნით, 2010 წელს მთავრობამ გამოსცა ბრძანება ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების შესახებ, რომელიც, თავის მხრივ, ეფუძნებოდა 2006 წლის საქართველოს კანონს ოჯახში ძალადობის აღკვეთის, მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ. ეს არის სამი სამინისტროს – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთობლივი ბრძანება (შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, შინაგან საქმეთა და განათლებისა და მეცნიერების მინისტრების ერთობლივი ბრძანება (N 152/ნ – N496 – N45/ნ) ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების შესახებ, 2010). იგი მიზნად ისახავს სათანადო კოორდინირებული მექანიზმების შემუშავებას ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევების იდენტიფიკაციის, მსხვერპლთა საჭიროებების შეფასება–დაკმაყოფილებისა და სამართლიანობის დამკვიდრების მიზნით. აღნიშნული ბრძანება აყალიბებს რა ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა იდენტიფიცირებისა და მიმართვიანობის მექანიზმებს, ბავშვზე ძალადობის საფუძვლიანი ეჭვის არსებობის შემთხვევაში სახავს რეაგირების სტრატეგიას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2013 წლიდან საფუძველი ჩაეყარა ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვებისათვის მომსახურების განვითარებას (ბავშვთა კეთილდღეობისა და დაცვის 2012–2015 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის განკარგულება #762, 2012, მიმართულება #2, პუნქტი 2.8), რაც გამოიხატა როგორც ახალ სამოქმედო გეგმაში, ასევე, სახელმწიფოს მიერ ევროკავშირისა და გაეროს ბავშვთა ფონდის დაფინანსებული პროექტის - „ახალი ინიციატივა ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების მიმართ“ - მხარდაჭერაში. აღნიშნული პროექტის მიზანი იყო, 2014 წლის ბოლომდე განეხორციელებინა მიუსაფარ ბავშვთათვის ახალი სისტემებისა

და მომსახურების პილოტირება ქ. თბილისსა და ქ. ქუთაისში. აღნიშნული საპილოტო პროგრამის შედეგებზე დაფუძნებით, სახელმწიფომ აამოქმედა მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა, რომლის ამოცანაა მიუსაფარ ბავშვთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია და ინტეგრაცია. ქვეპროგრამა გულისხმობს შემდეგს: მობილური ჯგუფის (ფსიქოლოგი, მძღოლი, თანასწორ განმანათლებელი) მომსახურებით უზრუნველყოფა; ყოველდღიურად (შაბათ-კვირისა და უქმე დღეების გარდა) სამიზნე ჯგუფის ბავშვების პოტენციური ყოფნის/მუშაობის ადგილებში ვიზიტების განხორციელება; სამიზნე ჯგუფის ბავშვების შესახებ შემოსულ შეტყობინებებზე რეაგირება/ვიზიტების განხორციელება; ბავშვებთან კონტაქტში შესვლა, ბავშვის საჭიროებების იდენტიფიცირება, კონსულტირება და სოციალური სამუშაოს განხორციელება; საჭიროების შემთხვევაში, ამბულატორიული ან სტაციონარული მომსახურების ორგანიზება; ბავშვის პირადი ჰიგიენის დაცვის ხელშეწყობა; საჭიროების შემთხვევაში ფსიქოლოგიური მომსახურება; ბავშვის მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტაციის მოძიება/მოწესრიგება; ბავშვის ბიოლოგიური ოჯახის მოძიება და სოციალური გარემოს პირველადი შეფასება, ასეთის არსებობის შემთხვევაში; მობილური ჯგუფის საქმიანობას კოორდინაციას უწევს სოციალური მომსახურების სააგენტოს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სოციალური მუშაკი. ასევე, აქ მოიაზრება დღის ცენტრის მომსახურებითა და კრიზისული ინტერვენციის თავშესაფრით უზრუნველყოფა (საქართველოს მთავრობის დადგენილება #138 სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2015 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ, 2015).

დღევანდელი მდგომარეობით, არსებით სირთულეს ზემოაღნიშნული ბრძანების პრაქტიკული იმპლემენტაცია წარმოადგენს, კერძოდ კი ერთ-ერთ მთავარ სირთულედ რჩება შემთხვევისათვის ძალადობის კვალიფიკაციის მინიჭება, რადგან, ხშირ შემთხვევაში, არსებობს აზრთა სხვადასხვაობა საპატრულო პოლიციის წარმომადგენლებსა და სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალურ მუშაკებს შორის (SOS Children's Villages, Georgia & Georgian Association of Social Workers, 2012).

ასევე, ბავშვზე ძალადობის მიმართვიანობის ერთ-ერთ ბარიერს ქმნის ზოგადად ქვეყანაში არსებული გარემო, რომელიც ძალადობისადმი ტოლერანტულადაა განწყობილი (გაეროს ბავშვთა ფონდი, 2013). 2012 წელს გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ ჩატარებული კვლევის – „ბავშვთა მიმართ ძალადობა საქართველოში“ – თანახმად, საქართველოს მოსახლეობის თითქმის ნახევარი (45 %) დასაშვებად მიიჩნევს ბავშვთა მიმართ ძალადობას. მოსახლეობის 60 პროცენტი ფიქრობს, რომ ბავშვის აღზრდისას ძალადობრივი მეთოდების გამოყენება უფრო შედეგიანია, ვიდრე არაძალადობრივი მეთოდებისა. საზოგადოება უმეტესწილად მიიჩნევს, რომ ბავშვის მიმართ განხორციელებული ოჯახური ძალადობა ოჯახის შიდა საქმეა და ამ საქმეში ჩარევის წინააღმდეგია. იმ შემთხვევებში კი, როცა მოქალაქე ჩარევას გადაწყვეტს, მან ხშირად არც კი იცის, ვის ან როგორ მიმართოს. ბავშვებთან მომუშავე პროფესიონალების დიდმა უმრავლესობამ (60%), რომელთაც კანონით ევალებათ ძალადობის შემთხვევების გამოვლენა და მასზე რეაგირება, არ იცის ამ პასუხისმგებლობის შესახებ (გაეროს ბავშვთა ფონდი, 2012 ა). გაეროს ბავშვთა ფონდის კვლევამ, ასევე, დაადასტურა, რომ მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი პოლიციის ჩარევას მიზანშეწონილად მიიჩნევს მხოლოდ ფიზიკური და სექსუალური ძალადობის შემთხვევების დროს.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთავრობის მიერ 2014 წელი ბავშვთა უფლებების დაცვის წლად გამოცხადდა, საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობით ბავშვთა მიმართ ნაკისრი ვალდებულებების პრაქტიკული აღსრულების მექანიზმების სისუსტე ერთ-ერთ გადაულახავ საკითხად რჩება. ასოცირების შესახებ შეთანხმების სტრუქტურაზე დაყრდნობით, ასოცირების დღის წესრიგი წარმოადგენს 2014-2016 წლებში ერთობლივი მუშაობისათვის განსაზღვრული პრიორიტეტების სიას. საქართველო-ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგი (2014) ბავშვთა უფლებებს ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად გამოყოფს და რეკომენდაციას იძლევა შემდეგ საკითხებზე:

- ბავშვთა სიღარიბის წინააღმდეგ შესაბამისი ზომების მიღება და მოწყვლადი ჯგუფების ბავშვებისთვის შედარებით მაღალი პრიორიტეტის მინიჭება;
- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის გაგრძელება;
- ადამიანის უფლებათა ეროვნულ სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში ბავშვთა უფლებების თვალსაჩინოდ ჩართვა;
- სახალხო დამცველის როლის გაძლიერება და მისი შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფა, ბავშვთა საკითხებზე მუშაობისა და შესაბამის ინსტიტუტებში არსებული სიტუაციის მონიტორინგის გაგრძელების მიზნით;
- ძალადობის ყველა ფორმისგან ბავშვების დასაცავად შესაბამის ზომებზე ყურადღების გამახვილება.

როგორც ზემოთ ხსენებულ პრიორიტეტთა ჩამონათვალი ცხადყოფს, ბავშვთა უფლებების დაცვის მიმართულებით საქართველოში კვლავ საკვანძო საკითხებად რჩება ბავშვთა დაცვა ძალადობისა და უგულებელყოფისაგან. როგორც 2013 წელს გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ ჩატარებულმა კვლევამ „ბავშვთა მიმართ ძალადობა საქართველოში“ ცხადყო, საქართველოს მოსახლეობის 45 პროცენტს აქვს საკმაოდ მაღალი ტოლერანტობა ბავშვთა აღზრდის ძალადობრივი მეთოდების მიმართ. როგორც ცნობილია, გაეროს ბავშვის უფლებათა დაცვის კონვენციის ხელმომწერ სახელმწიფოებს ეკისრებათ ვალდებულება, ყოველ 5 წელიწადში ერთხელ წარუდგინონ გაეროს ბავშვის უფლებათა დაცვის კომიტეტს ანგარიში ქვეყანაში ბავშვთა უფლებების დაცვის შესახებ. ანგარიშის წარდგენა საქართველოს მხრიდან არ მომხდარა 2013 წელს (იგი მთავრობამ მხოლოდ 2015 წლის ბოლოს წარადგინა, 2 წლის დაგვიანებით), რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ფაქტს, რომ ქვეყანაში ბავშვის უფლებათა დაცვა ნაკლებად პრიორიტეტულ საკითხად გვევლინება.

საქართველო არის ისეთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო დოკუმენტების ხელმომწერი მხარე, როგორებიცაა გაეროს ბავშვის უფლებათა დაცვის კონვენციის პირველი და მეორე ფაკულტატური ოქმები (ბავშვის უფლებათა კონვენციის დამატებითი ოქმი შეიარაღებულ კონფლიქტში ბავშვთა მონაწილეობის შესახებ, 2000;

ბავშვის უფლებათა კონვენციის ფაკულტატური ოქმი ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ, 2000). მესამე ფაკულტატური ოქმი, რომელიც ხელმოსაწერად 2012 წელს გაიხსნა, აყალიბებს შეტყობინების პროცედურას პირის ან პირთა ჯგუფის მიერ ისეთი შემთხვევების გამოვლენის დროს, რომლებიც ეხება (ა) კონვენციას; (ბ) კონვენციის ფაკულტატურ ოქმს, ბავშვებით ვაჭრობას, ბავშვთა პროსტიტუციასა და ბავშვთა პორნოგრაფიასთან დაკავშირებით; (გ) კონვენციის ფაკულტატურ ოქმს, რომელიც ეხება ბავშვთა ჩართვას შეიარაღებულ კონფლიქტში (Optional protocol to the Convention on the Rights of the Child on a communications procedure, 2011). ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს 2010 წლის ბრძანება „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის პროცედურების დამტკიცების შესახებ“, რომელიც შეეხება ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევების იდენტიფიკაციასა და შესაბამისი რეაგირების განხორციელებას. საქართველოს მთავრობას საერთაშორისო ორგანიზაციებისა და გაეროს ბავშვის უფლებათა დაცვის კომიტეტის მიერ გაეწია რეკომენდაცია მესამე ფაკულტატური ოქმის რატიფიკაციასთან დაკავშირებითაც. აღნიშნული ოქმის რატიფიცირების პროცესის დაწყებას მხარი დაუჭირა, ასევე, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმაც.

2010 წელს ძალაში შევიდა ევროპის საბჭოს კონვენცია ბავშვთა სექსუალური ექსპლოატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან დაცვის შესახებ, რომლის ერთ-ერთი ხელმომწერი მხარე საქართველოა. ეს დოკუმენტი ცნობილია „ლანზაროტის კონვენციის“ სახელწოდებით (ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისგან დაცვის ევროპის საბჭოს კონვენცია, 2007). ლანზაროტის კონვენცია პირველი დოკუმენტია, რომელიც ბავშვთა წინააღმდეგ მიმართულ სხვადასხვა ფორმის სექსუალურ ძალადობას ანიჭებს სისხლის სამართლებრივი დანაშაულის კვალიფიკაციას, მათ შორის, ძალადობას, ჩადენილს ოჯახში, ძალის, დარწმუნებისა თუ დაშინების გამოყენებით. აღნიშნული კონვენცია ბავშვთა მიმართ

განხორციელებული სექსუალური ძალადობის ნებისმიერი ფორმის მიმართ კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომების გატარებას ითვალისწინებს.

სახალხო დამცველის 2013 წლის ადამიანის უფლებათა დაცვის ანგარიშში ვკითხულობთ: „დადებითი ტენდენციების მიუხედავად, ქვეყანაში ბავშვის უფლებების დაცვის კუთხით კვლავ არსებობს მნიშვნელოვანი გამოწვევები. ერთ-ერთ ასეთ გამოწვევას წარმოადგენს ბავშვის უფლებებთან დაკავშირებული კანონმდებლობის ჰარმონიზაცია საერთაშორისო სტანდარტებთან, რაც საკანონმდებლო ხარვეზების თანმიმდევრულ აღმოფხვრას გულისხმობს“ (საქართველოს სახალხო დამცველი, 2013, გვ. 343). როგორც სახალხო დამცველის, ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებიდან და არსებული პრაქტიკიდანაც ცხადია, რომ ადგილობრივ კანონმდებლობასა და პრაქტიკას არაერთი ძირეული ხარვეზი გააჩნია საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის კუთხით.

თავი II: მეთოდოლოგია და პროცედურები

1. კვლევის მიზანი და ძირითადი საკვლევი კითხვები

კვლევის თემაა ბავშვთა კეთილდღეობის სისტემის შეფასება საქართველოში. კვლევის ზოგადი მიზანია, განახორციელოს ბავშვთა კეთილდღეობის სისტემის შეფასება უფლებებზე დაფუძნებული მიდგომებით, გამოკვეთოს საჭიროებები და, ასევე, წარადგინოს შესაბამისი რეკომენდაციები ბავშვთა დაცვის არსებული პოლიტიკისა და პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით. კერძოდ, კვლევის ძირითადი კითხვებია:

1. მოწყვლადობის რა რისკების წინაშე დგანან ბავშვები და ოჯახები თემების დონეზე საქართველოში?
2. რამდენად პასუხობს ბავშვთა კეთილდღეობის სისტემები არსებული მოწყვლადობის რისკ-ფაქტორების ელიმინაციის ან შემცირების ამოცანას?
3. რამდენად შეძლო საქართველოში რეფორმამ, დაეკმაყოფილებინა ის საჭიროება, რამაც სათავე დაუდო ალტერნატიული ზრუნვის სისტემის განვითარებას?
4. ჰქონდა თუ არა და რა ხარვეზები ჰქონდა ახალ სისტემას გამოყენებული რესურსების, დამკვიდრებული პროცესებისა და შექმნილი მომსახურებების თვალსაზრისით?
5. რომელი მიდგომები (უფლებებზე დაფუძნებული, საჭიროებებზე დაფუძნებული) ხორციელდება ბავშვთა კეთილდღეობის სისტემაში, რომელი მიდგომების განხორციელებას აქვს მეტი რაციონალური საფუძველი და რისი გამოყენება იქნება უმჯობესი?

ამ კითხვების საპასუხოდ კვლევამ მიზნად დაისახა, შეეფასებინა ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმისა და ბავშვზე ზრუნვის სისტემის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება – პრევენცია/რეინტეგრაცია და ოჯახების გაძლიერება. კერძოდ,

კვლევის კითხვები უკავშირდება რეფორმის ამ მიმართულების ეფექტიანობის შეფასებას.

კვლევა შერეული ხასიათისაა და აერთიანებს რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის ელემენტებს.

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით გამოიკვეთა ძირითადი საჭიროებები და ჩამოყალიბდა რეკომენდაციები ბავშვთა კეთილდღეობის არსებული პოლიტიკისა და პრაქტიკის ეფექტიანობის გაუმჯობესების მიზნით. კვლევა, გამოყენების თვალსაზრისით, ნიშანდობლივია სამოქალაქო საზოგადოებისთვის ბავშვთა და ახალგაზრდათა უფლებების ადვოკატობისას ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე.

2. თვისებრივი კომპონენტის მიზნები და შერჩევა

თვისებრივი კვლევის კომპონენტის ფარგლებში ჩვენს ძირითად ინტერესს წარმოადგენდა შეგვეფასებინა, თუ რამდენად შეძლო საქართველოში ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმამ ეპასუხა არსებული გამოწვევებისათვის ბავშვების მშობლებისაგან განცალკევების პრევენციისა და სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ბავშვების ოჯახებში რეინტეგრაციის მიმართულებით. კერძოდ, კვლევის კითხვები უკავშირდება რეფორმის იმ მიმართულების ეფექტიანობას, რომელიც ეხებოდა პრევენცია/რეინტეგრაციას და ოჯახების გაძლიერებას. ჰქონდა თუ არა და რა ხარვეზები ჰქონდა ახალ სისტემას გამოყენებული რესურსების, დამკვიდრებული პროცესებისა და შექმნილი მომსახურებების თვალსაზრისით. რომელი მიდგომები (უფლებებზე დაფუძნებული, საჭიროებებზე დაფუძნებული) ხორციელდება ბავშვთა კეთილდღეობის სისტემაში, რომელი მიდგომების განხორციელებას აქვს მეტი რაციონალური საფუძველი და რისი გამოყენება იქნება უმჯობესი?

2.1. მეთოდები

თვისებრივი კომპონენტი გულისხმობდა შემდეგი თვისებრივი მეთოდების გამოყენებას, კერძოდ, ა) დოკუმენტების ანალიზი, რომლის დროსაც გაანალიზდა

ბავშვთა კეთილდღეობის არსებული პოლიტიკა - საკანონმდებლო დოკუმენტები, ანგარიშები, პროტოკოლები, რეგულაციები და სხვა დოკუმენტები; ბ) ფოკუს ჯგუფები, რომლებიც ჩატარდა სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის სოციალური მომსახურებაში მომუშავე პრაქტიკოსებსა და, ასევე, ბენეფიციარებთან; გ) ექსპერტული ინტერვიუები განხორციელდა სფეროს ექსპერტებთან, კერძოდ, მთავრობის წარმომადგენლებთან, პოლიტიკისა და კანონმდებლობის შემქმნელებსა და გადაწყვეტილების მიმღებებთან, ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლებთან.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, შევქმენით ექსპერტული ინტერვიუებისთვის არასტრუქტურირებული კითხვარი და ფოკუს ჯგუფებისთვის სადისკუსიო გეგმა, რომლებიც შევიმუშავეთ დოკუმენტების ანალიზის პროცესში შესწავლილი დოკუმენტების გაანალიზების საფუძველზე (იხ. დანართი #1: თვისებრივი კვლევის ინსტრუმენტი). ექსპერტული ინტერვიუებისთვის არასტრუქტურირებული კითხვარი და პრაქტიკოსებისთვის სადისკუსიო გეგმა მოიცავდა შემდეგ ბლოკებს: ბავშვთა კეთილდღეობის (დეინსტიტუციონალიზაცია, პრევენცია/რეინტეგრაცია/ ოჯახების გაძლიერება და ალტერნატიული ზრუნვის ფორმები) პოლიტიკა და პრაქტიკა; პრევენცია/რეინტეგრაციის და ოჯახების გაძლიერების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანი ასპექტები; უწყებათა/სექტორთშორისი/ თანამშრომლობა; შეჯამება. ხოლო ბენეფიციარებთან ფოკუს ჯგუფების სადისკუსიო გეგმა მოიცავდა შემდეგ ბლოკებს: ინფორმაცია პროგრამაში ჩართული პირების შესახებ; ბავშვთა კეთილდღეობის მიმდინარე პრაქტიკის მნიშვნელოვანი ასპექტები, შეჯამება. ყველა ინტერვიუს და ფოკუს ჯგუფის აუდიო ჩანაწერი არსებობს, რომელიც შემდგომ იქნა გადმოწერილი და გაანალიზებული (იხ. დანართი #2: აუდიო ჩანაწერები და დანართი #3: ტრანსკრიპტები).

2.2. მონაწილეები და შერჩევა

კვლევაში მონაწილეობა მიიღეს ბავშვთა კეთილდღეობის სისტემის მთავარმა აქტორებმა. გამოკითხულ იქნა 15 ექსპერტი, რომლებიც მიზნობრივად შეირჩნენ

ბავშვთა კეთილდღეობის სფეროდან. ექსპერტები იყვნენ მთავრობის წარმომადგენლები, პოლიტიკისა და კანონმდებლობის შემქმნელები, გადაწყვეტილების მიმღებები, ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები. ექსპერტები წარმოადგენდნენ შემდეგ უწყებებს: შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, სოციალური მომსახურების სააგენტო, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო, ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი, დანაშაულის პრევენციის ცენტრი, პრობაციის ეროვნული სააგენტო, სასჯელაღსრულების დეპარტამენტი, თბილისის მერია, სახალხო დამცველის ოფისი, საპატრიარქოს სოციალური სამსახური, გაეროს ბავშვთა ფონდი. აღნიშნული უწყებების წარმომადგენლებით დავფარეთ ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში აქტიურად ჩართული ძირითადი ექსპერტები.

ფოკუს ჯგუფები განხორციელდა ბავშვთა კეთილდღეობის სფეროს ბენეფიციარებსა[17] და პრაქტიკოსებთან[18].

ბენეფიციარების ფოკუს ჯგუფის მონაწილეები იყვნენ რეინტეგრაციის პროგრამის[19] ბენეფიციარი ბავშვები და მშობლები; მცირე საოჯახო ტიპის სახლისა[20] და მინდობითი აღზრდის[21] პროგრამის ბენეფიციარი ბავშვები; ეროვნულ კოალიციასთან არსებული ახალგაზრდული საბჭოს წევრი ახალგაზრდები,

[17]ბენეფიციარი არის პირი, რომელიც ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში მომსახურებით მოსარგებლეა, მაგალითად, ბავშვები, ახლაგაზრდები, მათი მშობლები.

[18]პრაქტიკოსი არის პროფესიონალი, რომელიც ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში მუშაობს სახელმწიფო ან არასამთავრობო მომსახურებაში და უშუალოდ არის ჩართული ბენეფიციარებისთვის მომსახურების მიწოდების პროცესში, მაგალითად, სოციალური მუშაკები, ფსიქოლოგები, ოკუპაციური თერაპევტები, მომსახურების მენეჯერები, კოორდინატორები და ა.შ.

[19] რეინტეგრაციის პროგრამის მიზანია ოჯახის ჩამნაცვლებელი მომსახურებებიდან ბავშვების ბიოლოგიურ ოჯახებში დაბრუნების ხელშეწყობა. რეინტეგრაციას ექვემდებარება ბავშვი, რომელიც იმყოფება ბავშვთა სახლში, მცირე საოჯახო ტიპის სახლში ან მინდობით აღზრდაში, უბრუნდება ბიოლოგიურ ოჯახს და ეძლევა როგორც ფინანსური დახმარება, ასევე ოჯახის გაძლიერებაზე ორიენტირებული სხვა ტიპის სოციალური დახმარებები.

[20] მცირე საოჯახო ტიპის სახლი ოჯახის ჩამნაცვლებელი მომსახურება, რომლის ამოცანაა მზრუნველობამოკლებული ბავშვების მცირე საოჯახო ტიპის სახლებში განთავსება და მათი ოჯახურ გარემოსთან მიახლოებულ პირობებში აღზრდა.

[21] მინდობით აღზრდა ოჯახის ჩამნაცვლებელი მომსახურება, რომლის ფარგლებში სახელმწიფოსა და მიმღებ ოჯახს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, გარკვეული ვადით, ბავშვის ოჯახურ გარემოში აღზრდა უზრუნველყოფილია.

რომლებიც სახელმწიფოს ზრუნვის[22] ბენეფიციარები არიან ან იყვნენ წარსულში; ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები. რეინტეგრაციის, მცირე საოჯახო ტიპის და მინდობით აღზრდის პროგრამების ბენეფიციარების შერჩევისას პირველ ეტაპზე ბენეფიციართა ბაზა მოვიპოვეთ სოციალური მომსახურების სააგენტოსგან. შემდგომ ეტაპზე ბაზიდან ვუკავშირდებოდით ბენეფიციარებს და ვიწვევდით იმ პირებს, რომლებიც თანახმანი იყვნენ ფოკუს ჯგუფში მონაწილეობის მისაღებად. აქვე გასათვალისწინებელია, რომ ბენეფიციარები წარმოადგენენ რა სპეციფიკურ, მოწყვლად ჯგუფს, მათი ნაწილი უარს აცხადებდა მონაწილეობა მიეღო კვლევაში. რაც შეეხება ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნულ კოალიციასთან არსებულ ახალგაზრდული საბჭოს წევრებს, მათ შესახებ ბაზა მოვიპოვეთ კოალიციისგან და ზემოაღწერილი მიდგომით მოვახდინეთ მათი რეკრუტირება ფოკუს ჯგუფში მონაწილეობის მისაღებად. ხოლო ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების ფოკუს ჯგუფის წევრების რეკრუტირებაში დაგვეხმარა საერთაშორისო ორგანიზაცია „ვორლდ ვიჟენი“, რომელიც დღის ცენტრის მომსახურებას სთავაზობს აღნიშნულ ბავშვებს. ამასთან, უნდა აღვნიშნოთ, რომ შეირჩნენ მხოლოდ თბილისის რაიონების ბენეფიციარები. ბენეფიციარებთან განხორციელდა 5 ფოკუს ჯგუფი (სულ 46 მონაწილე).

პრაქტიკოსების ფოკუს ჯგუფის მონაწილეები შეირჩნენ მიზნობრივად ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში მოქმედი აქტიური სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციებიდან (არასამთავრობო ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციები: „საქართველოს ბავშვები“, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი, „ცხოვრების შანსი“, „ანიკა“, გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში, „ეს–ო–ეს“ ბავშვთა სოფელი, „ვორლდ ვიჟენი“, „გადავარჩინოთ ბავშვები“. სახელმწიფო მომსახურებები: სოციალური მომსახურების სააგენტოს მეურვეობა–მზრუნველობის სამსახური, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრი, დანაშაულის პრევენციის ცენტრი,

[22] რეინტეგრაცია, მცირე საოჯახო ტიპის სახლი, მინდობით აღზრდა

პრობაციის ეროვნული სააგენტო). 5 ფოკუს ჯგუფი განხორციელდა ბავშვთა კეთილდღეობის სფეროს პრაქტიკოსებთან (სულ 37 მონაწილე). იხ. დანართი #4: კვლევის მონაწილეთა შესახებ დეტალური ინფორმაცია.

ექსპერტული ინტერვიუებისა და ფოკუს ჯგუფების რაოდენობა განისაზღვრა თავად კვლევის პროცესში. კვლევა გაგრძელდა იქამდე, სანამ ინტერვიუებიდან და ფოკუს ჯგუფებიდან ახალი ინფორმაცია ამოდიოდა.

2.3. ინსტრუქციები და კვლევის ეთიკა

კვლევის მონაწილეები იყვნენ ინფორმირებულნი კვლევის მიზნებისა და დანიშნულების შესახებ. მათ აეხსნათ, რომ კვლევა კონფიდენციალური იყო და არ მოხდებოდა მათი პასუხების იდენტიფიცირება მათ პიროვნებებთან, ხოლო შედეგები გამოყენებული იქნებოდა მხოლოდ ბავშვზე ზრუნვის მომსახურებების დახვეწისა და გაუმჯობესების მიზნით. ექსპერტებთან განვიხილეთ და შევათანხმეთ კვლევის ინსტრუმენტები და პროტოკოლები. ეს უზრუნველყოფდა კვლევის მაღალ სანდოობას.

2.4. შეზღუდვები

კვლევის განხორციელებასთან დაკავშირებული შეზღუდვები შემდეგია: ა) ვერ მოხერხდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების ჩართვა კვლევაში და ბ) შეირჩნენ მხოლოდ ქალაქ თბილისში მცხოვრები ბენეფიციარები ეკონომიკური და დროითი რესურსების შეზღუდულობიდან გამომდინარე.

3. რაოდენობრივი კომპონენტის მიზნები და შერჩევა

რაოდენობრივი კომპონენტის ფარგლებში ჩვენს ამოცანას წარმოადგენდა თემების დონეზე ბავშვისა და ოჯახის მოწყვლადობის რისკების გამოვლენა ბავშვთა კეთილდღეობის საჭიროებების გარკვევის მიზნით. კერძოდ, რაოდენობრივი კვლევის შედეგები გამოვიყენეთ კვლევის ზოგადი მიზნისთვის, რათა გაგვერკვია, თუ რამდენად პასუხობს ბავშვთა კეთილდღეობის სისტემები თემებში არსებულ გამოწვევებს, ბავშვებისა და ოჯახების მოწყვლადობის რისკფაქტორების

ელიმინაციის ან შემცირების ამოცანას. რაოდენობრივი კომპონენტის ძირითადი საკითხები შემდეგი ჰიპოთეზების სახითაა წარმოდგენილი:

1. **ჰიპოთეზა პირველი:** ბავშვთა კეთილდღეობის სისტემები ვერ პასუხობს თემების დონეზე არსებულ ბავშვებისა და ოჯახების მოწყვლადობის რისკფაქტორების ელიმინაციის ან შემცირების ამოცანას.
2. **ჰიპოთეზა მეორე:** იქ, სადაც აქტორები ირჩევენ საჭიროებებზე დაფუძნებულ მიდგომებს და ახორციელებენ ვიწრო მიზნობრივ ჯგუფებზე ორიენტირებულ (targeted) პროგრამებს, ეს პროგრამები წინააღმდეგობაში მოდის თავიანთ მიზნებთან და მოიცავს არა მათ, ვისაც ყველაზე მეტად სჭირდება მხარდაჭერა, არამედ უკეთესი საწყისი პირობების მქონე მიზნობრივი ჯგუფის წარმომადგენლებს (adverse selection ანუ „მანკიერი შერჩევა“[23]).

3.1. მეთოდები

მონაცემების შეგროვების ინსტრუმენტად შერჩეულ იქნა პირისპირ ინტერვიუ. ინტერვიუ ხორციელდებოდა სპეციალურად შემუშავებული მოწყვლადობის ინსტრუმენტის გამოყენებით. ბავშვის მოწყვლადობა არის ბავშვის უფლებების დარღვევის რისკფაქტორების ერთობლიობა, ხოლო, თავის მხრივ, ეს რისკფაქტორები კი – მოწყვლადობის ინდიკატორები. ჩვენ მიერ შემუშავებული ინსტრუმენტი აღწერდა ბავშვის მოწყვლადობის რისკფაქტორებს. ბავშვის მოწყვლადობის რისკები განისაზღვრებოდა ოთხი ძირითადი ფაქტორის ურთიერთქმედებით (ძალადობა ბავშვის მიმართ, სიღარიბე, დისკრიმინაცია და ბუნებრივი/ადამიანის მიერ განპირობებული კრიზისის/კატასტროფების/ კატაკლიზმების ზეგავლენა).

ინტერვიუს კითხვები მოიცავს როგორც პირდაპირ, ასევე, არაპირდაპირ შეკითხვებს მოწყვლადობის ფაქტორების გამოსავლენად, იმ შემთხვევაში, თუ

[23] ტერმინი „მანკიერი შერჩევა“ (adverse selection) გამოიყენება ინფორმაციის ასიმეტრიის თეორიაში (George Akerlof, Michael Spence and Joseph E. Stiglitz, "Analyses of Markets with Asymmetric Information") გადაწყვეტილების მიღების ერთ-ერთი ძირითადი პრობლემის აღსაწერად, როდესაც ტრანზაქციაში მონაწილე უფრო ინფორმირებული მხარე (ჩვენს შემთხვევაში სოციალური მომსახურების მიმწოდებელი) განაპირობებს ტრანზაქციის საგნის (ჩვენს შემთხვევაში სამიზნე ჯგუფი) არჩევანს, რომელიც მეორე მხარის (ჩვენ შემთხვევაში საზოგადოება) ინტერესს/მიზანს არ შეესაბამება.

ინტერვიუერს უჭირს მოწყვლადობის გარკვეული ასპექტის შესახებ დასკვნის გაკეთება, უბრალოდ აღნიშნავს, რომ უჭირს დასკვნის გაკეთება.

განისაზღვრა სამიზნე თემებში ბავშვებისა და ოჯახების მოწყვლადობის საშუალო ქულა, ასევე, მოწყვლადობის საშუალო ქულის გამოთვლა მოხდა თითოეული რეგიონისთვის და, ასევე, სოფლისთვის. მოწყვლადობის ქულის გამოთვლისას გათვალისწინებულ იქნა მოწყვლადობის 18 კატეგორია ბავშვისა და ოჯახის მოწყვლადობის გაზომვის ინსტრუმენტის მიხედვით. მოწყვლადობის კატეგორია აჯგუფებს მოწყვლადობის რისკფაქტორებს/ინდიკატორებს (ეძღვნება კითხვარის ცალკე კითხვა) და განისაზღვრა თითოეული კატეგორიის პროცენტული წილი მოწყვლადობის საშუალო ქულაში.

ასევე, აღსანიშნავია, რომ იმისათვის, რომ უფრო ნათელი იყოს, თუ რა საჭიროებები უნდა დააკმაყოფილოს სახელმწიფომ თემების დონეზე, მოხდა სამიზნე ჯგუფში მაღალი დონის მოწყვლადობის პარამეტრების გამოკვეთა, როგორც უშუალოდ ბავშვის, ასევე, მათი ოჯახის კუთხით.

ინსტრუმენტი შედგება 3 ნაწილისგან: 1. დემოგრაფიული ინფორმაცია, 2. ინფორმაცია ბავშვის შესახებ, 3. ინფორმაცია ოჯახის შესახებ.

ინსტრუმენტი შედგება 44 კითხვისგან/ინდიკატორისგან, მათ შორის ბავშვის შესახებ ინფორმაცია მოიცავს 14 კითხვას/ინდიკატორს, ოჯახის შესახებ ინფორმაცია კი – 30 კითხვას/ინდიკატორს. ბავშვის შესახებ 14 კითხვა/ინდიკატორი დაჯგუფებულია 6 შინაარსობრივ კატეგორიაში, ხოლო ოჯახის შესახებ 30 კითხვა/ინდიკატორი კი - 12 კატეგორიაში. ჯამში ბავშვისა და ოჯახის შესახებ ინფორმაცია დაჯგუფებულია 18 კატეგორიად, რომლებიც თავის მხრივ მოიცავს 44 კითხვას/ინდიკატორს. აღსანიშნავია, რომ ბავშვისა და ოჯახის ნაწილი მოიცავს საერთო შინაარსის 4 კატეგორიას, ხოლო დანარჩენი კატეგორიები კი განსხვავებულია. თითოეულ კითხვაზე საჭიროა პასუხის შესაბამისი ვარიანტის მონიშვნა და საჭიროების შემთხვევაში ამ პასუხის დაკონკრეტება. იხ. ცხრილი #1 და #2.

ცხრილი #1: ინსტრუმენტის შინაარსობრივი კატეგორიებისა და ინდიკატორების რაოდენობა

ნაწილი II: ინფორმაცია ბავშვის შესახებ	**ნაწილი III: ინფორმაცია ოჯახის შესახებ**	**სულ**
6 კატეგორია	12 კატეგორია	18 კატეგორია
14 ინდიკატორი	30 ინდიკატორი	44 ინდიკატორი

ცხრილი #2: ინსტრუმენტის შინაარსობრივი კატეგორიების ჩამონათვალი

#	**ნაწილი II: ინფორმაცია ბავშვის შესახებ - 6 კატეგორია**	**ნაწილი III: ინფორმაცია ოჯახის შესახებ - 12 კატეგორია**
1	*დოკუმენტაცია*	*დოკუმენტაცია*
2	*ჯანმრთელობა*	ოჯახის შემადგენლობა
3	*განათლება*	მატერიალური რესურსი
4	ასოციალური ქცევა	დასაქმება
5	*გარიყვა/სტიგმატიზება*	*განათლება*
6	ბავშვზე ზრუნვა	*ჯანმრთელობა*
7	-	საცხოვრებელი
8	-	ურთიერთობები
9	-	თანადგომის ქსელი
10	-	*გარიყვა/სტიგმატიზება*
11	-	ბავშვების უსაფრთხოება
12	-	მშობლებისა და ბავშვების თანაცხოვრება ოჯახში

კითხვები დაყოფილია 3 კატეგორიად:

H კითხვები (მაღალი რისკის შემცველი), რომლებიც აუცილებელ ჩარევას საჭიროებს: ქმედება შეიძლება მოიცავდეს შემდეგს: პირდაპირი ინტერვენცია

(მომსახურების, საჭირო ნივთების და ა.შ.) და რეფერალი/გადამისამართება შესაბამის სახელმწიფო/არასამთავრობო უწყებებთან. ასეთი კითხვების რაოდენობა ბავშვის შესახებ ფორმაში შეადგენს 10-ს (CH1, CH2, CH4, CH5, CH6, CH7, CH8, CH9, CH12, CH13), ხოლო ოჯახის შესახებ ფორმაში - 6-ს (FH1, FH8, FH14, FH17, FH19).

M საყურადღებო კითხვები (საშუალო რისკის შემცველი): საჭიროა ამ ინფორმაციის გათვალისწინება ბავშვთან/ოჯახთან მუშაობის პროცესში და რიგ შემთხვევებში, რეფერალის/გადამისამართების განხორციელება შესაბამის სახელმწიფო/არასამთავრობო ორგანიზაციებთან. ასეთი კითხვების რაოდენობა ბავშვის შესახებ ფორმაში შეადგენს 4-ს (CM3, CM10, CM11, CM14), ხოლო ოჯახის შესახებ ფორმაში - 23-ს (FM2, FM3, FM4, FM5, FM6, FM7, FM9, FM10, FM11, FM13, FM15, FM16, FM18, FM20, FM21, FM22, FM24, FM25, FM26, FM27, FM28, FM29, FM30).

L საინფორმაციო ხასიათის კითხვები: ასეთი კითხვა მარტო ერთია. ამ კითხვებზე პასუხი ერთმნიშვნელოვნად არ მიუთითებს ბავშვის/ოჯახის მოწყვლადობაზე, თუმცა შეიძლება საინტერესო გახდეს კონკრეტული ინტერვენციის/ქმედების დაგეგმვისთვის. ეს კითხვა გვხვდება მხოლოდ ოჯახის შესახებ ფორმაში (FL12). იხ. ცხრილი #3.

ცხრილი #3: კითხვების რაოდენობა კითხვების ტიპების მიხედვით

კითხვების ტიპები	ნაწილი II: ინფორმაცია ბავშვის შესახებ	ნაწილი III: ინფორმაცია ოჯახის შესახებ
(H) მაღალი რისკის შემცველი კითხვები	**10**	**6**
(M) საშუალო რისკის შემცველი კითხვები	**4**	**23**
(L) საინფორმაციაო კითხვები	**0**	**1**
ჯამი	**14**	**30**

იხ. თანდართული ცხრილი #4: ინსტრუმენტის მოკლე აღწერა. ასევე, დეტალური ინფორმაციისათვის იხ. დანართი #5: რაოდენობრივი კვლევის ინსტრუმენტი.

ცხრილი #4: ინსტრუმენტის მოკლე აღწერა

#	კატეგორია	კითხვა	რისკის ხარისხი
		ინფორმაცია ბავშვის შესახებ (6 კატეგორია, 14 კითხვა)	
1	**ბავშვის დოკუმენტაცია**	CH1. აქვს თუ არა ბავშვს დაბადების/პირადობის მოწმობა?	მაღალი (H)
2	**ბავშვის ჯანმრთელობა**	CH2. არის თუ არა ბავშვი აღრიცხვაზე პოლიკლინიკაში?	მაღალი (H)
		CM3. ჩატარებული აქვს თუ არა ბავშვს ყველა საჭირო აცრა?	საშუალო (M)
		CH4. ხდება თუ არა ბავშვის სამედიცინო საჭიროებების დაკმაყოფილება ქრონიკული, ინფექციური ან მწვავე დაავადების არსებობის შემთხვევაში?	მაღალი (H)
		CH5. აქვს თუ არა ბავშვს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის სტატუსი ან ჯანმრთელობის გამოკვეთილი პრობლემა, რომელიც სტატუსს ექვემდებარება?	მაღალი (H)
3	**ბავშვის განათლება**	CH6. თუ ბავშვი 11 წლის არის, იცის თუ არა წერა-კითხვა?	მაღალი (H)
		CH7. იღებს თუ არა ბავშვი ასაკის შესაბამის განათლებას?	მაღალი (H)
		CH8. თუ ბავშვი არ იღებს ასაკის შესაბამის საბაზო სასკოლო განათლებას, რა მიზეზით ხდება ეს?	მაღალი (H)
4	**ბავშვის ასოციალური ქცევა**	CH9. ახასიათებს თუ არა ბავშვს ასოციალური ქცევა?	მაღალი (H)
5	**ბავშვის დისკრიმინაცია უმცირესობის ჯგუფს მიკუთვნებულობის გამო**	CM10. გამხდარა თუ არა ბავშვი არათანაბარი მოპყრობის/დისკრიმინაციის მსხვერპლი რაიმე ნიშნით?	საშუალო (M)
6	**ბავშვზე ზრუნვა**	CM11. ვინ არის ბავშვზე ძირითადი მზრუნველი?	საშუალო (M)
		CH12. არის თუ არა უზრუნველყოფილი ბავშვი ძირითადი საჭიროებებით (ადეკვატური კვება, ზრუნვა ჰიგიენაზე, სასწავლო ინვენტარი, ადეკვატური ჩასაცმელი, სიყვარული, სითბო)?	მაღალი (H)
		CH13. ხომ არ ხდება ბავშვზე ძალადობა რაიმე ფორმით?	მაღალი (H)
		CM14. არის თუ არა მიზეზი, რის გამოც მშობლებს, მზრუნველებს უძნელდებათ ბავშვზე ზრუნვა?	საშუალო (M)
		ინფორმაცია ოჯახის შესახებ (12 კატეგორია, 30 კითხვა)	
7	**ოჯახის დოკუმენტაცია**	FH1. აქვს თუ არა ოჯახის ყველა წევრს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია?	მაღალი (H)
8	**ოჯახის შემადგენლობა**	FM2. რამდენი ბავშვია (18 წელს ქვემოთ) ოჯახში?	საშუალო (M)
		FM3. რამდენი ხანდაზმულია (60 წელს ზემოთ) ოჯახში?	საშუალო (M)
		FM4. რამდენი ორსული ან მეძუძური დედაა (ერთ წლამდე ბავშვით) ოჯახში?	საშუალო (M)
		FM5. არის თუ არა ოჯახი ან მისი რომელიმე წევრი დევნილი/ლტოლვილი?	საშუალო (M)
		FM6. რამდენი სულია ოჯახში?	საშუალო (M)
		FM7. არის თუ არა ოჯახის რომელიმე წევრი მიგრაციაში?	საშუალო (M)
9	**ოჯახის მატერიალური რესურსები**	FH8. აქვს თუ არა ოჯახს სტაბილური შემოსავალი?	მაღალი (H)
		FM9. თუ ოჯახში არსებობს შესაბამისი საჭიროება, მიუმართავთ თუ არა მათ სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის ან სხვა უწყებისთვის მატერიალური (ფულადი ან არაფულადი) დახმარების მისაღებად?	საშუალო (M)

#	კატეგორია	კითხვა	რისკის ხარისხი
		FM10. რა ტიპისაა ოჯახის საცხოვრებელი?	საშუალო (M)
		FM11. დამაკმაყოფილებელია თუ არა საცხოვრებლის მდგომარეობა?	საშუალო (M)
		FL12. ფლობს თუ არა ოჯახი მსხვილფეხა ან წვრილფეხა პირუტყვს?	დაბალია (L)
10	ოჯახის წევრების დასაქმება	FM13. ოჯახის შრომისუნარიანი წევრების რა ნაწილია დასაქმებული ?	საშუალო (M)
11	ოჯახის წევრების განათლება	FH14. რა დონის განათლება აქვს მშობელს/ძირითად მზრუნველს?	მაღალი (H)
12	ოჯახის წევრების ჯანმრთელობა	FM15. აქვს თუ არა ოჯახის რომელიმე წევრს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსი ან ჯანმრთელობის პრობლემა, რომელიც სტატუსს ექვემდებარება?	საშუალო (M)
		FM16. აღენიშნება თუ არა ოჯახის რომელიმე წევრს ნივთიერებებზე დამოკიდებულება ან სხვა მავნე ჩვევა?	საშუალო (M)
		FH17. თუ ოჯახის წევრს ესაჭიროება მუდმივი ზრუნვა ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, ვინ არის მისი ძირითადი მომვლელი/მზრუნველი?	მაღალი (H)
		FM18. აქვს თუ არა ოჯახის ყველა წევრს სამედიცინო დაზღვევა?	საშუალო (M)
13	საცხოვრებელი გარემო	FH19. ხასიათდება თუ არა ოჯახის საცხოვრებელი რეგიონი/რაიონი/ადგილი ხშირი ბუნებრივი კატასტროფებით, კატაკლიზმებით?	მაღალი (H)
		FM20. არის თუ არა კრიმინალის მაღალი დონე ოჯახის საცხოვრებელ თემში (ურბანული დასახლების შემთხვევაში)?	საშუალო (M)
		FM21. არის თუ არა ხელმისაწვდომი თემში ძირითადი მომსახურებები (სკოლამდელი და სასკოლო განათლება, ჯანდაცვის მომსახურება)?	საშუალო (M)
		FM22. თუ თემში არ არის ხელმისაწვდომი ძირითადი მომსახურებები, აქვს თუ არა ოჯახს გადაადგილების საშუალება (ავტომანქანა, ცხენი/ურემი, ველოსიპედი)?	საშუალო (M)
14	ოჯახის წევრებს შორის ურთიერთობა	FH23. ყოფილა თუ არა ოჯახში ძალადობის შემთხვევა ოჯახის წევრებს შორის (ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური, იძულება)?	მაღალი (H)
15	თანადგომის ქსელი	FM24. ჰყავს თუ არა ოჯახს პიროვნება (პიროვნებები), რომელთაც ისინი მიმართავენ დახმარებისთვის საჭიროების შემთხვევაში?	საშუალო (M)
16	ოჯახის გარიყულობა/სტიგმატიზება	FM25. იციან თუ არა ოჯახის წევრებმა ქართული ენა?	საშუალო (M)
		FM26. ხომ არ არის/ყოფილა ოჯახი სტიგმატიზებული/გარიყული თემის მიერ რაიმე ნიშნით?	საშუალო (M)
17	ბავშვ(ებ)ის უსაფრთხოება ოჯახში	FM27. ყოფილა თუ არა ოჯახში ბავშვის გარდაცვალების შემთხვევა?	საშუალო (M)
		FM28. ყოფილა თუ არა ოჯახში ბავშვის ზრუნვის სისტემაში (სახელმწიფო ან არასახელმწიფო) მოხვედრის შემთხვევა?	საშუალო (M)
18	მშობლის და ბავშვების თანაცხოვრება ოჯახში	FM29. არის/ყოფილა თუ არა რომელიმე მშობლის უფლება შეზღუდული/ჩამორთმეული რომელიმე ბავშვთან მიმართებაში?	საშუალო (M)
		FM30. არის თუ არა ბავშვის მშობელი მარტოხელა მშობელი?	საშუალო (M)

მოწყვლადობის დონის გამოთვლა მოხდა შემდეგნაირად: მაღალი რისკის ფაქტორს (H), მისი არსებობის შემთხვევაში მიენიჭა ქულა 2, ხოლო საშუალო რისკის ფაქტორს (M) კი – ქულა 1. ამავე დროს, ზოგ შემთხვევაში, რისკის ინტენსივობის გამოსაკვეთად, ხდებოდა ერთი ქულის მომატება. ასეთი შემთხვევაა სულ 8 (H კატეგორიის 4 კითხვა და M კატეგორიის 4 კითხვა). ეს შემთხვევები მოცემულია ცხრილში (#5).

ცხრილი #5: გამონაკლისის შემთხვევები

კითხვის #	**კითხვა**	**კომენტარი**
ბავშვის CH12 კითხვა	*არის თუ არა უზრუნველყოფილი ბავშვი ძირითადი საჭიროებებით (ადეკვატური კვება, ზრუნვა ჰიგიენაზე, სასწავლო ინვენტარი, ადეკვატური ჩასაცმელი, სიყვარული, სითბო)?*	• თუ პასუხი არის - *ნაწილობრივ* მიენიჭა 2 ქულა; • თუ პასუხი არის - *საერთოდ არ არის უზრუნველყოფილი* - 3 ქულა.
ბავშვის CH13 კითხვა	*ხომ არ ხდება ბავშვზე ძალადობა რაიმე ფორმით?*	• თუ პასუხი არის - *ფიზიკური, შრომითი და სექსუალური* - 3 ქულა. • თუ პასუხი არის - *ფსიქოლოგიური ძალადობა* - 2 ქულა.
ოჯახის FM2 კითხვა	*რამდენი შვილია (18 წელს ქვემოთ) ოჯახში?*	• თუ პასუხი არის - *3 შვილზე მეტი*- 2 ქულა. • თუ პასუხი არის - *3 შვილიანი ოჯახი* - 1 ქულა.
ოჯახის FM3 კითხვა	*რამდენი ხანდაზმულია (60 წელს ზემოთ) ოჯახში?*	• თუ პასუხი არის - *2 და 2 -ზე მეტს* - 2 ქულა. • თუ პასუხი არის - *1 ხანდაზმულს* - 1 ქულა.
ოჯახის FM4 კითხვა	*რამდენი ორსული ან მეძუძური დედაა (ერთ წლამდე ბავშვით) ოჯახში?*	• თუ პასუხი არის - *2 და 2-ზე მეტს* - 2 ქულა. • თუ პასუხი არის - *1 ორსულს* - 1 ქულა.
ოჯახის FH8 კითხვა	*აქვს თუ არა ოჯახს სტაბილური შემოსავალი?*	• თუ პასუხი არის - *არა* - 3 ქულა. • თუ პასუხი არის - *დიახ და დაკონკრეტებულია შემდეგი: საარსებო შემწეობა, დევნილთა შემწეობა, რეინტეგრაციის შემწეობა, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების პროგრამის ფარგლებში ფულადი დახმარება, შშმ პენსია, მარჩენალდაკარგულის პენსია* - 2 ქულა.
ოჯახის FM9 კითხვა	*მიუმართავს ოჯახს სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის ან სხვა უწყებისთვის მატერიალური (ფულადი ან არაფულადი) დახმარების მისაღებად საჭიროების შემთხვევაში? (ეს კითხვა უნდა დასვათ მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ არის ოჯახში საჭიროება, თუ ოჯახს ამის საჭიროება არ ჰქონდა, ამ კითხვას არ დავსვათ)*	• თუ პასუხი არის - *არა, არ მიუმართავს, თუმცა სჭირდებოდა. (დააკონკრეტეთ მიზეზი, რატომ არ მიმართა, თუ სჭირდებოდა, რამ შეუშალა ხელი)* – 2 ქულა. • თუ პასუხი არის - *დიახ, მიმართა და არ მიიღო/ან მიიღო შესაბამისი დახმარება (დააკონკრეტეთ მიზეზი, რატომ არ მიიღო)* – 1 ქულა.
ოჯახის FH23 კითხვა	*ყოფილა თუ არა ოჯახში ძალადობის შემთხვევა ოჯახის წევრებს შორის (ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური, იძულება)?*	• თუ პასუხი არის - *ფიზიკური, შრომითი და სექსუალური* - 3 ქულა. • თუ პასუხი არის - *ფსიქოლოგიური ძალადობა* - 2 ქულა.

ინსტრუმენტის მიხედვით, ბავშვისა და ოჯახის მოწყვლადობის მაქსიმალური ქულა არის 67. განისაზღვრა მოწყვლადობის საშუალო მაჩვენებელი საშუალო ქულის

გამოთვლის მიხედვით. ასევე, განისაზღვრა მოწყვლადობის ზღვარი, რომელიც არის 2. მაშასადამე, 0-1 ქულის ჩათვლით არ ვხვდებით მოწყვლადობის დონეს, 2 ქულიდან მოწყვლადობის საშუალო მაჩვენებლამდე განსაზღვრულია, როგორც მოწყვლადობის დაბალი დონე, ხოლო მოწყვლადობის საშუალო მაჩვენებლის ზემოთ კი – მოწყვლადობის მაღალი დონე (იხ. ცხრილი #6).

ცხრილი #6: მოწყვლადობის დონის მაჩვენებლები

მოწყვლადობის დონეები	
მაღალი მოწყვლადობა	> მოწყვლადობის საშუალო მაჩვენებელი
საშუალო მოწყვლადობა	= მოწყვლადობის საშუალო მაჩვენებელი
დაბალი მოწყვლადობა	>1 და < მოწყვლადობის საშუალო მაჩვენებელი
არამოწყვლადობა	<=1

ამრიგად, თითოეულ ბავშვს დაუდგინდა თავისი მოწყვლადობის ქულა. ის ბავშვი, რომელიც ყველაზე მაღალი მოწყვლადობის ქულას აგროვებს, უფრო მეტად მოწყვლადია სხვა ბავშვებთან შედარებით და საჭიროებს გადაუდებელ ჩარევას. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ შეიძლება ბავშვმა მიიღოს დაბალი ქულა, მაგრამ მაინც საჭირო იყოს გადაუდებელი ჩარევა (მაგ. შეიძლება ბავშვმა მიიღოს 3 ქულა, რადგან არის ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი და, ბუნებრივია, ასეთ შემთხვევაში აუცილებელი იქნება გადაუდებელი ჩარევა). დეტალური ინფორმაცია, თუ რომელ კატეგორიებში სჭირდება ბავშვს ჩარევა და დახმარება, შესაძლებელია, გამოვლინდეს მონაცემთა ბაზების მიხედვით და შეიძლება, დაიგეგმოს ინდივიდუალური ინტერვენცია თითოეულ ბავშვსა და, შესაბამისად, ოჯახთან.

მოწყვლადობის ქულის გამოთვლის დროს გათვალისწინებულ იქნა შემდეგი ფაქტორები:

ა) ძალადობა ბავშვის მიმართ: ემოციური/ფიზიკური/სექსუალური ძალადობა ბავშვის მიმართ, ბავშვი არის მზრუნველი, ოჯახის წევრებს შორის ძალადობა, ადგილი აქვს ბავშვის გარდაცვალების შემთხვევებს (ბავშვის უსაფრთხოების საკითხები);

ბ) სიღარიბე/მისი რისკფატორები: სახელმწიფო ზრუნვაში მოხვედრილი ბავშვი, ძირითადი საჭიროებების არაადეკვატური დაკმაყოფილება, მშობლებს უძნელდებათ ბავშვის მოვლა, ოჯახში ბავშვის რაოდენობა არის 3 ან 3 ზე მეტი, ხანდაზმულთა რაოდენობა, ოჯახში არის მეძუძური/ფეხმძიმე დედა, ოჯახში არის 6

ზე მეტი სული, ოჯახი იღებს სოციალურ შემწეობას, არ აქვს სტაბილური შემოსავალი და ა.შ.

გ) საცხოვრებელი პირობები: საცხოვრებელი პირობები არაა დამაკმაყოფილებელი, უსახლკარობა (ოჯახი ცხოვრობს ფარეხში) და ა.შ.

დ) მოწყვლადობის ქულის დათვლაში, ასევე, გათვალისწინებული იქნა ოჯახის წევრების დასაქმება, განათლება (საბაზისოზე ნაკლები), ჯანმრთელობა (შშმპ სტატუსი, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სერიოზული პრობლემები), ნივთიერებაზე დამოკიდებულება (ძირითადად, ალკოჰოლიზმის პრობლემა გვხვდება), მხარდამჭერი (თანადგომის) ქსელის არ არსებობა და მარტოხელა მშობლობა.

ე) დისკრიმინაციის განმაპირობებელი ფაქტორები: პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის არქონა, შშმ სტატუსი ან ჯანმრთელობის გამოკვეთილი პრობლემა, საბაზისო განათლების მიღებაში პრობლემები (მაგ. შშმ პირებისთვის განათლების მიუწვდომლობა), ასოციალური ქცევა, გადაადგილების, ტრანსპორტირების პრობლემები, დისკრიმინაციის და სტიგმატიზაციის ობიექტად გახდომა.

ვ) ასევე, გათვალისწინებულ იქნა ბუნებრივი, ადამიანების მიერ განპირობებული კრიზისი/კატასტროფები/კატაკლიზმები, როგორებიცაა: ბავშვზე ძირითადი მზრუნველი არაა მშობელი სხვადასხვა მიზეზის გამო (მაგ. მშობლები არიან გაშორებულები, გარდაცვალების გამო), ოჯახი არის დევნილი, ოჯახის წევრი იმყოფება მიგრაციაში, სოფელი ხასიათდება ბუნებრივი კატასტროფებით, როგორებიცაა: სეტყვა, გვალვა, ქარიშხალი და ყინვა.

3.2. შერჩევა

კვლევის მონაწილეების განსასაზღვრად გამოყენებულ იქნა არაალბათური (მიზანმიმართული) შერჩევა. შერჩევის ჩარჩო იყო მოწყვლადი ოჯახი. მოწყვლადი ოჯახების ბაზა მოვიპოვეთ საერთაშორისო ორგანიზაციისგან „ვორლდ ვიჟენი“[24]. კვლევაში მონაწილეობის მისაღებად შეირჩა 3 რეგიონის: კახეთის, იმერეთისა და სამცხე-ჯავახეთის – სოფლები. რეგიონების შერჩევის სახე იყო მისაწვდომი შერჩევა.

[24] ორგანიზაცია „ვორლდ ვიჟენი“ მუშაობს მოწყვლად ბავშვებსა და ოჯახებთან რურალური განვითარების პროგრამის ფარგლებში, რომლის მიზანია მოწყვლადი ბავშვების მხარდაჭერა და გაძლიერება.

შეირჩა კახეთის რეგიონის (კერძოდ, თელავის, ყვარლისა და გურჯაანის მუნიციპალიტეტები), იმერეთის რეგიონის (ბაღდათისა და ზესტაფონის მუნიციპალიტეტები) და სამცხე-ჯავახეთის რეგიონის (ახალციხისა და ადიგენის მუნიციპალიტეტები) ის სოფლები, სადაც მუშაობდა საერთაშორისო ორგანიზაცია „ვორლდ ვიჟენი“. რეგიონის შიგნით, აღნიშნული მუნიციპალიტეტის სოფლების ფარგლებში, განხორციელდა მოწყვლადი ოჯახების აღწერა, საერთაშორისო ორგანიზაციამ „ვორლდ ვიჟენი“ მოგვაწოდა მოწყვლადი ოჯახების სია, რომელიც თავის მხრივ სოფლის რწმუნებულებთან იყო გადამოწმებული. ეს ჯგუფი ნაშრომში მოხსენიებული იქნება, როგორც **კვლევის ძირითადი სამიზნე ჯგუფი,** რომელიც „ვორლდ ვიჟენის“ მიერ იყო შერჩეული თავისი პროგრამული ინტერვენციისთვის, როგორც ყველაზე მოწყვლადი.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ორგანიზაცია „ვორლდ ვიჟენის“ შერჩევის ტენდენციების გამოსავლენად ჩვენ გამოვიყენეთ შესადარებად **ალტერნატიული შერჩევის სამიზნე ჯგუფი**. ალტერნატიული შერჩევა ჩვენს შემთხვევაში გულისხმობს „გამოცდილებით ექსპერტების“ მიერ შერჩევას იმ დაშვებიდან გამომდინარე, რომ „გამოცდილებით ექსპერტებმა“, რომლებიც მოწყვლად ჯგუფს მიეკუთვნებიან, უკეთ იციან, ადგილობრივ თემში თუ ვინ არის ყველაზე მოწყვლადი. მაშასადამე, ექსპერტული გამოკითხვით შევარჩიეთ ალტერნატიული შერჩევის სამიზნე ჯგუფის წევრები. ექსპერტებად მიჩნეულ იქნა თავად ის მოწყვლადი ოჯახები, რომლებთანაც მუშაობდა ორგანიზაცია „ვორლდ ვიჟენი“, რადგან ისინი შეგვიძლია, განვიხილოთ თავიანთი გამოცდილების გათვალისწინებით ექსპერტებად (experts by experience). შედარების მიზანი იყო, დაგვედგინა, თუ როგორ განსხვავდება ინტერვენციის განმახორციელებლის შერჩევა „გამოცდილებით ექსპერტების“ შერჩევისგან. აღნიშნული საკითხი უკავშირდება კვლევის მეორე ჰიპოთეზას[25]. ალტერნატიული შერჩევის სამიზნე ჯგუფი შევარჩიეთ მხოლოდ კახეთის რეგიონში. ალტერნატიული შერჩევის სამიზნე ჯგუფის კვლევას ვუწოდებთ **პილოტურ კვლევას,** რადგან საპილოტე კვლევა გვჭირდებოდა ჩვენი ეჭვის ლეგიტიმაციისათვის, რომელიც ეხებოდა იმას, რომ თარგეთირებული/მიზნობრივი მიდგომების საშუალებით,

[25] ჰიპოთეზა მეორე: იქ, სადაც აქტორები ირჩევენ საჭიროებებზე დაფუძნებულ მიდგომებს და ახორციელებენ ვიწრო მიზნობრივ ჯგუფებზე ორიენტირებულ (targeted) პროგრამებს, ეს პროგრამები წინააღმდეგობაში მოდის თავიანთ მიზნებთან და მოიცავს არა მათ, ვისაც ყველაზე მეტად სჭირდება მხარდაჭერა, არამედ უკეთესი საწყისი პირობების მქონე მიზნობრივი ჯგუფის წარმომადგენლებს (adverse selection ანუ „მანკიერი შერჩევა“).

სინამდვილეში შერჩევა ხდება ნაკლებ მოწყვლადების, ანუ უკეთესი საწყისი პირობების მქონე მიზნობრივი ჯგუფის, ნაკლებ მარგინალიზებულების. მაშასადამე, ეს კვლევა პილოტური იყო იმ თვალსაზრისით, რომ გვენახა (გამოგვეცადა ეს მიდგომა), თუ რამდენად მოგვცემდა ეს კვლევა შემდგომი კვლევის საფუძველს.

კვლევის ერთეული არის **ბავშვი**. რაც ნიშნავს იმას, რომ ოჯახში ყველა ბავშვზე ივსებოდა კითხვარი. ბავშვის შესახებ შეკითხვებს პასუხობდა ბავშვების კანონიერი წარმომადგენელი (ბავშვის მშობელი ან მეურვე/მზრუნველი) ან ბავშვის ძირითადი მზრუნველი. თუ ოჯახში ბავშვების კანონიერი წარმომადგენელი/ბავშვის ძირითადი მზრუნველი არ იყო, მაშინ იგეგმებოდა მორიგი შეხვედრა ოჯახთან.

3.3. ინსტრუქციები და კვლევის ეთიკა

კვლევის მონაწილეები იყვნენ ინფორმირებულნი კვლევის მიზნების შესახებ. მათ მოახსენეს, რომ კვლევა იყო კონფიდენციალური და კვლევის შედეგები მხოლოდ კვლევის მიზნებისთვის იქნებოდა გამოყენებული.

ინტერვიუს დაახლოებით ორი საათი სჭირდებოდა, გამომდინარე იქიდან, თუ რამდენი ბავშვი იყო ოჯახში. ყველა ბავშვზე ინფორმაციის შევსება ხორციელდებოდა ცალ-ცალკე, ხოლო ოჯახის ინფორმაცია იყო საერთო.

3.4. მონაწილეები

კვლევაში მონაწილეობა მიიღო კახეთის (თელავის, ყვარლისა და გურჯაანის მუნიციპალიტეტები), იმერეთის (ბაღდათისა და ზესტაფონის მუნიციპალიტეტები) და სამცხე-ჯავახეთის (ახალციხისა და ადიგენის მუნიციპალიტეტები) სოფლების 3661 ოჯახმა და 6670 ბავშვმა. იხ. ცხრილი # 7.

ცხრილი #7: რესპონდენტების ჯამური რაოდენობა

რეგიონი	**ოჯახების რაოდენობა**	**ბავშვების რაოდენობა**
კახეთის 20 სოფელი	1424	2625
იმერეთის 12 სოფელი	813	1495
სამცხე-ჯავახეთის 19 სოფელი	1424	2650
სულ	**3661**	**6770**

ქვემოთ ცხრილში (#8,9,10) მოცემულია რესპონდენტების (ოჯახები და ბავშვები) რაოდენობა რეგიონებისა და სოფლების მიხედვით.

ცხრილი #8: რესპონდენტების რაოდენობა სოფლების მიხედვით კახეთის რეგიონში

#	სოფელი	სამიზნე ოჯახების რაოდენობა	სამიზნე ოჯახებში ბავშვთა რაოდენობა
1	აკურა	123	220
2	ართანა	7	11
3	ბუშეტი	38	75
4	ენისელი	103	184
5	ვაზისუბანი	142	256
6	ვანთა	72	124
7	ვაჩნაძიანი	128	222
8	კალაური	136	234
9	კისისხევი	2	4
10	კონდოლი	138	250
11	ლალისყური	4	10
12	ლეჩური	3	7
13	ნაფარეული	98	168
14	სანიორე	4	5
15	ფშაველი	94	172
16	ქვემო ხოდაშენი	2	3
17	შალაური	4	8
18	შაქრიანი	2	2
19	შაშიანი	192	348
20	წინანდალი	132	223
	სულ	**1424**	**2526**

ცხრილი #9: რესპონდენტების რაოდენობა სოფლების მიხედვით იმერეთის რეგიონში

#	სოფელი	სამიზნე ოჯხების რაოდენობა	სამიზნე ოჯახებში ბავშვთა რაოდენობა
1	დიდველა	36	70
2	დიმი	167	306
3	მეორე ობჩა	53	86
4	მეორე სვირი	165	317
5	პირველი ობჩა	49	87
6	როდინაული	3	5
7	როკითი	23	41
8	როხი	55	110
9	სადგური სვირი	27	50
10	ფერსათი	90	165
11	შუბანი	18	27
12	წითელხევი	127	231
	სულ	**813**	**1495**

ცხრილი #10: რესპონდენტების რაოდენობა სოფლების მიხედვით სამცხე-ჯავახეთის რეგიონში

#	სოფელი	სამიზნე ოჯხების რაოდენობა	სამიზნე ოჯახებში ბავშვთა რაოდენობა
1	აგარა	25	56
2	არალი	112	195
3	ბოლაჯური	75	142
4	გომარო	53	114
5	დერცელი	33	70
6	ვალე	240	459
7	ვალე II შახტა	39	76
8	ზემო სხვილისი	29	56
9	ზანავი	46	90
10	ზარზმა	39	76
11	კლდე	66	131
12	მოხე	32	61
13	მუსხი	52	105
14	სხვილისი	64	102
15	უდე	240	443
16	ურაველი	63	116
17	წირა	65	111
18	წნისი	34	65
19	წყრუთი	117	182
სულ		**1424**	**2650**

ასევე, ალტერნატიული შერჩევის სამიზნე ჯგუფში მონაწილეობა მიიღეს ექსპერტული გამოკითხვით შერჩეულმა ოჯახებმა, რომელთა მიხედვითაც გამოკითხულთა შორის აღმოჩნდნენ ის ოჯახებიც, რომლებიც დასახელებულ იქნა თავად გამოკითხული ოჯახების მიერ, როგორც მოწყვლადი ოჯახები. კახეთში (თელავის, ყვარლისა და გურჯაანის მუნიციპალიტეტები) კვლევამ მოიცვა ასეთი 106 ოჯახი, სადაც ცხოვრობდა 191 ბავშვი. ქვემოთ ცხრილში (#11) მოცემულია რესპონდენტების (ოჯახები და ბავშვები) რაოდენობა სოფლების მიხედვით ალტერნატიული შერჩევის სამიზნე ჯგუფში.

ცხრილი #11: რესპონდენტების რაოდენობა ალტერნატიული შერჩევის სამიზნე ჯგუფში კახეთის რეგიონში

#	სოფელი	ოჯახების რაოდენობა	ბავშვთა რაოდენობა
1	აკურა	6	10
2	ბუშეტი	10	17
3	ენისელი	10	18
4	ვაზისუბანი	10	22
5	ვანთა	10	19
6	ვაჩნაძიანი	10	16
7	კალაური	7	11
8	კონდოლი	8	9
9	ნაფარეული	10	17
10	ფშაველი	9	17
11	შაშიანი	9	22
12	წინანდალი	7	13
	სულ	**106**	**191**

3.5. შეზღუდვები

რაოდენობრივი კვლევის ერთ-ერთ შეზღუდვაა საპილოტე კვლევა (ალტერნატიული შერჩევის სამიზნე ჯგუფი), რადგან ამ ჯგუფში შერჩევა მაღალი ცდომილების მატარებელია. საპილოტე კვლევა იყო ჩვენთვის საშუალება, განგვეხორციელებინა ტენდენციის აღმწერითი კვლევა. კერძოდ, საპილოტე კვლევა გვჭირდებოდა ჩვენი ეჭვის ლეგიტიმაციისათვის, რომელიც ეხებოდა იმას, რომ თარგეთირებული/მიზნობრივი მიდგომების საშუალებით, სინამდვილეში შერჩევა ხდება ნაკლებ მოწყვლადების, ანუ უკეთესი საწყისი პირობების მქონე მიზნობრივი ჯგუფის, ნაკლებ მარგინალიზებულების. ალტერნატიული შერჩევის სამიზნე ჯგუფის მეშვეობით კვლევამ აჩვენა ამ მიმართულებით ტენდენცია, რომლის შემოწმებაც საჭიროა და მოითხოვს დამატებით კვლევას.

რაც შეეხება ინსტრუმენტის შეზღუდვებს, ინსტრუმენტის შეზღუდვა ნაწილობრივ უკავშირდება მისი ვალიდობის საკითხს. კვლევის ფარგლებში არ მოგვეცა საშუალება, მოგვეხდინა ინსტრუმენტის ვალიდაცია, ანუ გამოგვეცადა იგი არამოწყვლად პოპულაციაზე, რაც მოგვცემდა იმის საშუალებას, განგვესაზღვრა, რამდენად ავლენს რეალურად მოწყვლადობის რისკებს. მაშასადამე, სამომავლოდ მიზანშეწონილია ამ ინსტრუმენტის არამოწყვლად ოჯახებთან გამოცდა, რაც

მოგვცემს მისი დახვეწის საშუალებას. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კვლევის ფარგლებში, ჩვენ საშუალება გვქონდა, გამოგვეცადა ინსტრუმენტი მოწყვლადობის მიხედვით ორ განსხვავებულ ჯგუფთან (ძირითადი სამიზნე ჯგუფი და ალტერნატიული შერჩევის სამიზნე ჯგუფი). ამ პროცესში ინსტრუმენტის მეშვეობით გამოვლენილი განსხვავებული შედეგები ასახავდა რა ამ ჯგუფების სპეციფიკურ მახასიათებლებს, ადასტურებს იმას, რომ ინსტრუმენტი მგრძნობიარეა მოწყვლადობის სხვადასხვა ჯგუფის საჭიროებების მიმართ.

ასევე, ინსტრუმენტის ერთ-ერთი შეზღუდვაა ძალადობის იდენტიფიცირებისათვის საკმარისი ინდიკატორების ნაკლებობა. ძალადობის ინდიკატორების ჩაშლა გამოიწვევდა რა ინსტრუმენტის გავრცობას, ჩვენ წინაშე არსებული გამოწვევების გათვალისწინებით (კერძოდ ის, რომ რესპონდენტებთან მხოლოდ ერთჯერადი ინტერვიუს განხორციელების შესაძლებლობა გვქონდა, ასევე, ინტერვიუ ხორციელდებოდა ოჯახში და ხშირ შემთხვევაში კონფიდენციალობის დაცვისთვის საჭირო გარემოს უზრუნველყოფა ჭირდა, რაც ართულებდა რესპონდენტებში გულწრფელობის გამოწვევას) მისი პრაქტიკაში გამოყენება გაძნელდებოდა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კვლევის ინსტრუმენტის შეზღუდვაა, ასევე, გავარკვიოთ, თუ რა მოცულობის დახმარებას (სოციალური დახმარება და მომსახურებები) იღებდა ჯამურად ესა თუ ის ჯგუფი. კვლევის ინსტრუმენტი ინფორმაციას გვაწვდის მხოლოდ სოციალური დახმარების[26] მიღების შესახებ.

[26] სოციალურ დახმარებაში ინსტრუმენტი მოიაზრებს შემდეგი სახის სოციალურ დახმარებებს: საარსებო შემწეობა, დევნილთა შემწეობა, რეინტეგრაციის შემწეობა, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების პროგრამის ფარგლებში ფულადი დახმარება ოჯახში რიგით მესამე და მომდევნო ბავშვზე, შშმ პენსია, მარჩენალდაკარგულის პენსია.

თავი III: თვისებრივი კვლევის შედეგები

1. აქტორების საერთო ხედვები და მიდგომები

სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელებს მსგავსი ხედვები აქვთ ბავშვთა კეთილდღეობის სისტემაში არსებული პრობლემების თაობაზე. ამას ხელს უწყობს ამ სექტორებს შორის კოორდინირებული მუშაობის გამოცდილება. გამოკითხული ექსპერტებიდან თითქმის ყველა მიიჩნევს, რომ ბავშვზე ზრუნვის რეფორმა, რომელიც გულისხმობს „დიდი ზომის ინსტიტუციების დაშლასა და ბავშვზე ზრუნვის ალტერნატიული ფორმების დამკვიდრებას, პროგრესულია“ (პრაქტიკოსი არასამთავრობო ორგანიზაციიდან) და ბავშვებზე კოლექტიური ზრუნვის მიდგომებიდან ინდივიდუალურ ზრუნვაზე გადასვლა უდავოდ წინ გადადგმული ნაბიჯია:

> *”კარგი შედეგები მივიღეთ. მართალია, პრობლემები ჯერ კიდევ არის, მაგრამ ძველთან შედარებაც არ არის” (ექსპერტი სახალხო დამცველის ოფისის ბავშვის უფლებათა ცენტრიდან).*

აქვე უნდა აღინიშნოს, ”ზოგჯერ მოდის ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციაც” და, ამდენად, ბავშვზე ზრუნვის სისტემის რეფორმის ”ცალსახად პოზიტიურად შეფასება ძნელია” (ექსპერტი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდიდან). სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების ხედვების საერთო საფუძველია ბავშვის უფლება, გაიზარდოს ოჯახში ან ოჯახთან მიახლოებულ გარემოში, აღიარებენ რა „ოჯახის უპირატეს, ჩაუნაცვლებელ როლს ბავშვის ცხოვრებაში“ (ექსპერტი, სოციალური მომსახურების სააგენტოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოდან).

ამ მხრივ განსხვავებული სურათი გვაქვს საპატრიარქოს სოციალურ სამსახურში, რომლის მიდგომებში ვლინდება მეტი აქცენტი ოჯახის ჩანაცვლებაზე, მიუხედავად იმისა, რომ აღიარებენ ოჯახის „ჩაუნაცვლებელ როლს“ ბავშვის აღზრდის პროცესში. იკვეთება რიგიდული დამოკიდებულება საპატრიარქოს დაქვემდებარებაში არსებულ ბავშვთა სახლების დეინსტიტუციონალიზაციისადმი. საპატრიარქოს სოციალური სამსახურის ექსპერტის აზრით, ეს პროცესი „რთული განსახორციელებელი იქნება

საპატრიარქოსთვის“, რადგან „ბავშვები, რომლებიც ცხოვრობენ ინსტიტუციებში, გრძნობენ, რომ ყველაზე უახლოესები თვითონ არიან ერთმანეთისთვის, ნათესავებად აღიქვამენ ერთმანეთს“ და მათთვის ალტერნატიული მომსახურების შეთავაზება, მაგალითად, „მცირე საოჯახო ტიპის სახლებში გადანაწილება ისეთივე ტრავმა იქნება, როგორც დედისაგან რომ შვილი მოწყვიტო“. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „ამ სახლებში მცხოვრები ბავშვების უმრავლესობას ჰყავთ მშობლები“ (ექსპერტი საპატრიარქოს სოციალური სამსახურიდან), რომლებიც სწორედ „სიღარიბისა და ოჯახის მთლიანობის შესანარჩუნებლად არარსებული მხარდაჭერის გამო აბარებენ ბავშვებს ამ სახლებში“ (პრაქტიკოსი არასამთავრობო ორგანიზაციიდან). იმის გათვალისწინებით, რომ დღეს საპატრიარქოს დაწესებულებებში ბავშვების განთავსება სოციალური მომსახურების სააგენტოს გვერდის ავლით ხდება, ისმის კითხვა, რამდენად ეფექტიანია ”ჭიშკრის დარაჯობის” პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც ბავშვების განთავსების საფუძვლების მკაცრი დაცვით უნდა მოხდეს 24 საათიან ზრუნვაში/ზრუნვიდან ბავშვების განთავსება/გამოსვლა. ამ პოლიტიკის „ამოსავალი ის არის, რომ სოციალური დახმარებისა და მომსახურების მიწოდების მთავარი მიზანი ბავშვის ოჯახში შენარჩუნებაა, რისთვისაც მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ ყველა არსებული რესურსი ბავშვის ოჯახის გაძლიერებისათვის, რათა ოჯახმა თავად შეძლოს შვილზე ზრუნვა“ (ექსპერტი, სოციალური მომსახურების სააგენტოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოდან). ეს უკანასკნელი პრინციპი კი უგულებელყოფილია საპატრიარქოს სოციალური სამსახურის მიერ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საპატრიარქოს სოციალური სამსახური აღიარებს სხვადასხვა აქტორს შორის თანამშრომლობის აუცილებლობას და საპატრიარქოს მონაწილეობას მნიშვნელოვნად მიიჩნევს ამ პროცესებში:

> *„ნუ შევხედავთ ისე ეკლესიას, რომ სოციალურ ცვლილებებს ეწინააღმდეგებოდეს. ჩვენც უნდა დაგვიძახონ, მოვალთ, ჩვენ ჩვენს აზრს ვიტყვით, სხვები – თავისას. ჩვენ სოციალური მომსახურების 2000 წლოვანი გამოცდილება გვაქვს“ (ექსპერტი საპატრიარქოს სოციალური სამსახურიდან).*

მიუხედავად ხედვების სიახლოვისა და თანამშრომლობის გამოცდილებისა, სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლობას პრობლემებიც

ახლავს. ხშირად სახელმწიფო ვერ ხარჯავს სხვადასხვა სოციალურ პროგრამაზე გამოყოფილ ფულს, მაგრამ არ ქირაობს არასამთავრობო ორგანიზაციების მომსახურებას. ასევე, სახელმწიფო აწესებს ბავშვზე ზრუნვის სტანდარტებს, რაც, ერთი მხრივ, მისასალმებელია, თუმცა, მეორე მხრივ, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ სახელმწიფო „არ გამოყოფს შესაბამის ფინანსურ მხარდაჭერას, რაც არასამთავრობო მომსახურებას მისცემს საშუალებს, დაიცვას ზრუნვის სტანდარტები“ (პრაქტიკოსი არასამთავრობო ორგანიზაციიდან). როგორც თავად არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები აღნიშნავენ, არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის არასაკმარისი კოორდინაციაც ხელს უშლის ეფექტიან თანამშრომლობას. „კოორდინირებული მუშაობა და ინფორმაციის გაცვლა სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციას შორის კვლავ გამოწვევაა“ (პრაქტიკოსი არასამთავრობო ორგანიზაციიდან), მიუხედავად იმისა, რომ შექმნილია ბავშვთა და ახალგაზრდობის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების კოალიცია, რომელიც აერთიანებს 50-მდე ორგანიზაციას და რომლის ერთ-ერთი დანიშნულება სწორედ კოორდინაციის გაუმჯობესებაა.

ბავშვთა და ახლაგაზრდების მონაწილეობა მათი კეთილდღეობის შესახებ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში აღიარებული პრინციპია როგორც სამთავრობო, ასევე, არასამთავრობო აქტორების მიერ. ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო სტანდარტების მიხედვით, „მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია, გაითვალისწინოს ბენეფიციარის (ბავშვი, ახალგაზრდა) აზრი და შეხედულებები მასთან დაკავშირებული საკითხების განხილვისას და უზრუნველყოს მისი ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში“ (საქართველოს მთავრობის დადგენილება #66: ტექნიკური რეგლამენტი ბავშვზე ზრუნვის სტანდარტის დამტკიცების შესახებ, 2014, მუხლი 10, პუნქტი 2. დ.). მიუხედავად ამისა, ახალგაზრდები საუბრობენ მათს მონაწილეობასთან დაკავშირებით არსებულ სირთულეებზე. ეროვნულ კოალიციასთან არსებული ახალგაზრდული საბჭოს წევრების აზრით, მაგალითად, დეინსტიტუციონალიზაციის პროცესში მათი მონაწილეობა და აზრის გათვალისწინება უგულებელყოფილი იყო:

“არავინ არაფერს მეკითხებოდა, პასუხსაც არ მცემდნენ... ვაპროტესტებდი, არ მინდოდა იქ გადასვლა, სადაც არ ვიცოდი, რა მელოდა.. და დამცინოდნენ კიდეც - როგორ „ბლატაობო“. თვითონ რომ ასე მოექცნენ, არა მგონია, მოეწონოთ” (ბენეფიციარი, ეროვნულ კოალიციასთან არსებული ახალგაზრდული საბჭოს წევრი).

ახალგაზრდები გამოთქვამენ უკმაყოფილებას მათი მონაწილეობის ხარისხის შესახებ მათივე ცხოვრების დაგეგმვაში და აღწერენ პრაქტიკას, როცა “არავინ არაფერს გეკითხება“, მონაწილეობა არათუ წახალისებულია, „ კითხვებზე პასუხსაც არ გცემენ“ და ამასთან დაკავშირებით „პროტესტს ცუდ ქცევად გითვლიან“ (ბენეფიციარი, ეროვნულ კოალიციასთან არსებული ახალგაზრდული საბჭოს წევრი).

2. სისტემის ხარვეზები ადამიანური რესურსის თვალსაზრისით

ბავშვთა კეთილდღეობის სისტემის ხერხემალს წარმოადგენს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში დასაქმებული 250- მდე სოციალური მუშაკი, რომლებიც 22 მიმართულებით მუშაობენ. მიუხედავად ამისა, სოციალური მუშაკის ინსტიტუტი საჭიროებს განვითარებას. დღეს აღნიშნული სამსახური ვერ პასუხობს ბავშვთა კეთილდღეობის სისტემის წინაშე არსებულ გამოწვევებს. სოციალური მუშაკების, როგორც რესურსის, არასაკმარისი რაოდენობა, რთული სამუშაო პირობები, არადაკვატური სამუშაო გარემო, კადრების გადინება და უწყვეტი განათლების ხელმიუწვდომლობა განაპირობებს მათი ინტერვენციების სისუსტეს. ეს სირთულეები, ასევე, აღნიშნულია საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის მიერ განხორციელებულ კვლევაში, რომელიც ეხებოდა სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალურ მუშაკებისთვის არსებულ ტექნიკურ–ადმინისტრაციულ საკითხების შეფასებას (საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია, 2012). სოციალურ მუშაკთა სახელმწიფო მოხელის ბიუროკრატიული ფუნქცია ზღუდავს მათი ინტერვენციების მრავალფეროვნებას, ხოლო გადატვირთული სამუშაო გრაფიკი საფრთხის ქვეშ აყენებს მომსახურების ხარისხს. თავად სოციალური მუშაკები აცნობიერებენ რა აღნიშნულს, „პროფესიული გადაწვის ზღვარსაც კი გასცდნენ“:

„ხშირად ერთ სოციალურ მუშაკს დიდ ქალაქებში 100-მდე შემთხვევაზე უწევს მუშაობა, ასეთ პირობებში შეუძლებელია ხარისხზე საუბარი, სოციალური მუშაკები დემოტივირებულები არიან ამის გამო და ყველას სამსახურიდან წასვლაზე უჭირავს თვალი“ (პრაქტიკოსი, სოციალური მომსახურების სააგენტოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოდან).

არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები თვლიან, რომ სახელმწიფო სოციალური მუშაკები მცირე, თუმცა ხელმისაწვდომ ოჯახის მხარდამჭერ რესურსსაც არ იყენებენ ხშირ შემთხვევაში, რადგან „ეშინიათ პასუხისმგებლობის აღების და ურჩევნიათ, არსად არ ჩართონ ბავშვი“ (პრაქტიკოსი არასამთავრობო ორგანიზაციიდან).

ერთ-ერთ პრობლემად იკვეთება მზრუნველის ინსტიტუტის განვითარება. მზრუნველები, რომლებიც მუშაობენ ოჯახის ჩამნაცვლებელ მომსახურებაში, არიან „ადამიანები, რომლებიც 24 საათის განმავლობაში მუშაობენ ბავშვებთან, მინიმალური ანაზღაურებით და შეზღუდული მხარდაჭერის პირობებში“ (პრაქტიკოსი არასამთავრობო ორგანიზაციიდან). პრაქტიკოსები საუბრობენ მზრუნველების კვალიფიკაციასთან დაკავშირებულ სირთულეებზეც, როდესაც „მზრუნველებმა არ იციან, როგორ იმუშაონ ბავშვებთან, რომელთაც ტრამვული ცხოვრებისეული გამოცდილება აქვთ და რთული ქცევებით ხასიათდებიან“, რადგან „ნაკლებად კეთდება აქცენტი მათს პროფესიულ მომზადებაზე ამ მიმართულებით“ (პრაქტიკოსი არასამთავრობო ორგანიზაციიდან). აღსანიშნავია, რომ ბავშვთა უმრავლესობას, რომელიც ოჯახის ჩამნაცვლებელ ალტერნატიულ ზრუნვაში ხვდება, სწორედ ასეთი ცხოვრებისეული გამოცდილება აქვს.

ბავშვთა კეთილდღეობის სფეროს პრაქტიკოსებით აზრით, სირთულეს ქმნის მეურვეობისა და მზრუნველობის რეგიონული საბჭოს წევრების კომპეტენციები, განსაკუთრებით აღნიშნულთან დაკავშირებით გამოწვევები შეინიშნება რეგიონებში. ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს საბჭოს წევრების მიერ საბჭოს ძირითადი დანიშნულების უგულებელყოფას და ნაცვლად იმისა, რომ გამოწვევა გაუკეთონ ბავშვის საუკეთესო ინტერესების დასაცავად სოციალური მომსახურების სააგენტოს

მიერ მომზადებულ შემთხვევების შესახებ რეკომენდაციებს, ბრმად და დისკუსიის გარეშენ ენდობიან მათს გადაწყვეტილებებს.

3. სისტემის ხარვეზები პროცესის თვალსაზრისით

ამ ქვეთავში აღწერილია ბავშვზე ზრუნვის სფეროში არსებული ის პრობლემები, რომლებიც ეხება არსებული რესურსების ეფექტურ მომსახურებებად გარდაქმნის პროცესს. განხილულია პრევენციული მიდგომის საჭიროება, დისკრიმინაციის პრობლემა, მომსახურების დეცენტრალიზაციის საჭიროება და, ასევე, სისტემური მიდგომების აუცილებლობა. ყველა ეს საჭიროება, რომლებიც გამოავლინა კვლევამ, ასახავს ბავშვთა ზრუნვის პოლიტიკების შემუშავებასა და პრაქტიკულ განხორციელებაში საჭიროებებზე დაფუძნებული მიდგომების პრევალირებას ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომებთან შედარებით.

3.1. პრევენციული მიდგომა

დღევანდელი ბავშვთა კეთილდღეობის სისტემა რეაქტიულია. სახელმწიფოს მხრიდან ვერ ხერხდება რისკჯგუფის ბავშვებისა და ოჯახების გამოვლენა. ამის ერთ-ერთი მიზეზია ის, რომ დღევანდელი მდგომარეობით, „სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური მუშაკის ინსტიტუტს აქვს რეაქტიული ხასიათი, მიუხედავად იმისა, რომ სოციალური მუშაკების სამუშაო აღწერილობაში არის აღნიშნული „აუთრიჩის“[27], კომპონენტი“ (ექსპერტი გაეროს ბავშვთა ფონდიდან). სისტემა რეაგირებს მხოლოდ შემოსულ მომართვებზე და არ მიმდინარეობს მუშაობა ახალი მომართვების მოსაძიებლად თემში. ეს, თავის მხრივ, ზღუდავს რისკის ჯგუფის ბავშვთა დროულ იდენტიფიკაციასა და პრევენციულ საქმიანობას. ამასთან, სახელმწიფო ვერ იყენებს ეფექტიანად არსებულ რესურსებს, მაგალითად, სოციალურ აგენტებს[28], რომლებიც სოციალურად დაუცველ ოჯახებთან მუშაობენ. ექსპერტების მოსაზრებებით, რადგან დღესდღეობით სახელმწიფოს სოციალური მუშაკების საკმარისი რესურსი არ გააჩნია, უნდა შეიქმნას რეფერირების ისეთი სისტემა, რომელშიც სოციალური აგენტები იქნებიან ჩართულები:

---

[27] outreach – მიზნობრივ ჯგუფთან უშალო ურთიერთობის დამყარება

[28] სოციალური აგენტი არის სოციალური მომსახურების სააგენტოს უფლებამოსილი პირი, ვინც ახორციელებს ვიზიტს იმ ოჯახებში, რომლებიც თავს თვლიან ღარიბად და სურთ სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში რეგისტრაცია საარსებო შემწეობის მისაღებად. სოციალური აგენტი ოჯახს ეხმარება „ოჯახის დეკლარაციის" შევსებაში ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ.

„სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური აგენტი უნდა ჩაერთოს რისკჯგუფის ბავშვების გამოვლენაში, რადგანაც ყველაზე მეტად სწორედ სოციალური აგენტებისთვის არის მისაწვდომი ყველაზე მოწყვლადი ოჯახები“ (ექსპერტი პრობაციის ეროვნული სააგენტოდან).

ამასთანავე, ექსპერტები და პრაქტიკოსები ყურადღებას ამახვილებენ, რომ ოჯახების მხარდაჭერის კუთხით ძალიან მწირი რესურსები არსებობს. პრაქტიკოსების მოსაზრებით, არსებული კონტექსტის გათვალისწინებით ძალიან რთულია ოჯახების გაძლიერება. მათი ინტერვენციები მიმართულია საჭიროებების შეფასებაზე, გამოვლენაზე, მაგრამ ნაკლებად მათ დაკმაყოფილებაზე შეზღუდული რესურსებიდან გამომდინარე:

„ძირითადად ჩვენ ოჯახების საჭიროებების შეფასებით ვართ დაკავებულნი .... და რეალურად ოჯახების გაძლიერებაზე ადეკვატური მუშაობას ვერ ვახერხებთ ხელმისაწვდომი რესურსების სიმწირიდან გამომდინარე. ეს დიდი მორალური წნეხია ჩვენთვის (პრაქტიკოსი სოციალური მომსახურების სააგენტოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოდან).

ვლინდება, ასევე, პირველადი ჯანდაცვისა და სამშობიარო სახლების ჩართულობის საჭიროებაც ოჯახისგან ბავშვის დაშორების პრევენციის უზრუნველყოფაში. პრაქტიკოსების აზრით, კრიტიკულია სამედიცინო პერსონალის პროფესიული გადამზადება, „დეფექტოლოგიის ტრადიციებიდან“ „ადამიანზე ცენტრირებულ“ მიდგომებზე დაფუძნებულ პრაქტიკაზე გადასვლა, ეს უკანასკნელი კი განსაკუთრებით აქტუალურია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებსა და მათ ოჯახებთან მუშაობისას:

„წლების განმავლობაში სამედიცინო პერსონალის მიერ მანკიერ პრაქტიკას ლომის წილი ჰქონდა და აქვს ბავშვების ოჯახებისგან დაშორების საქმეში, განსაკუთრებით შეზღუდული შესაძლებლობისა და ჯანმრთელობის პრობლემების არსებობის შემთხვევაში“ (პრაქტიკოსი არასამთავრობო ორგანიზაციიდან).

იკვეთება სოციალური სამსახურის დანერგვის აუცილებლობა პირველადი ჯანდაცვის ობიექტებსა და სამშობიარო სახლებში, რათა მოხდეს სოციალური რისკების დროული და ეფექტიანი ინდენტიფიცირება.

პრევენციული კომპონენტის გაძლიერების კუთხით გამოვლინდა, რომ სკოლა პასიურ როლს თამაშობს ამ მიმართულებით და გამოიკვეთა სკოლების ჩართულობის საჭიროებაც:

„სკოლა ერთ-ერთი სუსტი რგოლია ბავშვთა კეთილდღეობის სისტემაში, სადაც პრევენციული მიმართულებით მუშაობა საერთოდ არ მიმდინარეობს“ (პრაქტიკოსი არასამთავრობო ორგანიზაციიდან).

პრაქტიკოსების მიხედვით, სკოლებში ვლინდება პრობლემები რთული ქცევის ბავშვების მიმღებლობასთან დაკავშირებითაც, როცა „სკოლა ცდილობს თავიდან მოიცილოს ბავშვი, რომელიც პრობლემებს ქმნის, რათა ამით სკოლის იმიჯი არ დაზარალდეს“ (პრაქტიკოსი არასამთავრობო ორგანიზაციიდან), ხოლო არსებული მექანიზმები, რომლებიც საშუალებას მისცემს სკოლას იმუშაოს ბავშვსა და ოჯახთან პრაქტიკულად არაეფექტიანია.

აღსანიშნავია, ასევე, რომ კვლევის მონაწილეები, ექსპერტები და პრაქტიკოსები, ერთ–ერთი სირთულედ ასახელებენ რეგიონებში, განსაკუთრებით მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები ბავშვიანი ოჯახების დაბალ ინფორმირებულობას მიზნობრივი სოციალური დახმარების სისტემით გათვალისწინებული ქვეპროგრამების ფარგლებში მოქმედი მომსახურებების, ასევე, ადგილობრივი თვითმმართველობების დონეზე მოქმედი მუნიციპალური პროგრამების შესახებ. ინფორმაციული ხელმისაწვდომობის ერთ– ერთი დამაბრკოლებელი გარემოებაა სახელმწიფო და მუნიციპალური სოციალური სამსახურების არაეფექტიანი კომუნიკაცია მოსახლეობის ყველა, განსაკუთრებით კი ყველაზე დაუცველ ფენასთან.

3.2. დისკრიმინაციის პრობლემა

ბიოლოგიური ოჯახების დისკრიმინაცია

ბავშვთა კეთილდღეობის უზრუნველყოფის პრევენციული მიდგომის განხორციელების პროცესში პრობლემაა ბავშვთა ბიოლოგიური ოჯახების

დისკრიმინაცია. ერთი მხრივ, სახელმწიფო პოლიტიკა მთავარ ამოცანად სახავს ბავშვის ოჯახში შენარჩუნებასა და ოჯახის გაძლიერების მექანიზმების განვითარებაზე მუშაობას. ამ დროს საქართველოში ბავშვების დეინსტიტუციონალიზაციისა და ოჯახურ გარემოში აღზრდისთვის ბიოლოგიური ოჯახი, მეურვე ან მზრუნველი იღებს თითქმის ხუთჯერ ნაკლები ოდენობის თანხას[29] მინდობით აღმზრდელ ოჯახთან შედარებით. ეწინააღმდეგება რა კონსტიტუციის მე–14 მუხლით გათვალისწინებულ თანასწორი მოპყრობის პრინციპს, სახალხო დამცველის ოფისმა ეს შეაფასა კიდეც უთანასწორო მოპყრობის თვალსაჩინო შემთხვევად.

რეინტეგრირებული ბავშვების მშობლების ფოკუს ჯგუფის მონაწილეები თვლიან, რომ ბავშვზე უნდა ზრუნავდნენ მშობლები, თუმცა, როცა ოჯახს არ აქვს ამის მატერიალური საშუალება, სახელმწიფოც უნდა დაეხმაროს. მათი ძირითადი სირთულე, რის გამოც ოჯახმა შეიძლება, ვერ უზრუნველყოს ბავშვზე ზრუნვა, არის ეკონომიკური შესაძლებლობა, ასევე, უსახლკარობა. პრაქტიკოსები ოჯახისგან ბავშვის განცალკევების ერთ–ერთი არალეგიტიმურ მიზეზად მოიაზრებენ უსახლკარობის პრობლემას, თუმცა აღნიშნავენ იმას, რომ სოციალური მომსახურების სააგენტოს „ზუსტი სტატისტიკა არც კი მოეპოვება, თუ რამდენი ოჯახი სწორედ უსახლკარობის გამო ვერ ზრუნავს ბავშვებზე“ (პრაქტიკოსი არასამთავრობო ორგანიზაციიდან). ადეკვატური საცხოვრისის უფლება ადამიანის ძირითად უფლებად აღიარებულ იქნა 1966 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) მიერ მიღებული ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტით, რომელიც საქართველოში ძალაშია 1994 წლიდან. ამ პაქტით მთავრობები იღებენ ვალდებულებას, რომ უზრუნველყოფენ თითოეული ადამიანის უფლებას, მას და მის ოჯახს ჰქონდეს ცხოვრების სათანადო დონე შესაფერისი კვების, ტანისამოსის და ბინის ჩათვლით; აგრეთვე, უფლებას, განუწყვეტლივ იუმჯობესებდეს ცხოვრების პირობებს. პაქტის მონაწილე

[29] ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნებისას რეინტეგრაციის შემწეობის ოდენობა თვეში 90 ლარია ჯანმრთელი ბავშვისთვის, ხოლო 130 ლარი – შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვისთვის. თუ ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნების ნაცვლად ბავშვი გადაყვანილია მინდობით აღზრდაში, ანაზღაურება წარმოადგენს 15 ლარს ერთ კალენდარულ დღეზე (თვეში 450–465 ლარი) ჯანმრთელი ბავშვისთვის და 20 ლარს ერთ კალენდარულ დღეზე (თვეში 600–620 ლარი) – შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვისთვის.

სახელმწიფოები, ამ უფლების განხორციელების უზრუნველსაყოფად, მიიღებენ შესაბამის ზომებს, აღიარებენ რა, ამ მხრივ, თავისუფალ თანხმობაზე დაფუძნებული საერთაშორისო თანამშრომლობის დიდ მნიშვნელობას (გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეა, 1966). გაეროს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტის მიერ 1991 წელს გამოცემული მე-4 ზოგადი განმარტების თანახმად, საცხოვრისის უფლება არ უნდა იქნას განმარტებული ისეთი ვიწრო ან შეზღუდული მნიშვნელობით, რომელიც გაუთანაბრებს მას, მაგალითად, თავშესაფარს, რომელსაც გააჩნია სახურავი. საცხოვრისის უფლება განხილული უნდა იყოს როგორც ადამიანის უფლება, იცხოვროს სადმე უსაფრთხოდ, მშვიდობიანად და ღირსეულად. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით მნიშნვნელოვანია ბავშვიანი ოჯახებისთვის. მშობლების აზრით, ის ფაქტი, რომ სახელმწიფო ოჯახის ჩამნაცვლებელ მომსახურებაზე უფრო მეტ აქცენტს აკეთებს და მეტ ფულს ხარჯავს, ვიდრე ოჯახის ინსტიტუტის გაძლიერებაზე უსამართლო და დისკრიმინაციულია:

> *„ის ფაქტი, რომ სახელმწიფო უცხო ოჯახს ჩემი შვილების აღზრდაში უხდიდა ფულს, ნაცვლად იმისა, რომ ეს თანხა ჩვენი მდგომარეობის გაუმჯობესებას მოხმარებოდა, ასევე, საცხოვრისის პრობლემა მომეგვარებინა, უმძიმეს მდგომარეობაში მაგდებდა... კიდევ უფრო უვარგისად მაგრძნობინებდა თავს ჩემი შვილების წინაშე“ (ბენეფიციარი, რეინტეგრაციაში მყოფი ბავშვების მშობელი).*

მშობლები საუბრობენ „მათ უვარგისობის“ გამო მორალურ წნეხსა და სახელმწიფოს მიერ უფრო მეტ მარგინალიზაციაზე. ასევე, მშობლების ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა აზრით, ეს ყოველივე („უვარგისი მშობელი“) გავლენას ახდენს ბავშვზე და მის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე (როცა „სხვას აქვს და მას არა“).

თუ სახელმწიფოს დეკლარირებული მიზანი ბავშვის კეთილდღეობის რეფორმის ფარგლებში მათი დეინსტიტუციონალიზაცია და მიტოვების პრევენციაა, აშკარაა, რომ ამ მიზნის მისაღწევად მშობლისთვის უფრო ცუდი პირობების შეთავაზება, ვიდრე უცხო ოჯახისთვის, მიზნის მიღწევის გონივრულ საშუალებას არ წარმოადგენს. მეორე მხრივ, დადებით შეფასებას იმსახურებს სახელმწიფოს მიერ „რეინტეგრაციის წესის“ დამტკიცება. აღნიშნული წესის მიხედვით,

რეინტეგრირებული ოჯახები მინიმუმ 2 წლის განმავლობაში უწყვეტად მიიღებს სახელმწიფოსგან შემწეობას (თვეში 90 ლარი) (საქართველოს მთავრობის დადგენილება #138 სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2015 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ, 2015). ასევე, პოზიტიური ნაბიჯია სახელმწიფოს მიერ კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გადაუდებელი პირველადი დახმარების ფონდის შექმნა, რომლის მიზანია კრიზისში მყოფი ბავშვიანი ოჯახების მხარდაჭერა ბავშვზე ზრუნვის პროცესში, თუმცა, პრაქტიკოსების აზრით, „ფონდი მოქნილად ვერ ითვალისწინებს ბავშვისა და ოჯახის ინდივიდუალურ საჭიროებებს“ (პრაქტიკოსი სოციალური მომსახურების სააგენტოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოდან), როგორც ეს ხდებოდა 2011-2013 წლებში არსებული არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მართული პრევენციის ფონდის მიერ ბავშვზე ზრუნვის მომსახურებისა და სისტემის გაძლიერების პროექტის ფარგლებში, რომელიც ხორციელდებოდა ამერიკის განვითარების სააგენტოსა და გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით. რეინტეგრაციაში მყოფი ბავშვების მშობლებიც აღნიშნავენ, რომ სახელმწიფომ ოჯახების ინდივიდუალური საჭიროებები უნდა გაითვალისწინოს:

> *„სახელმწიფო, ვისაც რა საჭიროება აქვს, იმით უნდა დაეხმაროს... ზოგისთვის ეს არის ბინის ქირა, სხვისთვის - ავეჯი, ზოგს, უბრალოდ ბავშვის რჩენა უჭირს“ (ბენეფიციარი, რეინტეგრაციაში მყოფი ბავშვების მშობელი).*

თუმცა, როგორც ექსპერტები და პრაქტიკოსები აღნიშნავენ, მიუხედავად მცდელობებისა, ოჯახების ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული დახმარებები ვერ დაინერგა სახელმწიფოს ბიუროკრატიული, ხისტი პროცედურებიდან გამომდინარე, რაც უკავშირდება სახელმწიფოს მიერ შესყიდვების საკითხებს:

> *„კონკრეტული ოჯახების ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული მოქნილი დახმარების მექანიზმები პრაქტიკაში ვერ დაინერგა, სახელმწიფო ბიუროკრატიული, გართულებული პროცედურების გამო, რაც შეუძლებელს ხდის მოქნილად სახელმწიფო ფულით ოპერირებას“ (პრაქტიკოსი არასამთავრობო ორგანიზაციიდან).*

ახალგაზრდებიც მკაფიოდ საუბრობენ სახელმწიფოს მიერ ბიოლოგიური ოჯახებისთვის უფრო ცუდი პირობების შემქნაზე ჩამნაცვლებელ მზრუნველებთან შედარებით. ეროვნულ კოალიციასთან არსებული ახალგაზრდული საბჭოს[30] მონაწილეების აზრით, არსებული მომსახურებები (რეინტეგრაცია, სოციალური დახმარება, მინდობით აღზრდა) არ არის ეფექტიანი. მათი აზრით, რეინტეგრირებულ ოჯახს უნდა ეძლეოდეს მინიმუმ იმდენივე თანხა სახელმწიფოსგან, რაც მინდობით ოჯახს. მათი აზრით, თუ სახელმწიფოს ეშინია, რომ ბიოლოგიური ოჯახი ბავშვის ფულს არამიზნობრივად გამოიყენებს, მას შეუძლია, მაკონტროლებელი მექანიზმი დანერგოს სოციალური მუშაკის გამოყენებით. მინდობით აღზრდასა და მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მყოფ ბავშვებს მიაჩნიათ, რომ სახელმწიფომ უნდა იზრუნოს მათი ოჯახების კეთილდღეობაზე. მათი აზრით, კარგი იქნება, თუ ის თანხა, რომელსაც სახელმწიფო მინდობით აღზრდაში იხდის, მისცემს მათს ოჯახებს და დააბრუნებს მათ მშობლებთან. მათ მტკიცედ სჯერათ, რომ სახელმწიფოს ვალდებულებაა ოჯახების გაძლიერება:

> *„სახელმწიფომ უნდა მისცეს ოჯახებს საშუალება, რომ თავიანთ ბავშვებს თვითონ მიხედონ“, ხოლო ”თუ ოჯახს არ აქვს ფინანსური საშუალება, დაასაქმოს” (ბენეფიციარი, მინდობით აღზრდაში მყოფი ახალგაზრდა).*

ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების ფოკუს ჯგუფის ანალიზის შედეგადაც გამოიკვეთა, რომ მათი ქუჩაში ყოფნის ძირითადი მიზეზები შემდეგია: ოჯახების მატერიალური სიდუხჭირე, უმუშევრობა, მუდმივი სამსახურის არქონა, ავადმყოფობა. მათი აზრით,

> *„გაჭირვება სირცხვილი არაა და ქუჩაში გამოსვლა თავის გადარჩენის ერთ-ერთი ინსტინქტია, თორემ არავის ეხალისება ქუჩაში დგომა“ (ბენეფიციარი, ქუჩაში მყოფი და მომუშავე ბავშვი).*

---

[30] ეროვნულ კოალიციასთან არსებული ახალგაზრდული საბჭოს შედგება იმ ახალგაზრდებისაგან, რომლებიც არიან ან იყვნენ სახელმწიფო ზრუნვაში. ისინი სხვა ბავშვებს ეხმარებიან სხვადასხვა ინფორმაციის გაზიარებაში, უზიარებენ გამოცდილებას და შესაბამის დახმარებას უწევენ მათ. ახალგაზრდული საბჭო ახალი ჩამოყალიბებულია და არასამთავრობო ორგანიზაციად დარეგისტრირებას აპირებს.

თუმცა, ბავშვები თავად აღნიშნავენ, რომ არის შემთხვევები, როცა მშობელი აძალებს შვილს მათხოვრობას (ძალადობა) – ”თუ ფულს არ მოიტან, სახლში არ შემოგიშვებ” (ბენეფიციარი, ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვი). გამოითქვა აზრი, რომ, ერთი მხრივ, „სახელმწიფომ უნდა შეაგნებინოს მშობელს, რომ ბავშვზე ცუდი მოპყრობა არ შეიძლება“ (ბენეფიციარი, ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვი) და, მეორე მხრივ, „ დაეხმაროს ფულით, საკვებით“, რომ საბოლოო ჯამში „მშობელი გამოსწორდეს და ბავშვებს კარგად მოექცეს “ (მშობლის განათლება) *(ბენეფიციარი, ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვი).*

ბოშა ბავშვებისა და ოჯახების დისკრიმინაცია

არსებობს სხვაგვარი ტიპის დისკრიმინაციის პრობლემაც. ბოშა ბავშვებისა და მათი ოჯახების დისკრიმინაცია გავრცელებული პრაქტიკაა და გამოიხატება სახელმწიფო მომსახურებაზე მათთვის ხელმისაწვდომობის შეზღუდვაში. „ხშირ შემთხვევაში სახელმწიფო არც კი რეაგირებს მომართვაზე, რომლიც ბოშა ბავშვებს ეხება, მხოლოდ იმიტომ, რომ ბოშები არიან“ (პრაქტიკოსი არასამთავრობო ორგანიზაციიდან). არასამთავრობო სექტორის მიერ დანახულია ამ ჯგუფის ოჯახებისა და ბავშვების მდგომარეობის შესწავლისა და სიტუაციური ანალიზის საჭიროება. ექსპერტების აზრითაც, ეს საშულებას მისცემს სახელმწიფოსა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს, გაზარდონ საკუთარი ცნობიერების დონე და ხელს შეუწყობს ამ უმცირესობათა ბავშვებისა და ოჯახების საზოგადოებაში ინტეგრაციის სტრატეგიებზე მსჯელობის დაწყებას.

მინდობით აღზრდაში მყოფი ბავშვების დისკრიმინაცია

სახელმწიფო ზრუნვის თვალსაზრისით, მინდობით აღზრდაში მყოფი ბავშვები დისკრიმინირებულნი არიან მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მცხოვრებ ბავშვებთან შედარებით. განსხვავებით მინდობით აღსაზრდელებისაგან, მცირე საოჯახო ტიპის სახლებში ბავშვებს ხელი მიუწვდებათ მართალია მწირ, მაგრამ რიგ მომსახურებაზე ზრუნვის სისტემიდან გასვლისთვის მოსამზადებლად. არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც მართავენ მცირე საოჯახო ტიპის სახლებს, უფრო აქტიურად ცდილობენ, იზრუნონ აღსაზრდელების მომავალი ცხოვრების შესაძლებლობების შექმნაზე, ვიდრე ამას აკეთებს სახელმწიფო, რომელიც მართავს მინდობით აღზრდას:

„მცირე საოჯახო ტიპის სახლის აღსაზრდელებს აქვთ რიგი მომსახურებები ზრუნვის სისტემიდან გასვლისთვის მოსამზადებლად (ფსიქოლოგის მომსახურება, პროფესიული განათლების მიღებაში მხარდაჭერა და ა.შ.), მინდობით აღზრდაში განთავსებული ბავშვები კი ამ მომსახურებებით ვერ სარგებლობენ“, თუმცა, ამასთანავე, პრაქტიკოსები აღნიშნავენ, რომ „მცირე საოჯახო ტიპის სახლის აღსაზრდელებისთვისაც არ არის საკმარისი ის მომსახურებები, რომლებიც ამ ეტაპზე მათთვის ხელმისაწვდომია“ (პრაქტიკოსი არასამთავრობო ორგანიზაციიდან).

აღინიშნა, რომ არასამთავრობო სექტორიდან მხოლოდ რამდენიმე ორგანიზაცია: საქართველოს „ეს-ო-ეს“ ბავშვთა სოფელი, საქართველოს კარიტასი, „ცხოვრების შანსი“, „გენეზისი“ და ასოციაცია „ჩვენი სახლი - საქართველო“ ფონდთან ”ნატახტარი” თანამშრომლობით მუშაობს ამ მიმართულებით. აღინიშნა, რომ ეს ორგანიზაციები მხოლოდ მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელებს სთავაზობს ფსიქო-სოციალურ მხარდაჭერას, პროფესიული ორიენტაციის კუთხით დახმარებასა და სხვა მომსახურებებს, ხოლო, სამწუხაროდ, მინდობით აღზრდაში მყოფი ბავშვები ამ მომსახურებებს ვერ იღებენ. თუმცა, ზემოაღნიშნული პროექტის მიუხედავად, მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელების უამრავი საჭიროება მაინც უპასუხოდ რჩება. სწორედ ამიტომ, მონაწილეთა თქმით, ”რამდენიმე მცირე საოჯახო ტიპის სახლმა დაუშვა გამონაკლისი და 18 წლის ზემოთაც ბავშვს თავისთან აცხოვრებს იმის გამო, რომ მას სხვაგან წასასვლელი არ აქვს” (პრაქტიკოსი, სოციალური მომსახურების სააგენტოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოდან).

საჭიროა, სახელმწიფო სთავაზობდეს 24 საათიან ზრუნვაში (როგორც მცირე საოჯახო ტიპის სახლში, ასევე, მინდობით აღზრდაში) მყოფ ყველა ბავშვს დამატებით მომსახურებას, რომელიც მათს ოჯახებს დაეხმარება აღსაზრდელების დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მომზადებაში.

ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების დისკრიმინაცია

ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის ფარგლებში კვლავ მოუგვარებელ პრობლემად რჩება ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების ხელშეწყობა და მათი წარმატებული ინტეგრაცია საზოგადოებაში. სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი

ახალგაზრდების აზრით, სახელმწიფო „არაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ბავშვებმა 18 წლის შემდეგ დამოუკიდებლად შეძლონ ცხოვრება“ (პრაქტიკოსი არასამთავრობო ორგანიზაციიდან). სამზრუნველო სისტემაში განთავსებული ბავშვები ზრუნვის სისტემიდან გასვლის შემდეგ მნიშვნელოვან პრობლემებს აწყდებიან საზოგადოებაში ინტეგრაციის დროს. ამ ახალგაზრდათა უმრავლესობას საცხოვრებელიც კი არა აქვს და ”ფაქტობრივად, სახელმწიფო ვტოვებთ ჩვენს ბავშვებს ქუჩაში” (ექსპერტი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან). ასეთი მიდგომა არამორალურია და ახალგაზრდის უფლებებს გამორიცხავს:

> *„18 წლის ბავშვი კი არა 38 წლის კაცი რომ გაუშვა ქუჩაში, ისიც სასოწარკვეთაში ჩავარდება. რა გზას დაადგება არავინ იცის “ (ექსპერტი საპატრიარქოს სოციალური სამსახურიდან).*

გარკვეულ ასაკამდე ”სახელმწიფომ ეს ბავშვები ფეხზე უნდა დააყენოს” (ექსპერტი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან) და მათი დახმარება უნდა იყოს ”ერთი მთლიანი ჯაჭვის ნაწილი, არ შეიძლება ეს იყოს ცალკე, არ არის სწორი, რომ მიჰყავთ რაღაც ასაკამდე” და მერე უცბად ”თავის ანაბარა” ტოვებენ (ექსპერტი საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურიდან), ”სკოლას ამთავრებენ ძალიან პატარები იმისათვის, რომ საკუთარ თავს უპატრონონ” (ექსპერტი, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან). უფრო მეტიც, სახალხო დამცველის აპარატის ბავშვთა უფლებათა დაცვის ცენტრის ხელმძღვანელის აზრით, ”ჩვენთან ამ ბავშვებს სისტემა საერთოდ ვერ ხედავს” და მათი უფლებები უგულებელყოფილია სახელმწიფოს მიერ:

> *„სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ბავშვები სხვებთან შედარებით ყველანაირად შეზღუდულები არიან. ისინი, ვისაც არ შეუძლიათ დაუბრუნდნენ საკუთარ ოჯახებს, სახელმწიფო ზრუნვიდან ჯერ ქუჩაში, ხოლო ქუჩიდან კი ციხეში ხვდებიან“ (ბენეფიციარი, რეინტეგრირებული ბავშვების მშობელი).*

არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებიც იზიარებენ, რომ ზრუნვის სისტემიდან გამოსულ ახალგაზრდებთან ”სახელმწიფო, ფაქტობრივად, არაფერს აკეთებს”.

ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლის მიხედვით, 18 წლის ზემოთ სოციალურად დაუცველი ახალგაზრდებისთვის დაწესებულია შეღავათები (სასწავლო გადასახადის 50%) მათი სტუდენტად გახდომის შემთხვევაში. ასევე, გათვალისწინებულია სოციალური საცხოვრებელი მათთვის. თუმცა, რა თქმა უნდა, ეს მომსახურება ყველა ახალგაზრდის საჭიროებას ვერ პასუხობს, მხოლოდ რამდენიმე ადგილია გამოყოფილი. მისი აზრით, სწორედ ზრუნვის სისტემიდან გასული პირებისთვის უნდა იყოს სოციალური საცხოვრისი, სადაც სოციალური მუშაკები ცდილობენ მათს გაძლიერებას და მეტი შანსია, რომ შემდგომ ეს ადგილები გათავისუფლდეს. სახელმწიფო უნდა პრიორიტეტად აყენებდეს ამ ახალგაზრდების პრობლემების ადვოკატობას და ცდილობდეს მათ დასაქმებას. თუმცა, „ამჟამად მხოლოდ კომპიუტერისა და ინგლისურის კურსები და მერიის მცირე ბიზნესის წახალისების პროგრამა მოქმედებს, რომლებსაც აფინანსებს ადგილობრივი მთავრობა“ (ექსპერტი თბილისის მერიის სოციალური სამსახურიდან).

ეროვნულ კოალიციასთან არსებული ახალგაზრდული საბჭოს წევრების აზრით, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო ზრუნვაში ყოფნის პერიოდში ხდებოდეს მოზარდების (14 წლიდან) მომზადება დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის და მათი პროფესიული ორიენტაცია. მათი აზრით, მცირე საოჯახო ტიპის სახლში მყოფი ბავშვები ეჩვევიან კომფორტს და სახლიდან გასვლის შემდეგ უჭირთ სირთულეებთან გამკლავება. უფრო მეტიც, ბევრი მათგანი ქუჩას აკითხავს და დანაშაულის ჩადენის რისკის წინაშეც შეიძლება აღმოჩნდეს. მათი აზრით, სოციალური მუშაკები და აღმზრდელები აქტიურ მონაწილეობას უნდა იღებდნენ მოზარდებისთვის დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის საჭირო უნარების სწავლებაში, ასევე, მათი აზრით, ძალიან მნიშვნელოვანია თანატოლთა მხარდაჭერის პროგრამების განვითარება. მინდობით აღზრდასა და მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მცხოვრები ბავშვების აზრით, დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყება რთულია, მას შემდეგ, რაც ჩაკეტილ სისტემაში ცხოვრობ. ფიქრობენ, რომ 18 წლის შემდეგ მათ დასჭირდებათ სახელმწიფოს დახმარება დასაქმებაში, საცხოვრებლის მოძიებაში. უმრავლესობას აქვს სურვილი, რომ დაბრუნდეს ბიოლოგიურ მშობლებთან, ხოლო ნაწილი კი ამჯობინებს დამოუკიდებლობას, სწავლასა და მუშაობას, მათ არ უნდათ, ”დრო

დაკარგონ" ბიოლოგიურ მშობელთან დაბრუნებით. ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები საუბრობენ იმ საფრთხეებზე, რომლებიც შეიძლება მათ შეხვდეთ ქუჩაში. ეს საფრთხეებია „გახდე ძალადობის მსხვერპლი, ან შენ იძალადო სხვაზე, მოიპარო, ჩაიდინო სხვა დანაშაული" (ბენეფიციარი, ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვი).

შეიძლება დავასკვნათ, რომ როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები ხედავენ სახელმწიფოს მიერ სწორი სტრატეგიის განსაზღვრის საჭიროებას იმ ბავშვების მიმართ, რომლებიც 18 წლის შესრულების შემდეგ ტოვებენ სახელმწიფო ზრუნვას. ამდენად, „სახელმწიფოს ამ მიმართულებით ძალიან ბევრი აქვს გასაკეთებელი" (ექსპერტი სოციალური მომსახურების სააგენტოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოდან). ისინი აღიარებენ, რომ დღესდღეობით არ არსებობს ახალგაზრდების დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მომზადების პოლიტიკა და ზრუნვიდან გასვლის ეტაპზე მყოფი და უკვე გასული ახალგაზრდების დახმარების პროგრამები/მომსახურებები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბავშვთა კეთილდღეობისა და დაცვის 2012-2015 წლების სამოქმედო გეგმა მოიცავს პუნქტს (3.6), დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მომზადებისა და სოციალური ინტეგრაციის შესახებ, რაც იძლევა იმის საფუძველს, რომ ამ მიმართულებით გააქტიურდეს როგორც სახელმწიფო, ასევე, არასამთავრობო სექტორი. ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნულმა კოალიციამ შეიმუშავა სახელმწიფო ზრუნვიდან გასული ახალგაზრდების მხარდასაჭერად კონცეფციის დოკუმენტი (საქართველოს კოალიცია ბავშვთა და ახალგაზრდათა კეთილდღეობისთვის, 2014). ამ კონცეფციის საფუძველზე შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ დაიწყო მუშაობა 24 საათიან სააღმზრდელო დაწესებულებაში მყოფი ახალგაზრდების (18–23 წელი) მათი დამოუკიდებელი ცხოვრების მხარდასაჭერად მომსახურების სტანდარტების შემუშავებაზე. ამ ხედვის მიხედვით, მომსახურება ითვალისწინებს მინიმუმ ზედამხედველობას, თავშესაფარს, უსაფრთხოებას, კვებას/ჰიგიენას, პირველადი საჭიროების მოხმარების საგნებით (ტანისამოსი, ფეხსაცმელი, თეთრეული, პირსახოცი ა.შ.) და განათლების მისაღებად საჭირო ნივთებითა და ლიტერატურით უზრუნველყოფას, ჯანსაღი ცხოვრების წესის წახალისებას. სახლი გათვლილი იქნება 10 ახალგაზრდაზე. მომსახურების

სავარაუდო პროვაიდერად მოიაზრება საპატრიარქოს სოციალური სამსახური. სახელმწიფო სოციალური მუშაკის შეფასებისა და რეკომენდაციის საფუძველზე გადაწყვეტილება მიიღება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: ახალგაზრდა ბოლო 6 თვის განმავლობაში ირიცხებოდა ლიცენზირებულ სააღმზრდელო დაწესებულებაში ან მინდობით აღზრდაში; ზრუნვიდან გასვლის დროისთვის არ აქვს საცხოვრებელი ადგილი, თავშესაფარი; აქვს შესაძლებლობა, სურვილი და მოტივაცია ისწავლოს და/ან იმუშაოს; აქვს რეკომენდაცია სკოლიდან, პროფესიული სასწავლებლიდან ან ბოლო სამუშაო ადგილიდან, ასევე აღმზრდელისგან. ერთი მხრივ, მისასალმებელია სახელმწიფოს პროაქტიულობა მომსახურების განვითარების საწყის ეტაპზე იზრუნოს მის ხარისხზე და ყველა შესაძლო პროვაიდერი დაუქვემდებაროს სახელმწიფო სტანდარტს, თუმცა, რაც შეეხება კრიტერიუმებს, აღსანიშნავია, რომ აქცენტი კეთდება მომსახურების მიწოდებაზე არა ყველასათვის, ვისაც ეს სჭირდება, არამედ „საუკეთესო“ ნაწილისთვის.

იკვეთება უწყებათაშორისი თანამშრომლობის აუცილებლობაც, რომელიც განმსაზღვრელი იქნება ამ კუთხით წარმატების მისაღწევად. ამ კუთხით აღსანიშნავია დანაშაულის პრევენციის ცენტრის სამომავლო გეგმები და ინიციატივები, რომლებიც კონცენტრირებულია ზრუნვის სისტემიდან გამოსულ ბავშვებზე და ამ მიმართულებით თანამშრომლობს არასამთავრობო სექტორთან. თუმცა, „სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, რომელიც პასუხისმგებელია ახალგაზრდობის პოლიტიკის განხორციელებაზე ქვეყანაში, პასიური როლი აქვს და არ ერთვება ამ თემაზე გამართულ სამუშაო შეხვედრებში მიუხედავად მოწვევებისა“ (პრაქტიკოსი არასამთავრობო ორგანიზაციიდან). ადგილობრივი მუნიციპალიტეტის როლს მაინცდამაინც ვერ აცნობიერებენ მთავარი აქტორები, ხოლო არასამთავრობო სექტორისგან კი არის მოლოდინი, რომ მას შემდეგ, რაც სახელმწიფო შეიმუშავებს სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ვალდებულების აღსრულების მექანიზმებს, არასამთავრობო სექტორი იზრუნებს ზრუნვის სისტემიდან გასული ბავშვებისთვის მრავალფეროვანი მომსახურების/პროგრამების განვითარებაზე (ე.წ. ზრუნვის შუალედური, ნახევრად დამოუკიდებელი და დამოუკიდებელი ცხოვრების

მრავალფეროვანი პროგრამები/მომსახურებები). საპატრიარქოს სოციალური სამსახური მზადაა, აქტიურად ჩაერთოს საკითხის მოგვარებაში:

> *„ეკლესია ფიქრობს, რომ ყველაზე უკეთესი ვარიანტი იქნება, რომ მომზადდნენ ეს ახალგაზრდები და სოფელში დასახლდნენ კომლებად, გააკეთონ ფერმერული მეურნეობა, საქონელი გაზარდონ, მოსავალი მოიწიონ“ (ექსპერტი საპატრიარქოს სოციალური სამსახურიდან).*

ექსპერტები აღნიშნავენ, რომ სახელმწიფო, აღნიშნული საკითხების გადაჭრისას, უნდა დაეყრდნოს ეროვნულ და საერთაშორისო გამოცდილებას. საქართველოში არსებული გამოცდილება, მართალია, ძალიან მწირია, მაგრამ პრაქტიკოსები დადებითად აფასებენ ასოციაციის – „ჩვენი სახლი - საქართველო“ – და ფონდ ”ნატახტარის”, ასევე, „ეს-ო-ეს„ ბავშვთა სოფლის გამოცდილებასა და მიღწევებს. ამასთანავე, უნდა აღვნიშნოთ, რომ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური ვერ ხედავს თავის როლს ამ კუთხით. თუმცა, სკოლის როლი უმნიშვნელოვანესია ბავშვისთვის ისეთი განათლების მიცემაში, რომელიც მას მომავალში პროფესიული წინსვლის შესაძლებლობას მისცემს. ასევე, საგულისხმოა, რომ მანდატურის სამსახურს ჰყავს პროფესიული ორიენტაციის სპეციალისტები, რომელთა პირდაპირი დანიშნულებაა პროფესიული კონსულტირება მაღალი კლასის მოსწავლეებისთვის. თუმცა სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფი ბავშვები არ აღიქმებიან საჯარო სკოლის ნაწილად და, გამოკითხული უმრავლესობის აზრით, მათზე ზრუნვა ცალკე სტრუქტურებს, სამსახურებს უნდა დაეკისროს. ასევე, საგულისხმოა, რომ მანდატურის სამსახურის პრაქტიკოსები ნაკლებად პოზიტიურად უყურებენ პროფესიულ კოლეჯებს.

ზრუნვის სისტემიდან გასვლის ეტაპზე უკიდურესად მარგინალიზებულები არიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები, რადგან მათ, რომლებიც ზრუნვის სისტემიდან გადიან, „საერთოდ არ აქვთ ხელმისაწვდომი მომსახურებები და იმ შემთხვევაში, თუ ოჯახში ვერ ბრუნდებიან, მათთვის ერთადერთი გამოსავალი სათემო ორგანიზაციაში გადასვლაა“ (ექპსერტი სოციალური მომსახურების სააგენტოდან). აღსანიშნავია, რომ არც თეორეტიკოსებს და არც პრაქტიკოსებს არ დაუკონკრეტებიათ, თუ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების შემთხვევაში

რა ტიპის მომსახურებები უნდა განვითარდეს და, საერთოდ, რა სტრატეგია უნდა განავითაროს სახელმწიფომ.

ამრიგად, არსებითია, რომ სახელმწიფომ ბავშვის სისტემაში ყოფნის ეტაპზე ადრევე დაიწყოს მუშაობა მათთან დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებისა და განათლების და, ასევე, პროფესიული ინტერესების გაღვივებაზე. აღნიშნულია, რომ ამ მხრივ ეფექტიანი იქნება მულტიდისციპლინური ჯგუფის (სოციალური მუშაკი, აღმზრდელი, ფსიქოლოგი და ა.შ.) და მულტიუწყებრივი მუშაობა. თავად ახალგაზრდებიც ცალსახად აღნიშნავენ, რომ მათთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარებას, პროფესიულ განათლებას და ფიქრობენ, რომ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს მათი შემდგომი ადაპტაცია გარემოსთან (საცხოვრისი, დასაქმება, ფულადი დახმარება და სხვა სოციალური ბენეფიტები).

3.3. მომსახურების დეცენტრალიზაციის საჭიროება

იკვეთება მუნიციპალური სოციალური მომსახურების რეფორმირების აუცილებლობაც, კერძოდ, რისკჯგუფების იდენტიფიცირებისა და პრევენციული, ოჯახის მხარდამჭერი მომსახურების განვითარების მიმართულებით. დღეისათვის მუნიციპალიტეტის სოციალური სამსახური ნაკლებად პასუხობს მოქალაქეთა განსხვავებულ საჭიროებებს. იკვეთება აუცილებლობა, რასაც სახელმწიფოს, ასევე, სფეროს ექსპერტებიც იზიარებენ, რომ სოციალური მუშაკები არა რაიონულ, არამედ სოფლებისა და თემის დონეზე მუშაობდნენ, რათა მათ ადრეულ ეტაპზე გამოავლინონ რისკი და ბავშვსა და ოჯახს ადეკვატური მხარდაჭერა აღმოუჩინონ:

> *"სწორედაც თვითმართველობას უკეთესად შეუძლია რისკჯგუფის ბავშვების გამოვლენა თემების დონეზე და შემდეგ, საჭიროებისამებრ, სოციალური მომსახურების სააგენტოს მეურვეობა-მზრუნველობის ორგანოში გადამისამართება... ადგილობრივ თვითმართველობებს უნდა ჰყავდეთ სოციალურ მუშაკი, რომელიც მედიატორის და სოციალური ადვოკატის ფუნქციას შეასრულებს. ეს იქნება პირველადი სოციალურ ადვოკატობა, შემთხვევისთვის სწორი მიმართულების მიცემა" (ექსპერტი სოციალური მომსახურების სააგენტოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოდან).*

თავად მუნიციპალიტეტის სამსახურის წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ „ამ მიმართულებით არ არიან ჩართულნი არც ერთ სამუშაო ჯგუფში“ (ექსპერტი თბილისი მერიის სოციალური სამსახურიდან), თუმცა მნიშვნელოვნად მიიჩნევენ სოციალური მუშაკის მომსახურების დეცენტრალიზაციას შესაბამისი ფინანსური მხარდაჭერით უზრუნველყოფის პირობებში.

3.4. სისტემური მიდგომები

ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმისა და ბავშვზე ზრუნვის სისტემის შეფასებისას გამოიკვეთა საჭიროებები სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორებთან მიმართებით. სახელმწიფოს ჩარევებთან მიმართებით ყველაზე მნიშვნელოვანად არის აღიარებული ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში „სისტემური მიდგომების მხარდაჭერა, პროაქტიულობა, მულტიდისციპლინური, მულტისექტორული და ეკოსისტემური მიდგომების გამოყენება“ (პრაქტიკოსი არასამთავრობო ორგანიზაციიდან). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2013 და 2014 წლის საანგარიშო პერიოდში ადგილი ჰქონდა სახალხო დამცველის მიერ ბავშვთა უფლებების დაცვის სფეროში გასულ წლებში იდენტიფიცირებული პრობლემების განმეორებას, რაც მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ დღის წესრიგში დგას აღნიშნულ სფეროში სისტემური მიდგომის საჭიროება და არსებული ხარვეზების გამოსწორების მიზნით დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელებაზე მაღალი პასუხისმგებლობის დაწესება (საქართველოს სახალხო დამცველი, 2013; საქართველოს სახალხო დამცველი, 2014). ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ არანაკლები ყურადღებაა გამახვილებული ბავშვთა კეთილდღეობის სისტემის საკანონმდებლო ბაზის დახვეწაზე, განსაკუთრებით ყურადღება ეთმობა სხვადასხვა რელიგიური კონფესიის დაქვემდებარებაში მყოფ ბავშვთა სახლების სამართლებრივ რეგულირებას სახელმწიფოს მიერ. საინტერესოა, რომ დიდია აქცენტი სახელმწიფოს მხრიდან ფინანსურ ღონისძიებების გატარების საჭიროებაზე (როგორიცაა ოჯახების ფინანსური გაძლიერება, განსაკუთრებით, რეინტეგრირებული ოჯახების სოციალური შემწეობის გაზრდა) და ქვეყანაში ზოგადი სოციალური დაცვის სისტემის გაუმჯობესებაზე. გამოიკვეთა სოციალურ მუშაკთა კადრების გაზრდის აუცილებლობა, მათი პროფესიული უნარების დახვეწისა და სამუშაო პირობების

გაუმჯობესების საჭიროება, ასევე, მზრუნველის ინსტიტუტის განვითარება. აშკარად იკვეთება მუნიციპალიტეტების დონეზე სოციალური მუშაობის სამსახურის განვითარების ფოკუსი. ყოველივე ზემოთ დასახელებულის განსახორციელებლად კი ხაზგასმულია სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორებს შორის თანამშრომლობისა და კოორდინაციის მნიშვნელობა და მტკიცებულებებზე, კვლევებზე დაფუძნებული რეფორმების მხარდაჭერა.

არასამთავრობო სექტორის როლი გააზრებულია დაუცველი ჯგუფებისათვის მრავალფეროვანი მომსახურებების, ოჯახების პრევენციული პროგრამების პილოტირების კუთხით. ოჯახების პრევენციულ ღონისძიებებში რესპონდენტები გულისხმობდნენ პრევენციული მექანიზმების შემუშავებას, მათ შორის ოჯახების ფსიქოლოგიურ დახმარებას, საგანმანათლებლო კუთხით მუშაობას (ტრენინგები), ბავშვების რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამების ხელშეწყობას. განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის მრავალფეროვანი სათემო მომსახურების პილოტირება-განვითარებაზე. ხაზგასმულია საჭიროება, გაიზარდოს არასამთვრობო სექტორის პროფესიონალიზმი, კოორდინაცია და კონსოლიდაცია ადვოკატირების მიმართულებით, ასევე, დაფინანსების წყაროები, განსაკუთრებით, ხაზგასმულია, კერძო ბიზნესის ჩართულობის მნიშვნელობა.

4. სისტემის ხარვეზები მომსახურების თვალსაზრისით

ამ თავში აღწერილია ბავშვთა ზრუნვის სფეროში არსებულ სოციალურ მომსახურებებთან დაკავშირებული პრობლემები დასახული მიზნების მიღწევისას მათი ეფექტურობის თვალსაზრისით. აქ განხილულია ყვლაზე მაღალი რისკის ჯგუფების ბავშვთა მომსახურება, დეინსტიტუციონალიზაციის საპასუხოდ გასავითარებელი მოსახურებების პრობლემები და დასაქმების ხელშემწყობი მომსახურებების საჭიროება. კვლევის შედეგებიდან ვლინდება, რომ, როგორც არსებულ მომსახურებათა ხასიათი, ასევე, მათი სიმწირე მიუთითებს „ადამიანის უფლებებზე დაყრდნობილი მიდგომების“ საზიანოდ „საჭიროებებზე დაფუძნებული მიდგომების გამოყენების“ პრევალირებაზე.

4.1. მაღალი რისკის ჯგუფების ბავშვთა მომსახურება

სახელმწიფოს მხრიდან რისკის ჯგუფების ოჯახთათვის შეთავაზებული მხარდამჭერი მომსახურება საკმაოდ მწირი და ძნელად ხელმისაწვდომია, თუმცა მთავარი აქტორები თანხმდებიან, რომ „პრევენციულ და ოჯახის მხარდამჭერ პოლიტიკასა და პროგრამებს უდიდესი როლი აქვთ ბავშვის სამზრუნველო დაწესებულებაში განთავსების პრევენციის დროს“ (ექსპერტი სოციალური მომსახურების სააგენტოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოდან). როგორც „გეითქიფინგის“ პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების დოკუმენტი (2012 წ.) აღნიშნავს, „გეითქიფინგი“ შეთანხმებული ღონისძიებების ერთობლიობაა, რომელიც უზრუნველყოფს ოჯახის დამხმარე მომსახურებებსა და დახმარებებზე ხელმისაწვდომობას და იცავს ბავშვს 24 საათიან ზრუნვის სისტემაში განთავსებისაგან. მიუხედავად პოლიტიკის დონეზე დოკუმენტების არსებობისა, პრაქტიკა ცხადყოფს, რომ „ოჯახებისათვის დამხმარე და პრევენციული პროგრამების რაოდენობა მწირია და შეზღუდულ ხასიათს ატარებს“ (პრაქტიკოსი არასამთავრობო ორგანიზაციიდან). ეს პრობლემა მეტად გამოხატულია თბილისის გარეთ, რეგიონებში, „განსაკუთრებით კი - მაღალმთიან რეგიონებში“ (ექპსერტი სახალხო დაცმველის ოფისიდან).

რაც შეეხება ფაქტორებს, რომლებიც ხელს უშლის ოჯახს ბავშვზე ზრუნვაში, შემდეგი სირთულეები გამოიკვეთა: ფინანსური საკითხები, ჯანმრთელობის პრობლემები, საცხოვრებელი ადგილის არარსებობა, დასაქმება, ბავშვზე ზრუნვაში დახმარება დღის განმავლობაში:

> *„როცა დასაქმებულ მარტოხელა მშობელს არ ჰყავს მცირეწლოვანი ბავშვის დამტოვებელი, ეს ძალიან რთულ პრობლემას ქმნის. კარგი იქნება, თუ სახელმწიფო ასეთი მშობლებისთვის უზრუნველყოფს ბაგა–ბაღის ტიპის მომსახურებას“ (ბენეფიციარი, რეინტეგრირებული ბავშვების მშობელი).*

ზემოაღნიშნულ საჭიროებაზე ყურადღებას ამახვილებენ ბავშვებიც. მათ სურთ მშობლებთან ერთად ცხოვრება და, ამასთან, უნდათ, რომ სახელმწიფო ზრუნავდეს მათი ოჯახების გაძლიერებაზე. ეს უკანასკნელი კი, მათი აზრით, გულისხმობს დასაქმებასა და პროფესიულ მომზადებას. საინტერესოა, რომ ქუჩაში მცხოვრები და

მომუშავე ბავშვებისა და სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ბავშვების მიერ საჭიროებების აღქმის თვალსაზრისით მხოლოდ მცირედი განსხვავებაა.

სოციალური მომსახურების პრაქტიკოსები და თეორეტიკოსები თანხმდებიან, რომ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საჭიროებაა მშობლებისთვის ისეთი გამაძლიერებელი მომსახურების მიწოდება, რომელიც დაეხმარება ოჯახებს მშობლის უნარ-ჩვევების გამომუშავებაში:

> *„ოჯახებს ესაჭიროებათ ბავშვის აღზრდისთვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარება და აღზრდის პროცესში ბავშვის განვითარების ასაკობრივი თავისებურებებისა, ბავშვზე ორიენტირებული ღირებულებებისა და მიდგომების სწავლება“ (პრაქტიკოსი არასამთავრობო ორგანიზაციიდან).*

ამ საჭიროებებს აღიქვამენ როგორც ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები, ასევე, სახელმწიფო ზრუნვაში მყოფნი. ბავშვები და ახალგაზრდები ყურადღებას ამახვილებენ აღზრდის საკითხებში მშობლების ცნობიერების ამაღლების საჭიროებაზე, კერძოდ, მშობლებისთვის აღზრდის მეთოდების სწავლება, პოზიტიური მშობლობის უნარების გამომუშავება. „საჭიროა მშობლებს გააგებინონ, რომ არაა კარგი ბავშვზე ძალადობა იხმარო“ (ბენეფიციარი, ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვი), ასევე, ყურადღებას ამახვილებენ მშობლების ფსიქოლოგიურ მხარდაჭერაზე, რომ მშობლები „უკეთესად უგებდნენ თავიანთ შვილებს“ (ბენეფიციარი, მინდობით აღზრდაში მყოფი ბავშვი).

ზოგადად შეიძლება აღინიშნოს, რომ რესპონდენტების მიერ „ოჯახის კატეგორიის“ ცალკე გამოყოფა და წინ წამოწევა მიუთითებს ოჯახის მხარდაჭერის გაძლიერების მნიშვნელოვნებაზე ბავშვთა კეთილდღეობის, ბავშვზე ზრუნვის ხარისხიანი სისტემის უზრუნველსაყოფად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ოჯახის გაძლიერების კონცეფციაში თანაბარი ყურადღება ეთმობა ოჯახების ფსიქოლოგიურ, ცნობიერების დონეზე, მხარდაჭერას და ფინანსურ, მატერიალურ ინტერვენციებს. დანახულია იმის საჭიროება, რომ ოჯახი არ გახდეს სახელმწიფოზე ფსიქოლოგიურად მიჯაჭვული და არ „გაზარმაცდეს“. თუმცა, ამავდროულად, ყურადღება გამახვილებულია სახელმწიფოს მხრიდან ფინანსურ ღონისძიებების გატარების საჭიროებაზე (როგორიცაა რეინტეგრირებული ოჯახების სოციალური

შემწეობის გაზრდა). აქცენტები კეთდება მარტოხელა მშობლისა და მრავალშვილიანი ოჯახების მხარდაჭერაზე. გამოიკვეთა, რომ პრევენციული მიმართულების გაძლიერება პირდაპირ უკავშირდება ოჯახების გაძლიერებას მათთვის დივერსიფიცირებული (მატერიალური, ფსიქო-სოციალური, სამედიცინო, კვებითი, რეკრეაციული და სხვა დახმარებები), ოჯახზე მორგებული მომსახურებათა განვითარების გზით.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებთან დაკავშირებით ხაზგასმულია საჭიროებები რესპონდენტების მიერ. მათთან მიმართებაში იკვეთება საჭიროება, განვითარდეს და მათთვის ხელმისაწვდომი გახდეს მრავალფეროვანი მომსახურება. ხაზგასმულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის ადრეული ინტერვენციების მნიშვნელობა, სკოლამდელი დღის ცენტრებისა და ბაგა-ბაღების განვითარების საჭიროება და ამ მომსახურებებში მათი ჩართულობა. ასევე, ფორმალურად არსებული ინკლუზიური განათლების პრაქტიკაში წარმატებით განხორციელება როგორც ურბანულ, ასევე რურარულ დონეზე.

კანონმდებლობის დახვეწის საჭიროებებზე საუბრისას რესპონდენტები თვლიდნენ, რომ სოციალურად დაუცველობის სტატუსი და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის მომსახურების მიღება არ უნდა იყოს ერთმანეთთან დაკავშირებული. ეს უკანასკნელი გულისხმობს, რომ სახელმწიფო მომსახურებებს (მაგ. დღის ცენტრების ქვე–პროგრამა, ბავშვთა ადრეული განვითარების ქვეპროგრამა, ბავშვთა რეაბილიტაციის/აბილიტაციის ქვეპროგრამა) უფასოდ სთავაზობს მხოლოდ იმ შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვებს, რომელთა ოჯახებიც დარეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2014 წლის ბოლოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ყველა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვმა, მიუხედავად მათი ოჯახის სოციალური სტატუსისა, სახელმწიფოსგან მიიღოს დღის ცენტრის ქვეპროგრამის ფარგლებში მომსახურება, მაგრამ მსგავსი მიდგომა არ ვრცელდება მათთვის სხვა ტიპის მომსახურებაზე, როგორებიცაა, მაგალთად: ბავშვთა ადრეული განვითარების ქვეპრგოგრამა, ბავშვთა რეაბილიტაციის/აბილიტაციის ქვეპროგრამა (საქართველოს მთავრობის

დადგენილება #138 სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2015 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ, 2015). ასევე, დასახელდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების ინსტიტუციების საკითხის მოგვარების საჭიროება. ზოგადად, უნდა აღინიშნოს, რომ რესპონდენტების დიდი უმრავლესობა აღიარებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის საჭირო მომსახურების შესახებ ცოდნის გაღრმავების მნიშვნელობას.

ბავშვების დისკრიმინაციის ერთი–ერთ მწვავე მაგალითია ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები. ექსპერტებისა და პრაქტიკოსების მიერ აღინიშნა, რომ ყველაზე მაღალი რისკის ჯგუფია ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები, რომელთა მიმართაც ჯერჯერობით რეფორმა შეფერხებით მიმდინარეობს. მათზე ზრუნვა ვერ გახდა ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო სისტემის ნაწილი, მიუხედავად იმისა, რომ ყველაზე დაუცველები არიან და ძალადობის მაღალი რისკების წინაშე დგან:

> *”სწორედ ქუჩის ბავშვებს სჭირდებათ ყველაზე მეტი ზრუნვა და ყურადღება, რათა არ გახდნენ კრიმინალური სამყაროს ნაწილი და საფრთხე არ შეუქმნან საზოგადოების უსაფრთხოებას” (ექსპერტი ადამიანის ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდიდან).*

სახალხო დამცველის აპარატის ბავშვთა უფლებათა დაცვის ცენტრის ხელმძღვანელის აზრით, ”სწორედ ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები წარმოადგენენ ყველაზე მაღალი რისკჯგუფის ბავშვებს. სოციალური მომსახურების სააგენტოს ჰყავს მობილური ჯგუფები, რომლებიც მუშაობენ ბავშვებთან, ასევე, თავშესაფრების ორგანიზებას აკეთებენ. თუმცა მობილური ჯგუფების არასაკმარის რაოდენობას, მომსახურებების კვლავ პილოტურ რეჟიმში ყოფნას, შედეგებამდე ვერ მივყავართ“ (ექსპერტი სახალხო დამცველის ოფისის ბავშვის უფლებების ცენტრიდან).

ახალგაზრდების აზრით, (ეროვნულ კოალიციასთან არსებული ახალგაზრდული საბჭოს მონაწილეები), რეფორმა არ შეხებიათ დეინსტიტუციონალიზაციის ფარგლებში ისეთ ბავშვებს, რომლებიც ბავშვთა სახლების დაშლის პროცესთან ვერ ადაპტირდნენ და „გაექცნენ სისტემას“:

„ზოგი ჩვენი მეგობრისთვის სახლების დაშლის პროცესი ძალიან მტკივნეული აღმოჩნდა. მთელი ცხოვრება რომ იზრდები ბავშვთა სახლში და მერე გეუბნებიან, ახლა სხვაგან უნდა წაგიყვანოთ (არც კი გეუბნებიან ზუსტად სად), ზოგი ამ გაურკვევლობას ვერ შეეგუა და გაიქცა... არიან ბავშვები, რომლებიც გაიქცნენ ბავშვთა სახლებიდან და ახლა ქუჩაში არიან ან, შესაძლოა, დანაშაულიც ჩაიდინეს, ამ ბავშვებთან არავინ მუშაობს“ (ბენეფიციარი, ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნულ კოალიციასთან არსებული ახალგაზრდული საბჭოს წევრი).

ახალგზარდები ფიქრობენ, რომ სახელმწიფო უნდა დაინტერესდეს ამ ბავშვებით, შეისწავლოს მათი საჭიროებები და გამონახოს ”საერთო ენა”. ექსპერტებიც აღნიშნავენ, რომ ბავშვთა გარკვეული ნაწილი დეისტიტუციონალიზაციის ფარგლებში სწორედ ქუჩაში მოხვდა, თუმცა ეს საკითხი შესწავლილი არ არის და ამ მოსაზრების მტკიცებულება არ მოიპოვება. ექსპერტები და პრაქტიკოსები საუბრობენ იმაზე, რომ სოციალური მომსახურების სააგენტომ ზოგი შემთხვევა ოფიციალურად რეინტეგრაციის პროგრამაში არც კი ჩართო (ან ჩართო ძალიან მცირე ხნით), განსაკუთრებით ტინეიჯერი ბავშვები, რომელთა მიღებაზეც არასამთავრობო სექტორმა უარი თქვა, მათი რთული ქცევიდან გამომდინარე. რეინტეგრაციაში ოფიციალურად ჩართვა კი სახელმწიფოსთვის „თავის ტკივილი“ იქნებოდა, რადგან შედეგებს ვერ მიაღწევდა (პრაქტიკოსი არასამთავრობო ორგანიზაციიდან). როგორც ზემოთაა აღნიშნული, ამ საკითხთან დაკავშირებით კონკრეტული შემთხვევების აღწერა ან სტატისტიკური მონაცემები არ მოგვეპოვება. თუმცა, საკითხის აქტუალობაზე მიუთითებს რეინტეგრირებული ოჯახების საჭიროებათა შეფასება, რომელიც პროექტის „ბავშვზე ზრუნვის მომსახურებებისა და სისტემების გაძლიერება“ ფარგლებში განახორციელა ორგანიზაციამ „გადავარჩინოთ ბავშვები“ 2013 წელს. ამ კვლევის მიხედვით, „რეინტეგრირებულ შემთხვევათა დიდი უმრავლესობა (62,7 %) დაიხურა 6 თვემდე ვადაში და მათ დიდ ნაწილს სოფლად მცხოვრები ბავშვები შეადგენენ“ (გადავარჩინოთ ბავშვები, 2013, გვ. 8). ნაკლებ სავარაუდოა, რომ რეინტეგრირებული ოჯახები, რომლებიც უკუდურეს სოციალურ მარგინალიზაციის მსხვერპლები არიან, 6 თვის ვადაში ისე გაძლიერდნენ, რომ აღარ

ესაჭიროებოდათ სახელმწიფოს მხარდაჭერა. ამ ეჭვს ისიც აძლიერებს, რომ, ამავე კვლევის მიხედვით, რიგ შემთხვევებში შემთხვევის დახურვის მიზეზი არ იყო საფუძვლიანად დასაბუთებული. ერთ–ერთი ვარაუდი, რომელიც შეიძლება უკავშირდებოდეს ამ შეთხვევების უმრავლესობის დახურვას 6 თვემდე ვადაში, შეიძლება განპირობებული იყოს იმ ფაქტით, რომ სოციალური მუშაკებისთვის სირთულეს წარმოადგენს ტრანსპორტირება რეგიონებში შემთხევებზე ვიზიტების განსახორციელებლად (საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია, 2012). მაშასადამე, ზემოაღნიშნულ „სახელმწიფოსთვის თავის ტკივილის“ მოსაზრებას აქვს ლეგიტიმური ეჭვის საფუძველი და აღნიშნული საკითხი საჭიროებს შემდგომ შესწავლას.

ქუჩაში მცხოვრებ ბავშვებთან დაკავშირებით აღიარებულია „ამ ბავშვების არსებობის პრობლემა“, მაგრამ ამ პრობლემის გადაჭრის გზები ნათლად არაა გააზრებული. ძირითადად, თავად ახალგაზრდებისგანაა წამოსული იდეა, რომ საჭიროა მათი ოჯახების დახმარება ფინანსური მხარდაჭერით, მშობლის უნარების სწავლებისა და მოძალადის რეაბილიტაციით. ქუჩაში მყოფი ბავშვების მიერ ხაზგასმულია, რომ მათთვის მნიშვნელოვანია უსაფრთხო, ძალადობისაგან დაცული გარემოს უზრუნველყოფა. ისინი იაზრებენ ოჯახში ძალადობის გავლენას მათზე და ერთადაერთ გამოსავალს სახლიდან თავის დაღწევაში ხედავენ, თუმცა ძალადობრივი გარემო არსებობს არა მხოლოდ მათ ოჯახებში, ასევე, ქუჩაში, სადაც უხდებათ ცხოვრება. რეინტეგრაციაში მყოფი ბავშვებიც ადასტურებენ, რომ ქუჩაში ბავშვი დანაშულს ჩადის ”გაჭირვების გამო, რომ არ აქვს არანაირი შეძლება და სახსარი” (ბენეფიციარი, რეინტეგრაციაში მყოფი ბავშვი). ასევე, მიზეზი არის ის ოჯახური გარემო, რომელშიც ბავშვები ცხოვრობენ. მათი თქმით, თუ ოჯახში სიყვარული არაა, ეს აისახება ბავშვზე, მის საქციელზე:

„სახლში, სადაც სიყვარული არ არის, არა მგონია, კარგი რაღაცა გამოვიდეს” (ბენეფიციარი, რეინტეგრაციაში მყოფი ბავშვი).

გამოკვეთილია იმის საჭიროება, რომ ასეთი ბავშვები მოიაზრებოდნენ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონედ და მათთვის სახელმწიფომ ამ მიმართულებით განახორციელოს პროგრამები.

4.2. დეინსტიტუციონალიზაცია და ალტერნატიულ მომსახურებათა სიმწირე

ალტერნატიულ მომსახურებათა სიმწირე მნიშვნელოვან სირთულეს ქმნის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის დეინსტიტუციონალიზაციის პროცესში. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების პრობლემას არასათანადო ყურადღება ეთმობა სახელმწიფოს მხრიდან. არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ "დამაფიქრებელია რეფორმის ტემპი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის. ჯერაც არ დახურულა დიდი ზომის დაწესებულებები ამ პირთათვის" (პრაქტიკოსი არასამთავრობო ორგანიზაციიდან). რეგიონებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა ეფექტიანი იდენტიფიკაცია და მათთვის დიდი ზომის დაწესებულებების დახურვა უდავო პრობლემაა. სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენლის მიხედვით, სახელმწიფო მხოლოდ „ხედავს" იმ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს, რომელთაც სტატუსი აქვთ დადგენილი:

> *"მხოლოდ ის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები არიან იდენტიფიცირებულები, რომლებსაც სტატუსი აქვთ დადგენილი და იღებენ ფულად კონპენსაციას და, აქედან გამომდინარე, მხოლოდ ეს ბავშვები ჩანან სოციალური სფეროსთვის. დღეს მხოლოდ 8890 ბავშვი ატარებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსს, ხოლო დანარჩენები, განსაკუთრებით რეგიონებში, იდენტიფიცირებულიც კი არ არიან და, შესაბამისად, ვერ იღებენ სახელმწიფო დახმარებას" (ექსპერტი სახალხო დამცველის ოფისის შეზღუდული შესაძლებლობის პირთა უფლებების ცენტრიდან).*

გადაუდებელ აუცილებლობად იკვეთება, ასევე, ჩვილ ბავშვთა სახლის დახურვისა და ალტერნატიული ზრუნვის შესაძლებლობების შეთავაზებაც ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ჩვილებისთვის.

გამოიკვეთა ინსტიტუციის ალტერნატიული ზრუნვის სიხისტე და მოუქნელობა იმ ბავშვების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, რომელთაც ინსტიუციონალიზაციის და ცხოვრებისეული რთული, ტრამვული გამოცდილება აქვთ, კერძოდ, ექსპერტები საუბრობენ იმაზე, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები

უარს ამბობენ, მომსახურება მიწოდონ, ეგრეთ წოდებულ, „რთული ქცევის“ ბავშვებს, რომლებიც ძირითად 12 წელს ზემოთ არიან. თავის მხრივ, მცირე საოჯახო ტიპის სახლის პროვაიდერები აღნიშნულს იმით ხსნიან, რომ მათი სახლი არ არის გათვალისწინებული „ასეთი რთული ქცევის“ ბავშვებისთვის, რომელთაც ხშირად ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემებიც აქვთ:

> *„ერთი ბავშვის გამო სასწორზე უნდა დავდოთ დანარჩენი ბავშვების უსაფრთხოება და კეთილდღეობა, იმ ბავშვებმა რა დააშავეს?“ (პრაქტიკოსი არასამთავრობო ორგანიზაციიდან).*

ხშირია შემთხვევები, როცა ასეთ ბავშვებს უწევთ მომსახურების ხშირი ცვლა. არის შემთხვევები, როცა სოციალური მომსახურების სააგენტო იძულებულია, რომ „ასეთი რთული ქცევის ბავშვების“ „იძულებითი რეინტეგრაცია“ გააკეთოს, რადგან ვერ უზრუნველყოფს მათ ალტერნატიულ მომსახურებაში განთავსებას. „იძულებითი რეინტეგრაცია“ იმას გულისხმობს, რომ ძირითად შემთხვევებში ბავშვების ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება კეთილსაიმედო სრულებითაც არ არის ბავშვისთვის, მაგრამ, რადგან მათთვის ვერც სახელმწიფო ალტერნატიულ ზრუნვაში ხდება ადგილის მოპოვება, სოციალური მომსახურების სააგენტო იძულებულია, ბავშვი დააბრუნოს სახლში, ოღონდ ოფიციალურად რეინტეგრაციის პროგრამაში ჩართვის გარეშე, რას იმას ნიშნავს, რომ ყველაზე მეტად დახმარებისა და საჭიროების მქონე ბავშვების გარიყვა ხდება სისტემის მიერ. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტები საუბრობენ თავად დეინსტიტუციონალიზაციის ხარვეზებზეც (მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები ერთად თანხმდებიან, რომ რეფორმა ერთ-ერთი პროგრესული და აუცილებლად განსახორციელებელი იყო ბავშვების უფლებების დასაცავად), რომ „ეს პროცესი (დეინსტიტუციონალიზაციის) ძალიან სწრაფად განხორციელდა, ნაცვლად ბავშვების ინტერესების დაცვისა მოხდა ისე, რომ მათი სწრაფად დაკეტვა გახდა მიზანი“ (პრაქტიკოსი არასამთავრობო ორგანიზაციიდან). ასევე, აღინიშნება, რომ „ძირითადად რთული შემთხვევების მოტოვება მოხდა ბოლოში, მაგალითად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების“ (პრაქტიკოსი არასამთავრობო ორგანიზაციიდან) და „რთული ქცევის მქონე ტინეიჯერები, რომლებიც ქუჩაში

აღმოჩნდნენ“ (პრაქტიკოსი არასამთავრობო ორგანიზაციიდან). ასევე, კვლევის მონაწილეები საუბრობენ მცირე საოჯახო ტიპის სახლებთან დაკავშირებულ სირთულეებზე, მიუხედავად იმისა, რომ ერთხმად აღიარებენ ამ ზრუნვის ფორმის უპირატესობებს ძველი ტიპის დიდი ზომის ინსტიტუციებთან შედარებით:

მცირე საოჯახო ტიპის სახლებში ზრუნვისას „თითქოს ყველაფერი უკეთესადაა. სისუფთავე, ჰიგიენა დაცულია, გარემოც ლამაზი და ფერადია. ბავშვებს ინდივიდუალური სივრცეც აქვთ, მაგრამ მაინც იგრძნობა ინდივიდუალური კულტურის ნაკლებობა, ნამდვილი „სახლობის“ განცდისთვის, მხოლოდ მოწესრიგებული პატარა ინფრასტრუქტურა და ფერადი კედლები არ არის საკმარისი“ (პრაქტიკოსი არასამთავრობო ორგანიზაციიდან).

ექსპერტები საუბრობენ აღმზრდელების კვალიფიკაციასთან დაკავშირებულ პრობლემებზე, რომლებიც სირთულეს ქმნის ინდივიდუალურ მიდგომებისა და მეთოდების დანერგვასთან დაკავშირებით.

4.3. დასაქმების ხელშემწყობ მომსახურებათა საჭიროება

ბავშვთა კეთილდღეობის სისტემის ეფექტიანობის მიღწევისათვის მნიშვნელობა აქვს როგორც ქვეყანაში ზოგადი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, ასევე, სახელმწიფოს როლის გაძლიერებას სამიზნე ოჯახების დასაქმების მიმართულებით. ხშირად სოციალური დახმარების მიმღები ოჯახები უარს ამბობენ დასაქმებაზე. ძირითადად, ამგვარი „სიზარმაცის“ მიზეზი სოციალური დახმარების მოხსნის შიშია. მათ მიერ წამოწყებული მცირე ეკონომიკური აქტივობა და ხელმისაწვდომი დასაქმების შესაძლებლობებიც (რომელიც არ არის გრძელვადიანი და მდგრადი) შესაძლოა, გახდეს სოციალური დახმარების დაკარგვის მიზეზი:

„რეალურად სახელმწიფო ხელ-ფეხს გიბოჭავს რაიმე აკეთო, იმუშაო, მუდმივ შიშში ხარ, რომ იმ მცირე სტაბილურ დახმარებასაც მოგიხსნიან“ (ბენეფიციარი, რეინტეგრირებული ბავშვების მშობელი).

საქართველოში მსოფლიო ბანკის ბოლოდროინდელმა კვლევამ აჩვენა, რომ იმ შინამეურნეობებს, რომლებიც ახლოს არიან სიღარიბის ზღვრულ მნიშვნელობებთან, განსაკუთრებით კი ბავშვიან ქალებს, მუშაობის სტიმული დაეკარგათ (Kits, Santos, Smith, & Isik-Dikmelik, December, 2013).

ამ პრობლემის გადაწყვეტის გარდა საჭიროა ისეთი აქტიური სამუშაო ბაზრის პროგრამები, რომლებიც ხელს შეუწყობს ოჯახების გააქტიურებას, მათი ცნობიერების შეცვლას, მცირე ბიზნესში ჩართულობას და ჯამში მათს გაძლიერებას. სოციალური დახმარების მექანიზმის მუშაობასთან დაკავშირებულ სირთულეებზე საუბრობენ როგორც სახელმწიფო, ასევე, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებიც. კერძოდ, ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად დასახელდა ის, რომ ბენეფიციარები უარს ამბობენ დასაქმებაზე დახმარების მოხსნის შიშის გამო და ხშირ შემთხვევებში მათთვის ხელმისაწვდომი დასაქმების შესაძლებლობებიც არ არის გრძელვადიანი და მდგრადი. ასეთ პირობებში მათ ხშირ შემთხვევაში სრულიად სამართლიანადაც ეშინიათ, რომ ვერ გაუმკლავდებიან მათ წინაშე არსებულ რისკებს და უფრო მეტად მიჯაჭვულები ხდებიან სახელმწიფო დახმარებაზე.

5. შემაჯამებელი მსჯელობა და ძირითადი მიგნებები

კვლევამ გამოავლინა, რომ ბავშვთა კეთილდღეობის არსებული სისტემები სრულად ვერ პასუხობს მოწყვლადობის რისკფაქტორების ელიმინაციის ან მნიშვნელოვნად შემცირების ამოცანას. საქართველოში გატარებულმა დეინსტიტუციონალიზაციის რეფორმამ ჯერ ვერ შეძლო ისეთი ალტერნატიული ზრუნვის სისტემის განვითარება, რომელიც დააკმაყოფილებდა იმ საჭიროებას, რამაც სათავე დაუდო თვით ამ რეფორმას. ეს საჭიროება იყო ყველაზე მოწყვლადი ჯგუფების სოციალური ინტეგრაციის უზრუნველყოფა. სისტემამ ჯერჯერობით ვერ შეძლო ადეკვატური რესურსების მობილიზება, შესაფერისი პროცესების დამკვიდრება და საკმარისად ეფექტური სერვისების შექმნა ამ საჭიროების დასაკმაყოფილებლად.

ზემოაღნიშნულის ერთ–ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი იყო ის, რომ ბავშვთა კეთილდღეობის სისტემაში ადგილი ჰქონდა „საჭიროებებზე დაფუძნებული მიდგომების“ გამოყენებას „უფლებებზე დაფუძნებული მიდგომების“ საზიანოდ.

„საჭიროებებზე დაფუძნებული მიდგომა“, რომლის დეკლარირებული მიზანია შეზღუდული რესურსების გამოყენება ყველაზე მოწყვლადი ჯგუფების სასარგებლოდ (Onazi, 2013), იწვევდა ისეთ შედეგებს, რომლებიც წინააღმდეგობაში მოდიოდა გამოცხადებულ მიზნებთან. კერძოდ, ამ მიდგომის ფარგლებში განხორციელებული პროგრამები არა მარტო არ ფარავდა საჭიროების მქონე ყველა ოჯახს (რაც ლეგიტიმურია ამ მიდგომის კონფეფციისათვის), არამედ სამიზნე ჯგუფებიდან სისტემატურად გამორიცხავდა ყველაზე მეტად მოწყვლად ოჯახებს „მანკიერი შერჩევის“[31] პრობლემის არსებობის გამო (რაც ფორმალურად არალეგიტიმურია ამ მიდგომისათვის). შედეგად სისტემის მიღმა დარჩენილი ოჯახების მარგინალიზაცია და მოწყვლადობა მხოლოდ იზრდებოდა და გაიზრდება მომავალშიც, რაც უფრო მძიმე ტვირთად დააწვება საზოგადოებას ვიდრე ის ხარჯები, რომლებიც ადამიანის უფლებების სრულად დაცვაზე ორიენტირებული მიდგომის გამოყენებას დასჭირდებოდა.

პრევენციული მიდგომა

სახელმწიფო ვადებულია, უზრუნველყოს ოჯახები მატერიალური დახმარებითა და მხარდამჭერის პროგრამებით პრევენციის მიზნით (ბავშვის უფლებების კონვენცია, 1989, მუხლი 27). სტაბილური თემისა და კონსოლიდირებული საზოგადოებისთვის წამყვანი პრინციპი გულისხმობს ყველა ბავშვიან ოჯახში ინვესტიციას სახელმწიფოს მიერ, რომელიც კომბინირებულია გარიყვის რისკის წინაშე მყოფ ყველაზე მოწყვლად ოჯახებისთვის დამატებით მიზნობრივ მხარდაჭერასთან (Council of Europe, 2006). ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენების შემთხვევაში ბავშვზე ზრუნვის სისტემას უნდა ჰქონდეს გამოკვეთილად პრევენციული ხასიათი (Androff, 2016), მაშინ, როცა ჩვენი კვლევა წარმოაჩენს არსებული სისტემის რეაქტიულობას (მაგალითად, სახელმწიფო სოციალური მუშაკები, მხოლოდ შემოსულ მომართვებზე რეაგირებს და აწარმოებს თემებში მუშაობას რისკჯგუფის ბავშვთა დროული იდენტიფიკაციისა და

[31] ტერმინი „მანკიერი შერჩევა“ (adverse selection) გამოიყენება ინფორმაციის ასიმეტრიის თეორიაში (George Akerlof, Michael Spence and Joseph E. Stiglitz, "Analyses of Markets with Asymmetric Information") გადაწყვეტილების მიღების ერთ-ერთი ძირითადი პრობლემის აღსაწერად, როდესაც ტრანზაქციაში მონაწილე უფრო ინფორმირებული მხარე (ჩვენს შემთხვევაში სოციალური მომსახურების მიმწოდებელი) განაპირობებს ტრანზაქციის საგნის (ჩვენს შემთხვევაში სამიზნე ჯგუფი) არჩევანს, რომელიც მეორე მხარის (ჩვენ შემთხვევაში საზოგადოება) ინტერესს/მიზანს არ შეესაბამება.

პრევენციული მიმართულებით, ასევე, სახელმწიფო არ იყენებს სოციალურ აგენტს ამ მიმართულებით, რომელიც ისედაც მუშაობს სოციალურად დაუცველ ოჯახებთან, სადაც დიდია ბავშვების უგულებელყოფის რისკები). არ ხდება ინტერვენციის საჭიროების პროაქტიული გამოვლენა (აღწერილია მე–3 ქვეთავში, სისტემების ხარვეზები პროცესის თვალსაზრისით, პრევენციული მიდგომა, გვ. 95). საჯარო სკოლები ცდილობენ, თავიდან მოიცილონ რთული ქცევის ბავშვები, რითაც მათი მოწყვლადობა კიდევ უფრო იზრდება, მაშინ, როცა ოჯახის მხარდაჭერის სფეროში ცენტრალური ადგილი უჭირავს სკოლას. ბავშვზე ზრუნვისა და სკოლის ინტეგრაცია, ასევე, დიალოგი მშობლებს, ზრუნვის მომსახურებებსა და საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის მაქსიმალურად უნდა იყოს წახალისებული, განსაკუთრებით იმ ოჯახებისთვის, რომლებიც იმყოფებიან კრიზისულ სიტუაციებში და განსაკუთრებული საჭიროებები გააჩნიათ (Eurochild, 2014). პრაქტიკოსები, (სოციალური მუშაკები), როგორც სამთავრობო ისე არასამთავრობო სექტორში, აღიარებენ, რომ ძირითადად მუშაობენ შეფასებებზე და საჭიროებების დაკმაყოფილებაზე, ინტერვენციისათვის კი რესურსი აღარ რჩებათ. გეოგრაფიულად მოწყვეტილ (მაღალმთიან) სოფლებში ოჯახები არ არიან საკმარისად ინფორმირებული სოციალური დახმარებისა და სხვადასხვა მომსახურების მიღების შესაძლებლობების შესახებ. კვლევამ გამოავლინა, რომ ოჯახის მხარდამჭერ და პრევენციულ პროგრამათა რაოდენობა და ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვანწილად არის შეზღუდული. ოჯახის მხარდამჭერი სახელმწიფო მომსახურებები (რომლებიც ჩამოყალიბებულია საქართველოს მთავრობის დადგენილებაში #138 სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2015 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ, 2015) ხელმისაწვდომია ძირითადად დიდ ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში, ხოლო სოფლის მოსახლეობისთვის მათზე ხელმისაწვდომობა ერთ–ერთი მთავარი გამოწვევაა. პრევენციულ და ოჯახის მხარდამჭერ პოლიტიკასა და პროგრამებს უდიდესი როლი აქვთ ბავშვის სამზრუნველო დაწესებულებაში განთავსების პრევენციის დროს. როგორც "გეითქიფინგის" პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების დოკუმენტი (2012) აღნიშნავს, „გეითქიფინგი“ შეთანხმებული ღონისძიებების ერთობლიობაა, რომელიც უზრუნველყოფს ოჯახის

დამხმარე მომსახურებებსა და დახმარებებზე ხელმისაწვდომობას და იცავს ბავშვს 24–საათიანი ზრუნვის სისტემაში განთავსებისაგან. მიუხედავად პოლიტიკის დონეზე დოკუმენტების არსებობისა, პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ოჯახებისათვის დამხმარე და პრევენციული პროგრამების რაოდენობა მწირია და შეზღუდულ ხასიათს ატარებს.

კვლევის შედეგების შედეგად ვლინდება, რომ რეფორმის ფარგლებში არ განვითარდა ის ღონისძიებები ქვეყნის მასშტაბით, რომლებიც აძლიერებს და ინარჩუნებს ოჯახის მთლიანობას, ხელს უშლის ოჯახების დაშლასა და უზრუნველყოფს ადრეულ ინტერვენციებს იმ ოჯახებში, რომლებიც ხვადასხვა რისკების წინაშე დგანან (Costa, 2012). მაშასადამე, საქართველოს მთავრობა, საჭიროებებზე დაფუძნებული მიდგომების შეზღუდვებიდან გამომდინარე, მთავარ სირთულეს აწყდება დეინსტიტუციონალიზაციის (რომელიც არ მოიაზრებს მხოლოდ დიდი ზომის დაწესებულებების დახურვას, არამედ ინსტიტუციებიდან გადასვლას ოჯახსა და თემზე დაფუძნებულ ზრუნვაზე (Bilson & Harwin, 2003)) ისეთი მთავარი ამოცანების შესრულებაში, როგორებიცაა, ერთი მხრივ, ინსტიტუციურ ზრუნვაზე დამოკიდებულების შემცირება ოჯახისა და თემზე დაფუძნებული ზრუნვისა და მომსახურებების მიწოდების გაზრდით და, მეორე მხრივ, ბავშვების მშობლებისგან განცალკევების პრევენცია მათთვის ადეკვატური მხარდაჭერის მიწოდებით (SoS Children's Villages International & International Social Service, 2009).

ზრუნვიდან გამოსული ახალგაზრდები

სახელმწიფო ზრუნვიდან გამოსული ახალგაზრდებისათვის არ არსებობს ისეთი მხარდაჭერა და მომსახურებები, რომლებიც დაეხმარებოდათ მათ საზოგადოებაში ეფექტურად ინტეგრაციაში. ეს უკანასკნელი კი, დეინსტიტუციონალიზაციის განმარტების მიხედვით, როგორც ზემოთ არის აღნიშნული, ამ პროცესის ერთ–ერთი მთავარი ამოცანაა, კერძოდ, ზრუნვის სისტემიდან გასვლისთვის ახალგაზრდების მომზადება და მათი სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობა და უმტკვნეულოდ გადასვლა დამოუკიდებელ ცხოვრებაზე (Eurochild, 2014). საქართველოში ზრუნვის სისტემის დატოვების შემდეგ მათი დიდი ნაწილი განწირულია შემდგომი

მარგინალიზაციისა და მოწყვლადობის გაღრმავებისათვის, რაც მათზე ადრე (ზრუნვის ეტაპზე) დახარჯულ სახელმწიფო სახსრებსაც უკარგავს ღირებულებას.

ის ახალგაზრდები, რომლებიც სახელმწიფო ზრუნვის ასაკიდან გამოსვლის შემდეგ მაინც იღებენ გარკვეულ დახმარებასა და მომსახურებას, არ არიან ყველაზე მოწყვლადები. ასეთი დახმარება ხელმისაწვდომია მხოლოდ ზოგიერთი მცირე საოჯახო სახლის აღსაზრდელებისათვის, რომელთათვისაც ამ სახლების მხარდამჭერი სამოქალაქო ორგანიზაციები ზრუნავენ. ამ დროს მინდობით აღსაზრდელებს, ბიოლოგიურ ოჯახებში რეინტეგრირებულებს (ხშირად იძულებით რეინტეგირებულებს), და სისტემაში ჩაურთველებს (აქ არიან დეინსტიტუციონალიზაციის შედეგად „სისტემიდან გაქცეული“ ბავშვებიც) ასეთ მომსახურბებზე ხელი არ მიუწვდებათ, მიუხედავად იმისა, რომ მათი მოწყვლადობა უფრო მძიმეა ხშირ შემთხვევაში.

ამ კატეგორიის ახალგაზრდებიდან, ზრუნვის პერიოდის დამთავრების შემდეგ, მომსახურებებეზე ყველაზე ნაკლები ხელმისაწვდომობა აქვთ შშმ პირებს. ხშირად მათი ერთადერთი გამოსავალი სათემო ორგანიზაციებია, რომლებიც, კვლევის მონაწილეების აზრით, ასევე, ვერ უზრუნველყოფს მათ სრულყოფილ ინტეგრაციას.

საჯარო სკოლები სახელმწიფო ზრუნვაში მყოფ ბავშვებს არ აღიქვამენ თავიანთ ლეგიტიმურ კონტიგენტად და თვლიან, რომ მათთვის სხვა ტიპის მომსახურებაა საჭირო. ეს მეტყველებს განათლების სისტემაში ამ ბავშვების გარიყულობაზე მაშინ, როცა სხვა ჯგუფებისათვის არსებობს ინკლუზიური სწავლების პროგრამები (მაგალითად სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების ბავშვებისათვის).

მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს აქვთ სოციალური დახმარების პროგრამები და სერვისები (სოციალური საცხოვრისის ჩათვლით), ეს დახმარება ხელმისაწვდომია მხოლოდ მცირე ჯგუფისათვის. ისინი, ვინც ახერხებენ ამ დახმარებით სარგებლობას, სავარაუდოდ, არ არიან ყველაზე მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლები. სოციალური საცხოვრისის კრიტერიუმებიც ეფუძნება რა საჭიროებებზე დაფუძნებულ მიდგომას, არჩევს მათ, ვისაც აქვს „პოტენციალი“, რომ გაძლიერდება, დატოვებს სახლს და ადგილს დაუთმობს საჭიროების მქონე სხვა პირს. ამ მიდგომიდან გამომდინარე, ადგილობრივი თვითმართველო ამოდის არა იმ

ფილოსოფიიდან, რომ უფლება არსებობს, ადამიანს სახლი ჰქოდეს, არამედ საჭიროა გულმოწყალება, რომ შეიფარო. იგივე მიდგომა ვლინდება სახელმწიფოს მიერ შემუშავების პროცესში მყოფ მხარდაჭერის პროგრამაში ზრუნვიდან გასული ახალგაზრდებისთვის. სახელმწიფოს ხედვის მიხედვით, იმისათვის რომ ამ მომსახურებაში მოხვდეს ახალგაზრდა, აუცილებელია მას ჰქოდეს დასაქმებისა და სწავლის სურვილი და მოტივაცია, ასევე, რეკომენდაციები აღმზრდელებისგან, პროფესიონალებისგან. მაშასადამე, ამ პროგრამაშიც აქცენტი კეთდება მომსახურების მიწოდებაზე არა ყველასათვის, ვისაც ეს სჭირდება მათი უფლებების უზრუნველსაყოფად (გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეა, 1966), არამედ „საუკეთესო“ ნაწილისთვის. როგორც გაეროს ბავშვის უფლებათა დაცვის კომიტეტი აღნიშნავს, სამზრუნველო სისტემაში განთავსებული ბავშვები ზრუნვის სისტემიდან გასვლის შემდეგ ცალკე ქვეკლასს ქმნიან (UN Committee on the Rights of the Child (48th sess.), 2008) და მნიშვნელოვან პრობლემებს აწყდებიან საზოგადოებაში ინტეგრაციის დროს. ასეთი სტატუსი, პირველყოვლისა, უკავშირდება ზრუნვის სისტემიდან გამოსული ახალგაზრდებისათვის საზოგადოებაში ინტეგრაციის პროგრამების ნაკლებობას.

დისკრიმინაცია

დეინსტიტუციონალიზაციის ნაჩქარევმა რეფორმამ გამოიწვია ბევრი ბავშვის (მათ შორის ყველაზე მოწყვლადების) „ გაქცევა სისტემიდან“, მაგრამ ისინიც კი, ვინც დარჩნენ სისტემაში, ვერ სარგებლობენ თანაბრად იმ სოციალური მხარდაჭერით, რასაც სახელმწიფო გამოყოფს მათთვის. კერძოდ, საქართველოში ბავშვთა კეთილდღეობის უზრუნველყოფის განხორციელების პროცესში პრობლემაა ბავშვთა ბიოლოგიური ოჯახების დისკრიმინაცია, რისი ფესვებიც სოციალური პოლიტიკების პროგრამირებისას „ბაზისურ საჭიროებებზე დაფუძნებულ“ მიდგომაში შეგვიძლია, ვეძებოთ. ერთი მხრივ, სახელმწიფო პოლიტიკა მთავარ ამოცანად სახავს ბავშვის ოჯახში შენარჩუნებასა (პრევენციული მიდგომა) და ოჯახის გაძლიერებას. მეორე მხრივ, ბავშვის ბიოლოგიური ოჯახები იღებს არაადეკვატურ დახმარებას და სახელმწიფო არ ითვალისწინებს მათი მარგინალიზაციის დონეს. აღნიშნული კი ეფუძნება ხედვას, რომ ისინი მხოლოდ ქველმოქმედების ობიექტები არიან, მათი

მარგინალიზცია არავის ბრალია და, შესაბამისად, მათს მდგომარეობაზე პასუხისმგებლობაც მათვე ეკისრებათ (Hickey & Mitlin, 2009). შვილების აღზრდაზე ვალდებულებაც მხოლოდ მშობლებისაა, სახელმწიფო კი უნდა დაეხმაროს არსებული „შესაძლებლობის ფარგლებში“. ამგავრი ეფექტი გამომდინარეობს სწორედ „საჭიროებებზე დაფუძნებული მიდგომის“ გამოყენების შინაგანი წინააღმდეგობიდან. ბიოლოგიური ოჯახის დისკრიმინაციის ამ შემთხვევაში გამოყენებული მიდგომის დაშვებაა, რომ თუ მშობლების არმქონე ბავშვს სჭირდება დახმარება, ბიოლოგიური მშობლის არსებობის შემთხვევაში ამ უკანასკნელმაც უნდა გაიღოს „თავისი წილი ხარჯი“, ხოლო სახელმწიფო მხოლოდ „შესაძლებლობის ფარგლებში“ უნდა დაეხმაროს. შედეგად ვიღებთ შემდეგს: ბავშვის დეინსტიტუციონალიზაციისა და ოჯახურ გარემოში აღზრდისთვის ბიოლოგიური ოჯახი, მეურვე ან მზრუნველი საქართველოში იღებს თითქმის ხუთჯერ ნაკლები ოდენობის თანხას მინდობით აღმზრდელ ოჯახთან შედარებით[32]. ეწინააღმდეგება რა კონსტიტუციის მე–14 მუხლით გათვალისწინებულ თანასწორი მოპყრობის პრინციპს (საქართველოს კონსტიტუცია, 1995), სახალხო დამცველის ოფისმა ეს შეაფასა კიდეც უთანასწორო მოპყრობის თვალსაჩინო შემთხვევად. საჭიროებებზე დაფუძნებული მიდგომები ასეთ დახმარებას თვლის ქველმოქმედებად, რომლის დროსაც სახელმწიფო არ ახდენს ამ დახმარების გავლენების შეფასებას (Kanter, 2014). აღსანიშნავია, რომ საქართველოშიც მთავრობის მიერ არ განხორციელებულა არც ერთი კვლევა ამ მიმართულებით.

მაშასადამე, პარაქტიკაში ამგვარი მიდგომა იწვევს ისედაც მოწყვლადი ოჯახის კიდევ უფრო მეტ მარგინალიზაციას (ბიოლოგიურ ოჯახებს იმიტომაც ჰყავდათ ბავშვები სახელმწიფო ინსტიტუტებში, რომ უკიდურესად მოწყვლადები იყვნენ) მიუხედავად იმისა, რომ სისტემის გამოცხადებული მიზანია მათი ინტეგრაცია. თუ სახელმწიფოს დეკლარირებული მიზანი ბავშვის კეთილდღეობის რეფორმის

[32] ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნებისას რეინტეგრაციის შემწეობის ოდენობა თვეში 90 ლარია ჯანმრთელი ბავშვისთვის, ხოლო 130 ლარი – შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვისთვის. თუ ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნების ნაცვლად ბავშვი გადაყვანილია მინდობით აღზრდაში (კომპეტენტური ორგანოს მიერ ბავშვების განთავსება ხდება ოჯახში, რომელიც არ არის ბავშვის ნათესავი და სახელმწიფოსთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში ახორციელებს ბავშვზე ზრუნვას), ანაზღაურება წარმოადგენს 15 ლარს ერთ კალენდარულ დღეზე (თვეში 450–465 ლარი) ჯანმრთელი ბავშვისთვის და 20 ლარს ერთ კალენდარულ დღეზე (თვეში 600–620 ლარი) – შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვისთვის.

ფარგლებში მათი დეინსტიტუციონალიზაცია და მიტოვების პრევენციაა (ბავშვთა კეთილდღეობისა და დაცვის 2012-2015 წლების სამოქმედო გეგმა, 2012) აშკარაა, რომ ამ მიზნის მისაღწევად მშობლისთვის უფრო ცუდი პირობების შეთავაზება, ვიდრე უცხო ოჯახისთვის, მიზნის მიღწევის გონივრულ საშუალებას არ წარმოადგენს. მარგინალიზაციის ანალიზიდან ჩანს, რომ ბიოლოგიური მშობლები უფრო მარგინალიზებულნი არიან, ვიდრე მინდობით აღმზრდელები. ძირითადი დაშვებაც სახელმწიფოს მიერ მინდობით აღმზრდელების შერჩევისას ის არის, რომ ისინი არ უნდა იყვნენ მარგინალიზებულნი. მაშასადამე, საჭიროა მიდგომების გადახედვა და ინდივიდუალური მიდგომების გამოყენება ყველა ბავშვისთვის. სახელმწიფომ არ უნდა გააკეთოს ყალბი დაშვება, რომ რადგან მშობელია, ამიტომ შეძლებს ზრუნვას, რომ თითქმის ყველა ადამიანს აქვს თანაბარი შესაძლებლობები და არავინ განიცდის სტრუქტურულ ჩაგვრას. თუ ავიღებთ და გავაანალიზებთ უფლებებზე დაფუძნებული მიდგომებითა და მარგინალიზაციის ანალიტიკური ჩარჩოს გამოყენებით, მშობლები, რომლებიც იბრუნებენ ბავშვებს 24 საათიანი ზრუნვიდან, არიან მეტად მარგინალიზებულნი, ვიდრე დანარჩენები და თუ მიზანი, ბავშვის უფლებებიდან გამომდინარე, ბავშვის ოჯახში/საზოგადოებაში რესოციალიზაციაა, მაშინ ნათელია, რომ რაც მეტად მარგინალიზებულ ოჯახში მოხვდება ბავშვი, მით მეტი დახმარება ესაჭიროება უფლებების უზრუნველსაყოფად.

მეორე მხრივ, პოზიტიური ნაბიჯია სახელმწიფოს მიერ კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გადაუდებელი პირველადი დახმარების ფონდის შექმნა (სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2015 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ, საქართველოს მთავრობის დადგენილება, # 138, 2015 წლის 30 მარტი, ქ. თბილისი). თუმცა, კვლევამ აჩვენა, რომ ფონდი მოქნილად ვერ ითვალისწინებს ბავშვისა და ოჯახის ინდივიდუალურ საჭიროებებს. აქაც მიზეზი შეიძლება, ვეძებოთ პროგრამის დეგეგმვისას გაკეთებულ იმ დაშვებაში, რომ მიზნობრივ ჯგუფს უნდა დავეხმაროთ „ შესაძლებლობის“ და არა მათი უფლებების განხორციელების ფარგლებში.

ბიოლოგიური მშობლების დისკრიმინაციის გარდა ადგილი აქვს ეთნიკური უმცირესობის – ბოშების – დისკრიმინაციასაც. მაგალითად, ბოშა ბავშვები სისტემატურად ვერ ხვდებიან პროგრამების სამიზნე ჯგუფებში.

სახელმწიფო ზრუნვის თვალსაზრისით, მინდობით აღზრდაში მყოფი ბავშვები დისკრიმინირებულნი არიან მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მცხოვრებ ბავშვებთან შედარებით. განსხვავებით მინდობით აღსაზრდელებისაგან, მცირე საოჯახო ტიპის სახლებში ბავშვებს ხელი მიუწვდებათ მართალია მწირ, მაგრამ რიგ მომსახურებაზე ზრუნვის სისტემიდან გასვლისთვის მოსამზადებლად. არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც მართავენ მცირე საოჯახო ტიპის სახლებს, უფრო აქტიურად ცდილობენ, იზრუნონ აღსაზრდელების მომავალი ცხოვრების შესაძლებლობების შექმნაზე, ვიდრე ამას აკეთებს სახელმწიფო, რომელიც მართავს მინდობით აღზრდას. საჭიროა, სახელმწიფო სთავაზობდეს 24 საათიან ზრუნვაში (როგორც მცირე საოჯახო ტიპის სახლში, ასევე, მინდობით აღზრდაში) მყოფ ყველა ბავშვს, დამატებით მომსახურებას, რომელიც მათ ოჯახებს დაეხმარება აღსაზრდელების დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მომზადებაში.

მაღალი რისკის ჯგუფების ბავშვთა მომსახურება

„საჭიროებებზე დაფუძნებული მიდგომის“ პრაქტიკაში განხორციელებისას გამოვლენილი შინაგანი წინააღმდეგობის ილუსტრაციაა ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების შემთხვევა. კვლევამ აჩვენა, რომ ყველაზე დაუცველი და მოწყვლადობის მაღალი რისკის მქონე ამ ჯგუფის მიმართ ჯერჯერობით რეფორმა შეფერხებით მიმდინარეობს.

ეროვნულ კოალიციასთან არსებული ახალგაზრდული საბჭოს წევრი ახალგაზრდების აზრით, რეფორმა არ შეხებიათ დეინსტიტუციონალიზაციის ფარგლებში ისეთ ბავშვებს, რომლებიც ბავშვთა სახლების დაშლის პროცესთან ვერ ადაპტირდნენ და „გაექცნენ სისტემას“. ბავშვთა გარკვეული ნაწილი დეინსტიტუციონალიზაციის ფარგლებში სწორედ ქუჩაში მოხვდა. ეს საკითხი რაოდენობრივად შესწავლილი არ არის, მაგრამ ექსპერტები საუბრობენ იმაზე, რომ სოციალური მომსახურების სააგენტომ ზოგი შემთხვევა ოფიციალურად რეინტეგრაციის პროგრამაში არც კი ჩართო (ან ჩართო ძალიან მცირე ხნით),

განსაკუთრებით ტინეიჯერი ბავშვები, რომელთა მიღებაზეც არასამთავრობო სექტორმა უარი თქვა, მათი რთულად მართვადი ქცევიდან გამომდინარე, ხოლო რეინტეგრაციაში მათი ოფიციალურად ჩართვა სახელმწიფოსთვის „თავის ტკივილი“ იქნებოდა, რადგან შედეგებს ვერ მიაღწევდა.

იმავე კანონზომიერებაზე მიუთითებს ორგანიზაცია „გადავარჩინოთ ბავშვების“ მიერ 2013 წელს ჩატარებული კვლევა (გადავარჩინოთ ბავშვები, 2013). კვლევის მიხედვით, „რეინტეგრირებულ შემთხვევათა დიდი უმრავლესობა (62,7 %) დაიხურა 6 თვემდე ვადაში და მათს დიდ ნაწილს სოფლად მცხოვრები ბავშვები შეადგენენ. ნაკლებ სავარაუდოა, რომ რეინტეგრირებული ოჯახები, რომლებიც სოციალურად მარგინალიზებული არიან, 6 თვის ვადაში ისე გაძლიერდნენ, რომ აღარ ესაჭიროებოდათ სახელმწიფოს მხარდაჭერა. ამასთანავე, რეინტეგრაციის შემთხვევების დახურვის მიზეზი არ იყო საფუძვლიანად დასაბუთებული.

ამგვარად, საუბარი გვაქვს იმაზე, რომ დეინსტიტუციონალიზაციის რეფორმამ, რომელიც ეფუძნებოდა „საჭიროებაზე დაფუძნებულ მიდგომას“, თავისივე დეკლარირებული მიზნების მიუხედავად, სახელმწიფოს „შეზღუდული რესურების“ განაწილების პროცესში გარიყა ყველაზე უფრო მოწყვლადი ოჯახები და ბავშვები, რამაც, სავარაუდოდ, კიდევ უფრო დაამძიმა ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების პრობლემა.

კვლევა გვიჩვენებს, რომ, როგორც ექსპერტები, ასევე, თვითონ ბავშვებიც არსებულ პრობლემის გადაწყვეტის ერთ–ერთ გზად მიიჩნევენ ე.წ. პრევენციულ მიდგომას, რაც არსობრივად უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის ნაწილია. პრევენციული მიმართულების გაძლიერება პირდაპირ უკავშირდება ოჯახების გაძლიერებას მათთვის დივერსიფიცირებული (მატერიალური, ფსიქო-სოციალური, სამედიცინო, კვებითი, რეკრეაციული და სხვა დახმარებები), ოჯახზე მორგებული მომსახურებათა განვითარების გზით. როგორც ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე, ასევე, სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ბავშვები, სურთ რა მშობლებთან ერთად ცხოვრება, თვლიან, რომ სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს მათი ოჯახების გაძლიერებაზე. ეს კი, მათი აზრით, გულისხმობს დასაქმებასა და პროფესიულ

მომზადებას, ასევე, მშობლებისთვის ისეთი გამაძლიერებელი მომსახურების მიწოდებას, რომელიც დაეხმარება ოჯახებს მშობლის უნარ-ჩვევების გამომუშავებაში.

კვლევა, ასევე, აჩვენებს, რომ „საჭიროებაზე დაფუძნებული მიდგომის“ არგუმენტებიდან გამომდინარე, სახელმწიფო უზღუდავს გარკვეულ მომსახურებებს (მაგ. ბავშვთა ადრეულია განვითარების ქვეპროგრამა, ბავშვთა რეაბილიტაციის/აბილიტაციის ქვეპროგრამა) შეზღუდული შესაძლობლობის მქონე პირებს იმ შემთხვევაში, თუ ისინი სოციალურად დაუცველები არ არიან. სახელმწიფო მომსახურებებს უფასოდ სთავაზობს მხოლოდ იმ შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვებს, რომელთა ოჯახებიც დარეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში. ამგვარი მიდგომის კრიტიკის გამო (სავარაუდოდ) 2014 წლის ბოლოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ყველა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვმა, მიუხედავად მათი ოჯახის სოციალური სტატუსისა, სახელმწიფოსგან მიიღოს დღის ცენტრის ქვეპროგრამის ფარგლებში მომსახურება. მიუხედავად ამისა, მსგავსი მიდგომა არ ვრცელდება მათთვის სხვა ტიპის მომსახურებაზე, როგორებიცაა, მაგალითად: ბავშვთა ადრეული განვითარების ქვეპრგოგრამა და ბავშვთა რეაბილიტაციის/აბილიტაციის ქვეპროგრამა. ეს ფაქტებიც მიუთითებს „საჭიროებაზე დაფუძნებული მიდგომიდან“ გამომდინარე ინტერვენციების, ხშირ შემთხვევებში, არაადეკვატურობაზე.

დეინსიტუციონალიზაცია და ალტერნატიულ მომსახურებათა სიმწირე

დეინსტიტუციონალიზაციის პროცესი გულისხმობს პარალელურად ალტერნატიულ მომსახურებათა ადეკვატურ განვითარებასაც. მიუხედავად ამისა, „საჭიროებებზე დაფუძნებული მიდგომის“ განხორციელებისას სახელმწიფოს „შეზღუდული რესურსების“ არგუმენტის გამოყენებამ გამოიწვია ასეთი ალტერნატიული მომსახურებების სიმწირე, რამაც მნიშვნელოვანი სირთულე შექმნა სწორედ ყველაზე მოწყვლადი ჯგუფის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების, დეინსტიტუციონალიზაციის პროცესში. აღნიშნულ პრობლემაზე მიუთითებს, ასევე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დამცველი საერთაშორისო ორგანიზაციის კვლევის ანგარიში (Disability Rights

International, 2013). ანგარიშის მიხედვით, რეფორმის პროცესი დაიწყო ისე, რომ თავიდანვე გამორიცხა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მხარდაჭერა და მათი დისკრიმინაცია გაგრძელდა ამ ბავშვებისთვის განკუთვნილ ინსტიტუციებში.

ამას გარდა, შშმპ სტატუსის მქონე ჯგუფის შიგნითაც სწორედ ყველაზე უფრო მოწყვლადი ნაწილის მარგინალიზაცია მოხდა. სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენლის მიხედვით, სახელმწიფო მხოლოდ „ხედავს“ იმ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს, რომელთაც სტატუსი აქვთ დადგენილი. დანარჩენები, განსაკუთრებით რეგიონებში, იდენტიფიცირებულიც კი არ არიან და, შესაბამისად, ვერ იღებენ სახელმწიფო დახმარებას“ .

დამატებით, უნდა აღინიშნოს, რომ ინსტიტუციური ზრუნვა განსაკუთრებით საზიანოა 3 წლამდე ბავშვებისთვის (UNICEF, 2011). საქართველოში რეფორმა, ასევე, არ შეხებია ჩვილ ბავშვებს, რომლებზეც ზრუნვა კვლავ დიდი ზომის ბავშვთა სახლში ხორციელდება. მათ შორის კიდევ უფრო მოწყვლადები არიან ისინი, რომელთაც ჯანმრთელობის პრობლემები აქვთ და სწორედ ეს არის ოჯახებისგან მათი უარყოფის მიზეზი.

მაშასადამე, დეინსტიტუციონალიზაციის პროცესში სახელმწიფომ რეფორმიდან გარიყა მოწყვლად ბავშვებს შორის ყველაზე მეტად მოწყვლადები, კერძოდ, ჩვილი ბავშვები, რომელთაც ჯანმრთელობის პრობლემები აქვთ და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები. რეფორმის დასაწყისიდან 15 წლის შემდეგ ჯერ კიდევ ფუნქციონირებს თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლი და კოჯრის ბავშვთა სახლი, სადაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები იღებენ მომსახურებას. აღნიშნული მაგალითები ცხადყოფს, რომ სახელმწიფოს მიდგომები არ ითვალისწინებდა ბავშვის უფლებებს, არამედ აქცენტს აკეთებდა იმ ბავშვების (ჯანმრთელი) დეინსტიტუციონალიზაციაზე, რომლებთანაც ნაკლები რესურსით უკეთეს შედეგებს მიაღწევდა.

ალტერნატიული მომსახურებების სიმწირის გარდა, თავი იჩინა ალტერნატიული ზრუნვის სიხისტემაც, რამაც გამოიწვია ყველაზე უფრო მოწყვლადი ჯგუფის კიდევ უფრო მეტი მარგინალიზაცია. კერძოდ, ამ ზრუნვის

განმახორციელებელი არასამთავრობო ორგანიზაციები, ასევე, მინდობითი აღმზრდელები, უარს ამბობენ მომსახურება მიაწოდონ, ეგრეთ წოდებულ, „რთული ქცევის“ ბავშვებს. მცირე საოჯახო ტიპის სახლის პროვაიდერები და მინდობითი აღმზრდელები, თვლიან, რომ მათი სახლი არ არის გათვალისწინებული „ასეთი რთული ქცევის“ ბავშვებისთვის და, ამასთანავე, აღიარებენ რთულად მართვადი ქცევის ბავშვებთან მუშაობისთვის საჭირო კომპეტენციების არქონას. ეს ბავშვები, ძირითადად, 12 წელს ზემოთ არიან. მათი უმრავლესობა, რომელთაც ოჯახის ჩამნაცვებელი მომსახურება სჭირდება, სწორედ რთულად მართვადი ქცევებით ხასიათდება, რაც განპირობებულია მათი ტრავმული ცხოვრებისეული გამოცდილებით. ამ ბავშვებს უწევთ მომსახურების ხშირი ცვლა, რაც მათი საუკეთესო ინტერესის საწინააღმდეგოა. ძირითადად, ესენი არიან ბავშვები, რომელთა ოჯახებისგან განცალკევება აუცილებელია მათი საუკეთესო ინტერესების დასაცავად. შედეგად, ხშირ შემთხვევაში, სოციალური მომსახურების სააგენტო იძულებულია, რომ მოახდინოს ასეთი ბავშვების „იძულებითი რეინტეგრაცია“, ძირითად შემთხვევებში, ბავშვების ბიოლოგიურ ოჯახში. ასეთი დაბრუნება კეთილსაიმედო სრულებითაც არ არის ბავშვისთვის. სურათს კიდევ უფრო ამძიმებს ის, რომ სოციალური მომსახურების სააგენტო იძულებულია, ბავშვი დააბრუნოს სახლში, ოღონდ ოფიციალურად რეინტეგრაციის პროგრამაში ჩართვის გარეშე, რაც იმას ნიშნავს, რომ ხდება ყველაზე მეტი საჭიროების მქონე და მოწყვლადი ბავშვების გარიყვა. მაშასადამე, მიუხედავად სახელმწიფოს დეკლარირებული მიზნებისა, ოჯახის ჩამნაცვლებელი მომსახურება შესთავაზოს ძალადობის მსხვერპლ და ტრავმული ცხოვრებისეული გამოცდილების მქონე ბავშვებს, რომელთა კეთლდღეობასა და დაცვას ვერ უზრუნველყოფენ ოჯახები, ვერ სთავაზობს საჭირო მომსახურებას და ამით კიდევ უფრო მეტად ხელს უწყობს მათ მარგინალიზაციას.

დასაქმების ხელშემწყობ მომსახურებათა საჭიროება

სადავო არ არის, რომ ოჯახების მოწყვლადობის დაძლევის ერთ–ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია დასაქმება. ამ მიმართულებითაც პრობლემები ჩნდება სწორედ „საჭიროებებზე დაფუძნებული მიდგომის“ გამოყენებისას, რომელიც ამართლებს სოციალური დახმარების მოხსნას დასაქმებულთათვის. ხშირად

სოციალური დახმარების მიმღები ოჯახები უარს ამბობენ დასაქმებაზე სწორედ სოციალურ დახმარების მოხსნის შიშის გამო. მეორე მხრივ, ხშირ შემთხვევებში, მათთვის ხელმისაწვდომი დასაქმების შესაძლებლობებიც არ არის გრძელვადიანი და მდგრადი. ასეთ პირობებში მათ სრულიად სამართლიანად ეშინიათ, რომ ვერ გაუმკლავდებიან მათ წინაშე არსებულ რისკებს. ამგვარად, ისინი კიდე უფრო მეტად მიჯაჭვულები ხდებიან სახელმწიფო დახმარებაზე. ეს პრობლემა უფრო აქტუალურია ყველაზე მეტად მოწყვლადი პირებისათვის. მსოფლიო ბანკის კვლევა (Kits, Santos, Smith, & Isik-Dikmelik, 2013) გვიჩვენებს, რომ შინამეურნეობებს, რომლებიც ახლოს არიან სიღარიბის ზღვრულ მნიშვნელობებთან, განსაკუთრებით კი ბავშვიან ქალებს, მუშაობის სტიმული ეკარგებათ სწორედ დახმარების მოხსნის შიშის გამო.

თუ „საჭიროებებზე დაფუძნებული მიდგომის“ ნაცვლად გამოვიყენებდით „უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომას“, სოციალური დახმარების შენარჩუნება მოწყვლადი ჯგუფებისათვის დასაქმების შემთხვევაშიც შესაძლებელი იქნებოდა. ეს მათი რეინტეგრაციის შანსებს გაზრდიდა. თუმცა დასაქმების მიზნის მიღწევისათვის, სოციალური დახმარების შენარჩუნების გარდა, საჭიროა ისეთი აქტიური სამუშაო ბაზრის პროგრამებიც, რომლებიც ხელს შეუწყობს ოჯახების გააქტიურებას, მათი ცნობიერების შეცვლას, მცირე ბიზნესში ჩართულობასა და ჯამში მათს გაძლიერებას.

ბავშვების, ახალგაზრდებისა და მათი მშობლების მონაწილეობა

კვლევის შედეგების მიხედვით, ბავშვთა და ახლაგაზრდების მონაწილეობა მათი კეთილდღეობის შესახებ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში აღიარებული პრინციპია როგორც სამთავრობო, ასევე, არასამთავრობო აქტორების მიერ. ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო სტანდარტების მიხედვით, „მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია, გაითვალისწინოს ბენეფიციარის (ბავშვი, ახალგაზრდა) აზრი და შეხედულებები მასთან დაკავშირებული საკითხების განხილვისას და უზრუნველყოს მისი ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში“ (მუხლი 10, პუნქტი 2. დ.) საქართველოს მთავრობის დადგენილება, # 66 2014 წლის 15 იანვარი, ქ. თბილისი, ტექნიკური რეგლამენტი – ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების დამტკიცების შესახებ). მიუხედავად ამისა, ახალგაზრდები საუბრობენ მათს მონაწილეობასთან დაკავშირებით არსებულ სირთულეებზე. ახალგაზრდები გამოთქვამენ

უკმაყოფილებას მათი მონაწილეობის ხარისხის შესახებ მათივე ცხოვრების დაგეგმვაში და აღწერენ პრაქტიკას, როცა "არავინ არაფერს გეკითხება", მონაწილეობა არათუ წახალისებულია, „კითხვებზე პასუხსაც არ გცემენ" და ამასთან დაკავშირებით „პროტესტს ცუდ ქცევად გითვლიან". საჭიროებებზე დაფუძნებული მიდგომის მიხედვით ბავშვები და მშობლები დახმარებების პასიური მიმღებნი არიან, მაშინ, როცა უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის მიხედვით ბავშვები და მშობლები – „ექსპერტები გამოცდილებით" და მთავარი აქტორები სოციალური ინტერვენციების დაგეგმვისა და განხორციელებისას (Hickey & Mitlin, 2009). უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის მიხედვით მონაწილეობის უფლება ეს არის უმთავრესი უფლება. ბავშვის უფლებათა კონვენციის მიხედვით, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს საკუთარი შეხედულებების ჩამოყალიბების უნარის მქონე ბავშვის უფლების დაცვა, გამოთქვას შეხედულებები ნებისმიერ საკითხზე, რომელიც მას ეხება და მისი ჩართულობა იყოს უზრუნველყოფილი (ბავშვის უფლებათა კონვენცია, 1989, მუხლი 12). ყველა ევროპულმა ინსტიტუტმა დაასკვნა, რომ ოჯახების მხარდამჭერი პოლიტიკისა და პრაქტიკის მთავარი პრინციპი უნდა იყოს უფლებებზე დაფუძნებული, პატივს უნდა სცემდეს ბავშვებისა და მშობლების პოტენციალსა და გამოცდილებას, აღიარებდეს განსხვავებულ ოჯახებსა და მშობლობას, თანამშრომლობდეს დაინტერესებულ პირებთან და ახალისებდეს თანამშორმლობას პროფესიონალებსა და ბავშვებს/მშობლებს შორის (Eurochild, 2014). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების აქტორების მიერ გამოიყენება ტერმინი ბენეფიციარი, ასევე, მომსახურებით მოსარგებლე, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ბავშვებისა და მშობლების პასიურ როლს მათთან თანამშრომლობის პროცესში.

პოლიტიკური და ეკონომიკური არგუმენტები ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომასთან დაკავშირებით

სახელმწიფოს მხრიდან იმის გამართლება, თუ რატომ არ იყენებს ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომას, ძირითად შემთხვევებში, არის ბიუჯეტის შეზღუდულობა და ის საფრთხე ეკონომიკისთვის, რაც მოჰყვება უფლებებზე ორიენტირებული მიდგომებით განხორციელებულ ძვირიან პროგრამებს. თავის

მხრივ, გაუმართლებელი ხარჯებით ბიზნეს ინტერესებისა და ეკონომიკის ზრდისათვის საფრთხის შექმნა ძირს გამოუთხრის მთავრობის ლეგიტიმაციას. ამგვარი დაშვებებიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის განხორციელება პოლიტიკურად რთულია სახელმწიფოსთვის.

ამის საწინააღმდეგო მოსაზრებას ამტკიცებს დანიელი სოციოლოგი გოსტა ესპინ–ანდერსენი, რომელიც კეთილდღეობის სახელმწიფოს (Welfare State) გამოჩენილი თეორეტიკოსია. იგი თვლის, რომ სახელმწიფო სოციალური ხარჯები, რომლებიც ადამიანის უფლებების პატივისცემას ეფუძნება, არა თუ ძირს უთხრის, არამედ ამყარებს სახელმწიფოს ლეგიტიმაციას. თავის ცნობილ ნაშრომში „კეთილდღეობის კაპიტალიზმის სამი სამყარო“ ის აღნიშნავს, რომ მიუხედავად გავრცელებული რწმენისა, რომ გაზრდილი სოციალური ხარჯები იწვევს კეთილდღეობის სახელმწიფოს მიმართ უკმაყოფილებას, რეალობაში ადგილი აქვს საპირისპირო ტენდენციებს (Gosta, 1990). კეთილდღეობის სახელმწიფოს საწინააღმდეგო განწყობები ზოგადად ჭარბობდა სწორედ იქ, სადაც სოციალური ხარჯები იყო მცირე და არ ვლინდებოდა იქ, სადაც უხვი სოციალური პროგრამები ხორციელდებოდა.

ანდერსენი არა მარტო აღწერს ამგვარ კანონზომიერებას, არამედ ხსნის კიდეც მას. იგი თვლის, რომ კეთილდღეობის სახელმწიფოს მიმართ დამოკიდებულება განისაზღვრება არა უბრალოდ ხარჯების სიდიდით, არამედ კეთილდღეობის სახელმწიფოს კლასობრივი ხასიათით. კეთილდღეობის სახელმწიფო, სოციალ–დემოკრატიული მოდელის[33] (როგორიც სკანდინავიაშია) შემთხვევაში, რომელიც გამოირჩევა სოციალური ხარჯების სიუხვით, ქმნის საშუალო კლასის ლოიალობას. ეს ხდება უფლებებზე დაფუძნებული სოციალური პოლიტიკების საშუალებით. ამის საწინააღმდეგოდ ე.წ. ლიბერალური/რეზიდუალისტური კეთილდღეობის სახელმწიფო (როგორიც შეერთებულ შტატებშია) გამოირჩევა სოციალური ხარჯების დაზოგვით, ეყრდნობა ყველაზე სუსტ და პოლიტიკურად რეზიდუალური სოციალური ფენების ლოიალობას. სოციალური პოლიტიკების დონეზე ამის

[33] გოსტა ესპინ–ანდერსენი განასხვავებს კეთილდღეობის სახელმწიფოს სამ მოდელს: სოციალ– დემოკრატიულს, ლიბერალურსა და კორპორატისტულს.

მიზეზია სწორედ „საჭიროებებზე დაფუძნებული მიდგომა“, რომელიც გამომდინარეობს საბიუჯეტო რესურსების შეზღუდულობის დაშვებიდან.

რიგი სხვა მკვლევარებიც ეჭვის ქვეშ აყენებენ გავრცელებულ რწმენას იმის შესახებ, რომ უხვი სოციალური ხარჯები აზიანებს ეკონომიკის ზრდას. პეტერ ლინდერტი თავის ნაშრომში „სოციალური ხარჯები და ეკონომიკური ზრდა“ აღნიშნავს, რომ ერთადერთ თეორიულად გამართულ ნაშრომში (მის მერ შესწავლილ ნაშრომთაგან, რომლებიც ეხებოდა სოციალური ხარჯების ეკონომიკურ ზრდაზე ეფექტის ანალიზს) სოციალური ხარჯების ზრდა პოზიტიურად კორელირებდა ტიპიური OECD[34] ქვეყნის მშპ[35]–ს ზრდასთან (Lindert, 2004).

სხვა ავტორები, რომლებიც სწავლობდნენ კეთილდღეობის სახელმწიფოს, ასევე, ადასტურებენ, რომ სოციალურ დემოკრატიული კეთილდღეობის სახელმწიფოს რეჟიმები (social democratic welfare state regimes) საუკეთესო შედეგებს ავლენს არა მარტო სიღარიბის და უთანასწორობის დაძლევაში, არამედ ეკონომიკური მდგრადობის მხრივაც, რამდენადაც ინვესტირებენ ადამიანურ კაპიტალსა და შრომის მობილიზაციაში (Smelser & Swedberg, 2005).

ჩვენი ნაშრომის მიზანი არ არის იმის ღრმა ანალიზი, თუ რამდენად მოქმედებს ეს სახელმწიფოს შემოსავლებსა და ეკონომიკის განვითარებაზე (მაკრო–ეკონომიკურ თვალსაზრისით). ჩვენი სურვილი იყო, გვეჩვენებინა, რომ უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა არა მარტო მორალურია, არამედ ეკონომიკური თვალსაზრისითაც უფრო გამართლებულია ვიდრე საჭიროებებზე დაფუძნებული მიდგომა. ამ უკანასკნელი მიდგომის გამოყენებისას ხშირად ხდება ყველაზე მეტად მოწყვლადების უგულებელყოფა, რასაც ჩვენი კვლევაც ადასტურებს. ამგვარად, ეს მიდგომა უფრო მეტად აღრმავებს მარგინალიზაციის პროცესს და აძვირებს მისი დაძლევის ხარჯებს. საბოლოოდ ამ მარგინალიზაციიდან წარმოშობილი პრობლემები, ასე თუ ისე, ისევ სახელმწიფოს და საზოგადოებას აწვება მძიმე ტვირთად (ეს იქნება კრიმინალი, სოციალური დაძაბულობა, სტრუქტურული უმუშევრობა თუ სხვა რამ). მაშასადამე, საჭიროებებზე დაფუძნებული მიზნობრივი ჩარევა თავისი მიდგომების განხორციელებით, რომლებიც მართლდება თითქოსდა

[34] Organization of Economic Cooperation and Development
[35] მთლიანი შიდა პროდუქტი

ეკონომიკური არგუმენტებით, იწვევს თავისი მიზნების მიღწევის მუდმივ გაძვირებას და ამ მხრივ, არაეკონომიურია.

დღეს იცვლება დისკურსი სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით არა მარტო განვითარებად, არამედ განვითარებულ ქვეყნებშიც. უკვე საერთაშორისო სავალუტო ფონდმა აღიარა, რომ სოციალური უთანასწორობა მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ძირითადი საფრთხეა. სოციალური სამართლიანობის არგუმენტები მომგებიანი ხდება როგორც პოლიტიკურ, ასევე, აკადემიურ დისკუსიებში (Krugman, 2014). სოციალური დაცვის პროგრამები უღარიბესი ქვეყნებისთვისაც კი ხელმისაწვდომია, რამდენადაც ისინი არა მარტო სიღარიბის დაძლევაშია ეფექტური, არამედ ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობაშიც (OECD DAC, 2009). არგუმენტები სოციალური პროგრამების პრიორიტეტის წინააღმდეგ (მომჭირნეობის, მთავრობის ფისკალური პასუხისმგებლობის და ა. შ.) არარელევანტურია იმ სოციალურ და ეკონომიკურ გარემოში, რომელიც ხასიათდება დეფლაციური და ზრდის ტემპის შენელების ტენდენციებით ეკონომიკაში (Dorfman, 2014). ამ სივრცეში ბიუჯეტის დეფიციტის გაზრდა სოციალური პროგრამების გაფართოებისათვის არა მარტო შესაძლებელი, არამედ სასურველიცაა ეკონომიკური ზრდისათვის[36].

[36] ამ შეხედულების მომხრეები არიან ისეთი ცნობილი ეკონომისტები, როგორებიც არიან ნობელის პრემიის ლაურეატები: პოლ კრუგმანი, ჯოზეფ სტიგლიცი, რობერტ შილერი და ა. შ.

თავი IV: რაოდენობრივი კვლევის შედეგები

კვლევის რაოდენობრივი კომპონენტის ფარგლებში განხორციელდა კახეთის (თელავის, ყვარლისა და გურჯაანის მუნიციპალიტეტები), იმერეთის (ბაღდათისა და ზესტაფონის მუნიციპალიტეტები) და სამცხე-ჯავახეთის (ახალციხისა და ადიგენის მუნიციპალიტეტები) სოფლებში მცხოვრებ მოწყვლად ბავშვებსა და ოჯახებთან პირისპირ ინტერვიუები მათი მოწყვლადობის დონის დასადგენად. მოწყვლადი ოჯახების სია მოგვაწოდა საერთაშორისო ორგანიზაციამ „ვორლდ ვიჟენი“. ეს ჯგუფი განხილულია, როგორც კვლევის ძირითადი სამიზნე ჯგუფი. ასევე, კვლევის ფარგლებში შესწავლილ იქნა ალტერნატიული შერჩევის სამიზნე ჯგუფი კახეთში (თელავის, ყვარლისა და გურჯაანის მუნიციპალიტეტები), რომელიც მოიცავდა ექსპერტული გამოკითხვით შერჩეულ იმ მოწყვლად ოჯახებს, რომლებიც დასახელებულ იქნა თავად ძირითად სამიზნე ჯგუფში გამოკითხული ოჯახების მიერ, როგორც მოწყვლადი ოჯახები.

მონაცემები ორ ხაზად გაანალიზდა. კერძოდ, ცალკე გაანალიზდა კვლევის ძირითადი სამიზნე ჯგუფის ოჯახები და ბავშვები და ცალკე გაანალიზდა ე.წ. ალტერნატიული შერჩევის სამიზნე ჯგუფის მოწყვლადი ბავშვები და მათი ოჯახების შესწავლის შედეგები. კვლევის შედეგებიც სწორედ ამ სქემის მიხედვით არის ქვემოთ წარმოდგენილი.

1. კახეთში, იმერეთსა და სამცხე-ჯავახეთში ოჯახების მოწყვლადობის დონე

დემოგრაფიული მონაცემები

კახეთში (თელავის, ყვარლისა და გურჯაანის მუნიციპალიტეტები) გამოიკითხა ყველა ის ოჯახი (1424), რომლებთანაც მუშაობს ორგანიზაცია „ვორლდ ვიჟენი“ ბავშვთა კეთილდღეობის პროგრამის ფარგლებში და სადაც ცხოვრობდა 18 წლამდე ასაკის 2526 ბავშვი. ეს არის ამ შერჩეულ სოფლებში არსებული მთლიანი კომლების 10%.

იმერეთშიც (ბაღდათისა და ზესტაფონის მუნიციპალიტეტები) გამოიკითხა ყველა ის ოჯახი (813), რომელთანაც მუშაობს ორგანიზაცია „ვორლდ ვიჟენი“ ბავშვთა

კეთილდღეობის პროგრამის ფარგლებში და სადაც ცხოვრობდა 18 წლამდე ასაკის 1495 ბავშვი. ეს არის ამ შერჩეულ სოფლებში არსებული მთლიანი კომლების 7%.

სამცხე-ჯავახეთში (ახალციხისა და ადიგენის მუნიციპალიტეტები) გამოიკითხა „ვორლდ ვიჟენის“ ბავშვთა კეთილდღეობის პროგრამაში ჩართული ყველა ოჯახი (1424), სადაც ცხოვრობდა 18 წლამდე ასაკის 2650 ბავშვი. ეს არის ამ შერჩეულ სოფლებში არსებული მთლიანი კომლების 24%. დეტალური ინფორმაცია თითოეულ გამოკითხულ სოფელში ოჯახების რაოდენობისა და იქ მცხოვრები ბავშვების შესახებ რეგიონების მიხედვით იხ, დანართში #6: რაოდენობრივი კვლევის შედეგები – ცხრილები და გრაფიკები, ცხრილები #1,2,3.

კახეთში მონაცემები შეგროვდა 2526 ბავშვზე. კახეთში ბავშვების საშუალო ასაკია 9 წელი (სტანდარტული გადახრა - 4.4). ბავშვის ასაკი მერყეობს 1 თვიდან 18 წლამდე.

იმერეთში მონაცემები შეგროვდა 1495 ბავშვზე. იმერეთში ბავშვების საშუალო ასაკია 8 წელი (სტანდარტული გადახრა - 4.3). ბავშვის ასაკი მერყეობს 1 თვიდან 18 წლამდე.

სამცხე-ჯავახეთში მონაცემები შეგროვდა 2650 ბავშვზე. სამცხე–ჯავახეთში ბავშვების საშუალო ასაკია 9 წელი (სტანდარტული გადახრა - 4.6). ბავშვის ასაკი მერყეობს 1 თვიდან 18 წლამდე. ასაკის განაწილების სტატისტიკა რეგიონების მიხედვით იხ. დანართში #6: რაოდენობრივი კვლევის შედეგები – ცხრილები და გრაფიკები, ცხრილები #4,5,6.

სამივე რეგიონში - კახეთში, იმერეთსა და სამცხე–ჯავახეთში - დიდი უმრავლესობის შემთხვევაში კითხვებზე პასუხები გასცა ბავშვების ძირითადმა მზრუნველმა დედამ (კახეთში გამოკითხული ბავშვების 83,5% – 2107 დედა; იმერეთში გამოკითხული ბავშვების 89,6% – 1340 დედა; სამცხე–ჯავახეთში გამოკითხული ბავშვების 91% – 2414 დედა), დანარჩენ შემთხვევებში პასუხს სცემდნენ სხვა მზრუნველები. გამოკითხული რესპონდენტების შესახებ დეტალური ინფორმაცია რეგიონების მიხედვით იხ. დანართში #6: რაოდენობრივი კვლევის შედეგები – ცხრილები და გრაფიკები, გრაფიკები #1,2,3.

კახეთში დედების ასაკი მერყეობდა 18-დან 60 წლამდე, სადაც საშუალო ასაკი იყო 34 წელი, სტანდარტული გადახრა – 6,4. მამის ასაკი მერყეობდა 20-დან 68 წლამდე. საშუალო ასაკი იყო 39 წელი, ხოლო სტანდარტული გადახრა – 7.1.

იმერეთში დედების ასაკი მერყეობდა 18-დან 59 წლამდე, სადაც საშუალო ასაკი იყო 33 წელი, სტანდარტული გადახრა – 6,9. მამის ასაკი მერყეობდა 20-დან 65 წლამდე. საშუალო ასაკი იყო 38 წელი, ხოლო სტანდარტული გადახრა – 8.

სამცხე-ჯავახეთში დედების ასაკი მერყეობდა 19-დან 60 წლამდე, სადაც საშუალო ასაკი იყო 33 წელი, სტანდარტული გადახრა – 6,6. მამის ასაკი მერყეობდა 21-დან 71 წლამდე. საშუალო ასაკი იყო 38 წელი, ხოლო სტანდარტული გადახრა – 7,5.

აღსანიშნავია, რომ სამივე რეგიონში გხვდებიან მშობლები (დედები), რომლებიც ბავშვობის ასაკში გახდნენ მშობლები.

სამივე რეგიონში გამოკითხული ოჯახების უმრავლესობა არის მართლმადიდებელი. კახეთში გამოკითხული ოჯახების 99 % (2511 ოჯახი) არის მართლმადიდებელი. 8 ოჯახი არ მიუთითებს რელიგიას. 7 ოჯახი არის აზერბაიჯანელი და მათი რელიგიაა ისლამი. იმერეთში გამოკითხული ოჯახების 100 % (813 ოჯახი) არის მართლმადიდებელი, ხოლო სამცხე-ჯავახეთში გამოკითხული ოჯახების 53 % არის მართლმადიდებელი და ვხვდებით სხვადასხვა რელიგიური მრწამსის წარმომადგენლებს. გამოკითხული რესპონდენტების რელიგიის შესახებ ინფორმაცია იხილეთ დანართში #6: რაოდენობრივი კვლევის შედეგები – ცხრილები და გრაფიკები, გრაფიკები #4,5.

სამივე რეგიონში, ძირითადად, ოჯახში ცხოვრობს 2 ბავშვი. კახეთში გამოკითხული ბავშვებიდან დაახლოებით 20% ცხოვრობს ოჯახში ერთი არასრულწლოვანით, 60% ცხოვრობს ოჯახებში ორი არასრულწლოვანით, 17% – ოჯახებში სამი არასრულწლოვანით, 2% – ოთხი არასრულწლოვანით და დაახლოებით 1% ბავშვების ცხოვრობს ოჯახებში ხუთი არასრულწლოვნით. იმერეთში გამოკითხული ბავშვებიდან დაახლოებით 17% ცხოვრობს ოჯახში ერთი არასრულწლოვანით, 60% ცხოვრობს ოჯახებში ორი არასრულწლოვანით, 19% – ოჯახებში სამი არასრულწლოვანით, 3% – ოთხი არასრულწლოვანით და

დაახლოებით 1% ბავშვების ცხოვრობს ოჯახებში ხუთი არასრულწლოვნით. სამცხე-ჯავახეთში გამოკითხული ბავშვებიდან დაახლოებით 18 % ცხოვრობს ოჯახში ერთი არასრულწლოვანით, 53,51% ცხოვრობს ოჯახებში ორი არასრულწლოვანით, 22,45% - ოჯახებში სამი არასრულწლოვანით, 4,68 % - ოთხი არასრულწლოვანით, 1,13% - ხუთი არასრუწლოვანით და 0,23 % ბავშვების ცხოვრობს ოჯახებში ექვსი არასრულწლოვნით. არასრულწლოვანი შვილების რაოდენობის შესახებ ინფორმაცია იხილეთ დანართში #6: რაოდენობრივი კვლევის შედეგები – ცხრილები და გრაფიკები, ცხრილები #7,8,9 და გრაფიკები #6,7,8.

მოწყვლადობის მაჩვენებლები

მოწყვლადობის მიხედვით რესპონდენტები დავყავით შემდეგ 4 ჯგუფად:1. მოწყვლადობის მაღალი დონე, 2. მოწყვლადობის საშუალო დონე, 3. მოწყვლადობის დაბალი დონე და 4. არამოწყვლადი.

ზოგადი მოწყვლადობის მაჩვენებლები კახეთის სამიზნე ჯგუფში არის შემდეგი: მოწყვლადობის საშუალო ქულად განსაზღვრა 5. სტანდარტული გადახრა – 3.14. ბავშვები, რომლებმაც აიღეს 5 ქულაზე მეტი იდენტიფიცირებულია, როგორც **მაღალი მოწყვლადობის** დონე; ბავშვებმა, რომელთაც მიიღეს 5 ქულა - როგორც **საშუალო მოწყვლადობის** დონე; ბავშვებმა, რომელთაც მიიღეს 5 ქულაზე დაბალი 2 ქულამდე, როგორც **დაბალი მოწყვლადობის დონე**; ხოლო ბავშვებმა, რომლებმაც მიიღეს 1 ქულა და 1-ზე დაბალი, როგორც **არამოწყვლადობის დონე. ამ ჯგუფში გამოკითხული ბავშვების 34,48 % შეიძლება განისაზღვროს, როგორც მოწყვლადობის მაღალი დონის, 9,18 % – საშუალო დონის, 36,54% – დაბალი დონის, ხოლო 19,79% – არამოწყვლადად** (იხ. ცხრილი #12 და გრაფიკი #1).

ცხრილი #12: კახეთში მოწყვლადობის დონის მაჩვენებლები

მოწყვლადობის დონეები		**%**	**სიხშირე**
მაღალი მოწყვლადობა	> მოწყვლადობის საშუალო მაჩვენებელი (5)	34,48%	871
საშუალო მოწყვლადობა	= მოწყვლადობის საშუალო მაჩვენებელი (5)	9,18%	232
დაბალი მოწყვლადობა	>1 და < მოწყვლადობის საშუალო მაჩვენებელი (5)	36,54%	923
არამოწყვლადობა	<=1	19,79%	500
	ჯამი	100, 00%	2526

გრაფიკი #1: კახეთში მოწყვლადობის დონის მაჩვენებლები



ზოგადი მოწყვლადობის მაჩვენებლები იმერეთის სამიზნე ჯგუფში არის შემდეგი: საშუალო ქულად განისაზღვრა 5. სტანდარტული გადახრა – 3.7. ბავშვები, რომლებმაც აიღეს 5 ქულაზე მეტი იდენტიფიცირებულია, როგორც მაღალი მოწყვლადობის დონე; ბავშვებმა, რომელთაც მიიღეს 5 ქულა – როგორც საშუალო მოწყვლადობის დონე; ბავშვებმა, რომელთაც მიიღეს 5 ქულაზე დაბალი 2 ქულამდე, როგორც დაბალი მოწყვლადობის დონე; ხოლო ბავშვებმა, რომლებმაც მიიღეს 1 ქულა და 1-ზე დაბალი, როგორც არამოწყვლადობის დონე. **ამ ჯგუფში გამოკითხული ბავშვების 35,12 % შეიძლება განისაზღვროს, როგორც მოწყვლადობის მაღალი დონის, 6, 42 % – საშუალო დონის, 43,08% – დაბალი დონის, ხოლო 15,38% – არამოწყვლადად** (იხ. ცხრილი #13 და გრაფიკი #2).

ცხრილი #13: იმერეთში მოწყვლადობის დონის მაჩვენებლები

მოწყვლადობის დონეები		**%**	**სიხშირე**
მაღალი მოწყვლადობა	> მოწყვლადობის საშუალო მაჩვენებელი (5)	35,12%	525
საშუალო მოწყვლადობა	= მოწყვლადობის საშუალო მაჩვენებელი (5)	6,42%	96
დაბალი მოწყვლადობა	>1 და < მოწყვლადობის საშუალო მაჩვენებელი (5)	43,08%	644
არამოწყვლადობა	<=1	15,38%	230
	ჯამი	100,00%	1495

გრაფიკი #2: იმერეთში მოწყვლადობის დონის მაჩვენებლები



ზოგადი მოწყვლადობის მაჩვენებლები სამცხე-ჯავახეთის სამიზნე ჯგუფში არის შემდეგი: საშუალო ქულად განისაზღვრა 6. სტანდარტული გადახრა – 3.6. ბავშვები, რომლებმაც აიღეს 6 ქულაზე მეტი იდენტიფიცირებულია, როგორც მაღალი მოწყვლადობის დონე; ბავშვებმა, რომელთაც მიიღეს 6 ქულა – როგორც საშუალო მოწყვლადობის დონე; ბავშვებმა, რომელთაც მიიღეს 6 ქულაზე დაბალი 2 ქულამდე, როგორც დაბალი მოწყვლადობის დონე; ხოლო ბავშვებმა, რომლებმაც მიიღეს 1 ქულა და 1-ზე დაბალი, როგორც არამოწყვლადობის დონე. **ამ ჯგუფში გამოკითხული ბავშვების 33,21% შეიძლება განისაზღვროს, როგორც მოწყვლადობის მაღალი დონის, 9,66% – საშუალო დონის, 48,23% – დაბალი დონის, ხოლო 8,91% – არამოწყვლადად** (იხ. ცხრილი #14 და გრაფიკი #3).

ცხრილი #14: მოწყვლადობის დონის მაჩვენებლები სამცხე-ჯავახეთის რეგიონში

მოწყვლადობის დონეები		**%**	**სიხშირე**
მაღალი მოწყვლადობა	> მოწყვლადობის საშუალო მაჩვენებელი (6)	33,21%	880
საშუალო მოწყვლადობა	= მოწყვლადობის საშუალო მაჩვენებელი (6)	9,66%	256
დაბალი მოწყვლადობა	>1 და < მოწყვლადობის საშუალო მაჩვენებელი (6)	48,23%	1278
არამოწყვლადობა	<=1	8,91%	236
	ჯამი	100,00 %	2650

გრაფიკი #3: მოწყვლადობის დონის მაჩვენებლები სამცხე-ჯავახეთის რეგიონში



ამრიგად, კახეთსა და იმერეთში იდენტური მოწყვლადობის საშუალო ქულა (5) დაფიქსირდა, ხოლო სამცხე–ჯავახეთში კი ერთი ქულით მაღალი (6). სამივე რეგიონში ბავშვის მოწყვლადობის მინიმალურ ქულად დაფიქსირდა 0. ხოლო მოწყვლადობის მაქსიმალურ ქულად კახეთში დაფიქსირდა 25, იმერეთში – 30, ხოლო სამცხე–ჯავახეთში – 24. დეტალური ინფორმაციისთვის ზოგადი მოწყვლადობის სტატისტიკებისა და კონკრეტულად თითოეული მოწყვლადობის დონის პროცენტული მაჩვენებლების შესახებ ინფორმაცია იხ. დანართში # 6: რაოდენობრივი კვლევის შედეგები – ცხრილები და გრაფიკები, ცხრილები#10,11,12,13,14,15.

მოწყვლადობის რისკებისა და საჭიროებების ანალიზი

მოწყვლადობის ქულის გამოთვლისას გათვალისწინებულ იქნა მოწყვლადობის 18 კატეგორია ბავშვისა და ოჯახის მოწყვლადობის გაზომვის ინსტრუმენტის მიხედვით (ეს კატეგორიები აღწერილია ცხრილში #4: ინსტრუმენტის მოკლე აღწერა, გვ.79). კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ მოწყვლადობის 18 კატეგორიიდან, რომლებიც თავის მხრივ აჯგუფებს მოწყვლადობის რისკფაქტორებს/ინდიკატორებს (ეძღვნება კითხვარის ცალკე კითხვა), **მოწყვლადობის საშუალო ქულის გამოთვლისას მთავარი წონა მოდის ისეთ კატეგორიებზე, როგორებიცაა *ბავშვზე ზრუნვა, ოჯახის შემადგენლობა, ოჯახის მატერიალური რესურსები, ოჯახის საცხოვრებლის გარემო, ოჯახის თანადგომის ქსელი და ოჯახის წევრების დასაქმება.***

უნდა აღნიშნოს, რომ სამივე შესწავლილ რეგიონში იდენტური ტენდენციაა და ზემო აღნიშნულ 6 კატეგორია სახელდება მოწყვლადობის მთავარ რისკფაქტორებად.

გრაფიკში #4, 5 6 მოცემულია ის წვლილი, რაც კახეთის, იმერეთის, სამცხე–ჯავახეთის რეგიონების სამიზნე ჯგუფის მოწყვლადობის საშუალო ქულაში (ყველა ბავშვის ჯამური ქულიდან დათვლილი საშუალო) შეაქვს მოწყვლადობის თითოეულ კატეგორიას (კატეგორია მოიცავს სხვადასხვა რისკფაქტორს, ანუ რისკფაქტორების ერთობლიობა) გამოყენებული 18 კატეგორიიდან.

გრაფიკი #4: კახეთში მოწყვლადობის საშუალო ქულის შემადგენლობა ყველა ბავშვზე კატეგორიების მიხედვით



გრაფიკი #5: იმერეთში მოწყვლადობის საშუალო ქულის შემადგენლობა ყველა ბავშვზე კატეგორიების მიხედვით



გრაფიკი #6: სამცხე–ჯავახეთში მოწყვლადობის საშუალო ქულის შემადგენლობა ყველა ბავშვზე კატეგორიების მიხედვით



ბავშვთა მოწყვლადობის რისკფაქტორები

ანალიზის პროცესში შევისწავლეთ იმ ბავშვების წილი ბავშვების საერთო რაოდენობაში, რომლებიც უარყოფითად პასუხობდნენ (ასეთი პასუხი მიუთითებს მოწყვლადობის რისკფაქტორის არსებობაზე) ბავშვების მოწყვლადობასთან დაკავშირებულ კატეგორიებში შემავალ ამა თუ იმ კითხვას. ამგვარად, გავიგეთ მოწყვლადობის რისკის მქონე ბავშვების წილი (მთლიან საკვლევ პოპულაციაში) თითოეულ რისკფაქტორთან დაკავშირებით. ყველაზე ხშირი მოწყვლადობის რისკფაქტორების (მოწყვლადობის პარამეტრები) გამოკვეთა გვაძლევს საშუალებას, განვსაზღვროთ თემის დონეზე არსებული საჭიროებები და გავაანალიზოთ სახელმწიფოს მიერ ამ საჭიროებების დაკმაყოფილების ასპექტები.

კახეთში ბავშვთან დაკავშირებული ძირითადი რისკები ეხება შემდეგს (იხ. გრაფიკი #7):

1. *ბავშვისთვის ადეკვატური ზრუნვის ხელისშემშლელი ფაქტორების არსებობა* (18,33%), რომლებიც მოიცავს ისეთ ფაქტორებს, როგორებიცაა: ოჯახში ძალადობა, ეკონომიკური პრობლემები, ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები, ზოგადად ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ყოფნა, მიგრაცია, ბავშვის ასოციალური ქცევა, მშობლის/მზრუნველი პირის არასათანადო უნარ–ჩვევები. სადაც ყველაზე ხშირად დასახელდა ეკონომიკურ საკითხებთან დაკავშირებული პრობლემები. ასევე, მშობლის ჯანმრთელობასა და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული პრობლემები;
2. *ბავშვის ძირითადი საჭიროებებით ვერ უზრუნველყოფა* (7,56%), რომლებიც მოიცავს ისეთ ფაქტორებს, როგორებიცაა: ადეკვატური კვება, ზრუნვა ჰიგიენაზე, ადეკვატური საცხოვრებელი პირობები, სასწავლო ინვენტარი, ადეკვატური ჩასაცმელი, სიყვარული/სითბო;
3. *დედის/მამის ზრუნვის ნაკლებობა* (6,10%), რომელიც გულისხმობს, რომ ბავშვზე ზრუნვას ვერ ახორციელებს ბავშვის ბიოლოგიური დედა/მამა, არამედ ბავშვზე ზრუნავს სხვა მეურვე/მზრუნველი, ბებია, პაპა, სხვა ნათესავი, მეზობელი ან სხვა პირი;

4. *ბავშვზე ძალადობა* (4,75%), რაც გულისხმობს ძალადობის ისეთ სხვადასხვა ფორმას, როგორიცაა, ფიზიკური, ემოციური, სექსუალური, შრომითი ექსპლოატაცია, მათხოვრობა, ოჯახის წევრის მოვლა და ა.შ.;
5. *ბავშვის ჯანმრთელობის პრობლემები* (2,65%);
6. *ბავშვის ასოციალური ქცევა* (1,70%).

გრაფიკი #7: კახეთში ბავშვთან დაკავშირებულ კითხვებზე უარყოფითი პასუხების რაოდენობის წილი პასუხების საერთო რაოდენობაში



იმერეთში ბავშვთან დაკავშირებული ძირითადი რისკები ეხება შემდეგს (იხ. გრაფიკი #8):

- *ბავშვისთვის ადეკვატური ზრუნვის ხელისშემშლელი ფაქტორების არსებობა* (14,92%), რომლებიც მოიცავს ისეთ ფაქტორებს, როგორებიცაა: ოჯახში ძალადობა, ეკონომიკური პრობლემები, ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები, ზოგადად ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ყოფნა, მიგრაცია, ბავშვის ასოციალური ქცევა, მშობლის/მზრუნველი პირის არასათანადო უნარ–ჩვევები. სადაც ყველაზე ხშირად დასახელდა ეკონომიკურ საკითხებთან დაკავშირებული პრობლემები. ასევე მშობლის ჯანმრთელობასთან და მიგრაციასთან დაკავშირებული პრობლემები;

- *ბავშვის ძირითადი საჭიროებებით ვერ უზრუნველყოფა* (10,64%), რომლებიც მოიცავს ისეთ ფაქტორებს, როგორებიცაა: ადეკვატური კვება, ზრუნვა ჰიგიენაზე, ადეკვატური საცხოვრებელი პირობები, სასწავლო ინვენტარი, ადეკვატური ჩასაცმელი, სიყვარული/სითბო;
- *დედის/მამის ზრუნვის ნაკლებობა* (4,75%), რომელიც გულისხმობს, რომ ბავშვზე ზრუნვას ვერ ახორციელებს ბავშვის ბიოლოგიური დედა/მამა, არამედ ბავშვზე ზრუნავს სხვა მეურვე/მზრუნველი, ბებია, პაპა, სხვა ნათესავი, მეზობელი ან სხვა პირი;
- *ბავშვის ჯანმრთელობის პრობლემები* (3,28%);
- *განათლების არ მიღება* (2,94%);
- *ბავშვის ასოციალური ქცევა* (2,54%);
- *ბავშვზე ძალადობა* (2,34%), რაც გულისხმობს ძალადობის ისეთ სხვადასხვა ფორმას, როგორებიცაა, ფიზიკური, ემოციური, სექსუალური, შრომითი ექსპლოატაცია, მათხოვრობა, ოჯახის წევრის მოვლა და ა.შ.

გრაფიკი #8: იმერეთში ბავშვთან დაკავშირებულ კითხვებზე უარყოფითი პასუხების რაოდენობის წილი პასუხების საერთო რაოდენობაში



სამცხე-ჯავახეთში ბავშვთან დაკავშირებული ძირითადი რისკები ეხება შემდეგს (იხ. გრაფიკი #9):

- *ბავშვისთვის ადეკვატური ზრუნვის ხელისშემშლელი ფაქტორების არსებობა* (25,09%), რომლებიც მოიცავს ისეთ ფაქტორებს, როგორებიცაა: ოჯახში ძალადობა, ეკონომიკური პრობლემები, ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები, ზოგადად ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ყოფნა, მიგრაცია, ბავშვის ასოციალური ქცევა, მშობლის/მზრუნველი პირის არასათანადო უნარ–ჩვევები. სადაც ყველაზე ხშირად დასახელდა ეკონომიკურ საკითხებთან დაკავშირებული პრობლემები. ასევე, მშობლის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სირთულეები.
- *ბავშვის ძირითადი საჭიროებებით ვერ უზრუნველყოფა* (12,91%), რომლებიც მოიცავს ისეთ ფაქტორებს, როგორებიცაა: ადეკვატური კვება, ზრუნვა ჰიგიენაზე, ადეკვატური საცხოვრებელი პირობები, სასწავლო ინვენტარი, ადეკვატური ჩასაცმელი, სიყვარული/სითბო;
- *დედის/მამის ზრუნვის ნაკლებობა* (11,7%), რომელიც გულისხმობს, რომ ბავშვზე ზრუნვას ვერ ახორციელებს ბავშვის ბიოლოგიური დედა/მამა, არამედ ბავშვზე ზრუნავს სხვა მეურვე/მზრუნველი, ბებია, პაპა, სხვა ნათესავი, მეზობელი ან სხვა პირი;
- *ბავშვზე ძალადობა* (3,58%), რაც გულისხმობს ძალადობის ისეთ სხვადასხვა ფორმას, როგორებიცაა, ფიზიკური, ემოციური, სექსუალური, შრომითი ექსპლოატაცია, მათხოვრობა, ოჯახის წევრის მოვლა და ა.შ.;
- *ბავშვის ჯანმრთელობის პრობლემები* (2,79%);
- *სამედიცინო საჭიროების არდაკმაყოფილება* (2,04%);
- *ბავშვის ასოციალური ქცევა* (1,17%).

გრაფიკი #9: სამცხე-ჯავახეთში ბავშვთან დაკავშირებულ კითხვებზე უარყოფითი პასუხების რაოდენობის წილი პასუხების საერთო რაოდენობაში



ამრიგად, აღნიშნული სამიზნე ჯგუფი გამოირჩევა დაბალი სოციალურ-ეკონომიკური ფონით. სამივე რეგიონში წამყვან სირთულედ იკვეთება *ბავშვისთვის ადეკვატური ზრუნვის ხელისშემშლელი ფაქტორები* (კახეთი - 18,33%; იმერეთი - 14,92%; სამცხე-ჯავახეთი - 25,09%). ბავშვისთვის ადეკვატური ზრუნვის განხორციელებაში ხელისშემშლელ ფაქტორებს შორის ყველაზე ხშირად დასახელდა **ეკონომიკურ საკითხებთან დაკავშირებული პრობლემები. გამოიკვეთა, რომ ძირითადად უჭირთ საკვები, ჩასაცმელი, სასწავლო ინვენტარი. ასევე, დასახელებულ იქნა მშობლის ჯანმრთელობასთან (ფიზიკური, ფსიქიკური) და მშობლობის არასათანადო უნარ-ჩვევებთან დაკავშირებული სირთულეები, რის გამოც მშობელს არ შესწვს უნარი, გაუმკლავდეს ბავშვის რთულ ქცევას.**

ბავშვები განიცდიან ***ძირითადი საჭიროებების*** **დანაკლისს** (კახეთი – 7,56%; იმერეთი – 10,64%; სამცხე-ჯავახეთი – 12,91%), როგორებიცაა: ადეკვატური კვება,

ზრუნვა ჰიგიენაზე, ჩასაცმელი და ა.შ. შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკური გაჭირვება მზრუნველებს ხელს უშლის ადეკვატური ზრუნვის განხორციელებაში.

ერთ–ერთ საყურადღებო სირთულედ სახელდება ძირითადი მზრუნველის (ბავშვის მშობლების) მიერ შვილებზე ზრუნვა (კახეთი – 6,10%; იმერეთი – 4,75%; სამცხე–ჯავახეთი – 11,17%).

გამოკითხულ ჯგუფში ***ბავშვის მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის*** დაბალი მაჩვენებელი დაფიქსირდა (ბავშვის მიმართ ძალადობა (კახეთი – 4,75%; იმერეთი – 2,34%; სამცხე-ჯავახეთი – 3,58%) და ოჯახში ძალადობა (კახეთი – 4,71%; იმერეთი – 1,74%; სამცხე-ჯავახეთი – 8,15%), რაც შესაძლოა, აიხსნას ძალადობის იდენტიფიცირებისადმი ინსტრუმენტის ნაკლებ მგრძნობელობით (აღნიშნული განხილულია, როგორც ინსტრუმენტის ერთ–ერთი შეზღუდვა). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიზნობრივ ჯგუფში გვხვდება არასრულწლოვანი მშობლები, ძირითადად დედები.

ოჯახების მოწყვლადობის რისკფაქტორები

კახეთში ოჯახების მოწყვლადობის გამოკვეთილი რისკფაქტორებია შემდეგი (იხ. გრაფიკი #10):

- ხანდაზმულთა რაოდენობა ოჯახში (46,08%);
- ოჯახს არა აქვს სტაბილური შემოსავალი (43, 19%);
- არა აქვს ოჯახს თანადგომის ქსელი (43,19%);
- ოჯახის წევრების დაუსაქმებლობა (22,76%);
- ბუნებრივი კატასტროფების მაღალი დონე (18,76%);
- არასრულწლოვანთა რაოდენობა ოჯახში (18,65%);
- საცხოვრებელი პირობების არაადეკვატურობა (18,05%);
- გადაადგილების საშუალებების სიმწირე (15,76%);
- წევრების რაოდენობა ოჯახში (14,49%).

გრაფიკი #10: კახეთში ოჯახთან დაკავშირებულ კითხვებზე უარყოფითი პასუხების რაოდენობის წილი პასუხების საერთო რაოდენობაში



იმერეთში ოჯახების გამოკვეთილი მოწყვლადობის რისკფაქტორებია შემდეგი (იხ. გრაფიკი #11):

- ხანდაზმულთა რაოდენობა ოჯახში (50,97%);
- ოჯახის წევრების დაუსაქმებლობა (33,04%);
- არა აქვს ოჯახს თანადგომის ქსელი (32,51%);
- ოჯახს არა აქვს სტაბილური შემოსავალი (29, 63%);
- საცხოვრებელი პირობების არაადეკვატურობა (24,75%);
- არასრულწლოვანთა რაოდენობა ოჯახში (23,28%);

- გადაადგილების საშუალებების სიმწირე (22,14%);
- წევრების რაოდენობა ოჯახში (17,99%)
- მიგრაცია (15,92%);
- მიმართვა დახმარებისათვის (15,79%).

გრაფიკი #11: იმერეთში ოჯახთან დაკავშირებულ კითხვებზე უარყოფითი პასუხების რაოდენობის წილი პასუხების საერთო რაოდენობაში



სამცხეში-ჯავახეთში ოჯახების მოწყვლადობის გამოკვეთილი რისკფაქტორებია შემდეგი (იხ. გრაფიკი #12):

- ხანდაზმულთა რაოდენობა ოჯახში (50,04%);
- საცხოვრებელი პირობების არაადეკვატურობა (36,23%);
- გადაადგილების საშუალებების სიმწირე (35,25%);
- ბუნებრივი კატასტროფები (34,60%);
- თემში ძირითადი მომსახურებების ხელმისაწვდომობა (30,11%);
- ბავშვების რაოდენობა ოჯახში (28,42%);
- ოჯახის წევრების დაუსაქმებლობა (24,45%);
- წევრების რაოდენობა ოჯახში (23,33%);
- არა აქვს ოჯახს თანადგომის ქსელი (20%).

გრაფიკი #12: სამცხე-ჯავახეთში ოჯახთან დაკავშირებულ კითხვებზე უარყოფითი პასუხების რაოდენობის წილი პასუხების საერთო რაოდენობაში



ოჯახების მდგომარეობის შესწავლის შედეგად ყველა რეგიონში წამყვან სირთულედ გამოიკვეთა ***ხანდაზმულების*** რაოდენობა ოჯახებში (კახეთი – 46, 08%; იმერეთი – 50, 97%; სამცხე-ჯავახეთი – 50%), რაც მშობლების წინაშე რთულ ამოცანებს აყენებს ორ თაობაზე (მშობლები და შვილები) ზრუნვის ამოცანების დაკმაყოფილებასთან მიმართებაში და მიუთითებს ხანდაზმულებისათვის სახელმწიფოს სოციალური ზრუნვის პროგრამების სიმწირესა და არაადეკვატურობაზე.

პრობლემაა, ასევე, ***არაადეკვატური საცხოვრებელი პირობები*** (კახეთი – 18,05%; იმერეთი – 24,75%; სამცხე-ჯავახეთი – 36,23 %), რაც გულისხმობს მათი საცხოვრებლის ძირეული შეკეთების საჭიროებას. არადამაკმაყოფილებელ საცხოვრებელ პირობებში დასახელებულ იქნა იატაკი, ფანჯრები, ჰიგიენური პირობები, სახურავი, კედლები. ზოგ შემთხვევაში ოჯახის უსახლკარობა და არასათანადო საცხოვრებელში (ფარეხი და ა.შ.) ცხოვრება.

თემში ***ძირითადი მომსახურებებზე ხელმისაწვდომობასთან*** დაკავშირებული სირთულეები აღინიშნება ძირითადად სამცხე-ჯავახეთის რეგიონში (30,11%), სადაც რეგიონებს შორის, ასევე, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა **ტრანსპორტირებასთან დაკავშირებულ პრობლემებთან** (სამცხე-ჯავახეთი – 35,25 %; იმერეთი – 22,14%; კახეთი – 15,76%;).

ზრდის რა ეკონომიკურ მოწყვლადობას ***ბუნებრივი კატასტროფები,*** მნიშვნელოვანი ფაქტორია, ძირითადად, ისევ სამცხე–ჯავახეთში (კახეთი – 18,76 %; იმერეთი – 9,10 %; სამცხე-ჯავახეთი – 34,60%).

გამოკვეთილი ფაქტორია, ასევე, მშობლების უმუშევრობა – გამოკითხული ბავშვების მშობელთა 33% ***უმუშევარია*** იმერეთში, 25% – სამცხე-ჯავახეთში, 23% – კახეთში. თუმცა მათი საშუალო ასაკი შეადგენს კაცისთვის 37 წელს, ხოლო ქალისთვის – 32 წელს, რაც ყველაზე შრომისუნარიანი მოსახლეობის ნაწილს წარმოადგენს.

ოჯახები, განსაკუთრებით კახეთში, გამოირჩევიან სუსტი ***თანადგომის ქსელით*** (კახეთი – 43,19%; იმერეთი – 32,51%; სამცხე-ჯავახეთი – 20%), არადა ეს ერთ-ერთი

მნიშვნელოვანი დამცავი ფაქტორი უნდა იყოს თემში ბავშვების კეთილდღეობისთვის.

ყველა რეგიონში გამოიკვეთა ***შეზღუდული შესაძლებლობის მქონეთათვის მომსახურების*** განვითარების საჭიროება (კახეთი – 8,71%; იმერეთი – 8,23%; სამცხე-ჯავახეთი – 9,06%).

მრავალშვილიანობა (3 შვილი და მეტი) გამოკვეთილი ფაქტორია სამიზნე ჯგუფის ოჯახებისათვის ყველა რეგიონში (კახეთი – 18,65 %; იმერეთი – 23,28 %; სამცხე-ჯავახეთი – 28,42 %).

მეძუძური დედებსა და ორსულებთან (კახეთი – 9,33%; იმერეთი – 9,10%; სამცხე-ჯავახეთი – 10%) დაკავშირებით ერთ–ერთ სირთულეს ქმნის მათი ჩართვა პირველადი ჯანდაცვის მომსახურებაში, მათი მონიტორინგი, რათა მოხდეს ნაყოფისა და ჩვილის ადეკვატური განვითარება. განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ *ბავშვის გარდაცვალება სახელდება ერთ–ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად* (კახეთი – 4,91 %; იმერეთი – 3,75 %; სამცხე-ჯავახეთ – 9,77%).

მარტოხელა მშობლებთან (კახეთი – 6,61 %; იმერეთი – 4,28 %; სამცხე-ჯავახეთი – 5%) დაკავშირებით გამოვლინდა სირთულეები მათი მდგომარეობისა და სტატუსისადმი თემის წევრების დამოკიდებულებებთან მიმართებაში.

მავნე ჩვევების დაბალი მაჩვენებელი დაფიქსირდა, მათ შორის ალკოჰოლზე დამოკიდებულება (კახეთი – 4,39%; იმერეთი – 5,48 %; სამცხე-ჯავახეთი – 4,75%), რაც შეიძლება აიხსნას თემების ტოლერანტული დამოკიდებელებით ალკოჰოლთან.

სოციალური დახმარების განაწილების არაადეკვატურობა ოჯახების მოწყვლადობის ხარისხთან მიმართებაში

კვლევის ფარგლებში დავადგინეთ, თუ რა სახის სოციალურ დახმარებას იღებს ბავშვების ოჯახები და როგორ ნაწილდება ეს დახმარებები. სოციალურ დახმარებაში ინსტრუმენტი მოიაზრებს ბავშვზე ორიენტირებულ შემდეგი სახის სოციალურ დახმარებებს: საარსებო შემწეობა, დევნილთა შემწეობა, რეინტეგრაციის შემწეობა, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების პროგრამის ფარგლებში ფულადი დახმარება ოჯახში რიგით მესამე და მომდევნო ბავშვზე, შშმ პენსია, მარჩენალდაკარგულის პენსია. ერთი შეხედვით, სოციალური დახმარება ნაწილდება

სამართლიანად, რამდენადაც იმ ბავშვების ოჯახები, რომლებსაც აქვთ რეგულარული შემოსავლები, არ იღებს სოციალურ დახმარებას. კახეთის სამიზნე ჯგუფში ასეთია უმრავლესობა – 1875 ბავშვის ოჯახი (74%). მხოლოდ 502 ბავშვის ოჯახი (20%) იღებს რაიმე სახის სოციალურ დახმარებას. 20 ბავშვის ოჯახის შემთხვევაში (1%) კი ეს ინფორმაცია უცნობია. იხ. გრაფიკი #13. მაგრამ, მეორე მხრივ, 129 ბავშვის ოჯახი (საკვლევი პოპულაციის 5%) **არ იღებს არანაირ სოციალურ დახმარებას, მიუხედავად იმისა, რომ მათ არ აქვთ რეგულარული შემოსავალი** და კვლევაში გამოყენებული მოწყვლადობის შეფასების ინსტრუმენტის მიხედვით **არიან ყველაზე მაღალი მოწყვლადობის (მათი 100%–ია ასეთი)**. კახეთში მაღალი მოწყვლადობის ოჯახების 14,8% არ იღებს არანაირ სოციალურ დახმარებას. სხვა რეგიონებშიც იმ ბავშვების ოჯახები, რომლებიც არანაირ სოციალურ დახმარებას არ იღებს, უმეტეს შემთხვევაში არიან მაღალი მოწყვლადობის.

გრაფიკი #13: კახეთში სოციალური დახმარებების მიმღები ბავშვების ოჯახები



იმერეთის სამიზნე ჯგუფში 1056 ბავშვის ოჯახს აქვს რეგულარული შემოსავალი (71%) და არ იღებს სოციალურ დახმარებას. მხოლოდ 235 ბავშვის ოჯახი (16%) იღებს რაიმე სახის სოციალურ დახმარებას. **თუმცა 204 ბავშვის ოჯახს (13%), რომლებიც არ იღებს არანაირ სოციალურ დახმარებას, არა აქვს რეგულარული შემოსავალი და უმეტეს შემთხვევაში მიეკუთვნებიან მაღალი მოწყვლადობის ჯგუფს. კერძოდ, ამ ბავშვების 83% არის მაღალი მოწყვლადობის.** თუ შევხედავთ მაღალი მოწყვლადობის ოჯახების ჯგუფს, მათი 32,2% არ იღებს არანაირ სოციალურ დახმარებას მაშინ, როცა

საშუალო მოწყვლადობის ოჯახების მხოლოდ 14,6% და დაბალი მოწყვლადობის ოჯახების 3,3% არ იღებს არანაირ სოციალურ დახმარებას. იხ. გრაფიკი #14.

გრაფიკი #14: იმერეთში სოციალური დახმარების მიმღები ბავშვების ოჯახები



სამცხე–ჯავახეთის სამიზნე ჯგუფში 2233 ბავშვის ოჯახს (84%) აქვს სტაბილური შემოსავალი და არც იღებს სოციალურ დახმარებას. მხოლოდ 351 ბავშვის ოჯახი (13%) იღებს სოციალურ დახმარებას, ხოლო 6 ბავშვის ოჯახის შემთხვევაში ეს ინფორმაცია უცნობია. **მეორე მხრივ, 61 ბავშვის ოჯახი (2%) არ იღებს არანაირ სოციალურ დახმარებას და არ აქვს სტაბილური შემოსავალი მაშინ, როცა მათი უმრავლესობა (82%) მაღალი მოწყვლადობისაა.** სამცხე–ჯავახეთში მაღალი მოწყვლადობის ოჯახების 5,7% არ იღებს არანაირ სოციალურ დახმარებას მაშინ, როცა საშუალო მოწყვლადობის ოჯახების მხოლოდ 1,17% და დაბალი მოწყვლადობის ოჯახების 0,6% არ იღებს არანაირ სოციალურ დახმარებას. იხ. გრაფიკი #15.

გრაფიკი #15: სამცხე–ჯავახეთში სოციალური დახმარების მიმღები ბავშვების ოჯახები



კვლევა ავლენს **სოციალური დახმარების არაადეკვატურ განაწილებას** როგორც რეგიონებს შიგნით, ისე რეგიონებს შორის. მაგალითად, კახეთი (მოწყვლადობის საშუალო ქულა 5), რომლის მოწყვლადობა სამცხე–ჯავახეთზე (საშუალო ქულა 6) დაბალია, ხასიათდება დახმარების მიმღებთა უფრო მაღალი პროცენტით (20%), ვიდრე სამცხე–ჯავახეთი (13%). საინტერესოა ის ფაქტიც, რომ **რეგიონები, რომლებიც მეტ დახმარებას იღებს დაბალი მოწყვლადობის მიუხედავად (მაგალითად, კახეთი), რეგიონის შიგნითაც სოციალური დახმარებას ანაწილებს უფრო უსამართლოდ**. მაგალითად, კახეთში მაღალი მოწყვლადობის ოჯახების 14,8% არ იღებს არანაირ სოციალურ დახმარებას მაშინ, როცა სამცხე–ჯავახეთში (შედარებით მაღალი მოწყვლადობის და სოციალური დახმარების მიმღებთა დაბალი რაოდენობის) ეს ციფრი მხოლოდ 5,7%–ია.

ჩატარებული კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ სოფლებში ოჯახები განიცდიან მოწყვლადობის სხვადასხვა დონეს. ამასთან, სოფლებს შორის განსხვავებებია და სოფლები მოითხოვენ განსხვავებული ინტენსივობის ჩარევებს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ რეგიონებში შეინიშნება ძირითად საჭიროებებთან დაკავშირებით მსგავსი ტენდენციები. ქვემოთ ცხრილებში (#15,16,17) მოცემულია სოფლების მიხედვით გამოთვლილი მოწყვლადობის საშუალო ქულა ყოველი სოფლისთვის და ნაჩვენებია კახეთის, იმერეთისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონების მოწყვლადობის საშუალო ქულა.

ცხრილი #15: მოწყვლადობის საშუალო ქულა ყოველი სოფლისთვის კახეთში

#	სოფელი	სამიზნე კომლებში ბავშვთა რაოდენობა	თითოეული სოფლის მოწყვლადობის საშუალო ქულა	კახეთის ყველა სოფლის მოწყვლადობის საშუალო ქულა
1	აკურა	220	2,96	**5**
2	ართანა	11	5,36	
3	ბუშეტი	75	7,28	
4	ენისელი	184	5,27	
5	ვაზისუბანი	256	5,89	
6	ვანთა	124	3,20	
7	ვაჩნაძიანი	222	5,77	
8	კალაური	234	3,59	
9	კისისხევი	4	1,00	
10	კონდოლი	250	5,14	
11	ლალისეური	10	2,80	
12	ლეჩური	7	5,29	
13	ნაფარეული	168	6,02	
14	სანიორე	5	6,60	
15	ფშაველი	172	6,42	
16	ქვემო ხოდაშენი	3	1,67	

17	შალაური	8	6,50	
18	შაქრიანი	2	3,00	
19	შაშიანი	348	4,06	
20	წინანდალი	223	2,68	
	სულ	**2526**		

ცხრილი #16: მოწყვლადობის საშუალო ქულა ყოველი სოფლისთვის იმერეთში

#	სოფელი	სამიზნე კომლებში ბავშვთა რაოდენობა	თითოეული სოფლის მოწყვლადობის საშუალო ქულა	იმერეთის ყველა სოფლის მოწყვლადობის საშუალო ქულა
1	დიდველა	70	4,16	**5**
2	დიმი	306	3,56	
3	მეორე ობჩა	86	4,67	
4	მეორე სვირი	317	4,67	
5	პირველი ობჩა	87	6,49	
6	როკითი	41	7,24	
7	როდინაული	5	7,40	
8	როხი	110	6,97	
9	სადგური სვირი	50	7,42	
10	ფერსათი	165	3,75	
11	შუბანი	27	3,89	
12	წითელხევი	231	5,17	
	სულ	**1495**		

ცხრილი #17: მოწყვლადობის საშუალო ქულა ყოველი სოფლისთვის სამცხე–ჯავახეთში

	სოფელი	სამიზნე ოჯახებში ბავშვთა რაოდენობა	თითოეული სოფლის მოწყვლადობის საშუალო ქულა	სამცხე–ჯავახეთის ყველა სოფლის მოწყვლადობის საშუალო ქულა
1	აგარა	25	6,20	**6**
2	არალი	112	4,91	
3	ბოლაჯური	75	4,20	
4	გომარო	53	3,36	
5	დერცელი	33	6,89	
6	ვალე	240	6,20	
7	ვალე II შახტა	39	5,51	
8	ზემო სხვილისი	29	5,89	
9	ზანავი	46	3,17	
10	ზარზმა	39	10,61	
11	კლდე	66	4,66	
12	მოხე	32	3,30	
13	მუსხი	52	5,16	
14	სხვილისი	64	10,13	
15	უდე	240	5,14	
16	ურაველი	63	5,55	

17	წირა	65	9,26	
18	წნისი	34	6,94	
19	წყრუთი	117	4,56	
	სულ	**1424**		

2. საპილოტე კვლევის ფარგლებში შერჩეული ოჯახების მოწყვლადობის დონე კახეთში

დემოგრაფიული მონაცემები

ალტერნატიული შერჩევის სამიზნე ჯგუფში კახეთში (თელავის, ყვარლისა და გურჯაანის მუნიციპალიტეტი) გამოიკითხა 106 ოჯახი, სადაც ცხოვრობდა 18 წლამდე ასაკის 191 ბავშვი. ინფორმაცია თითოეულ გამოკითხულ სოფელში ოჯახების რაოდენობისა და იქ მცხოვრები ბავშვების შესახებ იხ. დანართში #6: რაოდენობრივი კვლევის შედეგები – ცხრილები და გრაფიკები, ცხრილი #16.

ალტერნატიული შერჩევის სამიზნე ჯგუფში კახეთში მონაცემები შეგროვდა 191 ბავშვზე. ბავშვების საშუალო ასაკია 4 წელი (სტანდარტული გადახრა 4.5). ბავშვის ასაკი მერყეობს 1 თვიდან 18 წლამდე. ასაკის განაწილების სტატისტიკა იხ. დანართში #6: რაოდენობრივი კვლევის შედეგები – ცხრილები და გრაფიკები, ცხრილი #17 და გრაფიკი #9.

ბავშვების დიდი უმრავლესობის შემთხვევაში კითხვებზე პასუხები გასცა ბავშვების ძირითადმა მზრუნველმა დედამ (161 შემთხვევა).

დედების ასაკი მერყეობდა 14–დან 56 წლამდე, სადაც საშუალო ასაკი იყო 30 წელი (სტანდარტული გადახრა 7.4). მამის ასაკი მერყეობდა 19–დან 70 წლამდე და საშუალო ასაკი იყო 36 წელი (სტანდარტული გადახრა 9.8). აღსანიშნავია, რომ კახეთში ამ სამიზნე ჯგუფში გხვდებიან არასრულწლოვანი დედები, მათ შორისაა 14 წლის ერთი გოგო, 16 წლის ორი გოგო,18 წლის 3 გოგო და მშობლები, რომლებიც ბავშვობის ასაკში გახდნენ მშობლები.

ყველა გამოკითხული ოჯახი არის მართლმადიდებელი ქრისტიანი.

თითოეულ ოჯახში ცხოვრობს ძირითადად 2 ბავშვი. გამოკითხული ბავშვებიდან დაახლოებით 21% ცხოვრობს ოჯახში ერთი არასრულწლოვანით, ბავშვების 51% ცხოვრობს ოჯახებში ორი არასრულწლოვანით, 24% ცხოვრობს ოჯახებში სამი არასრულწლოვანით და 4% - ოჯახებში 4 არასრულწლოვნით.

არასრულწლოვანი შვილების რაოდენობის შესახებ ინფორმაცია იხ. დანართში #6: რაოდენობრივი კვლევის შედეგები – ცხრილები და გრაფიკები, ცხრილი #18.

მოწყვლადობის მაჩვენებლები

მოწყვლადობის მიხედვით რესპონდენტები გავყავით შემდეგ 4 ჯგუფად:1. მოწყვლადობის მაღალი დონე, 2. მოწყვლადობის საშუალო დონე, 3. მოწყვლადობის დაბალი დონე და 4. არამოწყვლადი.

ამ ჯგუფში ზოგადი მოწყვლადობის საშუალო ქულა იყო 10 (სტანდარტული გადახრა 5.41).მოწყვლადობის სხვადასხვა დონის ჯგუფებისადმი/კატეგორიებისადმი მიკუთვნების მიზნით გამოვიყენეთ მოწყვლადობის იგივე მაჩვენებლები, რაც ძირითადი ჯგუფის ანალიზისას, რათა შესაძლებელი ყოფილიყო ძირითადი და ატერნატიული შერჩევის სამიზნე ჯგუფების შედარება. ანუ, საშუალო მაჩვენებლად განვსაზღვრეთ კვლავ 5 ქულა. ბავშვები, რომლებმაც აიღეს 5 ქულაზე მეტი იდენტიფიცირებულია, როგორც მაღალი მოწყვლადობის დონე; ბავშებმა, რომელთაც მიიღეს 5 ქულა – როგორც საშუალო მოწყვლადობის დონე; ბავშვებმა, რომელთაც მიიღეს 5 ქულაზე დაბალი 2 ქულამდე, როგორც დაბალი მოწყვლადობის დონე; ხოლო ბავშვებმა, რომლებმაც მიიღეს 1 ქულა და 1-ზე დაბალი, როგორც არამოწყვლადობის დონე.

თვითონ ის ფაქტი, რომ ალტერნატიული შერჩევის სამიზნე ჯგუფში მოწყვლადობის საშუალო ქულა (10) ორჯერ მეტი აღმოჩნდა ვიდრე საშუალო ქულა ძირითად ჯგუფში, მეტყველებს იმაზე, რომ ეს ჯგუფი აღმოჩნდა მთლიანობაში უფრო მოწყვლადი, ვიდრე ძირითადი ჯგუფი, რაც შეესაბამება ჩვენს დაშვებებს და ჰიპოთეზებს. ამ ჯგუფში გამოკითხულთა ბავშვების 79,58% შეიძლება განისაზღვროს როგორც მაღალი მოწყვლადობის დონის, 3,66 % – საშუალო მოწყვლადობის დონის, 13,61% – დაბალი მოწყვლადობის დონის, ხოლო 3,14% – არამოწყვლადად (იხ. ცხრილი #18 და გრაფიკი #16).

ცხრილი #18: კახეთში ალტ. შერჩევის სამიზნე ჯგუფში მოწყ.დონის მაჩვენებლები

მოწყვლადობის დონეები		**%**	**სიხშირე**
მაღალიმოწყვლადობა	> მოწყვლადობის საშუალო მაჩვენებელი (5)	79,58%	152
საშუალო მოწყვლადობა	= მოწყვლადობის საშუალო მაჩვენებელი (5)	3,66%	7
დაბალი მოწყვლადობა	>1 და < მოწყვლადობის საშუალო მაჩვენებელი (5)	13,61%	26
არამოწყვლადობა	<=1	3,14%	6
	ჯამი	100,00%	191

გრაფიკი #16: კახეთში ალტერნატიული შერჩევის სამიზნე ჯგუფში მოწყვლადობის დონის მაჩვენებლები



კახეთში ბავშვის მოწყვლადობის მინიმალურ ქულად დაფიქსირდა 0, ხოლო მოწყვლადობის მაქსიმალურ ქულად – 27.

დეტალური ინფორმაციისთვის ზოგადი მოწყვლადობის სტატისტიკებისა და კონკრეტულად თითოეული მოწყვლადობის დონის პროცენტული მაჩვენებლების შესახებ ინფორმაცია იხ. დანართში #6: რაოდენობრივი კვლევის შედეგები – ცხრილები და გრაფიკები, ცხრილები #19, 20.

მოწყვლადობის რისკებისა და საჭიროებების ანალიზი

მოწყვლადობის ქულის გამოთვლისას გათვალისწინებულ იქნა მოწყვლადობის 18 კატეგორია (თითოეულ კატეგორიაში გაერთიანებულია მოწყვლადობის რამდენიმე რისკფაქტორი) ბავშვისა და ოჯახის მოწყვლადობის გაზომვის ინსტრუმენტის მიხედვით (ეს კატეგორიები აღწერილია ცხრილში #4: ინსტრუმენტის მოკლე აღწერე, გვ.79).

გრაფიკში #17 მოცემულია ის წვლილი, რაც კახეთის ალტერნატიული შერჩევის სამიზნე ჯგუფში მოწყვლადობის საშუალო ქულაში (ყველა ბავშვის ჯამური ქულიდან დათვლილი საშუალო) შეაქვს მოწყვლადობის თითოეულ კატეგორიას გამოყენებული 18 კატეგორიიდან.

გრაფიკი #17: კახეთში ალტერნატიული შერჩევის სამიზნე ჯგუფში მოწყვლადობის საშუალო ქულის შემადგენლობა ყველა ბავშვზე კატეგორიების მიხედვით



კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ მოწყვლადობის 18 კატეგორიიდან, რომლებიც თავის მხრივ აჯგუფებს მოწყვლადობის რისკფაქტორებს/ინდიკატორებს (ეძღვნება კითხვარის ცალკე კითხვა), მოწყვლადობის **საშუალო ქულის გამოთვლისას მთავარი წონა მოდის ისეთ კატეგორიებზე, როგორებიცაა:** ***ოჯახის მატერიალური რესურსები, ბავშვზე ზრუნვა, ოჯახის შემადგენლობა, საცხოვრებლის გარემო, ოჯახის თანადგომის ქსელი და ოჯახის წევრების დასაქმება.*** **უნდა აღნიშნოს, რომ ალტერნატიული შერჩევის სამიზნე ჯგუფსა და ძირითად სამიზნე ჯგუფში იდენტური ტენდენციაა და ზემოაღნიშნული 6 კატეგორია სახელდება მოწყვლადობის მთავარ რისკფაქტორად.**

ბავშვთა მოწყვლადობის რისკფაქტორები

ანალიზის პროცესში შევისწავლეთ მოწყვლადობის რისკფაქტორებთან დაკავშირებულ თითოეულ კითხვაზე უარყოფითი პასუხების (მიუთითებს რისკფაქტორის არსებობაზე) რაოდენობის წილი ბავშვების მიერ გაცემული პასუხების საერთო რაოდენობაში, ანუ ამგვარი გზით განვსაზღვრეთ ის, თუ რა

ძირითად რისკებს ვხვდებით როგორც ბავშვებთან, ასევე, მათ ოჯახებთან დაკავშირებით. ყველაზე ხშირი მოწყვლადობის რისკფაქტორების (მოწყვლადობის პარამეტრები) გამოკვეთა საშუალებას გვაძლევს, განვსაზღვროთ თემის დონეზე არსებული საჭიროებები და გავაანალიზოთ სახელმწიფოს მიერ ამ საჭიროებების დაკმაყოფილების ასპექტები.

კახეთში ალტერნატიული შერჩევის სამიზნე ჯგუფის ბავშვებთან დაკავშირებული ძირითადი რისკფაქტორები არის შემდეგი (იხ. გრაფიკი #18):

1. *ბავშვისთვის ადეკვატური ზრუნვის ხელისშემშლელი ფაქტორების არსებობა* (61,26%), რომლებიც მოიცავს ისეთ ფაქტორებს, როგორებიცაა: ოჯახში ძალადობა, ეკონომიკური პრობლემები, ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები, ზოგადად ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ყოფნა, მიგრაცია, ბავშვის ასოციალური ქცევა, მშობლის/მზრუნველი პირის არასათანადო უნარ–ჩვევები; სადაც ყველაზე ხშირად დასახელდა ეკონომიკურ საკითხებთან დაკავშირებული პრობლემები. ასევე, დასახელებულ იქნა მშობლის ჯანმრთელობასთან, მშობლობის არასათანადო უნარ-ჩვევებთან, ბავშვის ასოციალური ქცევასა და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული პრობლემები.
2. *ბავშვის ძირითადი საჭიროებებით ვერ უზრუნველყოფა* (47,64 %), რომლებიც მოიცავს ისეთ ფაქტორებს, როგორებიცაა: ადეკვატური კვება, ზრუნვა ჰიგიენაზე, ადეკვატური საცხოვრებელი პირობები, სასწავლო ინვენტარი, ადეკვატური ჩასაცმელი, სიყვარული/სითბო.

გრაფიკი #18: კახეთში ალტერნატიული შერჩევის სამიზნე ჯგუფში ბავშვთან დაკავშირებულ კითხვებზე უარყოფითი პასუხების რაოდენობის წილი პასუხების საერთო რაოდენობაში



გამოკითხული ჯგუფი, ასევე, გამოირჩევა ბავშვის მიმართ ძალადობით, მათ შორის ფიზიკური და ფსიქოლოგიური (7,85%) და ოჯახში ძალადობის (15,18 %) მაღალი დონით და ბავშვის ასოციალური ქცევებით (6,28 %).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიზნობრივ ჯგუფში გვხვდებიან არასრულწლოვანი დედები, მართალია, მათი პროცენტული წილი დაბალია (7 შემთხვევა), თუმცა საყურადღებო ფაქტია, რადგან მიუთითებს ბავშვის უფლებების დარღვევასა და მათ მიმართ განხორციელებულ ძალადობაზე.

ოჯახების მოწყვლადობის რისკფაქტორები

კახეთის ალტერნატიული შერჩევის სამიზნე ჯგუფში ოჯახების გამოკვეთილი რისკფაქტორები შემდეგია (იხ. გრაფიკი #19):

- ოჯახს არა აქვს სტაბილური შემოსავალი (66,49 %);
- არა აქვს ოჯახს თანადგომის ქსელი (60,73 %);
- საცხოვრებელი პირობების არაადეკვატურობა (53,93 %);
- ოჯახის წევრების დაუსაქმებლობა (51,83 %);
- გადაადგილების საშუალებების სიმწირე (41,88 %);
- ხანდაზმულთა რაოდენობა ოჯახში (40,84 %).

გრაფიკი #19: კახეთში ალტერნატიული შერჩევის სამიზნე ჯგუფში ოჯახთან დაკავშირებულ კითხვებზე უარყოფითი პასუხების რაოდენობის წილი პასუხების საერთო რაოდენობაში



ამრიგად, აშკარაა, რომ ალტერნატიული შერჩევის სამიზნე ჯგუფი გამოირჩევა დაბალი სოციალურ-ეკონომიკური ფონით. ბავშვების დიდი უმრავლესობა განიცდის ***ძირითადი საჭიროებების დანაკლისს***, როგორებიცაა: ადეკვატური კვება, ჩასაცმელი, საცხოვრებელი და ა.შ. შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკური გაჭირვება მზრუნველებს ხელს უშლის ადეკვატური ზრუნვის განხორციელებაში. ოჯახები გამოირჩევიან არასტაბილური შემოსავლით. გამოკითხული ბავშვების მშობლების ნახევარზე მეტი უმუშევარია. თუმცა მათი საშუალო ასაკი შეადგენს კაცისთვის 36 წელს, ხოლო ქალისთვის 30 წელს, რაც ყველაზე შრომისუნარიანი მოსახლეობის

ნაწილს წარმოადგენს. დასაქმებას შესაძლოა ხელს უშლის ის, რომ გამოკითხულ ჯგუფში მშობლების დაახლოებით 16,23 % საბაზისოზე დაბალ განათლებას ფლობს, რაც განაპირობებს მათ ნაკლებ კონკურენტუნარიანობას.

ასევე, აღსანიშნავია, რომ ერთ–ერთი სირთულედ იკვეთება ოჯახების მხარდაჭერა ***თანადგომის ქსელის*** მიერ, რადგან მათი 60,73% განიცდის ამგვარი მხარდაჭერის ნაკლებობას.

ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც აშკარად გამოიკვეთა არის დიდი უმრავლესობის (53,93%), ***არაადეკვატური საცხოვრებელი პირობები***, რაც გულისხმობს მათი საცხოვრებლის ძირეული შეკეთების აუცილებლობას, ხოლო 11%-ს კი საერთოდ არ გააჩნია საკუთარი საცხოვრებელი. ასევე, სოფელში უჭირთ ***ტრანსპორტირება***, დაახლოებით 41,88%.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ჯგუფში მაღალია მაჩვენებელი იმ სირთულეებთან დაკავშირებით, რომლებიც უკავშირდება დახმარების/მხარდაჭერის ***მოსაპოვებლად სხვადასხვა უწყებებისათვის მიმართვას*** (31,41%).

ალტერნატიული შერჩევის სამიზნე ჯგუფში 143 ბავშვის ოჯახი (75%) იღებს რაიმე სახის სოციალურ დახმარებას, 37 ბავშვის ოჯახი (19%) არ იღებს არანაირ სოციალურ დახმარებას და არა აქვს რეგულარული შემოსავალი, ხოლო 11 ბავშვის ოჯახის მონაცემები (6%) უცნობია. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ჯგუფში არ გვხვდება ისეთი არც ერთი ოჯახი, რომელსაც აქვს რეგულარული შემოსავალი და არ იღებს სოციალურ დახმარებას. იხ. გრაფიკი #20.

როგორც ქვემოთ მოყვანილი გრაფიკიდან ჩანს, ალტერნატიული შერჩევის სამიზნე ჯგუფში 37 ბავშვის ოჯახი (ამ ჯგუფში გამოკითხული მთლიანი ოჯახების 19%) არ იღებს არანაირ სოციალურ დახმარებას, მიუხედავად იმისა, რომ ეს ოჯახები **ყველანი არიან მაღალი მოწყვლადობის**. მეორე მხრივ, კახეთში **ალტერნატიული შერჩევის სამიზნე ჯგუფში მაღალი მოწყვლადობის ოჯახების 24% არ იღებს არანაირ სოციალურ დახმარებას**.

გრაფიკი #20: კახეთის ალტერნატიული შერჩევის სამიზნე ჯგუფში სოციალური დახმარების მიმღები ბავშვების ოჯახები



ჩატარებული კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ სოფლებში ოჯახები განიცდიან მოწყვლადობის სხვადასხვა დონეს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ალტერნატიული შერჩევის სამიზნე ჯგუფში მხოლოდ ერთი სოფელი ვანთა (მოწყვლადობის საშუალო ქულა 3,74) არის კახეთის ძირითად საკვლევ ჯგუფში საშუალო მოწყვლადობის დონეზე დაბალი. დანარჩენი სოფლების შემთხვევაში მოწყვლადობის მაღალი დონე ფიქსირდება, რაც ამ ბავშვებისა და ოჯახების უკიდურესი სოციალური გარიყულობის მაჩვენებელია; ქვემოთ ცხრილში (#19) მოცემულია სოფლების მიხედვით გამოთვლილი მოწყვლადობის საშუალო ქულა ყოველი სოფლისთვის და ნაჩვენებია კახეთის რეგიონების მოწყვლადობის საშუალო ქულა.

ცხრილი #19: კახეთში ალტერნატიული შერჩევის სამიზნე ჯგუფში მოწყვლადობის საშუალო ქულა ყოველი სოფლისთვის

#	სოფელი	სამიზნე კომლებში ბავშვთა რაოდენობა	თითოეული სოფლის მოწყვლადობის საშუალო ქულა	კახეთის ყველა სოფლის ჯგუფის მოწყვლადობის საშუალო ქულა
1	აკურა	10	11,50	10
2	ბუშეტი	17	11,06	
3	ენისელი	18	8,89	
4	ვაზისუბანი	22	14,36	
5	ვანთა	19	3,74	
6	ვაჩნძიანი	16	9,38	
7	კალაური	11	8,55	
8	კონდოლი	9	10,56	
9	ნაფარეული	17	10,71	
10	ფშაველი	17	8,88	
11	შაშიანი	22	9,64	
12	წინანდალი	13	13,77	
	სულ	**191**		

3. შემაჯამებელი მსჯელობა და ძირითადი მიგნებები

რაოდენობრივი კომპონენტის ფარგლებში ჩვენს ამოცანას წარმოადგენდა თემების დონეზე ბავშვისა და ოჯახის მოწყვლადობის[37] რისკების გამოვლენა ბავშვთა კეთილდღეობის საჭიროებების გარკვევის მიზნით. ჩვენ, ასევე, გვსურდა გაგვერკვია, თუ რამდენად პასუხობს ბავშვთა კეთილდღეობის სისტემები თემებში არსებულ გამოწვევებს და რომელი მიდგომების (უფლებებზე დაფუძნებული, საჭიროებებზე დაფუძნებული) განხორციელებას აქვს მეტი რაციონალური საფუძველი. კვლევის ამ კითხვების საპასუხოდ, ჩვენ გვქონდა ჩამოყალიბებული შემდეგი ორი ჰიპოთეზა:

1. ბავშვთა კეთილდღეობის სისტემები ვერ პასუხობს თემების დონეზე არსებულ ბავშვებისა და ოჯახების მოწყვლადობის რისკ-ფაქტორების ელიმინაციის ან შემცირების ამოცანას.
2. იქ, სადაც აქტორები ირჩევენ საჭიროებებზე დაფუძნებულ მიდგომებს და ახორციელებენ ვიწრო მიზნობრივ ჯგუფებზე ორიენტირებულ (targeted) პროგრამებს, ეს პროგრამები წინააღმდეგობაში მოდის თავიანთ მიზნებთან და მოიცავენ არა მათ, ვისაც ყველაზე მეტად სჭირდება მხარდაჭერა, არამედ უკეთესი საწყისი პირობების მქონე მიზნობრივი ჯგუფის წარმომადგენლებს (adverse selection ანუ „მანკიერი შერჩევა“[38]).

ქვემოთ მოგვყავს რაოდენობრივი კვლევის შედეგები ზემოაღნიშნულ ჰიპოთეზებთან მიმართებაში.

პირველი ჰიპოთეზა

პირველ ჰიპოთეზასთან დაკავშირებით კვლევამ აჩვენა ბევრი სამხილი იმ მტკიცების მხარდასაჭერად, რომ ბავშვთა კეთილდღეობის სისტემები ვერ პასუხობს

[37] ჩვენი კვლევის ფარგლებში ბავშვის მოწყვლადობის განმარტებისას ამოვდივართ ბავშვის უფლებათა დაცვის ამოცანიდან და ბავშვის მოწყვლადობას განვმარტავთ მისი უფლებების დარღვევის რისკ-ფაქტორების ერთობლიობად. ბავშვის მოწყვლადობის რისკებს განვსაზღვრავთ ოთხი ძირითადი ფაქტორის ურთიერთქმედებით (ძალადობა ბავშვის მიმართ, სიღარიბე, დისკრიმინაცია და ბუნებრივი/ადამიანის მიერ განპირობებული კრიზისის/კატასტროფების/ კატაკლიზმების ზეგავლენა).

[38] ტერმინი „მანკიერი შერჩევა“ (adverse selection) გამოიყენება ინფორმაციის ასიმეტრიის თეორიაში (George Akerlof, Michael Spence and Joseph E. Stiglitz, "Analyses of Markets with Asymmetric Information") გადაწყვეტილების მიღების ერთ-ერთი ძირითადი პრობლემის აღსაწერად, როდესაც ტრანზაქციაში მონაწილე უფრო ინფორმირებული მხარე (ჩვენს შემთხვევაში სოციალური მომსახურების მიმწოდებელი) განაპირობებს ტრანზაქციის საგნის (ჩვენს შემთხვევაში სამიზნე ჯგუფი) არჩევანს, რომელიც მეორე მხარის (ჩვენ შემთხვევაში საზოგადოება) ინტერესს/მიზანს არ შეესაბამება.

თემების დონეზე არსებულ ბავშვებისა და ოჯახების მოწყვლადობის რისკ-ფაქტორების ელიმინაციის ან შემცირების ამოცანას.

ბავშვისა და ოჯახის მოწყვლადობის ინსტრუმენტის მეშვეობით გამოვლინდა ბავშვების 4 კატეგორია მოწყვლადობასთან მიმართებაში (მაღალი, საშუალო, დაბალი მოწყვლადობის და არამოწყვლადი).

როგორც **კვლევამ აჩვენა, მიუხედავად იმისა, რომ მაღალი მოწყვლადობის ჯგუფებში უფრო მეტი პირი იღებს სოციალურ დახმარებას, ვიდრე დაბალი მოწყვლადობის ჯგუფებში, ყველაზე მოწყვლადი ოჯახები მაინც რჩებიან სოციალური დახმარების გარეშე**. გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ 2014 წლის ანგარიში „საქართველოში ბავშვთა სიღარიბის შემცირება: სამომავლო გზა“, რომელშიც გამოყენებულია მონაცემები 2009,2011,2013 წლების „კეთილდღეობის კვლევიდან“, ადასტურებს ამ ტენდენციას. ამ კვლევის მიხედვით, იმ შინამეურნეობებს, რომლებსაც მიზნობრივ სოციალურ დახმარებაზე უარი ეთქვათ, შეიძლება, სულაც არ იყვნენ ეკონომიკურად უზრუნველყოფილნი, „მიზნობრივი სოციალური დახმარების სქემა, რომელიც მკაცრად მიმართულია უღარიბესი მოსახლეობისკენ, შინამეურნეობების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდის გამოყენებით, დგას მნიშვნელოვანი რისკის წინაშე, რომ ვერ გამოავლინოს ბევრი გაჭირვებაში მყოფი შინამეურნეობა“ (გაეროს ბავშვთა ფონდი, 2014, გვ. 27).

კვლევამ, ასევე, გამოავლინა **სოციალური დახმარების არაადეკვატური განაწილება როგორც რეგიონებს შიგნით, ისე რეგიონებს შორის.** მაგალითად, კახეთი (მოწყვლადობის საშუალო ქულა 5), რომლის მოწყვლადობა სამცხე–ჯავახეთზე (საშუალო ქულა 6) დაბალია, ხასიათდება დახმარების მიმღებთა უფრო მაღალი პროცენტით (20%), ვიდრე სამცხე–ჯავახეთი (13 %). საინტერესოა ის ფაქტიც, რომ რეგიონები, რომლებიც მეტ დახმარებას იღებს დაბალი მოწყვლადობის მიუხედავად (მაგალითად, კახეთი), რეგიონის შიგნითაც სოციალურ დახმარებას ანაწილებს უფრო უსამართლოდ. კახეთში მაღალი მოწყვლადობის ოჯახების 14,8% არ იღებს არანაირ სოციალურ დახმარებას მაშინ, როცა სამცხე–ჯავახეთში (შედარებით მაღალი მოწყვლადობის და სოციალური დახმარების მიმღებთა დაბალი რაოდენობის) ეს ციფრი მხოლოდ 5,7 %–ია.

კვლევაში გამოყენებული ინსტრუმენტის შეზღუდულობის გამო კვლევის რაოდენობრივი კომპონენტის ფარგლებში უცნობი რჩება ის, თუ ჯამურად რა მოცულობის დახმარებას (სოციალური დახმარება და, ასევე, მომსახურება) იღებდა ესა თუ ის ჯგუფი. შესაბამისად, კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ ვაჩვენებთ, თუ როგორ კორელაციაშია ჯამური სოციალური დახმარების მოცულობა მოწყვლადობის ხარისხთან. მიუხედავად ამისა, **კვლევა გიჩვენებს ბავშვთა კეთილდღეობის სისტემის გარკვეულ არაადეკვატურობას არსებული მოწყვლადობის რისკფაქტორების ელიმინაციის ან შემცირების ამოცანასთან მიმართებაში**. კერძოდ, მნიშვნელოვანია კვლევის მიერ გამოვლენილი რამდენიმე კანონზომიერება:

1. **რაც უფრო მაღალია ბავშვისა და ოჯახის მოწყვლადობა, მით უფრო მეტი ალბათობაა, რომ ოჯახი იღებდეს სოციალურ დახმარებას ერთი პროგრამიდან მაინც; ანუ, მაღალი მოწყვლადობის ბავშვების ოჯახებში მეტია ისეთი ოჯახების რაოდენობა, რომლებიც მინიმუმ ერთი პროგრამიდან მაინც იღებს დახმარებას**. მიუხედავად ამისა,
2. **ყველაზე მაღალი მოწყვლადობის ბავშვების ოჯახების მნიშვნელოვანი წილი არ იღებს არანაირ სოციალურ დახმარებას**[39];
3. **იმ ბავშვების ოჯახები, რომლებიც არანაირ სოციალურ დახმარებას არ იღებს, უმეტეს შემთხვევაში არიან მაღალი მოწყვლადობის**[40];
4. **ის რეგიონები, სადაც ბავშვთა მოწყვლადობა შედარებით დაბალია, ხასიათდება დახმარების მიმღებთა შედარებით მაღალი პროცენტით, ვიდრე ბავშვთა მაღალი მოწყვლადობის რეგიონები**[41];
5. **სოციალური დახმარების განაწილება ხდება უფრო არაადეკვატურად („საჭიროებებზე დაფუძნებული მიდგომის“ მიზნების საწინააღმდეგოდ) იმ**

[39] კახეთში მაღალი მოწყვლადობის ბავშვების ჯგუფში 14,8 % არ იღებს არანაირ სოციალურ დახმარებას.
იმერეთში მაღალი მოწყვლადობის ბავშვების ჯგუფში 32,2 % არ იღებს არანაირ სოციალურ დახმარებას.
სამცხე–ჯავახეთში მაღალი მოწყვლადობის ოჯახების 5,7 % არ იღებს არანაირ სოციალურ დახმარებას.

[40] კახეთში 129 ბავშვის ოჯახი (5 %) არ იღებს არანაირ სოციალურ დახმარებას მიუხედავად იმისა, რომ მათ არ აქვთ რეგულარული შემოსავალი და კვლევაში გამოყენებული მოწყვლადობის შეფასების ინსტრუმენტის მიხედვით მათი აბსოლუტური უმრავლესობა (100 %) მაღალი მოწყვლადობისაა.
იმერეთში 204 ბავშვის ოჯახს (13 %) არ იღებს არანაირ სოციალურ დახმარებას მიუხედავად იმისა, რომ მათ არა აქვთ რეგულარული შემოსავალი, მაშინ, როცა მათი უმრავლესობა (83 %) მაღალი მოწყვლადობისა.
სამცხე–ჯავახეთში 61 ბავშვის ოჯახი (2 %) არ იღებს არანაირ სოციალურ დახმარებას და არ აქვს სტაბილური შემოსავალი, მაშინ, როცა მათი უმრავლესობა (82%) მაღალი მოწყვლადობისაა.

[41] კახეთი (მოწყვლადობის საშუალო ქულა 5), რომლის მოწყვლადობა სამცხე–ჯავახეთზე (საშუალო ქულა 6) დაბალია, ხასიათდება დახმარების მიმღებთა უფრო მაღალი პროცენტით (20 %) ვიდრე სამცხე–ჯავახეთი (13 %).

რეგიონებში, სადაც, ბავშვთა მოწყვლადობის დაბალი მაჩვენებლის მიუხედავად, სოციალურ დახმარებას მეტი სამიზნე ჯგუფის ბავშვის ოჯახი იღებს. ამ რეგიონებში მაღალი მოწყვლადობის ბავშვების ოჯახების უფრო მეტი წილი არ იღებს არანაირ სოციალურ დახმარებას[42].

ალტერნატიული შერჩევის სამიზნე ჯგუფის შესწავლა ავლენს იმავე ტენდენციებს სოციალური დახმარების განაწილების თვალსაზრისით, რაც ვლინდება ძირითადი ჯგუფის შესწავლისას. კერძოდ, 143 ბავშვის ოჯახი (75%) იღებს რაიმე სახის სოციალურ დახმარებას, 37 ბავშვის ოჯახი **(19 %) არ იღებს არანაირ სოციალურ დახმარებას** და არა აქვს რეგულარული შემოსავალი, ხოლო 11 ბავშვის ოჯახის (6%) შემთხვევაში უცნობია. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ჯგუფში **არ გვხვდება ისეთი არც ერთი ოჯახი, რომელსაც აქვს რეგულარული შემოსავალი** და არ იღებს სოციალურ დახმარებას. ალტერნატიული შერჩევის სამიზნე ჯგუფში ვინც არ იღებს არანაირ სოციალურ დახმარებას, ყველანი (100%) არიან მაღალი მოწყვლადობის ოჯახები. მეორე მხრივ, მაღალი მოწყვლადობის ოჯახების 24% არ იღებს არანაირ სოციალურ დახმარებას.

ძირითადი მიგნებები კვლევის კითხვის საპასუხოდ მოწყვლადობის ძირითად რისკებთან დაკავშირებით

მოწყვლადობის 18 კატეგორიიდან, რომლებიც, თავის მხრივ, აჯგუფებს მოწყვლადობის რისკფაქტორებს/ინდიკატორებს (ეძღვნება კითხვარის ცალკე კითხვა), მოწყვლადობის საშუალო ქულის შემადგენლობაში მთავარი წონა მოდის ისეთ კატეგორიებზე, როგორებიცაა: 1) ბავშვზე ზრუნვა, 2) ოჯახის შემადგენლობა, 3) ოჯახის მატერიალური რესურსები, 4) ოჯახის საცხოვრებლის გარემო, 5) ოჯახის თანადგომის ქსელი და 6) ოჯახის წევრების დასაქმება. უნდა აღნიშნოს, რომ სამივე შესწავლილ რეგიონში იდენტური ტენდენციაა და მთავარი რისკფაქტორები მიეკუთვნებიან მოწყვლადობის ზემოაღნიშნულ 6 კატეგორიას.

[42] რეგიონები, რომლებიც მეტ დახმარებას იღებს დაბალი მოწყვლადობის მიუხედავად (მაგალითად, კახეთი), რეგიონის შიგნითაც სოციალური დახმარებას ანაწილებს უფრო უსამართლოდ. მაგალითად, კახეთში მაღალი მოწყვლადობის ოჯახების 14,8 % არ იღებს არანაირ სოციალურ დახმარებას, მაშინ, როცა სამცხე ჯავახეთში (შედარებით მაღალი მოწყვლადობის და სოციალური დახმარების მიმღებთა დაბალი რაოდენობის) ეს ციფრი მხოლოდ 5,7 % ია.

სამივე რეგიონში **ბავშვების** მოწყვლადობასთან დაკავშირებით წამყვან სირთულედ გამოიკვეთა ბავშვზე ადეკვატური ზრუნვის ხელისშემშლელი ფაქტორები[43] (კახეთი – 18,33%; იმერეთი – 14,92%; სამცხე-ჯავახეთი – 25,09%). ბავშვები, ასევე, განიცდიან ძირითადი საჭიროებების[44] დანაკლისს (კახეთი – 7,56%; იმერეთი – 10,64%; სამცხე-ჯავახეთი – 12,91%). სირთულედ სახელდება ძირითადი მზრუნველის (ბავშვის მშობლების) მიერ შვილებზე ზრუნვაც (კახეთი – 6,10 %; იმერეთი – 4,75 %; სამცხე–ჯავახეთი – 11,17 %).

ოჯახების მდგომარეობის შესწავლის შედეგად ყველა რეგიონში წამყვან სირთულედ გამოიკვეთა ხანდაზმულების რაოდენობა ოჯახებში (კახეთი – 46, 08 %; იმერეთი – 50, 97%; სამცხე-ჯავახეთი – 50%). სამივე რეგიონში პრობლემაა, ასევე, არაადეკვატური საცხოვრებელი პირობები (კახეთი – 18,05%; იმერეთი – 24,75%; სამცხე-ჯავახეთი – 36,23%); შეზღუდული შესაძლებლობის მქონეთათვის მომსახურების განვითარების საჭიროება (კახეთი – 8,71%; იმერეთი – 8,23 %; სამცხე – ჯავახეთი – 9,06%); მრავალშვილიანობა[45] (კახეთი – 18,65 %; იმერეთი -– 23,28%; სამცხე-ჯავახეთი – 28,42%); და ორსული ან/და მეძუძური დედა ოჯახში (კახეთი – 9,33%; იმერეთი – 9,10%; სამცხე-ჯავახეთი – 10%). ოჯახთან დაკავშირებული მოწყვლადობის გამოკვეთილი ფაქტორებია, ასევე, მშობლების უმუშევრობა (მშობელთა 33%), განსაკუთრებით იმერეთში. ოჯახები, განსაკუთრებით კახეთში, გამოირჩევიან სუსტი თანადგომის ქსელით (კახეთი – 43,19%; იმერეთი – 32,51%; სამცხე-ჯავახეთი – 20%). თემში ძირითადი მომსახურებებზე ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული სირთულეები აღინიშნება, ძირითადად, სამცხე-ჯავახეთში (30,11%), სადაც რეგიონებს შორის ყველაზე დიდი პრობლემაა ტრანსპორტირებაც (35,25%). ბუნებრივი კატასტროფები მნიშვნელოვანი ფაქტორია, ძირითადად, ისევ სამცხე–ჯავახეთში (კახეთი – 18,76%; იმერეთი – 9,10%; სამცხე-ჯავახეთი – 34,60%).

ალტერნატიული შერჩევის სამიზნე ჯგუფის კვლევის მონაცემები გვიჩვენებენ იმავე ტენდენციებს, რაც ვლინდება მოწყვლადობის რისკებთან დაკავშირებით ძირითად საკვლევ ჯგუფში. კერძოდ, მოწყვლადობის 18 კატეგორიიდან,

[43] ეს ფაქტორები მოიცავს ეკონომიკურ საკითხებთან დაკავშირებული პრობლემებს, მშობლის ჯანმრთელობას და მშობლობის არასათანადო უნარ-ჩვევებს

[44] ადეკვატური კვება, ზრუნვა ჰიგიენაზე, ჩასაცმელი და ა.შ.

[45] 3 შვილი და მეტი

მოწყვლადობის საშუალო ქულის გამოთვლისას მთავარი წონა მოდის ისეთ კატეგორიებზე, როგორებიცაა 1) ოჯახის მატერიალური რესურსები, 2) ბავშვზე ზრუნვა, 3) ოჯახის შემადგენლობა, 4) საცხოვრებლის გარემო, 5) ოჯახის თანადგომის ქსელი და 6) ოჯახის წევრების დასაქმება. კახეთში ალტერნატიული შერჩევის სამიზნე ჯგუფის **ბავშვთან** დაკავშირებული ძირითადი რისკები ეხება შემდეგ ორ ფაქტორს: 1. ბავშვისთვის ადეკვატური ზრუნვის ხელისშემშლელი ფაქტორების არსებობა (61,26%) და 2. ბავშვის ძირითადი საჭიროებებით ვერ უზრუნველყოფა (47,64%). კახეთის ალტერნატიული შერჩევის სამიზნე ჯგუფის **ოჯახების** გამოკვეთილი რისკფაქტორებია არარეგულარული შემოსავალი (66,49%), სუსტი თანადგომის ქსელი (60,73%), საცხოვრებელთან დაკავშირებული სირთულეები (53,93%), ოჯახის წევრების დაუსაქმებლობა (51,83%), გადაადგილების საშუალებების სიმწირე (41,88%) და ხანდაზმულთა რაოდენობა ოჯახში (40,84%).

კვლევის რაოდენობრივი, ასევე, თვისებრივი შედეგები მიუთითებს იმაზე, რომ თემების დონეზე სახელმწიფოს მიერ ვერ ხდება ბავშვების მოწყვლადობის რისკების მნიშვნელოვანი შემცირება. ბავშვზე ზრუნვის ძირითადი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, ყველაზე მაღალი მოწყვლადობის ბავშვების ოჯახების მნიშვნელოვანი წილი არ იღებს არანაირ სოციალურ დახმარებას[46]. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობამ მოახდინა ფულადი სოციალური დახმარების (საარსებო შემწეობა) სისტემის გადახედვა და მასში ბავშვთა საჭიროებების ასახვა[47], ეს ინიციატივა სრულიად ვერ პასუხობს თემებში არსებულ ბავშვთა მოწყვლადობის რისკებს. კერძოდ, „მიზნობრივი სოციალური დახმარების სქემა, რომელიც მკაცრად მიმართულია უღარიბესი მოსახლეობისკენ, შინამეურნეობების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდის გამოყენებით, დგას მნიშვნელოვანი რისკის წინაშე, რომ ვერ გამოავლინოს ბევრი გაჭირვებაში მყოფი შინამეურნეობა“ (გაეროს ბავშვთა ფონდი, 2014, გვ. 27). ავლენს რა იმავე

[46] კახეთში მაღალი მოწყვლადობის ბავშვების ჯგუფში 14,8 % არ იღებს არანაირ სოციალურ დახმარებას.
იმერეთში მაღალი მოწყვლადობის ბავშვების ჯგუფში 32,2 % არ იღებს არანაირ სოციალურ დახმარებას.
სამცხე–ჯავახეთში მაღალი მოწყვლადობის ოჯახების 5,7 % არ იღებს არანაირ სოციალურ დახმარებას.

[47] კერძოდ, 2015 წლის პირველი მაისიდან შეფასებულ (შესწავლილ) ოჯახს, რომლის სარეიტინგო ქულაც 100001-ზე ნაკლებია, საარსებო შემწეობა განესაზღვრება 10 ლარით ოჯახის თითოეულ 16 წლამდე ასაკის წევრზე („სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის №758 დადგენილება, 2014)

კანონზომიერებას, ჩვენი კვლევის შედეგებიც გვიჩვენებს, რომ, იმ ბავშვების ოჯახები, რომლებიც არანაირ სოციალურ დახმარებას არ იღებს, უმეტეს შემთხვევაში არის მაღალი მოწყვლადობის[48].

გარდა ამისა, მოსახლეობის სოციალური დაცვის მიზნით მიღებული ზომების მიუხედავად, სიღარიბის დონე ჯერ კიდევ საკმაოდ მაღალი რჩება. გაეროს ბავშვთა ფონდის 2014 წლის ანგარიშის[49] მიხედვით, „კონკრეტულად, ბავშვებმა გაზრდილი სოციალური დანახარჯებიდან შედარებით მცირე სარგებელი მიიღეს. ბავშვთა სიღარიბის მაჩვენებლები მაღალია როგორც ზოგადი სიღარიბის (28%), ასევე უკიდურესი სიღარიბის (6%) ჭრილში, ხოლო ბავშვთა ფარდობითი სიღარიბის მაჩვენებელი გაუარესდა 2011-2013 პერიოდში. ამჟამად უკიდურესად ღარიბ მოსახლეობაში ბავშვების წილი ერთ მეოთხედზე მეტია (28%), რაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელია „კეთილდღეობის კვლევის“ მიერ 2013 წლის შემდეგ დაფიქსირებულ მაჩვენებლებს შორის (გაეროს ბავშვთა ფონდი, 2013). უკიდურესად გაჭირვებული მოსახლეობის უმეტესობა ბავშვიანი შინამეურნეობების წევრები არიან (78%) (გაეროს ბავშვთა ფონდი, 2013). ამის მიუხედავად, ბავშვიან ღარიბ შინამეურნეობებს მიზნობრივი სოციალური დახმარების მიღების უფრო ნაკლები შანსი აქვთ, ვიდრე მათ, ვისაც ბავშვები არ ჰყავთ (გაეროს ბავშვთა ფონდი, 2013).

ასევე, ქვეყანაში არ არის ხელმისაწვდომი ისეთი პროგრამები, რომლებიც მშობლებს მისცემთ საშუალებას, მიიღონ ინფორმაცია და განათლება ბავშვის აღზრდის საკითხებზე, რაც მათ დაეხმარებოდათ პოზიტიური მშობლობის უნარ–ჩვევების განვითარებაში. ის მომსახურებები, რაც არის ხელმისაწვდომი, ნაკლებ აქცენტს აკეთებს მშობლებთან, როგორც პარტნიორებთან თანამშრომლობაზე (მაგ. დღის ცენტრები). რაც მთავარია, ეს მომსახურებები ძირითად ფუნქციონირებს ქალაქებსა და რეგიონულ ცენტრებში და სოფლის მოსახლეობას მათზე ნაკლებად მიუწვდება ხელი.

---

[48] კახეთში 129 ბავშვის ოჯახი (5 %) არ იღებს არანაირ სოციალურ დახმარებას მიუხედავად იმისა, რომ მათ არ აქვთ რეგულარული შემოსავალი და კვლევაში გამოყენებული მოწყვლადობის შეფასების ინსტრუმენტის მიხედვით მათი აბსოლუტური უმრავლესობა (100 %) მაღალი მოწყვლადობისაა.
იმერეთში 204 ბავშვის ოჯახს (13 %) არ იღებს არანაირ სოციალურ დახმარებას მიუხედავად იმისა, რომ მათ არა აქვთ რეგულარული შემოსავალი, მაშინ, როცა მათი უმრავლესობა (83 %) მაღალი მოწყვლადობისა.
სამცხე–ჯავახეთში 61 ბავშვის ოჯახი (2 %) არ იღებს არანაირ სოციალურ დახმარებას და არ აქვს სტაბილური შემოსავალი, მაშინ, როცა მათი უმრავლესობა (82%) მაღალი მოწყვლადობისაა.
[49] „საქართველოში ბავშვთა სიღარიბის შემცირება: სამომავლო გზა“

ბავშვთა მოწყვლადობის მხრივ ერთ–ერთი წამყვანი სირთულე უკავშირდება საცხოვრისის მდგომარეობას. სახელმწიფო ამ მხრივაც უძლურია, უპასუხოს არსებულ გამოწვევას. ქვეყანაში არ არსებობს საცხოვრისის პოლიტიკა. მოქმედი სოციალური საცხოვრისის მუნიციპალური პროგრამები, თავის მხრივ, ძალიან შეზღუდული რაოდენობის ბენეფიციარებს ემსახურება. ასეთი პროგრამა საერთოდ არ მოქმედებს კახეთსა და სამცხე–ჯავახეთში. იქ, სადაც ასეთი პროგრამა ფუნქციონირებს, (იმერეთის რეგიონში, ქუთაისში) ბენეფიციარების რაოდენობა შეზღუდულია. მუნიციპალურ დონეზე არსებობს მხოლოდ ერთჯერადი დახმარება სოფლის მოსახლეობისთვის (ძირითადად, თუ საცხოვრისი მთლიანად განადგურდება (მაგ. დაიწვება). აშკარაა, რომ ესეც ვერ პასუხობს საცხოვრისთან დაკავშირებულ საკითხებს. ამასთან აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში არ არსებობს უსახლკაროების მონაცემთა ბაზა, ასევე, არ არსებობს უსახლკარო პირთათვის ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების მიერ უზრუნველყოფილი მომსახურებების ნუსხა ან ერთიანი სტანდარტი. სახელმწიფოს მცდელობა, იზრუნოს უსახლკარო ადამიანებზე (დაახლოვებით 2000 ადამიანი) არასაკმარისია, რადგან სახალხო დამცველის 2012 წლის ანგარიშში საუბარია 7600-ზე მეტ ადამიანზე, რომლებმაც მიმართეს თვითმმართველობის ორგანოებს თავშესაფრით დაკმაყოფილების მოთხოვნით (საქართველოს სახალხო დამცველი, 2012). ეს პრობლემა დღემდე გადაუჭრები რჩება, რასაც მიუთითებს 2013, 2014 წლების სახალხო დამცველი ანგარიშები (გაეროს ბავშვთა ფონდი, 2013; გაეროს ბავშვთა ფონდი, 2014). ამრიგად, ბავშვის მოწყვლადობის ეს რისკფაქტორი ღირსეული პასუხის გარეშე რჩება.

ოჯახების მოწყვლადობის ერთ–ერთ ფაქტორად გვევლინება ხანდაზმულების რაოდენობა ოჯახებში. ეს ფაქტორი მშობლების წინაშე რთულ ამოცანებს აყენებს ორ თაობაზე (მშობლები და შვილები) ზრუნვის ამოცანების დაკმაყოფილების თვალსაზრისით და მიუთითებს ხანდაზმულებისათვის სახელმწიფოს სოციალური ზრუნვის პროგრამების სიმწირესა და არაადეკვატურობაზე.

სოფლებში მცხოვრებ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მომსახურების მიწოდება არ არის სათანადოდ უზრუნველყოფილი სახელმწიფოს

მიერ. სახელმწიფო არ აფინანსებს სამცხე–ჯავახეთის რეგიონში არც ერთ მომსახურებას, ხოლო იმერეთისა და კახეთის შემთხვევაში მხოლოდ ქალაქებში (თელავი, ქუთაისი) არის ხელმისაწვდომი დღის ცენტრის, ადრეული განვითარების ქვე–პროგრამები. ეს ართულებს საჭიროების მქონე პირებისათვის ამ მომსახურებით სარგებლობას.

ბავშვთა მოწყვლადობის მნიშვნელოვანი ფაქტორია მშობლების უმუშევრობაც. გაეროს ბავშვთა ფონდის მიხედვით "უმეტეს შემთხვევაში ბავშვები ახალგაზრდა ოჯახებში იბადებიან, ე.ი. მათი მშობლები სწორედ იმ ასაკობრივ ჯგუფს ეკუთვნიან, სადაც უმუშევრობის დონე მაღალია. საქართველოში მშობიარეთა 90 პროცენტი 20-39 წლისაა. რამდენადაც ამ ასაკის პირებს ნაკლები გამოცდილება და უნარ-ჩვევები აქვთ, მათ მეტად უჭირთ სამსახურის შოვნა. 20-39 წლის პირებს შორის უმუშევრობის დონე 62 პროცენტით მეტია სამუშაო ასაკის მთელი მოსახლეობის უმუშევრობის მაჩვენებელზე. შედეგად, ბევრ მშობელს ბავშვის გაზრდა უმუშევრობის პირობებში უწევს" (გაეროს ბავშვთა ფონდი, 2014, გვ 5).

ბავშვთა და მათი ოჯახების მოწყვლადობის მნიშვნელოვანი სხვა ფაქტორებია სუსტი თანადგომის ქსელი (ფორმალურ თანადგომის ქსელის არ ქონას თან ერთვის არაფორმალური კავშირების სისუსტე); ტოლერანტული დამოკიდებულება ალკოჰოლთან (ალკოჰოლიზმთან ბრძოლის პროგრამები არ არის ხელმისაწვდომი); ოჯახში ძალადობა (თემების დონეზე ამ პრობლემაზე მიმართული ინტერვენციები არ არსებობს) და ტრანსპორტზე ხელმისაწვდომობა (ადგილობრივი თვითმართველობები ვერ აგვარებენ ამ საკითხს).

მეორე ჰიპოთეზა

რაც შეეხება მეორე ჰიპოთეზას[50] , კვლევის შედეგები საშუალებას გვაძლევს, გამოვთქვათ საფუძვლიანი ეჭვი მის მართებულობაში სულ მცირე იმ კონტექსტში მაინც, რა კონტექსტიც არსებობდა კვლევის ძირითადი და ალტერნატიული შერჩევის სამიზნე ჯგუფებისათვის კვლევის ჩატარების პერიოდში. მეორე მხრივ, კვლევის მეთოდების შეზღუდვიდან გამომდინარე, ჩვენ არ

[50] იქ, სადაც აქტორები ირჩევენ საჭიროებებზე დაფუძნებულ მიდგომებს და ახორციელებენ ვიწრო მიზნობრივ ჯგუფებზე ორიენტირებულ (targeted) პროგრამებს, ეს პროგრამები წინააღმდეგობაში მოდის თავიან მიზნებთან და მოიცავს არა მათ, ვისაც ყველაზე მეტად სჭირდება მხარდაჭერა, არამედ უკეთესი საწყისი პირობების მქონე მიზნობრივი ჯგუფის წარმომადგენლებს (adverse selection ანუ „მანკიერი შერჩევა").

შეგვიძლია, დარწმუნებით ვამტკიცოთ, რომ შესწავლილ შემთხვევებში ადგილი ჰქონდა სწორედ „მანკიერ შერჩევას“ ან/და ასეთი შერჩევა გარდაუვალია ყველა კონტექსტში. სამაგიეროდ, ჩვენი **კვლევის შედეგები მიუთითებს მოცემული ჰიპოთეზის შემოწმებისათვის ისეთი შემდგომი კვლევების საჭიროებაზე, რომლებიც სოციალური პროგრამების მიზნობრივ ჯგუფებს შეისწავლიდნენ არა მარტო ინტერვენციის პროცესში (როგორც ეს ჩვენს შემთხვევაში მოხდა), არამედ ინტერვენციის დაწყებამდეც (რათა გამორიცხულ იქნას თვითონ ინტერვენციების გავლენა სამიზნე ჯგუფის მოწყვლადობაზე)**.

ჩვენ ვიკვლიეთ, ერთი მხრივ, ორგანიზაციის „ვორლდ ვიჟენი“ მოწყვლადად მიჩნეული მიზნობრივი ჯგუფი (ე.წ. კვლევის ძირითადი სამიზნე ჯგუფი) კახეთის, იმერეთისა და სამცხე–ჯავახეთის რეგიონებში, ხოლო, მეორე მხრივ, კი – ის ჯგუფი კახეთში, რომელთანაც არ მუშაობდა ორგანიზაცია „ვორლდ ვიჟენი“. ეს მეორე ჯგუფი თავად სოფლების მოწყვლადი მოსახლლეების მიერ (ვისთანაც „ვორლდ ვიჟენი“ მუშაობდა) იყო დასახელებული კახეთში, როგორც ყველაზე მოწყვლადი. **შედეგებმა აჩვენა, რომ ხსენებული მოსახლეობის მიერ დასახლებულ მოქალაქეთა ჯგუფში** (ე.წ.ალტერნატიული შერჩევის სამიზნე ჯგუფი) **რომლებსაც „ვორლდ ვიჟენის“ პროექტი არ ეხებოდა, მოწყვლადობის საშუალო დონე ორჯერ მაღალი იყო (მოწყვლადობის საშუალო ქულად განისაზღვრა 10) ვიდრე ორგანიზაციის „ვორლდ ვიჟენი“ პროგრამის სამიზნე ჯგუფში (მოწყვლადობის საშუალო ქულად განისაზღვრა 5).**

შესაძლოა, გაჩნდეს მოსაზრება, რომ ხსენებული საერთაშორისო ორგანიზაციის სამიზნე ბავშვებზე უკვე განხორციელებული ინტერვენციის შედეგია ის, რომ ამ ბავშვების ერთობლიობის მოწყვლადობის ზოგადი დონე გაცილებით ნაკლები აღმოჩნდა, ვიდრე იმავე სოფლებიდან რეკრუტირებული ალტერნატიული შერჩვის სამიზნე ჯგუფის მოწყვლადობის ზოგადი დონე, რომელზეც საერთაშორისო ორგანიზაციას ჯერ არ განეხორციელებინა ინტერვენცია. თუმცა, ამ ვარაუდის საფუძველი არ გვაქვს, რადგანაც არ ვიცით მათი მოწყვლადობის საწყისი დონე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ ეჭვს გამოვთქვამთ ორგანიზაციის „ვორლდ ვიჟენი“ მიერ სამიზნე ჯგუფის შერჩევის არა მარტო შედეგებთან, არამედ მეთოდოლოგიასთან დაკავშირებითაც. ანუ, ჩვენ ვსაუბრობთ ორგანიზაციის „ვორლდ ვიჟენი“ მიერ მიზნობრივი ჯგუფის შერჩევის ნაკლოვანებებზე. ორგანიზაციის „ვორლდ ვიჟენი“ მიერ არ არსებობდა გაწერილი კრიტერიუმები, რომელთა გამოყენებითაც შეარჩევდნენ ოჯახებს. ისინი არ იყენებდნენ მოწყვლადობის ფორმალიზებულ ინსტრუმენტს. ამის ნაცვლად ეფუძნებოდნენ დაკვირვებასა და საკუთარ გამოცდილებას. კერძოდ, ოჯახების შერჩევა ხდებოდა პროფესიონალების მიერ (ბავშვთა განვითარების მუშაკების, რომლებიც არიან პროფესიით ექიმები, მასწავლებლები და ა.შ.), რომლებიც მუშაობენ სოფლებში ისეთ ორგანიზაციებში (როგორებიცაა სკოლები, ამბულატორიები და ა.შ.), რომელთაც შეხება აქვთ ბავშვებსა და ოჯახებთან. რადგან მათ მიერ განხორციელებული შერჩევა მეთოდოლოგიურად იყო ხარვეზიანი, **შეგვიძლია, ვივარაუდოთ, რომ ამ ოჯახებიდან ყველა ვერ იქნებოდა მოწყვლადებს შორის ყველაზე მოწყვლადი. ანუ, მიუხედავად მათი დეკლარირებული მიზნებისა, დახმარებოდნენ ყველაზე მოწყვლადებს, სავარაუდოდ, მათ შეეძლოთ შეერჩიათ მოწყვლადებს შორის ნაკლებ მოწყვლადები, ანუ „საუკეთესო“ მოწყვლადები, რომელთანაც მუშაობა უფრო ადვილი იქნებოდა და თვალსაჩინოს გახდიდა მიღწეულ შედეგებს. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ორგანიზაციის „ვორლდ ვიჟენი“ მიერ შერჩეულ სამიზნე ჯგუფში იყვნენ ისეთი ბავშვები, რომლებიც არც ერთი ნიშნით არ იყვნენ მოწყვლადები (კახეთი – 20%, იმერეთი – 15%, სამცხე–ჯავახეთი – 9%), რაც კიდევ ერთი არგუმენტია ჩვენი ჰიპოთეზის სასარგებლოდ.**

იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენი კვლევის რაოდენობრივი კომპონენტის ერთ-ერთ შეზღუდვა სწორედ ალტერნატიული შერჩევის სამიზნე ჯგუფის კვლევას (პილოტური კვლევა[51]) ეხებოდა (გამოყენებული შერჩევის მეთოდი მაღალი ცდომილების მატარებელია), ჩვენ ვერ მოვიყვანთ მას აღნიშნული ჰიპოთეზის სრულყოფილ მტკიცებად. **ამ ჯგუფის კვლევა ჩვენთვის საშუალება იყო, განგვეხორციელებინა ტენდენციის აღწერა. კერძოდ, ალტერნატიული შერჩევის**

[51] ეს კვლევა პილოტური იყო იმ თვალსაზრისით, რომ გვინდოდა, გვენახა (გამოგვეცადა ეს მიდგომა), თუ რამდენად მოგვცემდა ეს კვლევა შემდგომი კვლევის საფუძველს.

სამიზნე ჯგუფის შესწავლა გვჭირდებოდა ჩვენი ეჭვის ლეგიტიმაციისათვის, რომელიც ეხებოდა იმას, რომ თარგეთირებული/მიზნობრივი მიდგომების გამოყენებისას, სინამდვილეში მიზნობრივი ჯგუფში ხდება ნაკლებ მოწყვლადების (ანუ, უკეთესი საწყისი პირობების მქონეთა) შერჩევა, კვლევამ აჩვენა ამ მიმართულებით გარკვეული ტენდენცია, რომლის შემოწმებაც საჭიროა და მოითხოვს დამატებით კვლევას.

ის ფაქტი, რომ ჩვენ პილოტური კვლევის ფარგლებში ალტერნატიული შერჩევის სამიზნე ჯგუფი შევარჩიეთ თავად მოწყვლადი ოჯახების (ძირითადი ჯგუფიდან) გამოკითხვის მეშვეობით, ჩვენ მიერ უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენების გამოხატულებაა. ამ მიდგომის მიხედვით, დაუცველები, მოწყვლადები, ყველაზე კარგად ფლობენ ადგილობრივი კონტექსტის შესახებ ინფორმაციას (Townsend, 1970, p. 19). ისინი არიან „ექსპერტები გამოცდილებით“ და მიჩნეულები არიან მთავარ აქტორებად სოციალური ინტერვენციების დაგეგმვისა და განხორციელებისას (კვლევების ჩათვლით), შესაბამისად, ვვარაუდობთ, რომ ამ მიდგომის ეფექტიანობა აისახა კვლევის შედეგზე და მოხდა ყველაზე მეტად მარგინალიზებული და მოწყვლადი ოჯახების იდენტიფიცირება სოფლებში. ანუ, მოწყვლადების მიერ შერჩევა (პროფესიონალების მიერ შერჩევის მაგივრად) ეყრდნობოდა რეკომენდაციას, რომ ისინი მაქსიმალურად უნდა იყვნენ ჩართულები, როგორც ექსპერტები გამოცდილებით. ალტერნატიული შერჩევის სამიზნე ჯგუფში მოხვდა გაცილებით ცოტა არამოწყვლადი (3%), ვიდრე ძირითად ჯგუფში (20%), ანუ ეს იმ კანონზომიერების დამადასტურებელია, რომ მოწყვლადებმა თვითონ, როგორც გამოცდილებით ექსპერტებმა, უკეთესად იციან, ვინ არის ნამდვილად მოწყვლადი.

მიუხედავად იმისა, რომ გამოყენებული მეთოდის შეზღუდვის გამო სარწმუნოდ და პირდაპირ ვერ ვამტკიცებთ, რომ ორგანიზაციის „ვორლდ ვიჟენი“ მიერ შერჩეული იყო სამიზნე ჯგუფად ნაკლებად მოწყვლადი ოჯახები, ვიდრე სამიზნე სოფლებში მცხოვრები ყველაზე მეტად მოწყვლადები, კვლევამ გამოავლინა სხვა სამხილები ჩვენი ჰიპოთეზის მხარდასაჭერად. კერძოდ, **კვლევამ აჩვენა, რომ სახელმწიფოს მიერ „საჭიროებებზე დაფუძნებული მიდგომების“ გამოყენების**

შედეგად სოციალურ დახმარებას (ქეშ ტრანსფერები) იღებს არა ის ჯგუფი, რომელიც ყველაზე მოწყვლადია და, მიდგომის მიზნებიდან გამომდინარე, პირველ რიგში უნდა იღებდეს დახმარებას.

სამივე რეგიონში (როგორც ძირითად, ისე ალტერნატიული შერჩევის სამიზნე ჯგუფებში) არ იღებს არანაირ სოციალურ დახმარებას იმ ოჯახების გარკვეული რაოდენობა, რომელთაც არ აქვთ რეგულარული შემოსავალი და, კვლევაში გამოყენებული მოწყვლადობის შეფასების ინსტრუმენტის მიხედვით, არიან ყველაზე მაღალი მოწყვლადობის. კვლევის ძირითად ჯგუფში კახეთში მაღალი მოწყვლადობის ოჯახების 14,8% არ იღებს არანაირ სოციალურ დახმარებას, იმერეთში – 32,2%, ხოლო სამცხე –ჯავახეთში – 5,7%. კიდევ უფრო მძიმე სურათია ალტერნატიული შერჩევის სამიზნე ჯგუფში, სადაც მაღალი მოწყვლადობის ოჯახების 24% არ იღებს არანაირ სოციალურ დახმარებას. ყოველივე ეს მიუთითებს ჩვენი ჰიპოთეზის მართებულობაზე იმის მტკიცებისას, რომ „საჭიროებებზე დაფუძნებული მიდგომების“ გამოყენებისას ყველაზე მოწყვლადი ოჯახები ვერ ხვდებიან მიზნობრივ ჯგუფში მიუხედავად იმისა, რომ მიდგომა მიზნად ისახავს, პირველ რიგში, სწორედ მათს დახმარებას.

თავი V: ძირითადი რეკომენდაციები

პრევენცია/რეინტეგრაცია და ოჯახების გაძლიერებასთან დაკავშირებით კვლევის ძირითადი რეკომენდაციები უკავშირდება კოორდინაციის საკითხებს, მომსახურებათა განვითარებას, სოციალური დახმარების გაზრდას, განათლებისა და ცნობიერების გაზრდას, უნარების განვითარებასა და გადაწყვეტილებაზე ზეგავლენას.

1. კოორდინაცია

ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნულმა კოალიციამ უნდა ჩაუყაროს საფუძველი **სისტემურ დიალოგს სახელმწიფო და არასახელმწიფო აქტორებს შორის ბავშვთა კეთილდღეობის სისტემაში არსებული გამოწვევების დაძლევის პოლიტიკის საკითხებზე**. უნდა მოხერხდეს ამ დიალოგში **საპატრიარქოს წარმომადგენლების ჩართვა**, რამაც უნდა მიგვიყვანოს სახელმწიფოს, არასამთავრობო ორგანიზაციების და საპატრიარქოს სოციალურ სამსახურებს შორის კოორდინაციის გაძლიერებასთან. **კოალიციამ უნდა შეასრულოს სახელმწიფო და არასახელმწიფო აქტორებს შორის თანამშრომლობის ფასილიტატორის როლი** და შექმნას აღნიშნული მიმართულებით პოზიტიური და კონსტრუქციული გარემო.

სახელმწიფომ უნდა შემოიღოს ყველა პროვაიდერის (მათ შორის, ეკლესიის) მიერ შეთავაზებულ **24 საათიანი ზრუნვის მომსახურებებში ბავშვების განთავსების რეგულირება** (“გეითქიფინგის“ ეფექტიანობის უზრუნველყოფა).

უნდა გაუმჯობესდეს კოორდინაცია ოჯახის დამხმარე მომსახურებებსა და რეფერალურ სისტემას შორის, რათა სისტემა გახდეს პროაქტიული და შეძლოს პრობლემისადმი სისტემური მიდგომის განხორციელება. ამის მისაღწევად, რაც შეიძლება ადრეულ ეტაპზე უნდა მოხდეს რისკჯგუფის წარმომადგენელი ბავშვებისა და მათი ოჯახების გამოვლენა.

რისკჯგუფების გამოვლენის პროცესის ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად იდენტიფიკაციის სისტემა უნდა გახდეს მულტისექტორული. მასში უნდა მონაწილეობდნენ როგორც მუნიციპალური მომსახურებები (რწმუნებული) და პირველადი ჯანდაცვის ერთეულები (პოლიკლინიკა, სოფლის ექიმი), ასევე, სკოლაც.

რისკჯგუფი ბავშვებისა და ოჯახების იდენტიფიცირების ფუნქცია უნდა გაიწეროს სოციალური აგენტის სამუშაო აღწერილობაშიც.

კრიტიკულია უწყებათაშორისი **თანამშრომლობის განვითარება ბავშვების დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მომზადებისა და სოციალური ინტეგრაციისათვის**. ვინაიდან აღნიშნული საკითხი გამჭოლია, **რეკომენდებულია, შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელშიც გაერთიანდებიან დაინტერესებული აქტორები** (შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, სოციალური მომსახურების სააგენტო, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, დანაშაულის პრევენციის ცენტრი, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები და სხვა) და მოახდენენ რესურსებისა და შესაძლებლობების კოორდინაციას.

ახალგაზრდების მხარდაჭერისათვის უნდა იქნას გამოყენებული ინდივიდუალური მიდგომა დეინსტიტუციონალიზაციის პროცესში გაჩენილი ტრანზიციის პრობლემების აღმოსაფხვრელად და ამ მხარდაჭერის დაფინანსების სახელმწიფო მექანიზმის უზრუნველსაყოფად. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და მისი საქვეუწყებო ერთეულების აქტიური თანამშრომლობა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალურ დაცვის სამინისტროსთან.

2. მომსახურებათა განვითარება

უნდა განვითარდეს **ბავშვებისა და ოჯახების საჭიროებებზე მორგებული ოჯახების მხარდამჭერი დივერსიფიცირებული მომსახურებები** და უზრუნველყოფილ იქნას მათზე ხელმისაწვდომობა. მათი განვითარება უნდა დაეყრდნოს ოჯახის საჭიროებების სისტემურ ანალიზს.

იკვეთება **სკოლის ბაზაზე არსებული ოჯახის მხარდამჭერი მომსახურებების, კერძოდ კი, ოჯახის კონსულტირების მომსახურების განვითარება.** აღნიშნული რეკომენდებულია განსაკუთრებით იმ რაიონებში, სადაც მომსახურებების სიმწირეა. ეს იქნებოდა იმ პრევენციული მუშაობის ნაწილი, რაც უნდა გააკეთოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ბავშვთა კეთილდღეობის პოლიტიკის

მხარდაჭერისათვის მოსწავლეთა და მათი ოჯახების სკოლის ცხოვრებაში ჩართვის გზით. აღნიშნულის მისაღწევად უნდა დაინერგოს **სკოლის სოციალური მუშაობა.** ამ მუშაობის კონცეფცია უნდა აღიარებდეს ბავშვის ცხოვრებაში მნიშვნელოვან სამკუთხედს – ოჯახი, სკოლა და სამეზობლო – შორის თანამშრომლობის განვითარების აუცილებლობას. ბავშვის კეთილდღეობის მისაღწევად ეს ერთი-ერთი საუკეთესო პრევენციული მექანიზმია. სკოლის ბაზაზე ოჯახების კონსულტირებით უნდა მივაღწიოთ მშობელთათვის აღზრდის დადებითი მეთოდების გაცნობას, მათი აღმზრდელობითი უნარ-ჩვევების გაუმჯობესებას, ბავშვების რთულ ქცევაზე მშობელთა მხრიდან სწორ რეაგირებას. ეს ხელს შეუწყობს როგორც ოჯახისათვის შესაძლო დახმარების აღმოჩენას ბავშვის აღზრდის პროცესში, ასევე, რისკჯგუფის ბავშვთა დროულ იდენტიფიკაციას და მათი დაცვის უზრუნველყოფას. შესაძლებელია, რომ აღნიშნული მომსახურების შეძენა განხორციელდეს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ არასამთავრობო სექტორისგან „აუთსორსინგის“ მექანიზმის გამოყენებით. აუცილებელი წინაპირობაა, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ განახორციელოს სიტუაციური ანალიზი, რაც საშუალებას მისცემს გამოავლინოს სამიზნე სკოლები. ასევე, რეკომენდებულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მანდატურების სამსახურში მომუშავე მუშაკების როლის გააქტიურება, მათი სამუშაო აღწერილობის გადახედვა და შესაბამისი პროფესიული გადამზადების უზრუნველყოფა.

რეკომენდებულია **დღის ცენტრის მომსახურების განვითარება 2 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის** (ბაგა–ბაღის ტიპის მომსახურება). ეს უკანასკნელი უნდა განვითარდეს სოფლების დონეზე მუნიციპალიტეტების მიერ არასამთავრობო სექტორიდან აღნიშნული მომსახურების შესყიდვის პრაქტიკის დამკვიდრებით. სახელმწიფოსთან აღნიშნულ რეკომენდაციაზე მუშაობის დროს ერთ-ერთი შეთავაზება შეიძლება იყოს საბავშვო ბაღებში ე.წ. ბაგის კომპონენტის დამატება. ამ მომსახურების ასამოქმედებლად არასამთავრობო სექტორმა და დონორმა ორგანიზაციებმა შეიძლება, თავის თავზე აიღონ ინფრასტრუქტურის გამართვა და თანამშრომელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი პროგრამის შემუშავება.

მუნიციპალიტეტების დონეზე უნდა განვითარდეს თემის მობილიზაციაზე, განათლებასა და განვითარებაზე ორიენტირებული (**პრევენციული და მხარდამჭერი) სოციალური მუშაობის მომსახურებები და შემოღებულ იქნას სათემო სოციალური მუშაკის ინსტიტუტი**. მისი მთავარი ფუნქცია იქნება გასვლითი მუშაობა თემში (outreach) და პრევენციული ღონისძიებების გატარება. აღნიშნულ სამსახურებში დასაქმებული სოციალური მუშაკები ხელს შეუწყობენ თემში რისკჯგუფის ბავშვთა იდენტიფიკაციას, რეფერირებას განახორციელებენ თემში არსებულ პრევენციულ მომსახურებაში და უზრუნველყოფენ ბავშვის მიმართვას მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს სოციალურ მუშაკთან (სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო). ხოლო სოციალური მომსახურების სააგენტოში არსებული სოციალური მუშაობის ინსტიტუტი უნდა განვითარდეს სპეციალობების მიმართულებით (მაგ. ოჯახში ძალადობისა და ბავშვთა ძალადობისგან დაცვის საკითხებზე მომუშავე სოციალური მუშაკები, მინდობით აღზრდაზე მომუშავე სოციალური მუშაკები და ა.შ.).

აუცილებელია **მენტორული მხარდაჭერის სხვადასხვა პროგრამის შემუშავება და ამოქმედება**, **თანატოლთა მხარდაჭერის მექანიზმების ჩათვლით,** რომელიც მიმართული იქნება ახალგაზრდების მომზადებაზე დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის. ზრუნვის სისტემიდან გამსვლელი და გასული ახალგაზრდების ხელშეწყობის საკვანძო მიმართულებას წარმოადგენს ახალგაზრდების მუდმივი ფსიქო-სოციალური მხარდაჭერა და მათი მდგომარეობის მონიტორინგი (ფინანსების განკარგვის, პროფესიული გადამზადების, სამუშაოს მოძიების კუთხით და სხვა). აღნიშნულ საკითხში რეკომენდებულია სოციალური მუშაკის გააქტიურება და ახალგაზრდობასთან მომუშავე მუშაკის როლის დანერგვა, რომელიც განახორციელებს სისტემატურ მონიტორინგს და დაეხმარება ახალგაზრდებს ყოველდღიური პრობლემების მოგვარებაში.

სპორტისა და ახალგაზრდობისა სამინისტროს ერთ-ერთი სამიზნე უნდა გახდეს ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების მხარდაჭერა დამოუკიდებელ ცხოვრებაზე გარდამავალ პერიოდში. 18 წლის შემდეგ ამ ახალგაზრდების საქმის მართვა შესაძლოა, გადაეცეს სწორედ ამ სამინისტროს.

უნდა ხდებოდეს **ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების საცხოვრისით მხარდაჭერა**. საცხოვრისის პრობლემის ოპტიმალური გადაწყვეტა შეიძლება იყოს მოკლევადიანი ტრანზიტული საცხოვრისის ან ბინის დაქირავების შეთავაზება. ტრანზიტული საცხოვრისები უნდა იყოს მაქსიმალურად თემში ინტეგრირებული და ინდივიდუალური განვითარების საჭიროებებს მორგებული. ამ მიმართულებით ქმედებათა დაგეგმვამდე უნდა დადგინდეს, თუ რამდენი ბავშვი შედის ამჟამად 24 საათიან ზრუნვაში უსახლკარობის პრობლემის გამო.

როგორც სახელმწიფო, ასევე, არასახელმწიფო აქტორებმა უნდა **გაიღრმაონ ცოდნა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის საჭირო მომსახურებების სპეციფიკის თაობაზე**. სახელმწიფოს ზრუნვის ქვეშ მყოფი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 18 წელს ზემოთ ახალგაზრდების ცხოვრების ხარისხის ასამაღლებლად უნდა ამოქმედდეს სოციალური და ყოველდღიური ცხოვრების უნარების შეფასებისა და გაძლიერების პროგრამები.

ბავშვთა კეთილდღეობის სისტემის ეფექტიანობის მისაღწევად უნდა გაძლიერდეს **სახელმწიფოს როლი სამიზნე ოჯახების დასაქმების მიმართულებით**. კერძოდ, უნდა განვითარდეს **აქტიური სამუშაო ბაზრის პროგრამები**, რომლებიც ხელს შეუწყობს ოჯახების გააქტიურებას, მათი ცნობიერების შეცვლას, მცირე ბიზნესში ჩართულობასა და ჯამში მათ ეკონომიკურ გაძლიერებას.

მომსახურებათა ეფექტიანი სისტემის განვითარება უნდა დაეფუძნოს კვლევასა და მტკიცებულებებს. ახალი მომსახურებების პილოტირება და ამოქმედება მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული ბავშვებისა და ოჯახების საჭიროებებთან. მომსახურებათა შეფასება და საჭირო ცვლილებების დანერგვა ყოველწლიური მონიტორინგის სისტემით უნდა განხორციელდეს. ბავშვთა კეთილდღეობის სისტემაში არსებული რისკების გამოვლენის ეფექტიან გზად მეტი კვლევითი საქმიანობის განხორციელებაა მიჩნეული.

3. **სოციალური დახმარების გაზრდა**

სახელმწიფომ უნდა გაზარდოს ბავშვების ბიოლოგიურ ოჯახებისთვის ფინანსური დახმარება, კერძოდ:

- **რეინტეგრაციის შემწეობის გაზრდით** ბავშვის ბიოლოგიური ოჯახისათვის სახელმწიფომ უნდა აღმოფხვრას უთანასწორო მოპყრობის არსებული პრაქტიკა. პარალელურად უნდა გაძლიერდეს რეინტეგრირებული ოჯახების მონიტორინგისა და მხარდაჭერის მექანიზმი სახელმწიფო სოციალური სამსახურის მიერ.
- **24 საათიან ზრუნვაში მოხვედრის პრევენციის მიზნით სიღარიბეში მცხოვრები ბავშვიანი ოჯახებისთვის უნდა დაწესდეს უნივერსალური ფულადი დახმარება.**

4. განათლება და ცნობიერების გაზრდა

უნდა **გაღრმავდეს** ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში ჩართული სახელმწიფო და არასახელმწიფო **აქტორების ცოდნა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის საჭირო მომსახურებების სპეციფიკის თაობაზე.** უნდა გაიზარდოს საზოგადოების ცნობიერება თემზე დაფუძნებული ალტერნატიული მომსახურებების განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით.

საჭიროა ბოშათა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ოჯახებისა და ბავშვების მდგომარეობის შესწავლა და სიტუაციური ანალიზი. ეს საშუალებას მისცემს სახელმწიფოსა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს, გაზარდონ საკუთარი ცნობიერების დონე და უკეთ ჩამოაყალიბონ ამ უმცირესობათა ბავშვების საზოგადოებაში ინტეგრაციის სტრატეგია. წარმატებული საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება მნიშვნელოვანწილად გაზრდის ამ ჯგუფის ბავშვების საზოგადოებაში ინტეგრაციის ალბათობას.

სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ბავშვები ხშირად იცვლიან ზრუნვის ფორმას. ზრუნვის ფორმის ხშირი ცვლილება უარყოფითად აისახება ბავშვის განვითარებაზე. ამ პრობლემის დასაძლევად საჭიროა მისი მიზეზების შესწავლა და კვლევაზე დაფუძნებული რეკომენდაციების შემუშავება.

5. უნარების განვითარება

უნდა გაძლიერდეს სახელმწიფო სოციალური მუშაკის ინსტიტუტი, რაც გულისხმობს როგორც **სოციალური მუშაკის საჭირო რესურსებით უზრუნველყოფას, ასევე, მათი კვალიფიკაციის გაზრდას**. მნიშვნელოვანია, გაძლიერდეს სოციალური

მუშაკების ადეკვატური რაოდენობის, ანაზღაურების, სამუშაო პირობების, უსაფრთხოებისა და პროფესიული სუპერვიზიის საკანონმდებლო უზრუნველყოფის ადვოკატობა.

მიღწეულ უნდა იქნას შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, სოციალური მომსახურების სააგენტოსა და ფინანსთა სამინისტროს ერთობლივი ძალისხმევა სოციალური მუშაკის როლის გაფართოებისთვის, რისთვისაც უზრუნველყოფილ უნდა იქნას სოციალური მომსახურების სააგენტოში **სოციალური მუშაკების ხარისხიანი პრაქტიკა** და ადეკვატური, **თემზე დაფუძნებული, მომსახურებების განვითარება**.

ასევე, მნიშვნელოვანია **მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს რეგიონული საბჭოს წევრების კომპეტენციების გაძლიერება**, მათთვის რეგულარული გადამზადების კურსების შეთავაზება „გეითქიფინგის“ პოლიტიკის პრინციპების პრაქტიკაში წარმატებულად დასანერგად.

უნდა გაძლიერდეს **აღმზრდელის ინსტიტუტი, რაც გულისხმობს მათი საჭირო რესურსებით უზრუნველყოფას, ასევე, კვალიფიკაციის გაზრდას. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უნდა განიხილოს აღმზრდელის პროფესიის დანერგვა უმაღლესი პროფესიული განათლების საფეხურზე.**

უნდა გაძლიერდეს **საპატრიარქოს სოციალური სამსახურის პროფესიული შესაძლებლობები**, მათ შორის გამოცდილების გაზიარებით ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის მიზნებისა და ამოცანების მიღწევის მიმართულებით.

6. გადაწყვეტილებაზე ზეგავლენა

უნდა იქნას უზრუნველყოფილი **ბავშვის მონაწილეობა და ჩართულობა** ყოველდღიური ცხოვრების ყველა დონეზე (ინდივიდუალური, ჯგუფური, თემის). მისასალმებელია ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული კოალიციის ფარგლებში, ასევე, სხვადასხვა სახელმწიფო უწყების მიერ ბავშვთა და ახალგაზრდების მრჩეველთა საბჭოებისა თუ საკონსულტაციო ჯგუფების არსებობა, თუმცა მსგავს მონაწილეობას დიდი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ, რათა **თავიდან იქნას აცილებული მათი ჩართულობით მანიპულირების რისკი.**

აუცილებელია, ზრუნვის პროცესში სახელმწიფოს მიერ ბავშვებისთვის შემუშავებული მომსახურების გეგმებსა თუ ინდივიდუალური **განვითარების გეგმებში აისახოს ბავშვის აქტიური მონაწილეობა**. შესაძლებელია, ბავშვი თავისი ხელით გაკეთებული ჩანაწერებით ამდიდრებდეს გეგმას და თავად გეგმის ფორმა იყო ბავშვზე მორგებული.

უნდა დაიწყოს **სოციალური დაცვის უფლების ადვოკატობა** ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული კოალიციის ფორმატში, რაც ფუნდამენტურია ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში წარმატების მისაღწევად. სოციალური დაცვის უფლება მოიცავს ხელმისაწვდომობის უფლებას საბაზისო შემოსავალსა და ჯანდაცვის ძირითად მომსახურებებზე, თავშესაფარსა და საცხოვრისზე, წყალსა და სანიტარული პირობებზე, საკვებსა და განათლების ყველაზე საბაზისო ფორმაზე. შესაბამისად, სოციალური დაცვის უფლების განხორციელება შესაძლებელია ისეთი სოციალური დაცვის სისტემის უზრუნველყოფით, რომელიც ძირითადი ბენეფიტების მინიმალურ დონეს სთავაზობს ყველა ადამიანს და ოჯახს.

თავი VI: ძირითადი დასკვნები

ბავშვის უფლებების კომპლექსურობიდან გამომდინარე, ბავშვთა კეთილდღეობის სისტემის გაანალიზება შეუძლებელია მისი ადამიანისა და ბავშვის უფლებათა ფართო კონტექსტში წარმოდგენის გარეშე. ამისათვის ნაშრომში უფლებებზე დაფუძნებული მიდგომების მეთოდია გამოყენებული, რომელიც, თავის მხრივ, ეფუძნება და აერთიანებს ადამიანის უფლებების თეორიებს. ამ მიდგომის ჭრილში საქართველოში ბავშვთა კეთილდღეობის სისტემის ანალიზი გააზრების ახალ საშუალებებს ქმნის.

დღეს საქართველოში, ისევე როგორც ბევრ სხვა განვითარებად ქვეყანაში, განვითარების პოლიტიკის სფეროში ცენტრალური თემაა სოციალური პროგრამებისა და პოლიტიკების განხორციელებისათვის მიდგომების არჩევა. ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომას ჰყავს თავისი ძლიერი ადვოკატები როგორც მთავრობების, ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციების სახით. თუმცა ეს არ არის ერთადერთი მიდგომა, რომელიც გამოიყენება გადაწყვეტილებების მიღებისას სახელმწიფო და სამოქალაქო სექტორის სააგენტოების მიერ. ხსენებული მიდგომის საპირისპიროდ განვითარების სფეროში მოქმედი ორგანიზაციების მიერ ფართოდ გამოიყენებოდა და გამოიყენება საბაზისო საჭიროებებზე დაფუძნებული მიდგომა. ამ მიდგომის მიხედვით, მთავარი ამოცანაა ადამიანის განვითარებისთვის საბაზისო საჭიროებების განსაზღვრა და მათ დასაკმაყოფილებლად ადვოკატობა. „ბაზისური საჭიროებების“ დაკმაყოფილებაზე ორიენტირებული სოციალური პოლიტიკები ეყრდნობიან შეზღუდული რესურსების დაშვებას და მიზნად ისახავენ ყველაზე მეტი საჭიროების მქონე ჯგუფების დაკმაყოფილებას „არსებული შესაძლებლობების“ ფარგლებში. უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ ისიც საჭიროებების დაკმაყოფილებას ისახავს მიზნად, უფლებების მატარებელი სუბიექტები მოითხოვენ თავიანთი უფლებების აღსრულებას ვალდებულების მატარებელთაგან. ამდენად, უფლებების განხორციელებაში მოაზრებული საჭიროებების დაკმაყოფილება ხდება ყველასათვის და არ მხოლოდ ვიწრო ჯგუფისთვის, რომლის მიმართაც გამოიჩინეს ქველმოქმედება და ყურადღება. თუ

სუბიექტს არა აქვს უნარი, მოითხოვოს უფლება, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ის კარგავს ამ უფლებას, რადგან, როგორც ზემოთ აღინიშნა, ადამიანის უფლებები უნივერსალური და განუყოფელია. შესაბამისად, ხსენებული მიდგომა იყენებს უფლებების მატარებელთა სოლიდარობისა და გაძლიერების კონცეფციებს, რათა ადამიანებმა შეძლონ უფლებების მოთხოვნა.

კვლევის ძირითადი დასკვნებია:

1. ბავშვთა კეთილდღეობის არსებული სისტემები სრულად ვერ პასუხობს მოწყვლადობის რისკფაქტორების ელიმინაციისა ან მნიშვნელოვნად შემცირების ამოცანას. საქართველოში გატარებულმა დეინსტიტუციონალიზაციის რეფორმამ ჯერ ვერ შეძლო ისეთი ალტერნატიული ზრუნვის სისტემის განვითარება, რომელიც დააკმაყოფილებდა იმ საჭიროებას, რამაც სათავე დაუდო თვით ამ რეფორმას. ეს საჭიროება იყო ყველაზე მოწყვლადი ჯგუფების სოციალური ინტეგრაციის უზრუნველყოფა. სისტემამ ჯერჯერობით ვერ შეძლო ადეკვატური რესურსების მობილიზება, შესაფერისი პროცესების დამკვირდება და საკმარისად ეფექტიანი სერვისების შექმნა ამ საჭიროების დასაკმაყოფილებლად. ზემოაღნიშნულის ერთ–ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი იყო ის, რომ ბავშვთა კეთილდღეობის სისტემაში ადგილი ჰქონდა „საჭიროებებზე დაფუძნებული მიდგომების“ გამოყენებას „უფლებებზე დაფუძნებული მიდგომების“ საზიანოდ. „საჭიროებებზე დაფუძნებული მიდგომა“, რომლის დეკლარირებული მიზანია შეზღუდული რესურსების გამოყენება ყველაზე მოწყვლადი ჯგუფების სასარგებლოდ, იწვევდა ისეთ შედეგებს, რომლებიც წინააღმდეგობაში იყო გამოცხადებულ მიზნებთან. კერძოდ, ამ მიდგომის ფარგლებში განხორციელებული პროგრამები არა მარტო არ ფარავდა საჭიროების მქონე ყველა ოჯახს (რაც ლეგიტიმურია ამ მიდგომის კონცეფციისათვის), არამედ სამიზნე ჯგუფებიდან სისტემატურად გამორიცხავდა ყველაზე მეტად მოწყვლად ოჯახებს „მანკიერი შერჩევის“ პრობლემის არსებობის გამო (რაც ფორმალურად არალეგიტიმურია ამ მიდგომისათვის). შედეგად სისტემის მიღმა დარჩენილი ოჯახების

მარგინალიზაცია და მოწყვლადობა მხოლოდ იზრდებოდა და გაიზრდება მომავალშიც, რაც უფრო მძიმე ტვირთად დააწვება საზოგადოებას ვიდრე ის ხარჯები, რაც ადამიანის უფლებების სრულად დაცვაზე ორიენტირებული მიდგომის გამოყენებას დასჭირდებოდა.

2. მიუხედავად პოლიტიკის დონეზე დოკუმენტების არსებობისა, პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ოჯახებისათვის დამხმარე და პრევენციული პროგრამების რაოდენობა მწირია და შეზღუდულ ხასიათს ატარებს. კვლევის შედეგების შედეგად ვლინდება, რომ რეფორმის ფარგლებში არ განვითარდა ის ღონისძიებები ქვეყნის მასშტაბით, რომლებიც აძლიერებს და ინარჩუნებს ოჯახის მთლიანობას, ხელს უშლის ოჯახების დაშლასა და უზრუნველყოფს ადრეულ ინტერვენციებს იმ ოჯახებში, რომლებიც სხვადასხვა რისკის წინაშე დგანან. მაშასადამე, საქართველოს მთავრობა, საჭიროებებზე დაფუძნებული მიდგომების შეზღუდვებიდან გამომდინარე, მთავარ სირთულეს აწყდება დეინსტიტუციონალიზაციის ისეთი მთავარი ამოცანების შესრულებაში, როგორებიცაა, ერთი მხრივ, ინსტიტუციურ ზრუნვაზე დამოკიდებულების შემცირება ოჯახისა და თემზე დაფუძნებული ზრუნვისა და მომსახურებების მიწოდების გაზრდით და, მეორე მხრივ, ბავშვების მშობლებისგან განცალკევების პრევენცია მათთვის ადეკვატური მხარდაჭერის მიწოდებით. კვლევა გვიჩვენებს, რომ როგორც ექსპერტები, ასევე, თვითონ ბავშვებიც არსებულ პრობლემის გადაწყვეტის ერთ–ერთ გზად მიიჩნევენ ე.წ. პრევენციულ მიდგომას, რაც არსობრივად უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის ნაწილია. პრევენციული მიმართულების გაძლიერება პირდაპირ უკავშირდება ოჯახების გაძლიერებას მათთვის დივერსიფიცირებული, ოჯახზე მორგებული მომსახურებათა განვითარების გზით.

3. ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში არსებული ის პრობლემები, რომლებიც ეხება არსებული რესურსების ეფექტურ მომსახურებებად გარდაქმნის პროცესს, ძირითადად, უკავშირდება ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: პრევენციული მიდგომის საჭიროება, დისკრიმინაციის პრობლემა, მომსახურების დეცენტრალიზაციის საჭიროება და, ასევე, სისტემური

მიდგომების აუცილებლობა. ყველა ეს საჭიროება, რომლებიც გამოავლინა კვლევამ, ასახავს ბავშვთა ზრუნვის პოლიტიკების შემუშავებასა და პრაქტიკულ განხორციელებაში საჭიროებებზე დაფუძნებული მიდგომების პრევალირებას ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომებთან შედარებით;

4. ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში არსებული სოციალურ მომსახურებებთან დაკავშირებული პრობლემები დასახული მიზნების მიღწევისას მათი ეფექტიანობის თვალსაზრისით უკავშირდება ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: ყველაზე მაღალი რისკის ჯგუფების ბავშვთა მომსახურება, დეინსტიტუციონალიზაციის საპასუხოდ გასავითარებელი მომსახურებების პრობლემები და დასაქმების ხელშემწყობი მომსახურებების საჭიროება. კვლევის შედეგებიდან ვლინდება, რომ როგორც არსებულ მომსახურებათა ხასიათი, ასევე მათი სიმწირე მიუთითებს „ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომების“ საზიანოდ „საჭიროებებზე დაფუძნებული მიდგომების გამოყენების“ პრევალირებაზე;
5. მოწყვლადობის 18 კატეგორიიდან, რომლებიც თავის მხრივ აჯგუფებს მოწყვლადობის რისკფაქტორებს/ინდიკატორებს, მოწყვლადობის საშუალო ქულის შემადგენლობაში მთავარი წონა მოდის ისეთ კატეგორიებზე, როგორებიცაა: 1) ბავშვზე ზრუნვა, 2) ოჯახის შემადგენლობა, 3) ოჯახის მატერიალური რესურსები, 4) ოჯახის საცხოვრებლის გარემო, 5) ოჯახის თანადგომის ქსელი და 6) ოჯახის წევრების დასაქმება. უნდა აღნიშნოს, რომ სამივე შესწავლილ რეგიონში იდენტური ტენდენციაა და მთავარი რისკფაქტორები მიეკუთვნებიან მოწყვლადობის ზემო აღნიშნულ 6 კატეგორიას;
6. კვლევა გიჩვენებს ბავშვთა კეთილდღეობის სისტემის გარკვეულ არაადეკვატურობას თემების დონზე არსებული მოწყვლადობის რისკ-ფაქტორების ელიმინაციისა ან შემცირების ამოცანასთან მიმართებაში;
7. რაც უფრო მაღალია ბავშვისა და ოჯახის მოწყვლადობა, მით უფრო მეტი ალბათობაა, რომ ოჯახი იღებდეს სოციალური დახმარებას ერთი

პროგრამიდან მაინც; ანუ, მაღალი მოწყვლადობის ბავშვების ოჯახებში მეტია ისეთი ოჯახების რაოდენობა, რომლებიც მინიმუმ ერთი პროგრამიდან მაინც იღებს დახმარებას. მიუხედავად ამისა,

8. ყველაზე მაღალი მოწყვლადობის ბავშვების ოჯახების მნიშვნელოვანი წილი არ იღებს არანაირ სოციალურ დახმარებას[52];
9. იმ ბავშვების ოჯახები, რომლებიც არანაირ სოციალურ დახმარებას არ იღებს, უმეტეს შემთხვევაში არის მაღალი მოწყვლადობის[53]; მაშასადამე, კვლევამ აჩვენა, რომ სახელმწიფოს მიერ „საჭიროებებზე დაფუძნებული მიდგომების“ გამოყენების შედეგად სოციალურ დახმარებას (ქეშ ტრანსფერები) იღებს არა ის ჯგუფი, რომელიც ყველაზე მოწყვლადია და, მიდგომის მიზნებიდან გამომდინარე, პირველ რიგში უნდა იღებდეს დახმარებას;
10. ის რეგიონები, სადაც ბავშვთა მოწყვლადობა შედარებით დაბალია, ხასიათდება დახმარების მიმღებთა შედარებით მაღალი პროცენტით, ვიდრე ბავშვთა მაღალი მოწყვლადობის რეგიონები[54];
11. სოციალური დახმარების განაწილება ხდება უფრო არაადეკვატურად („საჭიროებებზე დაფუძნებული მიდგომის“ მიზნების საწინააღმდეგოდ) იმ რეგიონებში, სადაც, ბავშვთა მოწყვლადობის დაბალი მაჩვენებლის მიუხედავად, სოციალურ დახმარებას მეტი სამიზნე ჯგუფის ბავშვის ოჯახი იღებს. ამ რეგიონებში მაღალი მოწყვლადობის ბავშვების ოჯახების უფრო მეტი წილი არ იღებს არანაირ სოციალურ დახმარებას[55];

---

[52] კახეთში მაღალი მოწყვლადობის ბავშვების ჯგუფში 14,8 % არ იღებს არანაირ სოციალურ დახმარებას.
იმერეთში მაღალი მოწყვლადობის ბავშვების ჯგუფში 32,2 % არ იღებს არანაირ სოციალურ დახმარებას.
სამცხე–ჯავახეთში მაღალი მოწყვლადობის ოჯახების 5,7 % არ იღებს არანაირ სოციალურ დახმარებას.
ალტერნატიული შერჩევის სამიზნე ჯგუფში მაღალი მოწყვლადობის ოჯახების 24 % არ იღებს არანაირ სოციალურ დახმარებას.

[53] კახეთში 129 ბავშვის ოჯახი (5 %) არ იღებს არანაირ სოციალურ დახმარებას მიუხედავად იმისა, რომ მათ არ აქვთ რეგულარული შემოსავალი და კვლევაში გამოყენებული მოწყვლადობის შეფასების ინსტრუმენტის მიხედვით მათი აბსოლუტური უმრავლესობა (100 %) მაღალი მოწყვლადობისაა.
იმერეთში 204 ბავშვის ოჯახს (13 %) არ იღებს არანაირ სოციალურ დახმარებას მიუხედავად იმისა, რომ მათ არა აქვთ რეგულარული შემოსავალი, მაშინ, როცა მათი უმრავლესობა (83 %) მაღალი მოწყვლადობისა.
სამცხე–ჯავახეთში 61 ბავშვის ოჯახი (2 %) არ იღებს არანაირ სოციალურ დახმარებას და არ აქვს სტაბილური შემოსავალი, მაშინ, როცა მათი უმრავლესობა (82%) მაღალი მოწყვლადობისაა.

[54] კახეთი (მოწყვლადობის საშუალო ქულა 5), რომლის მოწყვლადობა სამცხე–ჯავახეთზე (საშუალო ქულა 6) დაბალია, ხასიათდება დახმარების მიმღებთა უფრო მაღალი პროცენტით (20 %), ვიდრე სამცხე–ჯავახეთი (13 %).

[55] რეგიონები, რომლებიც მეტ დახმარებას იღებს დაბალი მოწყვლადობის მიუხედავად (მაგალითად, კახეთი), რეგიონის შიგნითაც სოციალური დახმარებას ანაწილებს უფრო უსამართლოდ. მაგალითად, კახეთში მაღალი მოწყვლადობის ოჯახების 14,8 % არ იღებს არანაირ სოციალურ დახმარებას, მაშინ, როცა სამცხე ჯავახეთში

12. ზემოაღნიშნული დასკვნები მიუთითებს ჩვენი ჰიპოთეზის მართებულობაზე იმის მტკიცებისას, რომ „საჭიროებებზე დაფუძნებული მიდგომების“ გამოყენებისას ყველაზე მოწყვლადი ოჯახები ვერ ხვდებიან მიზნობრივ ჯგუფში, მიუხედავად იმისა, რომ მიდგომა მიზნად ისახავს პირველ რიგში სწორედ მათს დახმარებას;
13. ალტერნატიული შერჩევის სამიზნე ჯგუფის შესწავლამაც მოახდინა ჩვენი ეჭვის ლეგიტიმაცია, რაც ეხებოდა იმას, რომ თარგეთირებული/მიზნობრივი მიდგომების გამოყენებისას, სინამდვილეში მიზნობრივი ჯგუფში ხდება ნაკლებ მოწყვლადების (ანუ, უკეთესი საწყისი პირობების მქონეთა) შერჩევა. შედეგებმა აჩვენა, რომ ალტერნატიული შერჩევის სამიზნე ჯგუფში მოწყვლადობის საშუალო დონე ორჯერ მაღალი იყო (მოწყვლადობის საშუალო ქულად განისაზღვრა 10), ვიდრე ძირითად ჯგუფში (მოწყვლადობის საშუაო ქულად განისაზღვრა 5). კვლევამ აჩვენა ამ მიმართულებით გარკვეული ტენდენცია, რომლის შემოწმებაც საჭიროა და მოითხოვს დამატებით კვლევას;
14. კვლევის შედეგების მიხედვით, ბავშვთა და ახლაგაზრდების მონაწილეობა მათი კეთილდღეობის შესახებ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში აღიარებული პრინციპია როგორც სამთავრობო, ასევე, არასამთავრობო აქტორების მიერ. მიუხედავად ამისა, ახალგაზრდები საუბრობენ მათს მონაწილეობასთან დაკავშირებით არსებულ სირთულეებზე. ახალგაზრდები გამოთქვამენ უკმაყოფილებას მათი მონაწილეობის ხარისხის შესახებ მათივე ცხოვრების დაგეგმვაში და აღწერენ პრაქტიკას, როცა “არავინ არაფერს გეკითხება“, მონაწილეობა არათუ წახალისებულია, „კითხვებზე პასუხსაც არ გცემენ“ და ამასთან დაკავშირებით „პროტესტს ცუდ ქცევად გითვლიან“. სახელმწიფო ეფუძნება რა საჭიროებებზე დაფუძნებულ მიდგომას, ბავშვები და მშობლები არიან დახმარების პასიური მიმღებნი. ის ფაქტი, რომ ჩვენ პილოტური კვლევის (ალტერნატიული შერჩევის სამიზნე ჯგუფი) ფარგლებში მონაწილეები შევარჩიეთ თავად მოწყვლადი ოჯახების (ძირითადი

(შედარებით მაღალი მოწყვლადობის და სოციალური დახმარების მიმღებთა დაბალი რაოდენობის) ეს ციფრი მხოლოდ 5,7 % ია.

ჯგუფიდან) გამოკითხვის მეშვეობით, ჩვენ მიერ უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომის გამოყენების გამოხატულებაა. ამ მიდგომის მიხედვით, დაუცველები, მოწყვლადები, ყველაზე კარგად ფლობენ ადგილობრივი კონტექსტის შესახებ ინფორმაციას. ისინი არიან „ექსპერტები გამოცდილებით“ და მიჩნეულები არიან მთავარ აქტორებად სოციალური ინტერვენციების დაგეგმვისა და განხორციელებისას (კვლევების ჩათვლით). შესაბამისად, ვვარაუდობთ, რომ ამ მიდგომის ეფექტიანობა აისახა კვლევის შედეგზე და მოხდა ყველაზე მეტად მარგინალიზებული და მოწყვლადი ოჯახების იდენტიფიცირება სოფლებში. ანუ მოწყვლადების მიერ შერჩევა (პროფესიონალების მიერ შერჩევის მაგივრად) ეყრდნობოდა რეკომენდაციას, რომ ისინი მაქსიმალურად უნდა იყვნენ ჩართულები, როგორც ექსპერტები გამოცდილებით. ალტერნატიული შერჩევის სამიზნე ჯგუფში მოხვდა გაცილებით ცოტა არამოწყვლადი (3%), ვიდრე ძირითად ჯგუფში (20%), ანუ ეს იმ კანონზომიერების დამადასტურებელია, რომ მოწყვლადებმა თვითონ, როგორც გამოცდილებით ექსპერტებმა, უკეთესად იციან, ვინ არის ნამდვილად მოწყვლადი;

15. ჩვენი ნაშრომის მიზანი არ არის იმის ღრმა ანალიზი, თუ რამდენად მოქმედებს სოციალური ხარჯები სახელმწიფოს შემოსავლებსა და ეკონომიკის განვითარებაზე (მაკრო–ეკონომიკური თვასაზრისით). ჩვენი მცდელობა იყო, გვეჩვენებინა, რომ უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა არა მარტო მორალურია, არამედ ეკონომიკური თვალსაზრისითაც უფრო გამართლებულია, ვიდრე საჭიროებებზე დაფუძნებული მიდგომა. ამ უკანასკნელი მიდგომის გამოყენებისას ხშირად ხდება ყველაზე მეტად მოწყვლადების უგულებელყოფა, რასაც ჩვენი კვლევაც ადასტურებს. ამგვარად, ეს მიდგომა უფრო მეტად აღრმავებს მარგინალიზაციის პროცესს და აძვირებს მისი დაძლევის ხარჯებს. საბოლოოდ, ამ მარგინალიზაციიდან წარმოშობილი პრობლემები, ისევ სახელმწიფოსა და საზოგადოებას აწვება მძიმე ტვირთად (ეს იქნება კრიმინალი, სოციალური დაძაბულობა, სტრუქტურული უმუშევრობა თუ სხვა რამ). მაშასადამე, საჭიროებებზე

დაფუძნებული მიზნობრივი ჩარევა თავისი მიდგომების განხორციელებით, რომლებიც მართლდება თითქოსდა ეკონომიკური არგუმენტებით, იწვევს თავისი მიზნების მიღწევის მუდმივ გაძვირებას და, ამ მხრივ, არაეკონომიურია.

გამოყენებული ლიტერატურა

Androff, D. (2016). *Practicing rights: Human rights-based approaches to social work practice.* London and New York: Routledge.

Akerlof, G. A., Spence, M. A., & Stiglitz, J. E. (2001-2). Markets with asymetric information. *Nobel Prize in Economics documents, Nobel Prize Committee*.

Archard, D. (1993). *Children: Rights and childhood.* London and New York: Routledge.

Archard, D. (2007). *Children: Rights and childhood* (2nd ed.). USA and Canada: Routledge.

Barrientos, A., Byrne, J., Pena, P., & Villa, J. M. (2013). *Social transfers and child protection.* Florence: UNICEF Office of Research.

Bilson, A., & Harwin, J. (2003). *Gatekeeping services for vulnerable children and families: A concept paper.* UNICEF Innocenti Research Center.

Browne, K. (2009). *The risk of harm to young children in institutional care.* Save the Children.

Center for Economic and Social Rights. (2013). *A matter of justice: Securing human rights in the post-2015 sustainable development agenda.*

Cohen, C. (1992). The relevance of theories of natural law and legal positivism. B M. Freeman, & P. Veerman, *The ideologies on children's rights.* Dodrecht: Martinus Nijhoff Publishers.

Committee on the Rigths of the Child. (2005). *General comment No. 7: Implementing child rights in early childhood.*

Costa, M. (2012, October 1). Opening doors for Europe's children. Retrieved November 2, 2015, from eurochild.org: www.eurochild.org

Council of Europe. (2005, March 16). Committee of Ministers: Recommendation. Retrieved November 7, 2015, from wcd.coe.int: https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?id=835953

Council of Europe. (2006, December 13). Recommendation (2006) 19 Committee of Ministers. Retrieved November 7, 2015, from wcd.coe.int: https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?id=1073507 (Council of Europe, 2006)

Disability Rights International. (2013). *Left behind: The exclusion of children and adults with disabilities from reform and rights protection in the Republic of Georgia.*

Doel, M. (2012). *Social work: The basics.* USA and Canada: Routledge.

Dorfman, J. (2014, January 23). Why some people oppose expanding government aid to the poor.

Elliot, A. J., & Reis, H. T. (2003, August). Attachment and exploration in adulthood. *Journal of Personality and Social Psychology, 85*(2), 317-331. doi:http://dx.doi.org/10.1037/0022-3514.85.2.317

Eurochild. (2013). *Round table report: Family and parenting support in challenging times.* Brussels: EuroChild.

Eurochild. (2014). *Opening doors for Europe's children: Deinstitutionalization and quality alternative care for children in Europe: Lessons learned and the way forward (working paper).*

Farson, R. (1974). *Birthrights: A bill of rights for children.* New York: Macmillan.

Field, T. (1996). Attachment and separation in young children. *Annual Review of Psychology, 47*, 541-562.

Garcia, J. (2009). Ethical and methodological issues in researching Brazilian policy responses to poverty. In S. Ramon, & D. Zavirsek (Eds.), *Critical edge issues in social work and social policy: Comparative research perspectives.* Ljublijana: Faculty of Social Work, University of Ljublijana.

Georgian Association of Social Workers. (2012). *Participatory needs assessment report for local municipalities in Georgia.*

Geostat (2015a). 'Gross Domestic Product (GDP)', National Statistics Office of Georgia. Retrieved from http://www.geostat.ge/?action=page&p_id=119&lang=eng

Geostat (2015b). 'Subsistence Minimum', National Statistics Office of Georgia. Retrieved from http://www.geostat.ge/index.php?action=page&p_id=179&lang=eng

Global Coalition for Social Protection Floors. (2014, January 17). Global Coalition for Social Protection Floors. Retrieved November 1, 2015, from http://cdn.ifsw.org/assets/ifsw_22348-2.pdf

Golden, O. (2009). *Reforming Child Welfare*. USA: The Urban Institute Press.

Gosta, E.-A. (1990). *The three worlds of welfare capitalism.* Princeton University Press.

Harris, J. R. (1998). *The nurture assumption: Why children turn out the way they do.* New York: Free Press.

Hickey, S., & Mitlin, D. (Eds.). (2009). *Rights based approaches to development: exploring the potential and pitfall.* Kumarian Press.

Holt, J. (1975). *Escape from childhood: The needs and rights of children.* UK: Penguin Books, Ltd.

Jansson, B. S. (2008). *Becoming an effective policy advocate: From policy practice to social justice* (5th ed.). Thomson Brooks/Cole.

Jones, P. (1994). *Rights.* Oxford: Palgrave Macmillan.

Jonsson, U. (2003). *Human rights approach to development programming.* UNICEF, Eastern and Southern Africa Regional Office.

Kachkachishvili, I. (2014). "Postmodern condition" of internal politics in Georgia' in *Armenia and Georgia in the Context of Current Political Developments,* New Challenges and

Opportunities in the Realm of Regional Security. Retrieved from http://www.scribd.com/doc/256933425/Armenia-and-Georgia-in-the-Context-of-Current-Political- Developments-New-Challenges-and-Opportunities-in-the-Realm-of-Regional-Security

Kanter, A. S. (2014). *The development of disability rights under international law: From charity to human rights* (1st ed.). Routledge.

Kits, B., Santos, I., Smith, O., & Isik-Dikmelik, A. (December, 2013). *The impact of targeted social assistance on labor market outcomes in the Republic of Georgia: A regression discontinuity approach (draft).* World Bank.

Krugman, P. (2014, January 9). The war over poverty. Retrieved November 1, 2015, from http://www.nytimes.com/2014/01/10/opinion/krugman-the-war-over-poverty.html?ref=opinion&_r=1

Laird, J & Hartman, A. (1985). *A Handbook of Child Welfare: Context, Knowledge, and Practice.* The Free Press. New York.

Lansdown, G. (2005). *The evolving capacities of the child.* UNICEF Innocenti Research Centre.

Lauren, P. G. (1998). *The evolution of international human rights: Visions seen.* Philadelphia: University of Pennsylvania Press.

Lindert, P. (2004). *Growing public: Social spending and economic growth since the Eighteenth century.* Princeton University Press.

Lindsey, D. (2004). *The Welfare of Children.*Oxford University Press, Inc.

Locke, J. (2002). *Some thoughts concerning education and the conduct of the understanding.* Indianapolis/Cambridge: Hacket Publishing Company Inc.

Mare, B. (2006). *Procedure guide for the social integration of youngsters leaving the national care system.* Europrint.

Markiewicz, D., Doyle, A. B., & Brendgen, M. (August 2001 r.). The quality of adolescents' friendships: associations with mothers' interpersonal relationships, attachments to parents and friends, and prosocial behaviors. *Journal of Adolescence, 24*(4), 429-45. doi:10.1006/jado.2001.0374

Morawa, A. H. (2003). 'Vulnerability' as a concept in international human rights law. *Journal of International Relations and Development, 10*, 139-55.

Munro, E. (2008).*Effective Child Protection.* SAGE Publications Ltd.

NOVA. (2009). *Children's level of living: The impact of family economy for children's lives.* Oslo and Akerhaus University, College of Applied Sciences.

Novak, M. (2003). *Introduction to international human rights regime.* Leiden/Boston: Martinus Nijhoff Publishers.

O'Brien, C., & Chanturidze, T. (2009). *UNICEF: Assessment of the child welfare reform process in Georgia (final report).* Oxford Policy Management.

OECD DAC. (2009, May 27-28). The role of employment and social protection: Making economic growth more pro-poor (policy statement). Retrieved November 2, 2015, from http://www.oecd.org/dac/povertyreduction/43514572.pdf

Offenheiser, R. C., & Holcombe, S. H. (2003, June). Challenges and opportunities in implementing a rights-based approach to development: An Oxfam America perspective. *Nonprofit and Voluntary Sector Quarterly, 32*(2), 268-306. doi:10.1177/0899764003251739

Onazi, O. (2013). *Human rights from community: A rights-based approach to development.* Edinburgh University Press.

Optional protocol to the Convention on the Rights of the Child on a communications procedure. (2011).

Organization for Security and Co-operation in Europe. (2010). *Training manual: Human rights for social workers in theory and practice.* Sarajevo: OSCE Mission to Bosnia and Herzegovina.

Palayret, G. (2012). *Central and Eastern Europe, Commonwealth of Independent States.* Retrieved November 7, 2015, from unicef.org: http://www.unicef.org/ceecis/UNICEF_Report_Children_Under_3_FINAL.pdf

Parker, C. (2011). Forgotten Europeans, forgotten rights. Retrieved November 2, 2015, from http://www.europe.ohchr.org/Documents/Publications/Forgotten_Europeans.pdf

Pillay, A. G. (2012, May 16). Committee on Economic, Social and Cultural Rights. Retrieved November 1, 2015, from http://www2.ohchr.org/english/bodies/cescr/docs/LetterCESCRtoSP16.05.12.pdf

Piron, L.-H. (2004). *Rights based approaches to social protection.* Overseas Development Institute, DFID.

Purdy, L. (1992). *In their best interest? The case against equal rights for children.* Itaka and London: Cornell University Press.

Rasell, M., & Iarskaia-Smirnova, E. (2013). *Disability in Eastern Europe and the former Soviet Union: History, policy and everyday life.* (M. Rasell, & E. Iarskaia-Smironova, Eds.) BASEES/Routledge.

Russel, J. W. (2006). *Double standards: Social policy in Europe and the United States.* Rowman and Littlefield Publishers, Inc.

Sengupta, A. (2000). *The right to development as a human right (Working paper).* Boston: Francois-Xavier Bagnoud Center, Harvard University.

Smelser, N. J., & Swedberg, R. (Ред.). (2005). *The handbook of economic sociology* (изд. 2nd). Princeton University Press.

SoS Children's Villages International & International Social Service. (2009). *Guidelines for the alternative care of children: A United Nations framework.*

SOS Children's Villages International; International Foster Care Organization; & International Federation of Educative Communities. (2007). *Quality4Children: Standards for out-of-home child care in Europe.*

SOS Children's Villages, Georgia & Georgian Association of Social Workers. (2012). Child rights situation analysis.

The UNICEF Innocenti Research Centre. (2006). General comments of the Committee on the rigths of the child. Retrieved November 7, 2015, from http://www.unicef-irc.org/publications/pdf/crcgencommen.pdf

Townsend, P. (1970). Measures and explanations of poverty in high income and low income countries: the problems of operationalizing the concept of development, class and poverty. In P. Townsend (Ed.), *The concept of poverty, working papers on methods of investigation and life styles of the poor in different countries.* Heinemann Educational Books.

UN Committee on the Rights of the Child (48th sess.). (2008, June 23). Consideration of reports submitted by States parties under article 44 of the Convention: Convention on the Rights of the Child: Concluding observations: Georgia. UN Committee on the Rights of the Child.

UNDP in Bosnia and Herzegovina. (2007). *National Human Development Report 2007 - Social Inclusion in Bosnia and Herzegovina.* Sarajevo.

UNICEF. (2007). *Implementation handbook for the Convention on the Rights of the Child.* UNICEF. Retrieved November 7, 2015, from http://www.unicef.org/publications/index_43110.html

UNICEF. (2010, February 24). Resolution adopted by the General Assembly: Guidelines for the alternative care of children. Retrieved November 7, 2015, from http://www.unicef.org/protection/alternative_care_Guidelines-English.pdf

UNICEF. (2011, June 28). End placing children under three years in institutions: A call to action. Retrieved November 3, 2015, from http://www.unicef.org/ceecis/media_17370.html

UNICEF. (2012 a). *Integrated social protection systems: Enhancing equity for children.* UNICEF.

UNICEF. (2012 b). *Keeping families together: Insights: Child rights in Central and Eastern Europe and Central Asia.*

UNICEF/USAID. (2010). *Survey of barriers to access to social services in Georgia: Why not all poor families get social benefits and services*, UNICEF; USAID, Retreived from http://issuu.com/unicefgeorgia/docs/bass_final-eng

United Nations. (2006, August 29). General Assembly. Retrieved November 7, 2015, from http://www.unicef.org/violencestudy/reports/SG_violencestudy_en.pdf

Waldron, J. (Ed.). (1984). *Theories of rights (Oxford Reading in Philosophy).* Oxford: Oxford University Press.

Williamson, J., & Greenberg, A. (2010). *Families, not orphanages.* Better Care Network.

World Bank (2014) 'Gross Domestic Product'. Retrieved from http://databank.worldbank.org/data/download/GDP.pdf

World Bank Group (2015), *Doing Business.* Retrieved from *http://www.doingbusiness.org/data/exploreeconomies/georgia*

World Vision. (2011). *World Vision handbook for development programmes.*

World Vision Georgia. (2011). *Vulnerability mapping in Georgia: What is World Visioin Georgia doing about the most vulnerable children.*

2005–2007 წლების ბავშვთა დაცვისა და დეინსტიტუციონალიზაციის სამთავრობო სამოქმედო გეგმის, ბავშვთა დაცვისა და დეინსტიტუციონალიაციის სამთავრობო კომისიის და ბავშვთა დაცვის და დეინსტიტუციონალიზაციის სამთავრობო კომისიის დებულების დამტკიცების დადგენილება # 73. (2005 წლის 21 აპრილი). თბილისი.

2008–2011 წლების ბავშვთა კეთილდღეობის სამთავრობო სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის განკარგულება # 503. (2008 წლის 14 ივლისი). თბილისი.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია. (1948). ჩამოტვირთულია 2015 წლის 7 ნოემბერს, http://www.parliament.ge/files/1418_23909_908457_adamianisuflebatasakoveltaodeklaracia.doc-დან

ბავშვზე ზრუნვის სისტემის რეფორმის ძირითადი მიმართულებები: 2011–2012 წლების სამოქმედო გეგმა. (2010). თბილისი.

ბავშვთა კეთილდღეობისა და დაცვის 2012–2015 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის განკარგულება #762. (2012 წლის 24 აპრილი). თბილისი.

ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისგან დაცვის ევროპის საბჭოს კონვენცია. (2007 წლის 25 ოქტომბერი). ლანზაროტი.

ბავშვის უფლებების კონვენცია. (1989). ჩამოტვირთულია 2015 წლის 7 ნოემბერს, http://unicef.ge/bavshvis_uplebata_konvencia/108-დან

ბავშვის უფლებების კონვენციის დამატებითი ოქმი შეიარაღებულ კონფლიქტში ბავშვთა მონაწილეობის შესახებ. (2000 წლის 25 მაისი).

ბავშვის უფლებების კონვენციის ფაკულტატური ოქმი ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ. (2000 წლის 25 მაისი).

გადავარჩინოთ ბავშვები. (ნოემბერი, 2013). *რეინტეგრირებული ოჯახების საჭიროებათა შეფასება (კვლევის ანგარიში).* გაეროს ბავშვთა ფონდი.

გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეა. (1966). *საერთაშორისო პაქტი ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ.*

გაეროს ბავშვთა ფონდი. (2007–2008). საქართველოში ბავშვების მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა. ჩამოტვირთულია 2015 წლის 7 ნოემბერს http://unicef.ge/uploads/The_National_Study_on_Violence_against_Children_in_Georgia_in_Georgian.pdf–დან

გაეროს ბავშვთა ფონდი. (2008). ბავშვთა სიღარიბე საქართველოში. დასკვნითი ანგარიში. ჩამოტვირთულია 2015 წლის 25 ნოემბერს http://unicef.ge/uploads/GEO_GEORGIA_CHILD_POVERTY_STUDY_GEO_edited.pdf –დან

გაეროს ბავშვთა ფონდი. (2011). *ბავშვის უფლებები და ჟურნალისტური პრაქტიკა – უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა.* გაეროს ბავშვთა ფონდის საქართველოს წარმომადგენლობა.

გაეროს ბავშვთა ფონდი. (2012 ა). *ბავშვთა მიმართ ძალადობა საქართველოში.*

გაეროს ბავშვთა ფონდი. (2012 ბ). *საქართველო: ბავშვთა სიღარიბის შემცირება (სადისკუსიო დოკუმენტი).*

გაეროს ბავშვთა ფონდი. (2013). *ბავშვთა მიმართ ძალადობა საქართველოში: ეროვნული კვლევა არსებული ცოდნის, დამოკიდებულებისა და პრაქტიკის შესახებ.*

გაეროს ბავშვთა ფონდი. (2013). *ბავშვებისა და მათი ოჯახების კეთილდღეობა საქართველოში: საქართველოს მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევა (მესამე ეტაპი).*

გაეროს განვითარების პროგრამა. (2013). *ეკონომიკური და სოციალური მოწყვლადობა საქართველოში.*

გაეროს ბავშვთა ფონდი. (2014). *საქართველოში ბავშვთა სიღარიბის შემცირება: სამომავლო გზა.*

"გეითქიფინგის" პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპები. (2012).

ევროპული კონვენცია ბავშვთა უფლებების შესახებ. (1996). სტრასბურგი.

ვუცკოვიჩ შაჰოვიჩი, ნ., დოეკი, ე., & ცერმატინი, ჯ. (2012). *ბავშვის უფლებები საერთაშორისო სამართალში, ბავშვის უფლებები მოკლედ და კონტექსტში: ყველაფერი ბავშვის უფლებების შესახებ.* (რ. ტუშური, & თ. ალექსიძე, თარჯ.) თბილისი, საქართველო: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ნამიჭეიშვილი, ს., & მგელიაშვილი, მ. (2010). *სოციალური სამუშაოს პრაქტიკის საფუძვლები.*

ნოვაკი, მ., კლოკი, ჯ., & შვარცი, ი. (2009). *ადამიანის უფლებები: სახელმძღვანელო პარლამენტარებისთვის.* (ლ. ჭელიძე, თარჯ.) კარუჟი, შვეიცარია: ლე სტიდიო ლოლოს.

საქართველო–ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგი. (2014). ჩამოტვირთულია 2015 წლის 6 ნოემბერს http://eeas.europa.eu/delegations/georgia/documents/eap_aa/associationagenda_2014_ka.pdf–დან.

საქართველოს კანონი ოჯახში ძალადობის აღკვეთის, მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ. (2006 წლის 25 მაისი).

საქართველოს კანონი სოციალური დახმარების შესახებ. (2006 წლის 29 დეკემბერი). თბილისი.

საქართველოს კანონი შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ. (2009 წლის 18 დეკემბერი). თბილისი.

საქართველოს კოალიცია ბავშვთა და ახალგაზრდათა კეთილდღეობისთვის. (2014). *სხელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფი ბავშვების დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის*

მომზადებისა და შემდგომი მხარდაჭერის ეროვნული პოლიტიკა/კონცეფცია (სამუშაო ვერსია).

საქართველოს კონსტიტუცია. (1995 წლის 24 აგვისტო).

საქართველოს მთავრობის №262 დადგენილება: დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამა. (2014 წლის 31 მარტი).

საქართველოს მთავრობის #445 დადგენილება საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო გეგმის (2014–2015 წლებისთვის) დამტკიცებისა და გეგმის საკოორდინაციო უწყებათაშორისი საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. (2014 წლის 9 ივლისი).

საქართველოს მთავრობის დადგენილება #138 სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2015 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ. (2015 წლის 30 მარტი).

საქართველოს მთავრობის დადგენილება #66: ტექნიკური რეგლამენტი ბავშვზე ზრუნვის სტანდარტის დამტკიცების შესახებ. (2014 წლის 15 იანვარი).

საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის და მედიცინის განვითარების ფონდი. (2011). *ბავშვზე ძალადობის ძირითადი საკითხები.* თბილისი.

საქართველოს სახალხო დამცველი. (2012). *ანგარიში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ.*

საქართველოს სახალხო დამცველი. (2013). *ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ.*

საქართველოს სახალხო დამცველი. (2014). *ანგარიში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ.*

საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი. (2014 წლის 28 მარტი).

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია. (2012). *სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალურ მუშაკთა ტექნიკურ–ადმინისტრაციული საკითხების შეფასება (კვლევის ანგარიში).*

„სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის №758 დადგენილება. (2014 წლის 31 დეკემბერი).

ფარცხალაძე, ნ. (ივნისი, 2014). *უსახლკარობა საქართველოში.* გაეროს განვითარების სააგენტო.

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, შინაგან საქმეთა და განათლებისა და მეცნიერების მინისტრების ერთობლივი ბრძანება (N 152/ნ – N496 – N45/ნ) ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების შესახებ. (2010 წლის 31 მაისი).

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ბრძანება (#04–404/ო) მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს რეგიონული საბჭოების ტიპური დებულებისა და შემადგენლობის დამტკიცების შესახებ. (2013 წლის 23 სექტემბერი).

დანართები:

დანართი #1: თვისებრივი კვლევის ინსტრუმენტი

დანართი #2: აუდიო ჩანაწერები

დანართი #3: ტრანსკრიპტები

დანართი #4: კვლევის მონაწილეთა შესახებ დეტალური ინფორმაცია

დანართი #5: რაოდენობრივი კვლევის ინსტრუმენტი

დანართი #6: რაოდენობრივი კვლევის შედეგები – ცხრილები და გრაფიკები